ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაცნე

675-ფ/
1971/2

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

1. 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

12.014

თბილისი · 1971 · ТБИЛИСИ

# МАЦНЕ
## ВЕСТНИК

Серия философии,
психологии,
экономики и права

1. 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მაცნე

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

1. 1971

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი, გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. *(редактор)*, Григолава В. В. *(зам. редактора)*, Гугушвили П. В., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. В., Микеладзе И. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი

*Ответственный секретарь* Г. А. Глонти

რ ე დ ა ქ ც ი ი ს  მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19

А д р е с  р е д а к ц и и: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19

ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.8.71; შეკვ. № 1135; ანაწყობის ზომა 7×11 1/2; ქაღალდის ზომა 7×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო. თაბახი 12,56; უე 01346; ტირაჟი 1000.

ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

რედაქციისაგან . . . . . . . . . 7

ფილოსოფიური და სოციალური მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში . . . 9

ფილოსოფია

მ. დოდელია, პიროვნების ცნების საკითხისათვის . . . . . . . 23

ო. გოლოძე, მიზნის ცნება ფილოსოფიასა და კიბერნეტიკაში . . . . . 35

გ. თევზაძე, დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპი ჰეგელის ფილოსოფიაში . . 47

ფსიქოლოგია

ნ. სარჯველაძე, მოთხოვნილების რეალიზაციის ან ფრუსტრაციის გავლენა სოციალური ურთიერთქმედების ობიექტის პიროვნული თვისებების შეფასებაზე . . . . 61

შ. ჩხარტიშვილი, მოთხოვნილება და ნებისყოფა . . . . . . . . . . 79

ეკონომიკა

ა. ბრეგვაძე, დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 50 წლის მანძილზე 89

ს. მიქელოვი, ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა და მისი განხორციელება საქართველოში . . . . . . . . . . . . 105

გ. ტაბატაძე, ფონდუკუგების საკითხისათვის ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში . . 115

მ. მელქაძე, საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონალური სტრუქტურის გამოკვლევა . . . . . . . . . 127

სამართალი

ი. ფუტკარაძე, საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ქართული გამოცდილების ისტორიიდან . . . . . . . . . . 149

მ. უგრეხელიძე, შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში . . . . 153

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. კირვალიძე, „XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია" . . . . . . 175

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## СОДЕРЖАНИЕ

От редакции . . . . . . . . . . . . . . . . . 7
Философские и социальные науки в Советской Грузии . . . . . . 9

ФИЛОСОФИЯ

М. ДОДЕЛИА, К вопросу о понятии личности . . . . . . 23
О. ГОЛОДЗЕ, Понятие цели в философии и кибернетике . . . . . 35
Г. ТЕВЗАДЗЕ, Принцип единства противоположностей в философии Гегеля . 47

ПСИХОЛОГИЯ

Н. САРДЖВЕЛАДЗЕ, Влияние реализации потребности или фрустрации на оценку личностных качеств объекта социального действия . . . 61
Ш. ЧХАРТИШВИЛИ, Потребность и воля . . . . . . 79

ЭКОНОМИКА

А. БРЕГВАДЗЕ, Д. ДИАСАМИДЗЕ, Народное хозяйство Грузинской ССР за 50 лет . . . . . . . . . . . 89
С. МИКЕЛОВ, Ленинский план электрификации и ее осуществление в Грузии . 105
Б. ТАБАТАДЗЕ, К вопросу фондоотдачи в станкостроении Закавказья . . 115
В. МЕЛКАДЗЕ, Опыт исследования региональчой структуры общественного продукта и национального дохода Грузинской ССР . . . 127

ПРАВА

Я. ПУТКАРАДЗЕ, Из истории грузинского опыта советского государственного строительства . . . . . . . . . . . . 149
М. УГРЕХЕЛИДЗЕ, Смешанная вина в уголовном праве . . . . . 159

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. КИРВАЛИДЗЕ, «Буржуазная философия XX века» . . . . . 175

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რედაქციისაგან

1971 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბეჭდვითი ორგანო „მაცნე" იყოფა სამ დამოუკიდებელ სერიად.

ჩვენი სერია ყველაზე მრავალდარგოვანია — მასში დაიბეჭდება მასალები ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის საკითხებზე. ჩვენი ავტორები, პირველ რიგში, იქნებიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლები. შესაძლებლობისდაგვარად ჟურნალი გამოაქვეყნებს სხვა მეცნიერთა ნაშრომებსაც.

ჩვენი ჟურნალის ამოცანაა — ასახოს მასში წარმოდგენილი დარგების მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში (უპირველეს ყოვლისა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში) და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს მათ წინსვლას.

„მაცნეს" ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერიაში ფართო ადგილი დაეთმობა დისკუსიებს, კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიას, მეცნიერულ თარგმანებს, პუბლიკაციას.

„მაცნეს" ჩვენი სერია წელიწადში ოთხჯერ გამოვა, თითოეული ნომერი 12 თაბახის მოცულობით. წერილები იბეჭდება ერთ ენაზე. ავტორის სურვილის მიხედვით წერილს დაერთვის რეზიუმე რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე. წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ ნაბეჭდ თაბახს. წერილები რედაქციაში მიიღება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტის ან შესაბამისი დარგის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილოსოფიური და სოციალური მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს რესპუბლიკის სხვა მშრომელებთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებიც. 50 წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა მთელი არმია, შეიქმნა მძლავრი მეცნიერული სკოლები, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობითა და მეთოდოლოგიით შეიარაღებულნი წარმატებით მუშაობენ თანამედროვე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის აქტუალურ პრობლემებზე. საგრძნობი წვლილი შეაქვთ საბჭოური და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. მათი მიღწევები კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის წარმატებათა შემადგენელი ნაწილია და კომუნისტური იდეოლოგიის ძლევამოსილების კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია.

## ფილოსოფიური მეცნიერებანი

საქართველოში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გაბატონებამ ქართველ ფილოსოფოსთა უფროსი თაობის წინაშე, რომელიც კლასიკური ფილოსოფიის ტრადიციებზე იყო აღზრდილი, უმთავრეს პრობლემად დააყენა მარქსამდელ ფილოსოფიასთან მარქსიზმის დამოკიდებულების გარკვევა, იმ რაციონალური მომენტების გათვალისწინება, რომლებიც წინა ფილოსოფიური სისტემებიდან შეითვისეს და შემდგომ განავითარეს მარქსიზმის ფუძემდებლებმა. ამან განაპირობა დიდი ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, მარქსისტული ფილოსოფიის უშუალო წინამორბედის — გერმანული კლასიკური იდეალიზმისა და, განსაკუთრებით, დიალექტიკის თეორიის მიმართ. ამ პრობლემებზე მუშაობდნენ კ. ბაქრაძე („დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ და „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“), მ. გოგიბერიძე („მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემათა განვითარება მარქსამდე“), ს. წერეთელი („რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“) და სხვები.

დიალექტიკის თეორიის საკითხებზე მუშაობამ დააყენა საკითხი შემეცნების თეორიასთან და ლოგიკასთან დიალექტიკის ურთიერთობის შესახებ — განსაკუთრებით მწვავედ იდგა დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობის პრობლემა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე წარმოადგენდა საბჭოთა ფილოსოფოსების დისკუსიის საგანს. როგორც ცნობილია, ამ პრობლემაზე მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ძირითადად გავრცელებულია ორი თვალსაზრისი და ორივეს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს ქართველმა მეცნიერებმა კ. ბაქრაძემ, ს. წერეთელმა და ლ. გოკიელმა, რომლებმაც შექმნეს კაპიტალური მონოგრაფიები როგორც ფორმალური, ისე დიალექტიკური ლოგიკის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეცნებისა და აზროვნების პრობლემა შესწავლილ იქნა სოციოლოგიური თვალსაზრისითაც. ფართო აღიარება პოვა კ. მეგრელიძის მონოგრაფიამ «Основные проблемы социологии мышления», რომელიც, 30 წლის დაგვიანებით გამოქვეყნების მიუხედავად, მეცნიერების განვითარების სავსებით თანამედროვე დონეზე აღმოჩნდა.

შემეცნების პრობლემის ზოგადფილოსოფიურ კვლევასთან არის აგრეთვე დაკავშირებული ქართველ სპეციალისტთა მუშაობა სპეციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიურ, კერძოდ მეთოდოლოგიურ, პრობლემებზე. ამ მხრივ ყველაზე მეტი გაკეთებულია ფსიქოლოგიის ფილოსოფიის დარგში. ამ დარგის ცალკეული პრობლემები განხილული იყო დ. უზნაძის ზოგად-ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში, საგანგებოდ ამ პრობლემებზე მუშაობენ ა. ბოჭორიშვილი და მისი მოწაფეები. ამ მუშაობის შედეგები შეჯამებულია ა. ბოჭორიშვილის შრომებში: „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები" 3 ტომად, „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის", „ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში" და სხვ.

ფილოსოფიურ მემკვიდრეობასთან მარქსიზმის დამოკიდებულების პრობლემის განხილვისას ქართველი მეცნიერები არ შემოფარგლულან მარქსისტული ფილოსოფიის უშუალო წინამორბედების კვლევით. მათ ფართოდ გაშალეს კვლევა-ძიება ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებზე ანტიკურობიდან უახლეს დრომდე (ს. დანელიას გამოკვლევები ბერძნული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე, ს. წერეთლის „ანტიკური ფილოსოფია", მ. გოგიბერიძის „ფილოსოფიის ისტორია", კ. ბაქრაძის შრომები ახალი და უახლესი ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე და სხვ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართველ მეცნიერთა მუშაობა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ლენინური ეტაპის პრობლემებზე. არსებითად ამ პრობლემებს ეხება ზემოხსენებული შრომები დიალექტიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის საკითხებზე. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობა სპეციალურად განხილულია მ. გოგიბერიძის წიგნში „ლენინი როგორც ფილოსოფოსი", რომელიც საბჭოთა ლიტერატურაში პირველი ნაშრომი იყო ამ თემაზე (გამოვიდა 1929 წ.), და სხვა გამოკვლევებში.

ფილოსოფიის ისტორიის პრობლემათა კვლევის მარქსისტულ-ლენინური მეთოდის დაუფლებამ შესაძლებელი გახადა ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული დამუშავება და მისი ჩამოყალიბება ქართველოლოგიის სპეციალურ დარგად, რაც უმთავრესად შ. ნუცუბიძის ფუძემდებლური შრომების შედეგია („ქართული ფილოსოფიის ისტორია" 2 ტომად, „Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита", „Руставели и Восточный Ренессанс" — და სხვა).

დიალექტიკის, შემეცნების თეორიის, ლოგიკის, ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე უფროსი თაობის მიერ ჩატარებულმა დიდმა მუშაობამ შექმნა მტკიცე ბაზა ფილოსოფიის სხვა დარგების განვითარებისათვის. ფართო ფრონტით გაიშალა ფილოსოფიური კვლევა-ძიება ომის შემდგომ პერიოდში, როცა უფროს თაობას მხარში ამოუდგა მის მიერ აღზრდილი ახალგაზრდობა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებელთა ფილოსოფიურ კათედრებზე მუშავდება და გამოქვეყნებულია საყურადღებო ნაშრომები დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ლოგიკის, ეთიკის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესთეტიკის, ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის, ისტორიის ფილოსოფიის, სოციოლოგიის, მეცნიერული კომუნიზმის, ათეიზმის, ფილოსოფიის ისტორიის, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ჩვენში ფილოსოფიის განვითარების დონეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ჩვენი სპეციალისტები სავსებით მომზადებულნი აღმოჩნდნენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის წინაშე დამდგარ ახალ პრობლემებზე სამუშაოდ. ასე, მაგალითად, ეთიკის, ესთეტიკის, ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობამ ქართველი მკვლევრები მიიყვანა ღირებულების პრობლემის დამუშავების აუცილებლობის შეგნებამდე. ჩვენი მეცნიერები საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველთაგანი იყვნენ, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ამ პრობლემას. შემთხვევითი არ იყო, რომ პირველი საკავშირო სიმპოზიუმი თემაზე „ღირებულების პრობლემის ადგილი მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში" ჩატარდა თბილისში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ინიციატივითა და ორგანიზაციით.

პიონერთა რიგებში დგანან ჩვენი ფილოსოფოსები ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის დამუშავებაშიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი საბჭოთა კავშირში) განყოფილება დაარსდა ჩვენი აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში (ა. ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით) და უკვე შექმნილია პირველი შრომები ამ დარგში.

დღევანდელ პირობებში, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების ვითარებაში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრობლემათა პოზიტიურ დამუშავებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა კრიტიკას. ამ მიმართულებითაც დიდი მუშაობაა გაწეული. გამოქვეყნებულია სერიოზული მონოგრაფიები, რომლებშიც ნაჩვენებია ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და კულტურის კრიზისი, საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული ძირითადი ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმდინარეობანი — ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, ექზისტენციალიზმი, კრიტიკული ონტოლოგია, ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი და სხვ., დაწერილია კაპიტალური კოლექტიური ნაშრომი „XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია".

ბევრი რამ გაკეთდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. გამოქვეყნებულია მთელი რიგი მონოგრაფიები და კოლექტიური ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებულია ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტი. ფართოდ გაიშალა ლენინის ფილოსოფიური იდეების პროპაგანდა რესპუბლიკის მოსახლეობაში.

ქართული ფილოსოფიური სკოლის მიღწევები, სკოლისა, რომელიც სამართლიანად ითვლება საბჭოთა კავშირის ფილოსოფიური ფრონტის ერთ-ერთ მოწინავე რაზმად, კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაციაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორისა.

## ფსიქოლოგიური მეცნიერება

ფსიქოლოგიურ ცოდნას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს.

რაც შეეხება ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს, იგი საქართველოში ჩაისახა და განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამრიგად, ქართული მეცნიერული ფსიქოლოგიის ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია — ესაა საქართველოში მეცნიერული ფსიქოლოგიის ისტორია საბჭოთა ეპოქაში.

პროფ. დ. უზნაძემ (1889—1950), მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა საქართველოში და ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა თბილისში, უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიის განყოფილება, ფსიქოლოგიის კათედრა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორია. დ. უზნაძის მიერ ამ ლაბორატორიაში შესრულებული პირველი მეცნიერული გამოკვლევები გამოქვეყნდა 1922—1924 წწ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფსიქოლოგიის დარგში უკვე იმ დონეზე იდგა, რომ რესპუბლიკური აკადემიის დაარსებისას (1941) შესაძლებელი შეიქნა მის სისტემაში ჩამოყალიბებულიყო ფსიქოლოგიის ინსტიტუტი — პირველი ინსტიტუტი რესპუბლიკურ მეცნიერებათა აკადემიების სისტემაში. ამ სამეცნიერო დაწესებულების მუშაობასაც სათავეში ჩაუდგა დ. უზნაძე — პირველი აკადემიკოსი-ფსიქოლოგი საბჭოთა კავშირში.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, რომლის სპეციფიკურ პრობლემას განწყობის ფსიქოლოგია წარმოადგენს, ფართოდ არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ და თეორიულ გამოკვლევებში, რომლებიც ჩატარებულია ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ამ მიმართულებით, გამოვლენილია განწყობის ცნების ადგილი პიროვნების ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში.

დ. უზნაძემ შემოიტანა მეცნიერებაში განწყობის ერთიანი ბუნების კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი — „ფიქსირებული განწყობის“ მეთოდი. ყველა მანამდე არსებული მეთოდი მიმართული იყო მხოლოდ ფსიქიკური მოქმედების ცალკეული პროცესების შემთხვევაში განწყობის ზეგავლენის ფაქტის შესწავლისაკენ. ის ფენომენი, რომლის საფუძველზედაც დ. უზნაძემ დაამუშავა განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის მეთოდი, მეცნიერებაში ცნობილია „უზნაძის ეფექტის“ სახელით. ასე უწოდა მას თანამედროვეობის გამოჩენილმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ. დ. უზნაძისა და მისი მიმდევრების ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად ახლებურად იქნა გაშუქებული განწყობის ფსიქოლოგია. განწყობის ცნება დასაბუთებულ იქნა, როგორც კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოსავალი ცნება.

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში შემუშავებული ექსპერიმენტულად ორიენტირებული განწყობის მეთოდები საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი (საერთო) მაკონსტრუირებელი ფაქტორის ბუნება. ამრიგად შესაძლებელი გახდა განწყობის მთლიანობითი არსის გამოვლენა, რაც თანამედროვე უცხოურ ფსიქოლოგიაში პოლიმორფულად არის წარმოდგენილი.

ნაჩვენები იქნა, რომ განწყობა, როგორც რეაქციის გარკვეული ფორმისადმი მზაობა, არ შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ როგორც მოქმედების შედეგად ფორმირებული აქტივობა. განწყობა თავის საფუძველში წარმოადგენს ინდივიდის ქცევის მიზანშეწონილი — შეგუებითი მოქმედების შედეგს.

ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა განწყობის ზოგადი, გენეტიკური, დიფერენციული და პათოლოგიური ფსიქოლოგიის სისტემა. თანამედროვე მეცნიერებისათვის ამ გამოკვლევათა მნიშვნელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზას მოწმობს ის ფაქტი, რომ დ. უზნაძის მონოგრაფია „განწყობის ფსიქოლოგია", რომელიც აზოგადებს დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ქართველ ფსიქოლოგთა მრავალი წლის გამოკვლევის შედეგებს, ინგლისურ ენაზე გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1966 წელს. ინსტიტუტში შესრულებული მთელი რიგი გამოკვლევებისა გამოქვეყნებულია საერთაშორისო გავრცელების გამოცემებში.

ქართველი ფსიქოლოგების მიერ დამუშავებული განწყობის ფსიქოლოგიის მონაცემების მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ ფსიქოლოგიური მეცნიერების ფარგლებით და მათ ფსიქოლოგიის მოსაზღვრე მეცნიერების სფეროშიც გარკვეული რეზონანსი აქვთ.

მოსკოვის თათბირზე, უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საკითხების შესახებ (1962), იმ დებულების განხილვასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია დაძლევა ინდივიდის ქცევისადმი მექანიცისტური მიდგომისა და შექმნა მოძღვრებისა ქცევის, როგორც მთლიანობითი და აქტიური პროცესის შესახებ, საგანგებოდ იყო აღნიშნული ის მნიშვნელობა, რომელიც ამ მიმართულებით აქვს დ. უზნაძის განწყობის თეორიას.

ამავე თათბირზე განსაკუთრებით იყო აღნიშნული განწყობის თეორიის მნიშვნელობა არაცნობიერი ფსიქიკური საკითხების მეცნიერული გაშუქებისათვის და ამასთან დაკავშირებით ფროიდიზმის კრიტიკისათვის.

საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვრის ფართო აღიარების მაჩვენებელია ის, რომ XVIII საერთაშორისო კონგრესზე ერთ-ერთი სიმპოზიუმის მუშაობა მთლიანად განწყობის პრობლემებს მიეძღვნა (სიმპოზიუმის ხელმძღვანელი ა. ფრანგიშვილი).

მეცნიერებისა და ხელოვნების საერთაშორისო გამომცემლობამ აშშ-ში VII ტომის № 2 მთლიანად ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას მიუძღვნა და ასეთი საერთო სათაური წაუმძღვარა ჟურნალს: „შეუდარებელი ქართველები". სამოციანი წლებიდან მოყოლებული არ ჩატარებულა თითქმის არც ერთი საკავშირო თუ საერთაშორისო ღონისძიება ფსიქოლოგიაში, რომელშიც ფართო მონაწილეობა არ მიეღოთ ქართველ ფსიქოლოგებს.

სსრკ ფსიქოლოგთა IV ყრილობა, რომელიც თბილისში შედგა 1971 წლის ივნისში სწორედ იმ დიდ რეზონანსზე მიუთითებს, რომელიც ქართულ ფსიქოლოგიას აქვს საბჭოთა ფსიქოლოგიაში.

## ეკონომიკური მეცნიერება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ქართული საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნას 1944 წელს. ეს არის პირველი ქართული მეცნიერული ცენტრი, რომელიც სისტემატურ კვლევა-ძიებას ეწევა საერთოდ ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში. იგი მალე გახდა კერძოდ ამიერკავკასიის მსხვილი ეკონომიკური რაიონის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის პრობლემათა მეცნიერული შესწავლის ცენტრი.

ეკონომიკის ინსტიტუტის გარშემო იმთავითვე დაირაზმა ქართული ეკონომიკური მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები და ფართო გეგმით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრებული სისტემატური მუშაობა გაჩაღდა როგორც საერთოდ მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორიის პრობლემებზე, ისე განსაკუთრებით, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, სოციოლოგიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხომეურნეობრივი განვითარებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის, თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკის და სხვ. საკითხებზე.

სკკპ და საბჭოთა მთავრობის მიერ ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დასმული ამოცანების შესაბამისად ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ თეორიულ პრობლემებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებთან. შესწავლილია ახალი მეურნეობრივი რეფორმის შედეგები, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების გზები, ეკონომიკური კანონების გამოყენებისა და სოფლის მეურნეობაში წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საკუთრების ფორმების განვითარების, რესპუბლიკის ეკონომიკაში გაფართოებული აღწარმოების ტემპებისა და პროპორციების, შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში რესპუბლიკის ადგილისა და როლის, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიების კრიტიკის, სოციოლოგიის, ეკონომიკურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების, სახალხო მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმვის, სახალხო მეურნეობისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის აქტუალური პრობლემები და სხვ.

ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ეკონომიკისა და სოციოლოგიის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი იქნა შესწავლილი, გამოიცა ინსტიტუტის თანამშრომელთა 200-ზე მეტი წიგნი. მეცნიერული პროდუქციის მხრივ ინსტიტუტს მეორე ადგილი უჭირავს მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში.

გამოცემული ნაშრომებიდან აღსანიშნავია ინსტიტუტის ნაშრომების 15 ტომი, „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ.“ (1967), „საქართველოს სსრ“ (1967), „კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრება“ (1967), „მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური და სამართლებრივი თეორიის საკითხები“ (1970), პროფ. პ. გუგუშვილის „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს.“ (1949—1965 წწ.) ხუთი ტომი; „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“ მესამე გამოცემა (1956), „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв.“, т. I (1957), „Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье XIX—XX вв.“, I (1969); „Карл Маркс в грузинской публицистике и общественности“ (1963); „Шелководство в Закавказье“ (1960); „Некоторые вопросы координации и планирования Закавказского района“ (1962); „Производительность труда в аспекте темпов экономического роста и научных основ планирования“ (1970; გამოცემულია ინგლისურადაც); პროფ. ა. გუნიას „Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР“ (1961), „О темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии“ (1966), „К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии“ (1969), პროფ. ა. ნუცუბიძის „ფინანსური კაპიტალი სოფლის მეურნეობაში“ (1949),

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თანამედროვე კაპიტალიზმის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა“ (1962), „Империализм или трансформированный капитализм“ (1970), „კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა“ (1968), პროფ. ი. ბაჯაძის „სოფლისმეურნეობრივი შრომის ინდუსტრიული შრომისნაირსახეობად გარდაქმნა“ (1948), „სსრკ ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთობა“ (1958), პროფ. მ კახეთელიძის „საქართველოს სსრ პროდუქტიული მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები“, ტ. I, II (1962—1964), პროფ. ბ. ხასიას „სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში“, ტ. I, II (1962—1968), „ეკონომიკური ტერმინოლოგია“, შედგენილი პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის მიერ (1947), „ეკონომიკა“ (სტატიების კრებული, ტ. I (1969), ტ. II (1970) და სხვ.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სწავლულ ეკონომისტთა ნაშრომები მოწონებულია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების გამოჩენილი სპეციალისტების მიერ. ამ ნაშრომებზე 200-მდე დადებითი რეცენზია გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ჩეხურ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ და სხვ. ენებზე.

ამ მხრივ საჭიროა აღინიშნოს, რომ პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევენ აკადემიკოსები ი. ჯავახიშვილი, კ. ოსტროვიტიანოვი, ნ. დრუჟინინი, ლ. გატოვსკი, ვ. დიაჩენკო, პროფ. მასლოვი (მოსკოვი), პროფ. ვ. ურბანოვა (პრაღა), პროფ. ტ. ფიოლდი (ბუდაპეშტი), პროფ. გ. ჰაინინგერი (ბერლინი) და სხვ. რეცენზენტები სავსებით მართებულად აყენებენ საკითხს დაჩქარდეს პ. გუგუშვილის სხვა ნაშრომების თარგმნა და გამოცემა რუსულ ენაზე.

ინსტიტუტის თანამშრომელთა დაბეჭდილ და სხვა ნაშრომებში წარმოდგენილია წინადადებანი და რეკომენდაციები სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, რენტაბელობის დონის გადიდების და საერთოდ მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებელთა მიღწევის გზების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთმა რეკომენდაციამ რამდენიმე მილიონი მანეთის ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დიდი მუშაობაა ჩატარებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პ. გუგუშვილისა და ა. გუნიას, პროფესორების: ა. ნუცუბიძის, მ. კახეთელიძის, ბ. ხასიას, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის რ. ხარბედიას, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატების ა. ჯიბუტისა და რ. გოგოხიას თანაავტორობით გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა რამდენიმე წიგნი: 1. „საქართველოს სსრ“ (მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი), 2. „საქართველოს სსრ“ (სომხურ ენაზე).

რუსულ ენაზე დაიბეჭდა ამავე თარიღისადმი მიძღვნილი წიგნები: 1. საქართველოს სსრ (მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი), 2. საქართველოს სსრ ინდუსტრია, 3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა, 4. ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და 5. კულტურა.

ცნობილია ის დიდი ინტერესი, რასაც იჩენენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები სოციოლოგიის პრობლემებისადმი. ინსტიტუტში არის დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიცია სოციოლოგიის დიდმნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებისა. ამ მიმართულებით ინსტიტუტში ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგები პროფ. პ. გუგუშვილის მოხსენებების სახით გატანილი იყო სოციოლოგთა IV (იტალია), VI (საფრანგეთი), VII (ბულგარეთი), ეკონომისტთა II (ავსტრია), ეკონომიკური ისტორიის V (ლენინგრადი) და სხვ. საერთაშორისო კონგრესებზე. მოხსენებათა ტექსტები დაიბეჭდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუმინულ და სხვა ენებზე, ხოლო პროფ. ვ. ჩანტლაძისა და პროფ. ბ. ხასიას მოხსენებათა ტექსტები ეკონომიკური ისტორიის V საერთაშორისო კონგრესზე გამოქვეყნდა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

პროფ. პ. გუგუშვილმა შეაჯამა დღემდე სოციოლოგიის პრობლემებზე მის მიერ წარმოებული ნაყოფიერი მუშაობის შედეგები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა მისი „სოციოლოგიური ეტიუდები", ტ. I და II. ამ შრომებით ჩვენს რესპუბლიკაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სავსებით ახალ მიმართულებას საზოგადოებრივ მეცნიერებაში.

უკვე დაიბეჭდა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლის ა. ბრეგვაძის მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტებისა და მასალების კრებული „საქართველოს სსრ ინდუსტრიალიზაცია", ტ. I.

დაიბეჭდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია", რომელიც შედგენილია ინსტიტუტის თანამშრომლების პროფ. ბ. ხასიას და დოც. ა. სტეფანიშვილის მონაწილეობით, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით. ორივე კრებული წარმოადგენს დოკუმენტთა პუბლიკაციის საერთო საკავშირო სერიის ცალკე ტომებს.

ინსტიტუტის მორიგი XXIX სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა 1971 წლის იანვარს, მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის ზოგადი პრობლემების, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის განვითარების, ქართული საზოგადოებრივი და ეკონომიკური აზრის, პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკის და სხვ. პრობლემებზე მრავალრიცხოვანი ფუძემდებლური მონოგრაფიების გამოქვეყნებით, საქართველოში ეკონომიკური კვლევა-ძიების ცენტრის — ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, კვალიფიციური ეკონომიკური კადრების აღზრდით, მეცნიერული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბჭოთა ეკონომისტების ქართული სკოლა, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ეკონომიკური პრობლემების კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში გაშუქებისათვის.

ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია არა მხოლოდ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების, ქართული ეკონომიკური აზრისა თუ საერთოდ ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სფეროში, არამედ პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის დარგებშიც. ისინი მონაწილეობენ ეკონომისტთა და სოციოლოგთა საკავშირო და მსოფლიო კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე, რაც საბჭოთა ეკონომისტების ქართული სკოლის ახალ წარმატებათა მაჩვენებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივის გადაუდებელი ამოცანაა კიდევ უფრო ღრმა ანალიზი გაუკეთონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, გამოავლინონ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდების რეზერვები, დასახონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების გზები, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში, უნდა გააანალიზონ და განაზოგადონ რეფორმის შედეგები და საბოლოო ანგარიშში ხელი შეუწყონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დაჩქარებას.

## სამართლის მეცნიერება

სამართლის მეცნიერებას საქართველოში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, მაგრამ მისი სისტემატური და ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა ახალი სისტემა სახელმწიფო ორგანოებისა, შეიქმნა ახალი კანონმდებლობა სხვადასხვა დარგში. სამართლის შემსწავლელი პირველი სამეცნიერო ცენტრი იყო თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება, რომელიც 1921 წ. გაიხსნა, ხოლო შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტად გადაკეთდა. 1957 წ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის (ამჟამად ეკონომიკისა და სამართლის) ინსტიტუტში შეიქმნა სამართლის სექტორი, რომელიც ამჟამად სამართლის მეცნიერების მეორე მძლავრი ცენტრია საქართველოში.

ქართული სამართლის საკითხების შესწავლას, რომლის ტრადიცია წინათაც არსებობდა (ნ. ურბნელი-ხიზანიშვილი, დ. ბაქრაძე და სხვ.), მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აკად. ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტურმა გამოკვლევამ ქართული სამართლის ისტორიაში (1829—1929 წწ.).

მუშაობა ქართულ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში ამჟამად წარმოებს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იურიდიული ძეგლების გამოსაქვეყნებლად და, მეორე მხრივ, ცალკეული სამართლებრივი პრობლემების გამოსაკვლევად.

პირველი მიმართულებით აღსანიშნავია შემდეგი გამოცემები: ი. დოლიძე, „გიორგი ბრწყინვალის“ სამართალი გამოკვლევითურთ (1957), „ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის“ ქართულ-რუსული ტექსტი (1960), „საქართველოს ჩვეულებითი სჯულის“ ქართულ-რუსული პარალელური ტექსტი (1960), „ქართული სამართლის ძეგლები“, რომლის პირველი ტომი (1963) შეიცავს ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულს, მეორე ტომი (1965) — X—XIX საუკ. საერო საკანონმდებლო ძეგლებს, ხოლო მესამე ტომი (1970) — საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლებს. ივ. სურგულაძემ 1970 წელს გამოსცა ქართული სამართლის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი — ხელმწიფის კარის გარიგება და დასტურლამალი. გამოცემას დართული აქვს გამოკვლევა, ხელმწიფის კარის გარიგების რუსული თარგმანი და ვრცელი რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე. შესწავლილი და გამოქვეყნებულია აგრეთვე XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისის სამართლის ძეგლები და კანონპროექტები. სახელდობრ, ივ. სურგულაძემ გამოსცა იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“ (1957); დ. ფურცელაძემ — „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ (1964) და „სამოქალაქო სჯულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილება“, რომლის პირველი ნაკვეთი (1960) შეიცავს გამოკვლევას, ხოლო მეორე (1966) ძეგლის ტექსტს; ი. ფუტკარაძემ — „განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა“ ყოფილ არაგვის საერისთაოსთვის (1964).

ძეგლების გამოცემასთან ერთად ქართველი სამართალმცოდნეები იკვლევენ ქართული სამართლის საკითხებს. ირ. სურგულაძის ნაშრომში „ძეგლი ერისთავთა და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის“ ახლებურადაა დაყენებული საკითხი საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების ჩასახვის შესახებ. ივ. სურგულაძის მრავალრიცხოვან შრომებში შესწავლილია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება, ათაბაგობის, მთავრის, ვაზირობის და სხვ. ინსტიტუტები, საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი და სხვ. ალ. ვაჩეიშვილმა სამი წიგნი მიუძღვნა ქართული სამართლის ისტორიას. პირველ ორ წიგნში განხილულია ქართული სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და სასამართლო წყობილების საკითხები, ხოლო მესამეში — მიწათმფლობელობის ფორმები ფეოდალურ საქართველოში. საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხები გამოკვლეულია გ. ნადარეიშვილის მონოგრაფიებში, სასამართლო წყობილებისა — მ. ლეკვეიშვილისა და მ. კეკელიას მონოგრაფიებში, სისხლის სამართლის საკითხები — ი. დოლიძის, გ. ნადარეიშვილის, ნ. კორძაია-სამადაშვილის შრომებში, ივ. სურგულაძის მიერ შექმნილია სახელმძღვანელო საქართველოს სახელმწიფოსა და სამართალში რუსულ ენაზე (1968).

ქართველი სამართალმცოდნეები ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე. ი. ფუტკარაძემ (1969) და ა. მენაბდემ (1970) გამოსცეს მონოგრაფიები საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპების შესახებ (1960). გარდა ამისა, ვ. ფარქოსაძე და ი. ფუტკარაძე არიან თანაავტორები რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომისა — „История советского государства и права“ (1968), ხოლო ი. ფუტკარაძე აგრეთვე მონოგრაფიისა „Национальная государственность союзных республик“ (1968).

ქართველი მოღვაწეების პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებათა შესწავლას მიძღვნილი აქვს: ვ. აბაშმაძის შრომა, სადაც მოცემულია დავით აღმაშენებლის შეხედულებებისა და ყუთლუ-არსლანის იდეოლოგიის ანალიზი (1969), ივ. სურგულაძის ნაშრომი სულხან საბა ორბელიანის პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებზე (1958) და სხვ. ერთგვარი წვლილი მიუძღვის ქართველ იურისტებს (გ. სოსელიას, ივ. სურგულაძეს, ვ. აბაშმაძეს, გ. ნადარეიშვილს და სხვ.) რუსთველოლოგიის საკითხების დამუშავებაშიც. ი. ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებები გაშუქებულია ს. ჯორბენაძის, ნ. კევლიშვილის და სხვათა შრომებში. ამასთან ერთად ქართველი იურისტები იკვლევენ რუსი რევოლუციონერი დემოკრატების პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებს (გ. ინწკირველი).

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის საკითხების დამუშავება საქართველოში 30-იან წლებში დაიწყო, როდესაც გამოქვეყნდა მონოგრაფიები: ირ. სურგულაძისა — „ხელისუფლება და სამართალი“ (1925), გ. ნანეიშვილისა — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ (1929), ალ. ვაჩეიშვილისა — „კელზენის მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე“ (1930). თუ ეს პირველი ნაშრომები თავისუფალი არ იყო ბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუაზიული სამართლებრივი შეხედულებების ზეგავლენისაგან, შემდგომ ეს ავტორები სამართლის თეორიის საკითხებს უკვე მარქსისტული პოზიციებიდან იკვლევენ.

ამჟამად სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე მუშაობენ: გ. ინწკირველი, რომელსაც მრავალრიცხოვანი წერილების გარდა გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „სოციალიზმი და დემოკრატია“ (1970) და სახელმძღვანელო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში (მესამე გამოცემა 1967); ვ. აბაშიძე, რომელსაც ეკუთვნის მონოგრაფია — „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები“ (1962); ხ. როგავა, ავტორები წიგნებისა — „Советское социалистическое государство в период перехода от социализма к коммунизму“ (1966); ვ. ფარქოსაძე, რომელმაც დაწერა წიგნი „Марксизм-ленинизм о федерации“ (1970); ბ. ფხალაძე, რომლის წიგნი „Юридические формы положения личности в советском обществе“ (1968) დადებითად შეფასდა ცენტრალურ იურიდიულ ჟურნალში, ა. კარანაძემ გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო სამართალში.

ადმინისტრაციული სამართლის დარგში გრ. ერემოვის მიერ გამოცემულია დამხმარე სახელმძღვანელო (1966); გამოქვეყნებულია შემდეგი წიგნები: ა. მენაბდე — „Советский государственный аппарат“ (1965), მისივე — „საერთო სახალხო კონტროლი“ (1965), ვ. ლორია — „რაიაღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები“ (1967), ა. აბესაძე — „საბჭოთა მოქალაქის უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვა“ (1967).

საერთაშორისო სამართალში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შედარებით გვიან დაიწყო. გ. ქვანიას წიგნს — „Международноправовые гарантии национальных меньшинств“ (1959), რომელიც პირველი მონოგრაფია იყო სამართლის ამ დარგში, დადებითად გამოეხმაურნენ როგორც საბჭოური, ისე უცხოეთის (გფრ) იურიდიული ჟურნალები. იმავე ავტორს ეკუთვნის მეორე მონოგრაფია სახელმწიფო ნეიტრალიტეტის შესახებ (1963). ლ. ალექსიძემ შექმნა სახელმძღვანელო საერთაშორისო სამართალში (1968). მისი წერილებიდან მთავარია წერილი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კლასობრივი არსის შესახებ.

ფართოდ გაიშალა მუშაობა სამოქალაქო სამართალში. 1963 წ. ს. ჯორბენაძემ გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობაზე, აგრეთვე წიგნი „სკკპ პროგრამა სოციალისტური საკუთრების წარმოშობის გზების შესახებ“ (1964); 1957 წელს მან ცენტრალურ ჟურნალში გამოაქვეყნა წერილი უკიდურეს აუცილებლობაზე, რომელიც ანოტირებული იყო გდრ-ის იურიდიულ ჟურნალში. ამავე ავტორს ეკუთვნის საბჭოთა საოჯახო სამართლის კურსი (1957) და სხვ. სამოქალაქო სამართალში გამოქვეყნებულია აგრეთვე შემდეგი შრომები: თ. ცაგურია „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშავების ან სიკვდილისათვის“ (1965), შ. ჩიკვაშვილი, „Жилищно-строительная кооперация“ (1965), ლ. ჯომარჯიძე, „Правовое положение строительных организаций в СССР“ (1968), ნ. წერეთელი, „მოწოდების სამართლებრივი რეგულირება და არბიტრაჟი“ (1970), ს. ჯაფარიძე, „საბჭოთა მემკვიდრეობითი სამართალი“ (1960), ზ. ახვლედიანი „საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ახალი ფორმები“ (1966) და სხვ.

შრომის სამართლის საკითხებზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია გ. ნეიძის მიერ შედგენილი შრომის სამართლის სახელმძღვანელო (1968),

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისივე „კოლექტიური ხელშეკრულება“ (1960), „მომუშავეთა მატერიალური პასუხისმგებლობა“ (1968), „Сущность и методы регулирования движения труда в СССР“ (1968) და სხვ.; ხოლო მიწისა და საკოლმეურნეო სამართალში გამოცემული ნაშრომებიდან — ნ. ლომსაძის „ტყის, წიალისა და ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივი დაცვა“ (1966) და გ. დევდარიანის „საკოლმეურნეო კომლის სამართლებრივი მდგომარეობა“ (1969).

ინტენსიური მეცნიერული კვლევა-ძიება გაიშალა სისხლის სამართლის დარგში. საბჭოთა საქართველოში იურიდიული განათლების ორგანიზატორმა, რევოლუციამდე სახელგანთქმულმა პოლიტიკურმა დამცველმა ლ. ანდრონიკაშვილმა თავისი ღრმა შინაარსიანი ლექციებითა და მოხსენებებით განსაკუთრებული სტიმული მისცა მეცნიერების ამ დარგის განვითარებას. პირველი შრომები სისხლის სამართალში ი. ბოჭორიშვილმა შექმნა: „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“ (1932) და „მარქსიზმის კლასიკოსები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ (1936).

სისხლის სამართლის თეორიული საკითხების კვლევისას ქართველი მეცნიერები ემყარებიან მარქსისტულ ფილოსოფიას და იყენებენ საბჭოთა ფსიქოლოგიის (კერძოდ ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების) მონაცემებს. ამ დარგში გამოცემულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია: თ. წერეთელი, „Причинная связь в уголовном праве» (1957; მეორე გამ. 1963 წ. მოსკოვში). წიგნზე დაიბეჭდა რეცენზიები როგორც საბჭოურ, ისე უცხოეთის (გდრ, უნგრეთი) ჟურნალებში; მისივე „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ (1966); „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (1963); „მოძღვრება დანაშაულზე“ (1969 წ. თანაავტორია გ. ტყეშელიაძე); „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965), თანამონაწილეობის საკითხებს მიუძღვნეს წერილები აგრეთვე უ. კობიაშვილმა და ო. გამყრელიძემ. მთელი რიგი წერილები მიეძღვნა დანაშაულის შემადგენლობისა და საზოგადოებრივი საშიშროების ცნებებს (თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, თ. შავგულიძე, ო. გამყრელიძე, უ. კობიაშვილი). კერძოდ, ვ. მაყაშვილისა და თ. წერეთლის წერილით დაიწყო დისკუსია დანაშაულის შემადგენლობის შესახებ ჟურ. „Сов. гос. и право“-ში. ეს წერილი გადათარგმნილია პოლონურ, უნგრულ და იაპონურ ენებზე. თ. წერეთლის წერილი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროების შესახებ დაიბეჭდა 1970 წ. ფრანგულ ჟურნალში. ფრანგულ ჟურნალშივე 1971 წ. დაიბეჭდა მისივე წერილი საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე. საფუძვლიანად არის შესწავლილი ბრალის პრობლემა. ალ. ვაჩეიშვილის მონოგრაფიაში — „დანაშაულის სუბიექტური მხარე“ (1957) დაწვრილებით არის გადმოცემული ბურჟუაზიული და საბჭოთა იურისტების შეხედულებები ბრალზე. ვლ. მაყაშვილის მონოგრაფიაში „Уголовная ответственность за неосторожность“ (1957 წ. მოსკოვში) განხილულია ბრალის არსი და გაუფრთხილებლობითი ბრალისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი. ნაშრომზე დაიბეჭდა რეცენზიები როგორც საბჭოურ, ისე უცხოეთის (ბულგარეთის, უნგრეთის) იურიდიულ ჟურნალებში. გაუფრთხილებლობით ბრალის საკითხებს რამდენიმე წერილი მიუძღვნა მ. უგრეხელიძემ. ნორმატიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი მომენტის მნიშვნელობა ბრალის ცნებისათვის დაასაბუთეს ვლ. მაყაშვილმა და თ. წერეთელმა წერილებში, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხოურ (უნგრულ) ჟურნალებში. ვლ. მაყაშვილის რამდენიმე ნაშრომში გაშუქებულია განზრახი ბრალის საკითხები. მოტივის ცნება და მისი მნიშვნელობა როგორც სისხლის სამართალში, ისე სისხლის სამართლის პროცესში და კრიმინალისტიკაში გამოიკვლია ბ. ხარაზიშვილმა მონოგრაფიაში «Вопросы мотива поведения преступника в советском праве» (1963). ნაშრომი რეცენზირებულია ცენტრალურ იურიდიულ ჟურნალებში. ა. გაბიანის წიგნზე «Ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения» (1968) დაწერილია რეცენზიები როგორცსაბჭოურ, ისე უცხოეთის (უნგრეთის) ჟურნალებში. საზოგადოებრივ საშიშროებათა გამომრიცხველ გარემოებას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა თ. შავგულიძემ. მათ შორის მთავარია «Необходимая оборона» (1966). ამ ნაშრომს ფართოდ გამოეხმაურნენ როგორც საბჭოური, ისე უცხოური (უნგრული) იურიდიული ჟურნალები. სასჯელის საკითხებზე ძირითადად მუშაობს გ. ტყეშელიაძე, რომლის შრომებიდან მთავარია „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის“ (1965). სასჯელის საკითხებს შეეხება ალ. ვაჩეიშვილი ნაშრომში „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ (1960).

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკითხებისადმი მიძღვნილია ბ. ფურცხვანიძის მონოგრაფიები: „ადამიანის ღირსებისა და პატივის დაცვა“ (1944), „დანაშაულებრივი აბორტი“ (1952), „პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის“ (1956), „დანაშაული შრომითი ურთიერთობის სფეროში“ (1958), „დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“ (1968). მასვე ეკუთვნის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელო (1966). აქვე უნდა აღინიშნოს ვ. მაყაშვილის და გ. ტყეშელიაძის „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“ (1964) და ალ. შუშანაშვილის „ხულიგნობა და მასთან ბრძოლა“ (1968).

ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი პროცესუალისტები. დ. პოლუმორდვინოვის მონოგრაფია „Законная сила судебного решения“ (1967) დადებითად იქნა შეფასებული ცენტრალურ იურიდიულ ჟურნალებში. ასევე დადებითად შეფასდა თ. ლილუაშვილის მონოგრაფია „Экспертиза в советском гражданском процессе“ (1967) და მისივე „Предмет и бремя доказывания в советском процессе“ (1957).

სისხლის სამართლის პროცესში გამოცემულია ბ. ფურცხვანიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო (1963), ფალიაშვილის შრომები, მიძღვნილი ექსპერტიზისადმი გამოქვეყნებული როგორც საბჭოურ, ისე უცხოეთის ჟურნალებში. მის შრომებს შორის საყურადღებოა ბოროდინთან ერთად დაწერილი მონოგრაფია „Теория и практика судебной экспертизы“ (1963). იმავე ავტორმა დაწერა სახელმძღვანელო საპროკურორო ზედამხედველობაში (1970). გამოქვეყნებულია ალ. შუშანაშვილის წიგნი „Гласность в советском уголовном процессе“ (1969).

კრიმინალისტიკის დარგში გამოცემულ შრომათა შორის აღსანიშნავია ბ. ხარაზიშვილის კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო (1954, 1956 წწ.), გ. ციმაკურიძის შრომა «Кримминалистическая экспертиза» (1967, 1969).

დაწყებულია მუშაობა კრიმინოლოგიაში (ა. გაბიანი, ნ. უგრეხელიძე, თ. შავგულიძე), რომელიც შედარებით ახალი დარგია და შემდგომ მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ქართველმა მეცნიერმა იურისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის კოდექსების პროექტების დამუშავებაში და ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი წერილები გამოაქვეყნეს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ იურიდიულ ჟურნალებში.

დაბოლოს ქართველი იურისტების (გ. ჟვანიას, დ. ფურცელაძის, პ. ქავთარაძის, თ. წერეთლის) მიერ შედგენილი და გამოქვეყნებულია „იურიდიული ტერმინოლოგია“ (1963). მუშაობა ქართული იურიდიული ტერმინების დასახვეწად დღესაც გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1

მურმან დოდელია

# პიროვნების ცნების საკითხისათვის

პიროვნების საკითხს ყოველთვის, ყველა ეპოქაში დიდი მნიშვნელობა და აქტუალობა ენიჭებოდა იმიტომ, რომ თავისუფლების პრობლემა, რომელიც ყველა დროში სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლებოდა, არსებითად იყო და არის დაკავშირებული პიროვნების პრობლემასთან. თავისუფლების საკითხი, როდესაც ის განიხილება საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გულისხმობს ადამიანებს, ინდივიდებს და საბოლოო ჯამში მთელ საზოგადოებას, ვინაიდან თავისუფალი ან მონა საზოგადოებაში მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს. რა კავშირი აქვს თავისუფლების კატეგორიას პიროვნების კატეგორიასთან, ან, უფრო ზუსტად, რა როლს ასრულებს ის პიროვნების განსაზღვრებაში — აი პიროვნების ცნების გარკვევის ძირითადი ასპექტი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც ჩვენ განვიხილავთ პიროვნების რაობის საკითხს.

პიროვნების რაობის გარკვევის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჩვენს ეპოქაში, ამიტომ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა არის პიროვნების რაობისა და პიროვნების თავისუფლების პრობლემა. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია ცდილობს განიხილოს ადამიანი მისი ყოფიერების მთლიანობის ასპექტში, როგორც განსაკუთრებული ონტოლოგიური რეალობა, რომლის საშუალებითაც შემდეგ ცდილობენ ახსნან ბუნება, საზოგადოება და მისი განვითარება. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია მისი კონცეფციების მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთიანი მიზნით ხასიათდება: უარს ამბობს, საზოგადოების ობიექტური კანონების შესწავლაზე, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს პიროვნების ფორმირების საქმეში. ადამიანი როგორც ცალკეული, იზოლირებული პიროვნება გამოდის, როგორც ერთადერთი და აუცილებელი, სამყაროს დაფუძნებაში.

თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნება, მის შიგნით არსებული ყოველი სახის წინააღმდეგობები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებენ, ადამიანებს აღარ უტოვებს უკეთეს მომავლის იმედს. ადამიანებმა დაკარგეს რწმენა ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, ყოველგვარი სოციალური ღირებულებების მიმართ, ამიტომაც მათ შემოაქვთ მარტოხელა „მე“, რომელიც განთავისუფლებულია ყოველგვარი სოციალური შინაარსისაგან. მათი აზრით, ინდივიდის შინაგანი სულიერი ცხოვრება ეკუთვნის მხოლოდ მას და არავითარ ისტორიას არ შეუძლია ზემოქმედება იქონიოს მასზე.

მარქსისტული თვალსაზრისით, პიროვნება წარმოადგენს ყველა ღირებულებათა შორის უმაღლეს ღირებულებას, თვითმიზანს. სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ახალი ადამიანის აღზრდაა, ისეთი ადამიანის, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი და ფიზიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულყოფა. ამიტომ პიროვნების ცნების გარკვევა მარქსისტული სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური ამოცანაა.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგების ძირითადი ტენდენცია პიროვნების განხილვის საკითხში ერთი ძირითადი ნიშნით ხასიათდება — თითქმის ყველა ისინი უგულვებელყოფენ პიროვნების სოციალურ მხარეს.

მათთვის საზოგადოებას და მის ინტერესს აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ მას რეალურად არაფერი არ შეეფარდება, საზოგადოების რამდენი წევრიც არსებობს, არსებობს იმდენი ინტერესი, ამიტომ მათ შორის ერთიანი ინტერესის პოვნა არ შეიძლება.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა კიერკგორისა და ნიცშეს შეხედულებები.

კიერკგორი მკაცრად უპირისპირებდა ერთმანეთს პიროვნებასა და საზოგადოებას. საზოგადოებრივი, მისი აზრით, არის ეშმაკისეული აბსტრაქცია, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ბუნებას. როდესაც ინდივიდი ითქვიფება ანონიმურ კოლექტივში, ინდივიდუალური ადგილს უთმობს საზოგადოებრივს. ადამიანი კონკრეტულობას იძენს იმ შემთხვევაში, თუ ის გამოდის საზოგადოებრივის ფარგლებს გარეთ.

ნიცშეს მიხედვით, საზოგადოებას მართავენ „ჯოგური ინსტინქტები“. თითოეული ადამიანის მოქმედება და ქცევა ამ ინსტინქტებით არის გაპირობებული. ამიტომ ადამიანს თანამედროვე საზოგადოებაში არავითარი სოციალურ-მორალური ინდივიდუალობა არ ახასიათებს — ის არის „ბრბოს“, „ჯოგის“ წევრი და ყოველ მის მოქმედებას ამ „ჯოგის“ მორალი განაპირობებს; ამდენად, ამ ასპექტში, ინდივიდი არ წარმოადგენს პიროვნებას; პიროვნების ნიშანი ახასიათებს მხოლოდ „ზეადამიანს“, რომელიც კაცობრიობის განვითარების მიზანს და საბოლოო პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს — მხოლოდ ზეადამიანია თავისუფალი „ჯოგური მორალის“ ზეგავლენისაგან და ამდენად მხოლოდ მას ახასიათებს ინდივიდუალობა და მორალური თავისუფლება, მხოლოდ ის შეიძლება იყოს პიროვნება.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ამ მხრივ გამოირჩევიან, ისეთი მეტად გავრცელებული მიმდინარეობანი, როგორიცაა ექსისტენციალიზმი და პერსონალიზმი.

თანამედროვე ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა კარგად დაინახეს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში პიროვნების დეპერსონალიზაციის პროცესი, ეძებენ რა გამოსავალს ამ კრიზისული მდგომარეობიდან, ისინი ცდილობენ მოძებნონ ისეთი გზები თვითონ ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით, რომლებიც ამ საზოგადოების არსებობის ახალ პერსპექტივებს აჩვენებენ. აქედან გამომდინარე ისინი მოითხოვენ შეიცვალოს არა საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც წარმოადგენს პიროვნების დეპერსონალიზაციის მიზეზს, არამედ ცდილობენ ადამიანში მოახდინონ შინაგანი გარდაქმნა, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისადმი პიროვნების დაპირისპირების გზით.

როგორი გზით შეუძლია ადამიანს მიაღწიოს თავის ნამდვილ ადამიანურ არსებობას? ჰაიდეგერის მიხედვით „ნამდვილი“ არსებობა მიიღწევა მხოლოდ სიკვდილთან პირისპირ ყოფნაში, რომელიც ანცალკევებს ადამიანებს ერთმანეთისაგან. სიკვდილთან მიახლოვების მომენტში ადამიანი აცნობიერებს თავის თავს, როგორც განსხვავებულს სხვებისაგან, კოლექტივისაგან, საზოგადოებისაგან. ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში არის მისი განწირვა, რაც წარმოშობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანში მუდმივი შიშის გრძნობას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის განთავისუფლებას და მის მიერ თავისი ინდივიდუალობის შენარჩუნებას. შიში ადამიანში აღვიძებს სინდისს, რომელიც აბრუნებს ადამიანს თავისი საკუთარი თავისაკენ.

ექსისტენციალიზმის მეორე წარმომადგენლის იასპერსის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი „არსებობის კომუნიკაცია" უნდა შეიცვალოს ნამდვილი „ექსისტენციალური კომუნიკაციით", რომელიც არის პიროვნებად ქცევის აუცილებელი პირობა. „ექსისტენციალური კომუნიკაცია" ადამიანებს შორის ამყარებს ურთიერთ სიყვარულსა და ნდობას.

იასპერსს უნდა „ექსისტენციალური კომუნიკაციის" ცნების შემოტანით ადამიანს როგორც თვითმყოფადს, ინდივიდუალურს, განუმეორებელს, შეუნარჩუნოს დამოუკიდებელი არსებობა — ამას ადამიანი მიაღწევს მაშინ, თუ თავის სულს გაუხსნის სხვა ადამიანს, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, იმით, რომ მე ვივდივარ ჩემს თავთან, მე ვეხმარები სხვასაც თავისი თავის შეცნობაში.

ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი თეორიული წყაროა ჰუსერლის ფენომენოლოგიის მეთოდი, რომელმაც ექსისტენციალისტებს საშუალება მისცათ შეექმნათ ცნობიერების ონტოლოგია. ამ მეთოდის მიზანია განხილულ იქნეს ცნობიერება გარეგან სამყაროსთან კავშირის გარეშე. ე. ი. როგორც თვითონ ცნობიერების შინაარსის შინაგანი მახასიათებელი, რომლის გატანაც მის გარეთ არ შეიძლება. გარეგანი სამყარო არსებობს, ფენომენოლოგია კი საბოლოო ანგარიშში ხსნის ობიექტურ სამყაროს თვითონ სუბიექტში, ასეთი იდეალური ყოფიერების შეცნობა არ შეიძლება არც ცდით, არც ლოგიკური მსჯელობით, იგი აიხსნება მხოლოდ „საგანთა მიმართების" განსაკუთრებული წესით, ინტუიციით უშუალოდ ჭვრეტით, და განცდის გზით.

მიყვებიან რა ჰუსერლის ფენომენოლოგიას, ექსისტენციალისტები გარეგან სამყაროს ათავსებენ „ფრჩხილებში", ამიტომ ნამდვილ არსებულად განიხილავენ მხოლოდ „ადამიანურ რეალობას".

„ადამიანური რეალობა", როგორც ექსისტენციის პროცესი, რომელშიც ფორმირდება და ვითარდება ადამიანი — ე. ი. ქმნის იგი თავის თავს". „ექსისტენციის" არსებობაში მონაწილეობს მხოლოდ ინდივიდი თავისი ყველა რეაქციებით (განცდებით, მისწრაფებებით, აზრებით). ექსისტენციალისტურ თეორიას საფუძვლად უდევს პირადი, ინდივიდუალური ცდის პრიმატი. ექსისტენციალისტები პიროვნების გაგებაში არ ემყარებიან სამყაროს, სადაც რეალურად ფორმირდება და ვითარდება პიროვნება. მათ აინტერესებთ ადამიანი, ჩაკეტილი თავის შინაგან სამყაროში.

თავისუფლება ექსისტენციალისტების მიხედვით, არის ადამიანური არსებობის ერთადერთი საფუძველი, როგორც ონტოლოგიური ფუნდამენტი „ჩემი თავის ყოფიერებისათვის". თავისუფლება, სარტრის მიხედვით, არის ადამიანის არსებაში არსებული არარა, რომელიც აიძულებს ადამიანურ რეალობას შექმნას თავისი თავი. თავისუფლება და თავისთვის ყოფნა", არის ერთი და იგივე, რომელიც არაფრით არ არის დეტერმინირებული.

თავისუფლება, მიუთითებს სარტრი, არსებობის ტოლფასია; თუ ადამიანის სხეული ჩართულია სამყაროს აბსოლუტურ მიზეზობრიობაში, მისი ცნობიერება კი თავისუფალია, შეუძლებელია ადამიანი იყოს ზოგჯერ თავისუფალი და ზოგჯერ არა, ის ან ყოველთვის თავისუფალია, ან არასოდეს არ არის თავისუფალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექსისტენციალიზმის მიერ აღიარებული თავისუფლება არ წარმოადგენს სიცოცხლის აქტიურ ძალას, პირიქით თავისუფლების გაგება ექსისტენციალისტებთან პესიმიზმით არის გაჟღენთილი — ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება; თავისუფლება მისი ბედისწერაა.

ექსისტენციალისტებს თავისუფლება ნეგატიურად ესმით, როგორც თავისუფლება რაღაცისაგან და არა როგორც თავისუფლება რაღაცისათვის. თავისუფლების ცნების შემოტანით ექსისტენციალიზმი ადამიანს აკისრებს პასუხისმგებლობას ყველაფრისათვის.

ექსისტენციალისტების თვალსაზრისით, ამორჩევის აუცილებლობა წარმოადგენს ერთადერთ უპირობო აუცილებლობას, ადამიანი ყოველთვის ირჩევს, მაშინაც კი, როდესაც ის თავს იკავებს, ამიტომ ადამიანი მთლიანად პასუხისმგებელია თავისი არსებობის წესისათვის — ის ირჩევს ისეთ სამყაროს, როგორიც არის ის.

სარტრის მიხედვით, ადამიანი თავისუფლების უნარით, საკუთარი არსების შექმნის უნარით, განსხვავდება ყველაფრისაგან სამყაროში; მხოლოდ თავისუფლება უნარჩუნებს ადამიანს თავის შემოქმედებით დამოუკიდებლობას; თავისუფალი არჩევანი ქმნის თვითონ პიროვნებას. ადამიანი, აცხადებს სარტრი, есть не что иное, как его жизнь. Он есть не что иное, как ряд его поступков... он есть сумма, организация, совокупность отношении, из которых состовляются эти поступки“[1].

პერსონალისტები, ისევე როგორც ექსისტენციალისტები, გამოდიან კაპიტალიზმის კრიტიკით, იმ საზოგადოების კრიტიკით, სადაც პროვნება კარგავს თავის ნამდვილ სახეს. პერსონალისტ ფლიუელინგის აზრით, პიროვნებას არ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი საკუთარი მე იმიტომ, რომ განიცდის სოციალური აპარატის ორგანიზებულ ზემოქმედებას. ჰოკინგის აზრით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ნებისმიერი კოლექტიური გაერთიანებები, წარმოშობენ სტანდარტულ აზროვნებას, რომელიც ახშობს ინდივიდუალური სულის ორიგინალობასა და განუმეორებლობას. პერსონალიზმისათვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს პიროვნება. მათ აინტერესებთ სოციალურ სინამდვილეში ინდივიდუალური შემოქმედების აქტი.

პერსონალიზმის ფილოსოფიის ცენტრში დგას ინდივიდუალური სულის განვითარების პრობლემა. არ გადის რა რელიგიური მსოფლმხედველობის ფარგლებს გარეთ, პერსონალიზმი პიროვნებას განიხილავს როგორც ყოველი არსებულის შემოქმედს.

მთელ სინამდვილეს პერსონალიზმის მიხედვით აქვს პერსონალური ხასიათი, სამყაროს აქვს პიროვნულ არსებათა ერთიანობის სახე, არსებობენ მხოლოდ სახეები და ის, რასაც მათი შემოქმედება ქმნის. პიროვნება ფლობს თვითშემეცნების უნარს, როგორც ინდივიდის სახით, ასევე უმაღლესი შემოქმედი გონების სახითაც.

პიროვნებამ რომ დაიბრუნოს თავისი ნამდვილი სახე, უნდა მოხდეს მისი სულიერი სრულყოფა, ადამიანის აღზრდა უნდა წარიმართოს რელიგიის პოზიციებიდან, პიროვნება უნდა ჩაღრმავდეს თავის საკუთარ სულში უნდა განთავისუფლდეს გარეგანი ფაქტორების შემბოჭველი ზეგავლენისაგან.

---

[1] Ж. П. Сартр, Экзистенциализм—это гумманизм, М., 1953, გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, პერსონალიზმი პიროვნების ჩამოყალიბების ერთადერთ გზას ხედავს ადამიანის შინაგან თვითგანვითარებაში. პიროვნების ცხოვრების იდეალს ის ნახულობს უმაღლეს პიროვნებასთან — ღმერთთან მიახლოებაში.

როგორც ექსისტენციალიზმი, ისე პერსონალიზმი ცდილობს დაამკვიდროს პიროვნების აბსოლუტური თავისუფლება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების გარეშე. ისინი პიროვნების არსებას, მისი თავისუფლების შესაძლებლობებს ეძებენ მის შიგნით, საზოგადოებრივი ურთიერთობების გარეშე.

დასავლეთის სოციოლოგიაში პიროვნების გავრცელებულ განსაზღვრებებს შორის აღსანიშნავია პიროვნების აღწერილობითი განსაზღვრება. ამ თვალსაზრისისათვის დამახასიათებელია პიროვნების, როგორც წმინდა სუბიექტური მოვლენის განხილვა, რომლის თანახმადაც ის, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინდივიდუალური თავისებურებებით: აღქმის უნარით, აზროვნებით, გარემოსთან შეგუების ხარისხით, საზოგადოებაში განსხვავებული ფუნქციებით, განსაზღვრავენ პიროვნების რაობას. ამ თვისებების გამო ადამიანი არის „ძლიერი" ან „სუსტი", აგრესიული ან მორჩილი. ამ თეორიის თანახმად პიროვნებას ძირითადად ახასიათებს დამოუკიდებლობა, შეხედულებების განსაკუთრებულობა, ნებისყოფის სიძლიერე და ორიგინალური გრძნობები. აქედან აკეთებენ იმ დასკვნას, რომ არა ყველა ადამიანი შეიძლება იყოს პიროვნება, არამედ მხოლოდ ის, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მოთხოვნას. ე. ი. პიროვნებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რჩეული ადამიანები.

პიროვნების ამ განსაზღვრებას საფუძვლად უდევს ეგრეთ წოდებული დღევანდელ დასავლეთში გავრცელებული „ელიტის" თეორიის ბიოფსიქოლოგიური ვარიანტი.

არ შეიძლება მეცნიერულად ჩაითვალოს პიროვნების აღწერილობითი განსაზღვრება, იმიტომ, რომ ეს განსაზღვრება მხედველობაში იღებს მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს. რადგან ყველა ადამიანი ბიოფსიქიკური მონაცემებით არ არის თანასწორი, აქედან გამომდინარეობს რეაქციული ხასიათის დასკვნა, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანს არა აქვს პიროვნებად ჩამოყალიბების უნარი. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ბურჟუაზიულ სამყაროში არსებული სოციალური უთანასწორობის მიზეზებს არსებითად ადამიანთა ბიოფსიქიკურ თვისებებში ეძებენ.

ცნობილია აგრეთვე პიროვნების ისეთი განსაზღვრებაც, რომლის მიხედვითაც პიროვნება არის მისი უნიკალური და ინდივიდუალური ქცევების ერთიანობა. ამ შემთხვევაში აქცენტირება ხდება ისეთ ქცევებზე, რომლებიც მოცემულ ადამიანს გამოყოფენ სხვა ადამიანებისაგან. ამ შეხედულებების მიხედვით პიროვნება არის ის, რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ვიწინასწარმეტყველოთ ადამიანის ქცევა მოცემულ სიტუაციაში.

ეს განსაზღვრებაც აქცენტირებას აკეთებს პიროვნების სუბიექტურ მხარეზე. უყურადღებოდ ტოვებს ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემოს როლს პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამიტომ ეს განსაზღვრება ვერ ასახავს პიროვნების ნამდვილ ბუნებას, რის გამოც იგი ჩვენთვის მიუღებელია.

არსებობს აგრეთვე პიროვნების სტრუქტურული განსაზღვრება; მისი წარმომადგენლების აზრით, პიროვნება არის ორგანიზმის ქცევის ნამდვილი ან პოტენციური მოდელების საერთო ჯამი, რომელიც განსაზღვრულია გარემომცვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სამყაროთი. ისინი წარმოიშობიან და ვითარდებიან ძირითადი ოთხი სექტორის ფუნქციონალური ურთიერთმოქმედების საშუალებით; შემეცნების სექტორი (განათლება), ნებისყოფის სექტორი (ხასიათი), ემოციონალური სექტორი (ტემპერამენტი), სომატიური სექტორი (კომპლექცია).

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების სტრუქტურული განსაზღვრება ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ განსაზღვრებებთან შედარებით სრულია და პიროვნების გაგებაც უფრო ფართოდ არის მოცემული, მასში გათვალისწინებულია ფსიქოლოგიურ მომენტთან ერთად ბიოლოგიურიც, — მხედველობაში მიიღება აგრეთვე გარემომცველი სამყაროს როლიც, იგი მაინც პიროვნების გაგების საქმეში არ არის ბოლომდე თანმიმდევრული და სრულყოფილი იმიტომ, რომ გარემომცველი სამყაროს როლი სრულიად აუხსნელი რჩება.

პიროვნების ბიოსოციალური განსაზღვრება უახლოვდება სტრუქტურულ განსაზღვრებას, მისი წარმომადგენლები თავის თეორიას უწოდებენ „ბიოსოციალურს“, ადამიანს განიხილავენ როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმს, რომელიც განსაზღვრულია ბუნებრივი და სოციალური გარემოთი. პიროვნება მათ მიხედვით არის ბიპოლიარული პროცესის პროდუქტი, რომლის ერთი პოლუსიც იმყოფება ორგანიზმში, მეორე კი გარემომცველ სამყაროში.

ჩვენი მარქსისტული თვალსაზრისისათვის ყველაზე მისაღებია პიროვნების ბიოსოციალური განსაზღვრება, ეს თვალსაზრისი სწორად განიხილავს პიროვნებას, როგორც ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობას, მაგრამ განსაზღვრების ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ ვერ ხსნის სოციალური გარემოს ხასიათს, რომლის გარეშეც პიროვნების შინაარსის გაგება შეუძლებელია.

გარდა პიროვნების ზემოთ ჩამოთვლილი განსაზღვრებებისა, არსებობს კიდევ პიროვნების ბიოფიზიკური გაგება. მის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ „პიროვნება განსაზღვრულია ტვინის ჰიპოთეტური სტრუქტურებით, რაც მჟღავნდება შინაგან და გარეგან მოვლენებში, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრებას. პიროვნება მათი აზრით, არის სხეულის მმართველი ნაწილი, ინსტიტუტი, რომელიც დაბადებიდან სიკვდილამდე ჩართულია ფუნქციონალური ოპერაციის გარდაქმნაში.

პიროვნების ბიოფიზიკური განსაზღვრება პიროვნებას დაიყვანს მხოლოდ ფიზიკურ პროცესებზე, მხედველობის გარეშე ტოვებს საზოგადოების როლს პიროვნების ქმნადობის პროცესში.

ასევე განსაზღვრავენ პიროვნებას ბურჟუაზიული სოციოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი განსაზღვრება, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, მიუთითებს პიროვნებისათვის დამახასიათებელ რეალურ მომენტზე, მაგრამ ყოველი მათგანი ცალმხრივად წარმოადგენს ამ მომენტებს, ანიჭებს რა მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას. ამიტომ ეს შეხედულებები ვერ გვაძლევენ პიროვნების ჭეშმარიტ მეცნიერულ გაგებას.

თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურაში ცნებები „ადამიანი“, „ინდივიდი“ და „პიროვნება“, როგორც წესი, იხმარება, ისე თითქოს ისინი იგივეობრივი იყვნენ. ასეთი მდგომარეობა პრინციპულ წინააღმდეგობას არ იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ადამიანთან ან პიროვნებასთან, მაგრამ როცა საქმე ეხება პიროვნების რაობისა და განვითარების საკითხებს, მაშინ საჭირო ხდება ამ ცნებების უფრო ზუსტი განსაზღვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინ „ინდივიდის“ შინაარსში იგულისხმება ცალკეული ადამიანი, იგი ვერ გამოდგება წმინდა ადამიანური ცნების და, მით უმეტეს პიროვნების ცნების გამოსახატავად. მასში არავითარი სპეციფიურ-ადამიანური შინაარსი არ დევს, ამიტომაც იგი გამოიყენება ნებისმიერი ორგანული სამყაროს ცალკეული სახის წარმომადგენლის აღსანიშნავადაც.

ტერმინი „ადამიანი“ სპეციფიური ადამიანურობის გამოხატვას ემსახურება, იგი აღნიშნავს ადამიანთა გვარის სახესხვაობას. მიუთითებს იმ ძირითად განმასხვავებელ ნიშანზე, რომლითაც ის განსხვავდება სამყაროში არსებული საგნებისაგან, მაგრამ იგი ტერმინ „პიროვნებასთან“ შედარებით ფართოა, იმიტომ რომ „ადამიანი დაბადებით არის პიროვნებად გახდომის შესაძლებლობის მატარებელი: „პიროვნების“ ცნების ქვეშ იგულისხმება განვითარებული ადამიანური ინდივიდი, რომელიც ადამიანის სხვა თვისებებთან ერთად გამოხატავს მის საზოგადოებრივ თვისებასაც.

პიროვნება მარქსისტული სოციოლოგიის თვალსაზრისით პირველ რიგში შესწავლილ უნდა იქნეს ისტორიზმის პოზიციებიდან; ეს ნიშნავს, რომ უნდა იქნეს შესწავლილი პიროვნების მთელი განვითარების ისტორია, პირველყოფილი ველურიდან მე-XX საუკუნის ატომური ეპოქის პიროვნებამდე. უნდა იქნეს შესწავლილი ის ისტორიულად რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელშიც ადამიანს უხდებოდა ცხოვრება და განვითარება. საზოგადოების ისტორიის გაგების გარეშე, საზოგადოებრივი ფორმაციების შეფასების გარეშე გაუგებარი იქნებოდა პიროვნების ქმნადობის პროცესი. პიროვნება საზოგადოებაში ყალიბდება. რომ გაიგო პიროვნება, უნდა იცოდე ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის დადებითი და უარყოფითი მომენტები, ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ან ხელს უშლიდნენ პიროვნების ჩამოყალიბებას.

თუ თვალს გადავავლებთ დღევანდელ მარქსისტულ ლიტერატურას პიროვნების შესახებ, ვნახავთ, რომ ეს საკითხი აინტერესებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა თითქმის ყველა წარმომადგენელს. ეს ბუნებრივია და ასეც უნდა იყოს, რადგანაც პიროვნება მრავალი მომენტების ერთიანობაა, მისი განხილვა პიროვნების მთლიანობის დადგენას უნდა ემსახურებოდეს, არ უნდა იქნეს დავიწყებული ის ძირითადი, რითაც პიროვნება პიროვნებად იქცევა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პიროვნება არსებობდა ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში, იმიტომ, რომ პირველყოფილ ადამიანს უკვე ჰქონდა საკუთარი ღირსების, მოვალეობის, სიმამაცისა და ა. შ. გრძნობები. ეს დებულება არასწორად მიგვაჩნია, იმიტომ, რომ პირველყოფილ საზოგადოებას აქვს ისეთი სტრუქტურა, რომ იქ პიროვნების წარმოშობა შეუძლებელი იყო.

პიროვნება იწყება არა გრძნობების გამომჟღავნებით (თუმცა ამის გარეშე პიროვნება არ არსებობს), არამედ მაშინ, როცა უარიყოფა ადამიანის მიერ კოლექტივისადმი შეუგნებელი დამორჩილება.

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების ცნების გარკვევის დროს თანამედროვე მარქსისტულ ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა არ არსებობს. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ნიშნებს მიიჩნევს საჭიროდ პიროვნების განსაზღვრისათვის. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს. მაგალითად კ. კ. პლატონოვი წიგნში „О чертах личности нового рабочего“ ავითარებს აზრს, რომ პიროვნება არის ბუნებრივ (ბიოლოგიური) და სოციალური მხარეების ერთიანობა. ხოლო ვ. პ. ტუგარინოვი წიგნში („Личность и общество“) ავითარებს აზრს, რომ პიროვნების არსებითი ნიშანი არის მხოლოდ სოციალური მხარე. პიროვნება — წერს იგი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის იმ თვისებებისა და ნიშნების ერთიანობა, რომელიც მასში გამომუშავდებიან საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში. ტუგარინოვის აზრით, ის რომ ადამიანი, ერთ მხრივ ბუნებრივი არსებაა, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი, ერთნაირ როლს არ ასრულებს პიროვნების ქმნადობის საქმეში. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. სოციალური მომენტი განსაზღვრავს პიროვნებას, მაგრამ აქედან ტუგარინოვი აკეთებს დასკვნას, რომ პიროვნება მხოლოდ სოციალურის შედეგია. ამ შეხედულებას ჩვენში იზიარებენ სხვა ავტორებიც (კრიაჟევი, გონჩაროვი და სხვები).

ამრიგად ერთ ავტორს პიროვნების ცნებაში შეაქვს ბიოლოგიური და სოციალური მომენტები, ხოლო მეორეს მხოლოდ სოციალური. ეს უკანასკნელი მთლიანად გამორიცხავს პიროვნების გაგებიდან ადამიანის ბიოლოგიურ მხარეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „პიროვნება" მრავალი მომენტების ერთიანობაა, მაგრამ ეს სიმრავლე საბოლოოდ შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ძირითად მომენტზე, ეს, როგორც უკვე ქ. ქ. პლატონოვი აღნიშნავს, არის ბიოლოგიური და სოციალური მხარეების ერთიანობა. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც პიროვნების განმსაზღვრელად მიიჩნევენ მხოლოდ სოციალურს. ბიოლოგიურის როლის უგულვებელყოფა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში მიგვიყვანს პიროვნების ცალმხრივ გაგებამდე.

პიროვნების სოციოლოგიზაცია წარმოიშვა პიროვნების ბიოლოგიზაციასთან ბრძოლის შედეგად, რომლის მიხედვითაც პიროვნება განისაზღვრება ადამიანის ბიოლოგიური მომენტების ერთიანობით. ამ თვალსაზრისზე დგანან ფროიდისტები.

მარქსისტული სოციოლოგიისათვის პრინციპულად მიუღებელია პიროვნებაზე ბიოლოგისტური შეხედულებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უგულებელვყოთ ადამიანში არსებული ბიოლოგიური მომენტების როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში (მემკვიდრეობა, ბუნებრივი მონაცემები, გარემოსთან შეგუების ხარისხი, ტემპერამენტი, ინსტინქტები).

ინდივიდის ბიოლოგიური ორგანიზაციის წყობა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში და განსაზღვრავს გარემოსთან მისი შეგუების ხარისხს. ბუნებრივი მონაცემები ადამიანის არსების ისეთი მხარეა, რომელიც არ წარმოადგენს სოციალური გარემოს უშუალო ზემოქმედების პროდუქტს. ადამიანთა ბუნებრივი მონაცემების განსხვავება არის ერთ-ერთი საფუძველი ინდივიდუალური სხვადასხვაობისა, რომელიც პიროვნულობის არსებობის პირობაა. პიროვნება ყოველთვის ნიშნავს თავისებურს, განუმეორებელს და ეს განუმეორებლობა ემყარება ადამიანში არსებული ბიოლოგიური მომენტების ერთიანობასაც. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ადამიანებს უხდებათ მოღვაწეობა ერთსა და იგივე სოციალურ გარემოში, ისინი მაინც სხვადასხვა პიროვნებები არიან — სხვადასხვაობის ერთ-ერთი საფუძველი უნდა ვეძებოთ ადამიანის ბიოლოგიურ გარკვეულობაში.

პიროვნება საზოგადოებრივი არსებაა, იგი დამოკიდებულია აღზრდის თავისებურებაზე და ბიოლოგიურ ორგანიზაციაზე. პიროვნების განვითარება დამოკიდებულია როგორც მის ინდივიდუალურ მონაცემებზე, ასევე საზოგადოებაზე.

---

* ცალკე განხილვას მოითხოვს პიროვნული მთლიანობის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რის გასაღებასაც განწყობის თვალსაზრისი გვაძლევს, მაგრამ იგი ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნება არ არის აბსტრაქტული კატეგორია, ის არის, როგორც მარქსი ამბობს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა. ამ ერთობლიობის რეალიზაციის კანონზომიერება მრავალი მომენტის მომცველია.

პიროვნება ჩნდება იმ მომენტიდან, როცა კოლექტივი გამოდის პირველყოფილი მდგომარეობიდან, როცა საზოგადოება ადამიანს აძლევს გარკვეულ დამოუკიდებლობას, მოქმედების თავისუფლებას.

პირველყოფილი თემური წყობილების დაშლასთან ერთად წარმოიშვა პირადი თავისუფლება, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო კერძო საკუთრების დამკვიდრებას და პირიქით. მაგრამ კერძო საკუთრების წარმოშობამ თავისუფლება მოუტანა მხოლოდ საზოგადოების წევრთა უმცირესობას, უმრავლესობამ კი დაკარგა სოციალური თავისუფლება. მაგრამ თავისუფალი პიროვნების გამოჩენა უკვე ნიშნავდა ისეთ დამოკიდებულების დამკვიდრებას საზოგადოებასა და ადამიანს შორის, როცა საზოგადოება ადამიანს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას, რომლის გარეშეც კაცობრიობა წინ ვერ წავიდოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონათმფლობელურმა წყობილებამ თავისუფლება წაართვა ადამიანების უმრავლესობას, იგი მაინც იყო პროგრესული მოვლენა საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ეს გამოიხატება პირველ რიგში იმით, რომ ამ საზოგადოებაში მოხდა შრომის პირველი დანაწილება გონებრივ და ფიზიკურ შრომად, ადამიანების ერთი ნაწილი განთავისუფლდა თავისთავისა და კოლექტივისადმი ყოველდღიური მატერიალური ზრუნვისაგან. ამან კი განაპირობა მეცნიერებისა და კულტურის განვითარება.

პიროვნება ემყარება ადამიანსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულებას, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე — საზოგადოებრივი პროგრესის შედეგად და რომელიც თანდათანობით სრულყოფილ სახეს იღებს. პიროვნების შექმნა დაკავშირებულია თავისუფლების განვითარებასთან, რომელიც ადამიანს უქმნის თვითგანსაზღვრების შესაძლებლობას. პიროვნების განვითარება არსებითად დაკავშირებულია საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნების განვითარების ძირითად ტენდენციას და მიმართულებას აძლევენ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება არის მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროდუქტი, თვითონ საზოგადოებრივი ურთიერთობები არის, ცოცხალი პიროვნებების შემოქმედების შედეგი, რომელთა მოქმედების შედეგადაც ყალიბდებიან ეს ურთიერთობანი. ეს თეზისი სწორად მიუთითებს პიროვნების ჩამოყალიბების განმსაზღვრელ პირობებზე, პიროვნების თვითმოძრაობაზე, იმაზე, რომ პიროვნება არის თვითგანვითარების პროდუქტი. მეორე მხრივ ამ თეზისის აბსოლუტიზაცია, რომ პიროვნება ქმნის თავის თავს სოციალური გარემოსაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები ქადაგებენ, მიგვიყვანს სუბიექტურ იდეალიზმამდე.

პიროვნება ისეთივე ზომით არის საზოგადოებრივი ურთიერთობების შედეგი, როგორც ეს უკანასკნელი არის პიროვნების შემოქმედების შედეგი. პიროვნების საზოგადოებრივი ბუნება არ იძლევა უფლებას განხილულ იქნეს საზოგადოება, როგორც ინდივიდების მექანიკური ჯამი, როგორც ინდივიდების მოქმედების აბსოლუტური განცალკევების პროდუქტი.

მარქსისტული სოციოლოგია გამოდის დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულებებიდან პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, სადაც საზოგადოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ურთიერთობებს ენიჭებათ განმსაზღვრელი როლი პიროვნების შექმნის საქმეში. ამიტომ პიროვნება განიხილება როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ინდივიდუალური გამოვლენა.

თავისი კონკრეტულ-ისტორიული შინაარსით საზოგადოება და პიროვნება განუყოფელია, ყოველი საზოგადოებრივი სისტემა აფორმებს თავის პიროვნებას. მრავალ ნიშანს შორის, რომლითაც სხვადასხვა ეპოქებისა და კლასების პიროვნებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ყოველთვის არსებობდა დომინირებული ნიშანი, რომელიც უფრო ნათლად და კონცენტრირებულად გამოხატავდა ეპოქის განსაკუთრებულ კონკრეტულ-ისტორიულ და სოციალურ შინაარსს. მაგრამ პიროვნება დეტერმინირებულია გარდა ამისა კიდევ იმ გამოცდილებით, რაც დააგროვა კაცობრიობის ისტორიამ. ამიტომ სხვადასხვა ეპოქისა და კლასების პიროვნებებს ყველა განმასხვავებელ ნიშანთან ერთად აქვს ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მათ სოციალურსა და ადამიანურ ბუნებას. ეს თეზისი მიუთითებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ზოგადისტორიულ ტენდენციაზე, იგი გამომდინარეობს ადამიანური მოქმედების უნივერსალური ხასიათიდან და პირველ რიგში, შრომის შინაარსიდან.

მარქსიზმ-ლენინიზმი ამ საკითხს უდგება კონკრეტულ ისტორიულად და მიუთითებს, რომ პირველყოფილი თემური წყობილების დროს ადამიანი უნივერსალურ მოქმედებას ნაკლებად ამჟღავნებს, ხოლო კერძო საკუთრებაზე დამყარებულ კლასობრივ საზოგადოებაში, ადამიანური მოქმედების რეალიზაცია ხდება ანტაგონისტურ წინააღმდეგობებში, ამიტომ ერთი კლასის პიროვნება განსხვავდება მეორე კლასის პიროვნებისაგან თავისი მოღვაწეობით, მიზნებითა და მისწრაფებებით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პიროვნება არის ადამიანური ინდივიდის მიერ თავისი სოციალურ-კლასობრივი შინაარსის ათვისების ზომა, ხოლო კომუნისტურ საზოგადოებაში თავისი საზოგადოებრივ-კომუნისტური შინაარსის ათვისების ზომა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანი პიროვნებად კი არ იბადება, არამედ პიროვნებად ყალიბდება გარკვეული ისტორიული მომენტიდან. ჭეშმარიტი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობები წარმოიშობიან საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოებისა და გაცვლის მეშვეობით.

პიროვნების ჩამოყალიბება, განხილული როგორც ინდივიდის მიერ სოციალური შინაარსის ათვისების დონე, გულისხმობს ზოგადისა და ერთეულის თავისებურ სპეციფიკურ ურთიერთკავშირს.

პიროვნება ჩართულია საზოგადოებრივ ურთიერთობებში და თვითონ იღებს მონაწილეობას მათ ფორმირებაში, მაგრამ ეს ფორმირება ამავე დროს არის საზოგადოებრივ მთლიანობასთან აქტიური კავშირი.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში თითოეული ადამიანი წარმოადგენს საერთოსი და ინდივიდუალურის ერთიანობას; ეს ურთიერთობა განხილულ უნდა იქნეს როგორც ზოგადსოციოლოგიური კანონი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში, რომელიც ერთდროულად არის პიროვნების ისტორიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი წყაროც.

პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში საზოგადოების განვითარების დაბალმა დონემ ხელი შეუშალა კოლექტივიდან პიროვნების გამოცალკევებას, ამის გამო ადამიანში საერთო ბატონობდა ინდივიდუალურზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტაგონისტურ საზოგადოებაში კი, პირიქით, კერძო საკუთრების ბატონობის შედეგად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარი ადგილი განკერძოებულობამ დაიჭირა, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში წარმოდგენილია ინდივიდუალიზმის მახინჯი ფორმით, რომელმაც განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო კაპიტალისტურ საზოგადოებაში, წარმოების განვითარებისა და საყოველთაო კონკურენციის წარმოშობის შედეგად.

თავის დროზე ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი დრომოჭმული ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების წინააღმდეგ გამოდიოდა, ამის გამო ის ერთგვარად ხელს უწყობდა პიროვნების განმტკიცებას საზოგადოებაში, მაგრამ შემდგომში მოხდა ინდივიდუალიზმის შერწყმა ეგოიზმთან, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების ხრწნისა და პიროვნების დეგრადაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

სოციალისტურ საზოგადოებაში პიროვნება წარმოადგენს საერთოსი და ინდივიდუალურის ჰარმონიულ მთლიანობას. როცა ინდივიდუალური ჭარბობს პიროვნებაში, მაშინ საქმე გვაქვს ადამიანის ცალმხრივ განვითარებასთან, რის გამოც პიროვნება კარგავს თავის ძირითად სოციალურ ფუნქციას, იმას, რითაც ადამიანი არის პიროვნება, მაგრამ თუ ადამიანში საერთო გაბატონებულია ინდივიდუალურზე, მაშინ აღარ რჩება განსხვავება ადამიანებს შორის, ეკარგება ყოველგვარი შინაგანი, პიროვნული, ის რითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინდივიდები.

საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა არის ის საფუძველი, რომელიც აპირობებს საერთოსი და ინდივიდუალურის ჰარმონიულ ერთიანობას — სოციალიზმის დროს ისპობა ანტაგონიზმი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

სოციალიზმის პირობებში პიროვნების აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელს უწყობს მის ჰარმონიულ განვითარებას, მისი ბუნებრივი მონაცემების გაფურჩქვნას, ყველაფერი ეს ხელს უწყობს პიროვნების როლის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პიროვნების თავისებურება და ხასიათი, მისი განვითარება ძირითადად განსაზღვრულია საზოგადოებრივი წყობით, ადამიანის კლასობრივი მდგომარეობით, განათლების დონით და მათი შეცვლა სათანადოდ ცვლის პიროვნების შინაარსს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ სოციალისტური საზოგადოება ყოველ ცალკეულ ინდივიდს ავტომატურად გადააქცევს თავისუფალ პიროვნებად. სოციალური პირობები საშუალებას აძლევს ყოველ ინდივიდს ყოველმხრივ განვითარდეს, მაგრამ ეს არის მხოლოდ შესაძლებლობა, როგორ გამოიყენებს მას ინდივიდი, ეს მასზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, არა მთლიანად, მაგრამ, ნაწილობრივ მაინც. პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულებას სოციალისტურ საზოგადოებაში ისტორიული ხასიათი აქვს, იგი პროგრესულად ვითარდება, ეს პროცესი რთული და ხანგრძლივია. ამ საზოგადოებაში მხოლოდ იწყება პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, რომელიც თავის უმაღლეს სრულყოფას აღწევს კომუნისტურ საზოგადოებაში.

როცა ვადგენთ პიროვნების ცნებას, ვამტკიცებთ, რომ პიროვნება არის საზოგადოებრივი ურთიერთობების შედეგი. ე. ი. მივუთითებთ პიროვნების სოციალურ მხარეზე, მასში ე. ი. ამ სოციალურ მხარეში გარკვეული ადგილი უკავია მორალს. მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. იგი ასახავს ადამიანის სულიერ სამყაროს, მისი განხილვა მრავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ არის შესაძლებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ამ მოვლენის სოციალური ასპექტი.

მორალი ყოველთვის გამოხატავს კონკრეტულ-სოციალურ გაერთიანების ინტერესებს, იგი პიროვნებაში წარმოდგინდება, როგორც მორალური თავისუფლებისა და მორალური აუცილებლობის (ანუ მოვალეობის) ერთიანობა.

მორალურ თავისუფლებას საფუძვლად უდევს არა ყოველი მოვალეობა, არამედ ნამდვილი მოვალეობის პრინციპებისა და ნორმების, საზოგადოების პროგრესული მორალის გაცნობიერება.

ზნეობრივი თავისუფლება ემყარება ადამიანის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის გაცნობიერებას, როცა მოქმედება ეთანხმება პროგრესული მორალის პრინციპებს, მაშინ ისინი გადაიქცევიან ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად. ზნეობრივ ქცევაში, პიროვნება გამოხატავს საზოგადოებასთან მის ერთიანობას. აუცილებლობის შემეცნებით გონებასა და ნებაზე დაყრდნობით, თავისი მოქმედება შეუთანხმოს ობიექტურ მიზნებსა და მორალურ მოთხოვნილებებს.

როცა ვლაპარაკობთ პიროვნებაზე აუცილებლად უნდა განვიხილოთ თვითცნობიერება, როგორც ინდივიდის მიერ საკუთარი თავის გამოყოფისა და ამ გზით პიროვნული თავისუფლების განხორციელების პირობა.

უშუალოდ გაგებული თვითცნობიერება ნიშნავს ადამიანის მიერ თავისი თავის სოციალური ბუნების გაგებას. ის ფაქტი, რომ მან იცის თავისი არსება, იცის ის განსხვავებული ნიშნები, რითაც ის განსხვავდება ცხოველისაგან და ცდილობს გაიგოს თავისი ადგილი სამყაროში, მიანიშნებს თვითცნობიერების არსებობაზე და მის არსებით ნიშნებზე.

ადამიანის პიროვნებად ქცევა დამოკიდებულია თვითცნობიერებაზე. შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების დანარჩენი ნიშნების არსებობა, გარკვეული აზრით, არსებითად არის დამოკიდებული თვითცნობიერების არსებობაზე: არ შეიძლება ისეთი ადამიანი ჩავთვალოთ პიროვნებად, რომელსაც არა აქვს შინაგანი რეფლექსიისა და აზროვნების უნარი. გარდა ამისა, თვითცნობიერების გარეშე შეუძლებელია ნების თავისუფლებაც, ხოლო ნების თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების ერთ-ერთ უარსებითეს ნიშანს. სანამ „მე"-ს არა აქვს უნარი გამოყოს თავისი თავი „არა-მესაგან", მანამ შეუძლებელია ვილაპარაკოთ პიროვნების არსებობაზე.

ამრიგად, პიროვნების ცნების განსაზღვრება მოიცავს შემდეგ მომენტებს: პიროვნება არის საზოგადოებრივი ურთიერთობების პროდუქტი, რომელსაც საზოგადოება ქმნის თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება არის მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი. იგი აგრეთვე არის ინდივიდუალური თვითგანვითარების პროდუქტიც. პიროვნება არის საერთოსა და ინდივიდუალურის ერთიანობა. პიროვნებად ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებს ინდივიდის ბიოლოგიური ორგანიზაციაც.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს პიროვნება განვსაზღვროთ როგორც განუმეორებელი, კონკრეტული, ბიოლოგიურად მთლიანი, სოციალიზირებული ადამიანური ინდივიდი, რომელსაც გააჩნია თვითცნობიერების უნარი და მოქმედების თავისუფლება

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ გოლოძე

# მიზნის ცნება ფილოსოფიასა და კიბერნეტიკაში

## 1

მიზნის ცნება არის ფილოსოფიური ცნება, რომლის განხილვასაც ფილოსოფიის ისტორიის მთელ მანძილზე დიდი ყურადღება ექცეოდა. არისტოტელეს შემდეგ იგი ფილოსოფოსთა სისტემატური კვლევის საგანს წარმოადგენდა.

ტელეოლოგია, როგორც მოძღვრება მიზნის შესახებ, განვითარდა იდეალისტური ფილოსოფიის შიგნით. ამიტომაც არის, რომ მიზნის შესახებ სისტემატური ფილოსოფიური ხასიათის კვლევა მხოლოდ იქ, იდეალისტურ ფილოსოფიაში იყო წარმოდგენილი. აქედან გასაგებია ის იდეალისტური ელფერიც, რაც ამ კვლევას ახლავს თან. ე. წ. გარეგანი და შინაგანი მიზნის ცნებები, რომლებიც იდეალისტურ ტელეოლოგიაში იქნენ დადგენილი პირველად, გარკვეული იდეალისტური შინაარსის შემცველნი იყვნენ.

მატერიალისტური ფილოსოფია საერთოდ, კერძოდ კი დიალექტიკური მატერიალიზმი უპირისპირდება და უარყოფს იდეალისტური ტელეოლოგიის ძირითად დებულებებს. მისთვის მიუღებელია მიზნის ცნება იმ შინაარსით, რომელსაც გულისხმობს ტელეოლოგია. იგი სამყაროს ახსნის პირველ საფუძველს სამყაროს მიღმა არსებულ, განსაკუთრებული მიზნების მქონე არსებაში (ღმერთში) კი არ ხედავს, არამედ ობიექტურ მატერიალურ მიზეზთა მოქმედებაში. ასევე მიუღებელია მისთვის შეხედულება, რომლის თანახმადაც აღიარებულია, რომ სამყაროს გააჩნია თავისი შინაგანი მიზანი და მთელი სინამდვილე წარმოადგენს მისი რეალიზაციის საფეხურებს.

ტელეოლოგიური შინაარსით წარმოდგენილ მიზნის ცნებაზე უარისთქმა იმას როდი ნიშნავს, თითქოს მატერიალისტური ფილოსოფია საერთოდ ხელს იღებდეს მიზნის კატეგორიისაგან და მისი რაობის გარკვევისაგან, მიზანთან დაკავშირებული ფილოსოფიური საკითხების განხილვისაგან. თუმცა ისტორიულად ხშირად ისე ხდებოდა, რომ მატერიალიზმი მხოლოდ თავის ნეგატიურ პოზიციას ავლენდა, უარყოფდა რა იდეალისტური შინაარსით წარმოდგენილ მიზნებს, მას (გარდა ვულგარული მატერიალიზმისა) არასოდეს არ წამოუყენებია მოთხოვნა, ფილოსოფიიდან საერთოდ განდევნილი ყოფილიყო მიზნის ცნება მისი ყოველგვარი შინაარსით[1].

ამა თუ იმ მეცნიერული ტერმინის გამოყენებას მეცნიერების განსხვავებულ დარგებში ხშირად აქვს გარკვეული ობიექტური საფუძველი. საკმაოდ ხშირად ეს საფუძველი მდგომარეობს ტერმინით გამოხატული ცნების შინაარსის იგივეობაში. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ რომელიმე მეცნიერული ტერმინი ერთ მეცნიერებაში იხმარებოდეს ერთი მნიშვნელობით, ე. ი. ერთ გარკვეულ ცნებას გამოხატავდეს, ხოლო სხვა მეცნიერებაში განსხვავებული მნიშვნელო-

---

[1] უკანასკნელი ხნის საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მიზნის კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხების ფართო დამუშავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ჰქონდეს, სხვა ცნებას გამოხატავდეს. ზოგჯერ კიდევ იგი (ტერმინი) იმ ცნების გამოსახატავად იხმარება, რომლის შინაარსსაც შეადგენს მისით გამოხატულ განსხვავებულ ცნებათა შინაარსების საერთო იგივეობრივი მომენტები.

„მიზანი", როგორც მეცნიერული ტერმინი, იხმარება სხვადასხვა კერძო მეცნიერებაში (ფსიქოლოგიაში, ბიოლოგიასა და კიბერნეტიკაში), აგრეთვე ფილოსოფიაშიც. როგორც ჩანს, მიზნის ცნებაც, რომელიც ამ ტერმინით არის გამოხატული, ერთი გარკვეული შინაარსის შემცველი უნდა იყოს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვეცდებით გავარკვიოთ მიზნის ცნების შინაარსი, ვაჩვენოთ ის, რასაც მიზანი წარმოადგენს თავის საკუთარ რაობაში. ამავე დროს გავითვალისწინოთ მიზნის ცნება იმ შინაარსით, რომლითაც არის იგი წარმოდგენილი ზოგიერთ კერძო მეცნიერებაში.

## 2

ერთი გარკვეული ცნების გამომხატველია „მიზანი", როცა იგი იხმარება ცნობიერების მქონე არსების — ადამიანის — მიმართ. აქ მიზანში, ჩვეულებრივ ნაგულისხმევია წინასწარი გაცნობიერება ადამიანის მოღვაწეობის იმ ობიექტური შედეგებისა, რომლებიც მის მიერ მიჩნეულია მისი აქტუალური ან არააქტუალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარკვეულ პირობად.

ადამიანი თავის პრაქტიკულ თუ თეორიულ მოღვაწეობაში გარკვეული მოთხოვნილებებიდან ამოდის. აქტუალური მოთხოვნილება წარმოადგენს იმის ერთ-ერთ წინაპირობას, რომ მან მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავის მიზნად დაისახოს და პრაქტიკული მოღვაწეობა ამ მიზნის განხორციელების მიმართულებით გაშალოს. ადამიანი, როგორც გარკვეული მოთხოვნილების სუბიექტი, თავის თავს განიცდის როგორც თვითუარყოფილს, წინააღმდეგობრივს. აქ ის, რაც ჩვეულებრივ უკმაყოფილებს მას მოთხოვნილებას, მის გარეთაა. სუბიექტისა და მოთხოვნილების აღნიშნული საგნის ურთიერთისაგან დაშორიშორება წარმოადგენს პირობას მოთხოვნილების აღმოცენებისას. მოთხოვნილება, ვიდრე იგი დაკმაყოფილებული არ არის, წარმოადგენს წინააღმდეგობას, რომელსაც ადგილი აქვს თვით სუბიექტის შიგნით, იგი (მოთხოვნილება) იძლევა შინაგან იმპულსებს პრაქტიკული მოქმედებისათვის, რომლის შედეგადაც აღნიშნული წინააღმდეგობა იხსნება, იხსნება იმით, რომ სუბიექტის მიერ მოთხოვნილების საგანი ასიმილირდება[2]. ასეთ შემთხვევაში მიზნად მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაშინ იქცევა, თუ არსებული პირობები ამის საშუალებას ქმნიან. მოთხოვნილების მქონე სუბიექტი მიზნად იმ მდგომარეობას სახავს, როცა მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მდგომარეობის ფაქტიური მიღწევა ადამიანს მიზნის სახით ესახება, ხო-

---

[2] ეს მომენტი კარგად არის დანახული ჰეგელთან, რომელიც თავის „ბუნების ფილოსოფიაში", ეხება რა ადამიანის პრაქტიკულ დამოკიდებულებას ბუნებასთან, მიუთითებს იმის შესახებ, რომ იგი (ადამიანი). ამგვარი დამოკიდებულების დამყარების წყალობით აღწევს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მოთხოვნილება, აღნიშნავს ჰეგელი, განპირობებულია ამა თუ იმ სახის დანაკარგით. თვითუარყოფა, რომელიც, მისი აზრით, არსებობს სუბიექტში, როცა ეს უკანასკნელი განიცდის შიმშილს, არსებობს მასში ამასთანავე როგორც რაღაც სხვა, რომელიც არ არის ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს თავისთავად. იგი (თვითუარყოფა) ისეთი რამაა, რაც უნდა მოხსნილ, უარყოფილ იქნეს. ადამიანის მოღვაწეობაც იმაში მდგომარეობს, რომ სპობს ამ დაპირისპირებულობას, აქცევს რა ამით ამ სხვას თავის თავთან იგივეობრივად, ანუ სხვანაირად, სპობს რა საგანს, ამით აღადგენს თავის თავთან ერთიანობას (Гегель, сочинения, т. II., Соцэкгиз, М.-Л., 1934, გვ. 9.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თავისი საკუთარი აქტივობა და ის გარემო პირობები, რომლებიც ამ აქტივობის გაშლას და, მაშასადამე, მიზნის განხორციელებას უზრუნველყოფენ, მას წარმოუდგება როგორც მიზანშეწონილი საშუალებანი.

ადამიანის მოღვაწეობის გარკვეული ობიექტური შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევიან მის მიზნებად, თუ იგი აღნიშნულ ობიექტურ ცვლილებებს, რომლებიც მისი აქტივობის შედეგად უნდა განხორციელდნენ, თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობად მიიჩნევს.

უპირველეს ყოვლისა, მიზნის ერთ-ერთ არსებით მომენტს ის გარემოება შეადგენს, რომ აქ ნაგულისხმევ საქმის ვითარებას სუბიექტისათვის გარკვეული ღირებულება, საზრისი აქვს, იგი სუბიექტის ინტერესის საგანს წარმოადგენს რაიმე მიმართულებით. ისეთ რაიმეს მიზნად არავინ დაისახავს, რაც არავითარ ინტერესს არ აკმაყოფილებს.

ასევე არსებითია მიზნის დახასიათებისათვის იმ ნიშანზე მითითებაც, რომ მიზნის შინაარსად ნაგულისხმევი ვითარება სუბიექტის მიერ რეალურად არსებულად არ განიცდება, არამედ წარმოდგენილია მომავალში შესაძლებლის სახით, თანაც ისეთი შესაძლებლისა, რომელიც თავისთავად, ბუნებრივი აუცილებლობით კი არ განხორციელდება, არამედ თავისი რეალიზაციის პირობად გულისხმობს სუბიექტის აქტივობას.

მიზნის ერთ არსებითს მომენტს ის გარემოებაც შეადგენს, რომ თვით მიზნის დასახვის აქტიც წარმოადგენს სუბიექტის გარკვეულ აქტივობას. მიზნის დასახვის პროცესში სუბიექტი თავის თავს ყველა შესაძლო მოთხოვნილებითურთ წარმოიდგენს მომავალში შესაძლო სიტუაციათა ქარგაზე. იგი თავის მიზანში გამოხატავს იმ არჩევანის აქტის შედეგს, რომელსაც ახდენს იგი, როგორც მდგომი გარკვეულ შესაძლებლობათა წინაშე, რომელთაგანაც ერთ-ერთს მისთვის საზრისი აქვს.

არჩევანის, როგორც გარკვეული აქტის, დახასიათებისას აუცილებელია იმ მომენტზე მითითება, რომ სუბიექტი არჩევანის მოხდენის პროცესში თავისუფალია, რომ მისი არჩევანი ემყარება მისსავე ნებისყოფას, რომელიც ამ მომენტში თავისუფალია. ყველა ობიექტი, რომელიც არჩევის აქტის წინ სუბიექტის წინაშე დგას, როგორც ასარჩევი, წარმოდგენილია როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ არჩეულ იქნეს. არჩევის მომენტში სუბიექტი თავის თავს ხედავს და წარმოიდგენს ამ შესაძლებლობათა ფონზე; თავის თავს წარმოიდგენს არა როგორც მკაცრად დეტერმინირებულს ამ არჩევანში, არამედ როგორც თავისუფალი არჩევის სუბიექტს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა უარი განაცხადოს ყველაფერზე. არჩევის შემდეგ სუბიექტი ყოველთვის დარწმუნებულია იმაში, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა სხვანაირი არჩევანიც გაეკეთებინა.

მიზანი სუბიექტს ეძლევა ცნობიერი სახით, რომელიც წარსულსა და აწმყოში აღქმულ სიტუაციათა ბაზაზე აიგება. აღნიშნული სიტუაციები მიზანში ასახულია გარკვეულად მოდიფიცირებული სახით და ეს მოდიფიკაცია თვით სუბიექტისაგან მომდინარეობს. ამიტომაც დასახულ მიზნებში შეგვიძლია თვით მიზნის დამსახველი სუბიექტი ამოვიკითხოთ; რამდენადაც ადამიანი სოციალური არსებაა, გარკვეული საზოგადოების წევრია და, მაშასადამე, სოციალური ურთიერთობის ამსახველიც, ამდენად მის მიერ დასახული მიზნებიც ასახავენ მის გარემო სინამდვილეს. „ნამდვილად ადამიანის მიზნები, — აღნიშნავს ლენინი, — წარმოშობილია ობიექტური სამყაროს მიერ და ისინი გულისხმობენ ამ სამყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს როგორც მოცემულს, როგორც არსებულს. მაგრამ ადამიანს ეჩვენება, რომ მისი მიზნები აღებულია სამყაროს გარეშე, დამოუკიდებელია სამყაროსაგან"[3].

მიზანი ასახვაა განვითარების პერსპექტივაში მოცემული სინამდვილისა. სინამდვილე აქ ნაჩვენებია იმ სახით, რომელიც მან უნდა მიიღოს სუბიექტის აქტიური მოღვაწეობის შედეგად. ერთი სიტყვით, იგი მომავალში დანახული სინამდვილეა, რომელიც აწ უნდა განხორციელდეს და მიიღოს მიზანში ნაჩვენები სახე. სინამდვილის ასეთი გარდაქმნა კი სუბიექტის მოქმედებით ხორციელდება. სუბიექტი თავისი მოქმედების წყალობით ცვლის არსებულ სინამდვილეს იმ მიმართულებით, რომელიც მის მიზანს შეესაბამება. სწორედ ამაზე ამბობდა მარქსი, რომ „...იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს; იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს[4].

აქ მარქსი ლაპარაკობს შეგნებული, ცნობიერებაში მოცემული მიზნების შესახებ, სადაც იდეალურ ფორმაში ნაჩვენებია ის შედეგი, რომელიც ასევე ამჟამად იდეალურ, ხოლო მომავალში შესაძლო რეალურ მოქმედებას მოჰყვება. „შრომის პროცესის დასასრულს, — აღნიშნავს მარქსი, — ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა"[5].

მიზანში ნაგულისხმევი შინაარსის მომავალში განხორციელების ცნობიერება აუცილებელია მიზნისათვის.

სუბიექტზე, რომელიც რაიმე ფსიქოლოგიურ აქტს ახორციელებს (აღიქვამს ან იმახსოვრებს, აზროვნებს ან გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაშია, ფასიურ ოცნებას არის მიცემული თუ ნებელობის რთულ ფსიქიკურ აქტებს ასრულებს), გარეგანი დაკვირვება როგორღაც იძლევა მინიშნებას მისი შინაგანი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ. სუბიექტის გარეგან მოქმედებაში როგორღაც ჩანს, არეკლილია მისი შინაგანი მდგომარეობა.

აქ ლაპარაკია ისეთი ობიექტურის შესახებ, რაც ფსიქიკური საზრისის მატარებელია, რაც დარჩებოდა ფსიქოფიზიკური მთლიანიდან ფსიქიკურის აბსტრაქციის შემდეგ. გარეგანი დაკვირვებიდან ჩანს, თუ რა ფსიქიკურ აქტებს ახორციელებს სუბიექტი: აღქმის ფსიქიკური აქტი განსხვავებული ობიექტური მექანიზმით ხორციელდება, ვიდრე მეხსიერებისა. ასევეა ყველა სხვა ფსიქოლოგიური შინაარსის შემთხვევაშიც.

სუბიექტის მიზანი მის მიერ განხორციელებულ ქცევაში ვლინდება. ობიექტურ დაკვირვებას სხვისი მიზანი სუბიექტის იმ ობიექტურ მექანიზმთა სახით ეძლევა, რომელიც მიზნობრივი ქცევისათვის არის დამახასიათებელი. იგი ისეთი სპეციფიკური ფიზიკური ორგანიზაციაა, რომელიც მიზანში ნაგულისხმევი ფსიქოლოგიური საზრისის მიღებას გულისხმობს. მიზნობრივ მოქმედებაზე გარეგანი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სუბიექტი რაღაცისაკენ ისწრაფვის. თუ სწრაფვის ამ მოვლენიდან ფსიქიკური შინაარსის აბსტრაქციას მოვახდენთ. ჩვენს წინ დარჩება სწრაფვის ერთი მთლიანი ფსიქოფიზიკური პროცესის ერთი მომენტი — სწრაფვის ფიზიკური მექანიზმი, რომლის მსგავსი წმინდა ფიზიკურშიც შეიძლება დავადასტუროთ; სწრაფვის პროცესის ობიექტური მექანიზ-

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გამოც. IV, გვ. 186.

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 228.

[5] ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი სავსებით შესაძლებელია ობიექტური, ფიზიკური ენით აღიწეროს და ასეთი აღწერისას არ დაგვრჩება არც ერთი მომენტი, რის გამოსათქმელადაც სხვა, არაფიზიკური ენის მოშველიება დაგვჭირდებოდა. განხილვის ამ დონეზე, ობიექტურ მექანიზმთა კვლევის დონეზე ჩვენ ვერავითარ განსხვავებას ვერ დავინახავთ ცოცხალი არსების ქცევასა, რომელსაც იგი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მიმართავს, და იმ მოქმედებას შორის, რომელსაც შეასრულებდა გარეგანი მექანიკური ძალით შეკუმშული ზამბარა, თუ მას გავანთავისუფლებდით ამ მექანიკური ძალის ზემოქმედებიდან: ზამბარა ისეთსავე სწრაფვას გვიჩვენებს წონასწორობის მდგომარეობისაკენ, როგორც მოთხოვნილების მქონე ცოცხალი არსება. სწრაფვის ობიექტური ფიზიკური მექანიზმი ორივეს ერთი აქვს.

განხილვის ამ დონეზე, სადაც მხოლოდ ფიზიკურ პროცესთა მიმდინარეობის ხასიათის გამოკვლევა ხდება, სადაც ყურადღება მხოლოდ იმას ექცევა, თუ როგორ ხდება პროცესი, იმისაგან განყენება ხდება, რაც აღნიშნულ ობიექტურ მომენტს საზრისს, მნიშვნელობას აძლევს. რეალური პროცესი ამ მომენტების გარეშე არ არსებობს: მიზნობრივ ქცევას ჰყავს ს უ ბ ი ე ქ ტ ი, რომელიც თავისი შეგნებული მიზნებით გამსჭვალავს ქცევას, აღნიშნულ სპეციფიკურ ობიექტურ პროცესებს ცნობიერი მიზნის საზრისით ავსებს.

რეალური პროცესის ობიექტური მომენტის არსებობა სპეციფიკური ფიზიკური ორგანიზაციის სახით იმის შესაძლებლობასაც ქმნის, რომ მონახულ ან კონსტრუირებულ იქნეს მსგავსი ორგანიზაციის მქონე ფიზიკური სისტემა, რომელიც პირველისაგან ცნობიერების არქონით განსხვავდება. იგი წმინდა ფიზიკური სისტემაა, რომლისადმი „სუბიექტის“ ცნების მიწერა გაუმართლებელი ანთროპოცენტრიზმი იქნებოდა; და ეს იმდენად, რამდენადაც მასთან არ იგულისხმება ცნობიერების არსებობა, თუმცა იგი თავისი სპეციფიკური ორგანიზაციის გამო ფსიქიკური საზრისის მიღებას უზრუნველყოფს. ამიტომაც არის შესაძლებლობა მისი ჩართვისა ცნობიერების მქონე სუბიექტის მოღვაწეობაში.

მიზნის ცნების წარმოდგენილი შინაარსი ლოგიკურად გამორიცხავს ამ ცნების ყველა იმ შინაარსს, სადაც მიზანში ზემოგანხილული მომავლის ცნობიერების აქტები არ განიხილება როგორც მისთვის არსებითი, სადაც მიზანი მხოლოდ მისი ობიექტური მომენტით არის დახასიათებული. ამიტომაც ჩვენ შემდგომში ყველგან, სადაც მიზანში ნაგულისხმევი არ იქნება სპეციფიკურ-ადამიანური ცნობიერება, სადაც მიზანში მხოლოდ მისი ობიექტური მექანიზმი იქნება ნაგულისხმევი, მიზნის შესახებ ვილაპარაკებთ არაპირდაპირი, გადატანითი აზრით, ვუწოდებთ რა მას ო ბ ი ე ქ ტ უ რ მ ი ზ ა ნ ს. ასეთ მიზნებზეა ლაპარაკი, როცა მიზნის სუბიექტად ისეთი მთლიანობა ითვლება, სადაც ცნობიერება, ფსიქიკური მისი დაბალი პლანით არის წარმოდგენილი — პირველადფსიქიკურით. აქ მიზნად მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა ნაგულისხმევი, ხოლო მოთხოვნილების ქვეშ ისეთი ფსიქოფიზიკური ფაქტი, რომლის ობიექტურ მექანიზმს წონასწორობის მდგომარეობის დარღვევა წარმოადგენს, ხოლო ფსიქიკურ მომენტს — ამ მდგომარეობით შექმნილი უსიამოვნების ემოციები.

სინამდვილის უფრო დაბალი საფეხურის მთლიანობისათვის, რომლის დამახასიათებელი სპეციფიკაა არაფსიქიკურ ფორმაში წარმოდგენილი ბიოლოგიური, საკუთრივ სიცოცხლე თავისი წმინდა სახით, მიზანი მხოლოდ წმინდა ბიოლოგიურ ტერმინებში შეიძლება დახასიათდეს.

დასასრულ, ობიექტური მიზნების შესახებ ვლაპარაკობთ იქაც, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანობა აღებულია თავის წმინდა ფიზიკურ მოცემულობაში, სადაც ყოველგვარი ფიზიკური წარმოდგენილია მისი ტენდენციით, შეინარჩუნოს არსებული ფიზიკური განსაზღვრულობა. ასეთი მიზნების შესახებ შეიძლება ლაპარაკი და ლაპარაკობენ კიდეც კიბერნეტიკული სისტემების მიმართ.

3.

მიზანთან დაკავშირებით შემდეგი ფილოსოფიური საკითხები დგება:

1. მიზანი ჩვენ წარმოვადგინეთ როგორც სუბიექტის ცნობიერებაში ასახული მომავალში შესაძლო რეალური მოვლენა, რომლის რეალიზაცია მომავალში უნდა მოხდეს თვით სუბიექტის აქტივობის წყალობით, მოვლენა, რომელსაც სუბიექტისათვის ღირებულება, საზრისი გააჩნია და ამდენად მას აქტივობისაკენ მოუწოდებს, რეალიზაციისაკენ მოუხმობს; მიზანი როგორღაც სუბიექტის აღმძვრელის როლში გამოდის, მიზეზის ფუნქციას კისრულობს.

ამასთან დაკავშირებით აქ შემდეგი პრობლემა დგება: როგორ არის შესაძლებელი მიზნის სახით ნაგულისხმევმა მოვლენამ, რომელიც ჯერ რეალობად არ ქცეულა და არსებობს მხოლოდ როგორც მომავალში შესაძლებლობა, განაპირობოს რეალური ფაქტი — სუბიექტის აქტივობა? როგორ შეიძლება არარეალურმა მოვლენამ გამოიწვიოს რეალური მოვლენა?

აღნიშნული პრობლემა უკავშირდება ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილ საბოლოო მიზეზის (causa finalis) საკითხს, რომელიც შემდეგ გარემოებას გულისხმობს: სინამდვილის მოვლენებზე დაკვირვებისას შეიმჩნევა ისეთი რიგის ფაქტები, სადაც ერთი მოვლენა რომელიმე სხვა მოვლენის მიმართ გამოდის, ერთი მიმართებით განხილვის შემთხვევაში როგორც მიზეზი, ხოლო შებრუნებული მიმართებით განხილვის შემთხვევაში როგორც შედეგი: ერთ მიმართებაში A არის B-ს მიზეზი, ხოლო შებრუნებულ, მეორე მიმართებაში B არის A-ს მიზეზი. ერთი მხრივ, ჯანმრთელობა მიზეზია სეირნობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ჯანმრთელობა შედეგია სეირნობისა. პირველ შემთხვევაში ჯანმრთელობა, მართალია მიზეზია, მაგრამ იგი ისეთი რიგის მიზეზია, რომელიც ამავე დროს მეორის მიზანს შეადგენს: ჯანმრთელობა სეირნობის მიზნობრივი მიზეზია; მეორე შემთხვევაში კი სეირნობა მხოლოდ და მხოლოდ მიზეზია ჯანმრთელობისა. პრობლემა, რომელიც აქ დგას, იმის გარკვევაში მდგომარეობს, თუ როგორ არის შესაძლებელი მიზნობრივი მიზეზი, როგორ კისრულობს მიზანი მიზეზის ფუნქციას.

უპირველეს ყოვლისა რას ნიშნავს მიზეზობრივი დამოკიდებულება? რა შემთხვევაში იტყვიან, რომ A და B მოვლენებს შორის არსებობს მიზეზობრივი მიმართება? რა არსებითი ნიშნები იგულისხმება მიზეზის ცნებაში?

შესაძლებელია გავიზიაროთ შეხედულება, რომლის თანახმადაც:

1) მიზეზი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, მატერიალური მოვლენაა.

2) როგორც დროში მიმდინარე პროცესი, მიზეზი უპირისპირდება ასევე დროში მიმდინარე სხვა პროცესს — შედეგს — სწორედ დროში ლოკალიზაციის მიხედვით: მიზეზი ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას.

3) მიზეზი არა უბრალოდ წინ უსწრებს შედეგს, არამედ „იწვევს“ კიდეც ამ უკანასკნელს, აფუძნებს მის არსებობას. მიზეზი აუცილებელი და თანაც რეალურად საკმარისი პირობაა, რომლის არსებობა-არარსებობა განსაზღვრავს შედეგის არსებობა-არარსებობას.

მიზეზი ობიექტური რიგის, მატერიალური მოვლენის სახით წარმოვადგინეთ. მის მატერიალურობაშია იმის საფუძველი, რომ მას შეუძლია სხვა მოვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა გამოიწვიოს. მაგრამ მიზანი? — იგი ხომ მოკლებულია მატერიალურობის ნიშანს, იგი ხომ იდეის სახით მოცემული შესაძლებლობაა. მაშ როგორ არის შესაძლებელი მიზნობრივი მიზეზი?

2. ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებში (ფსიქოლოგია, ბიოლოგია, კიბერნეტიკა) იხმარება მიზანშეწონილობის ცნება, რომლის შინაარსი შეიძლება ასე გამოგვეთქვა: რაიმე A შეიძლება დახასიათებულ იქნეს რაიმე B-სთან მიმართებაში როგორც მიზანშეწონილი, თუ იგი (A) თავისი ბუნებით ისეთია, რომ იმყოფება B-ს სამსახურში, საზრისს ამ უკანასკნელიდან ღებულობს. ამ მნიშვნელობით წარმოდგენილი „მიზანშეწონილობა“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ადამიანის შეგნებული, წინასწარდასახული მიზნის განხორციელებისთვის საჭირო საშუალებათა, არამედ აგრეთვე იმ საშუალებათა დასახასიათებლადაც, რომელნიც ემსახურებიან საერთოდ ბიოლოგიურ ფორმებს (ცხოველს, მცენარეს) მათი ასევე ბიოლოგიური „მიზნების“ განხორციელების საქმეში. მაგრამ არც ამ უკანასკნელით შეიძლება ამოწურულ იქნეს მთლიანად „მიზანშეწონილობის“ გამოყენების სფერო. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია მთელი სამყარო განვიხილოთ. ასეთნაირი განხილვის შედეგად უკანასკნელი წარმოგვიდგება როგორც ერთი კანონზომიერი მთელი, სადაც ყოველი ელემენტი ყველა დანარჩენთან მიმართებაში შეიძლება დავახასიათოთ როგორც მიზანშეწონილი.

მიზანშეწონილობის პრობლემა მხოლოდ იქ დგება, სადაც აღიარებულია, დადასტურებულია რაიმე მიზანშეწონილი ფაქტი და იმის გარკვევაში გამოიხატება, თუ როგორ გაჩნდა ეს მიზანშეწონილი ფაქტი. მიზანშეწონილობის პრობლემა, ერთი მხრივ, მიზანშეწონილობის გენეზისის პრობლემაა: იგი იმ პირობათა გარკვევას ისახავს მიზნად, რომლებშიც მიზანშეწონილება ჩნდება. მიზანშეწონილობის პრობლემა მიზანშეწონილობის ახსნის ამოცანებთან დაკავშირებით ჩნდება.

„ახსნაში“ ჩვენ იმ მნიშვნელობას ვგულისხმობთ, რომელიც გამოიხატება ამა თუ იმ მოვლენის განმსაზღვრელი პირობების აღმოჩენა-დადასტურებაში, იმ მიზეზის ჩვენებაში, რომელმაც მისი არსებობა შეაპირობა.

დეტერმინიზმის პრინციპი აღიარებს, რომ სამყაროში არ არსებობენ მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ან მხოლოდ მიზეზს, ან კიდევ მხოლოდ შედეგს: მოვლენათა განხილვა მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ვ პლანში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოვლენა განსაზღვრულ იქნეს მიზეზობრივი მიმართების რიგში — დასახელებულ იქნეს ის მოვლენა, რომლის არსებობა-არარსებობა მის არსებობა-არარსებობას განაპირობებს, მას, როგორც შედეგის სახით წარმოდგენილ მოვლენას, რეალურად იწვევს. ახსნის აღნიშნული წესი, რომელიც იმ მიზეზის დადგენას ეხება, რომელმაც განაპირობა განსახილავი მოვლენის წარმოშობა, ყოველგვარი სახის მოვლენის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მაგრამ მოვლენათა განხილვა შესაძლებელია იმ ნიშნის მიხედვითაც, თუ რა როლს, რა ფუნქციას ასრულებს იგი რაიმეს მიმართ. აქ დახასიათება შეეხება რაიმეს მხრიდან საზრისის მიღება-არმიღებას: თუ, მაგ. B მოვლენა საზრისს ღებულობს A მოვლენიდან, მაშინ B-ს A-ს მიმართ როგორც მიზანშეწონილს ვახასიათებთ.

იქ, სადაც მოვლენათა შორის ასეთი საზრისული მიმართება დადასტურდება, იმ B მოვლენის მიმართ, რომელიც საზრისს A მოვლენისაგან ღებულობს, შეიძლება აზრის მიმართულება იქით წავიდეს, რომ მისი წარმოშობა ახსნილ იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს იმ ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც იგი ასრულებს A-თვის. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გულისხმობა, რომ B გაჩნდა იმისათვის, რომ A-ს ემსახუროს: B-ს გაჩენის საფუძველი A-ს სამსახურში შეიძლება იქნეს ამოკითხული. ასეა, მაგალითად, საქმე ადამიანის მიერ შექმნილი ღირებულებების მიმართ: მათ საზრისი ადამიანის მხრიდან ეძლევათ, თავისი წარმოშობის წყაროსაც ადამიანში გულისხმობენ, მათი შექმნა ადამიანის მიზანდასახულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, მათი შექმნა ადამიანის გარკვეულ აქტუალურსა თუ მომავალში შესაძლო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მოვლენათა წარმოშობის ახსნის ეს მიზნობრივი პრინციპი მხოლოდ იქ შეიძლება იქნეს გამოყენებული, სადაც საქმე შეგნებული, ცნობიერი მიზნის მქონე სუბიექტთან (ადამიანთან) და მის მიერ შექმნილ პროდუქტებთან გვაქვს[6].

მიზანშეწონილობის ფილოსოფიური პრობლემა სამყაროს, როგორც უნივერსუმის, მიმართაც დგება. სამყარო ადამიანის წინაშე წარმოდგება როგორც ერთიანი, შინაგანად დანაწევრებული, საყოველთაო კანონებით მართული მთლიანობა, სადაც ყოველი ელემენტი დაკავშირებულია ყველა დანარჩენთან ათასგვარი ხილული თუ უხილავი ძაფით, სადაც ადგილი აქვს მოვლენათა საყოველთაო კავშირსა და ურთიერთ განპირობებას, სადაც ელემენტთა კავშირი წარმოგვიდგება როგორც მოწესრიგებული მთლიანობა — კოსმოსი. სინამდვილის განვითარებასაც მისთვის ალმავალი სახე აქვს: განვითარება ხდება მარტივიდან რთულისაკენ, ნაკლებსრულყოფილიდან სრულყოფილისაკენ. და აი დგება კითხვა, თუ როგორ არის ყოველივე ეს შესაძლებელი.

მიზანშეწონილობის პრობლემა დგება კერძოდ ორგანული ბუნების მიმართ, ორგანულ ბუნებაში დადასტურებული მიზანშეწონილობის ფაქტების აღიარებასთან დაკავშირებით. იგი მოითხოვს პასუხის გაცემას კითხვაზე, თუ საიდან მომდინარეობს ეს მიზანშეწონილობა, რა განაპირობებს მას.

4.

მიზანსა და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული ფილოსოფიური პრობლემატიკის გადაწყვეტა ფილოსოფიის ისტორიაში წარმოდგენილია ორი ძირითადი მიმართულებით. ერთ მიმართულებას წარმოადგენს იდეალისტურ მსოფლმხედველობრივ პრინციპზე დამყარებული ტ ე ლ ე ო ლ ო გ ი ა, ხოლო მეორეს — მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე დამყარებული დ ე ტ ე რ მ ი ნ ი ზ მ ი.

ტელეოლოგია წარმოადგენს მოძღვრებას სამყაროს მიზნებისა და მიზანშეწონილობის შესახებ. იგი აღიარებს სამყაროს მიზანშეწონილობას და ამ უკანასკნელს ან სამყაროს გარეთ არსებული არამატერიალური საწყისის მიზნებიდან გამომდინარე ხსნის, ან კიდევ თვით სამყაროს შიგნით ნაგულისხმევ მიზნებს უკავშირებს. ტელეოლოგია მოვლენებსა და მათს წესრიგს იხილავს მიზნის იდეასთან მიმართებაში.

---

[6] შეცდომას ტელეოლოგიური პრინციპის გამოყენება კი არ წარმოადგენს, არამედ ამ პრინციპის გამოყენების სფეროს უკანონოდ გაფართოება, მისი გამოყენება იქ, სადაც იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული. თუ მაგ., B ფიზიკური მოვლენის გაჩენა დაკავშირებულია ასეთსავე წმინდა ფიზიკურ A მოვლენასთან, მაგრამ ჩვენ მაინც ვივარაუდებთ, რომ B-ს გაჩენა დამოკიდებულია იმისაგან, რომ მან მომავალში გარკვეული ფუნქცია შეასრულოს, რომ B მოვლენის გაჩენა განპირობებულია თვით B მოვლენის შინაგანი მიზნებით, რომლებიც მან თავისი გაჩენით უნდა უზრუნველყოს (იმანენტური ტელეოლოგია), ან კიდევ სამყაროს გარეთ არსებული შემოქმედის ნებაზე (ტრანსცენდენტული ტელეოლოგია), ასეთი განხილვა არასწორ შედეგს მოგვცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის მიხედვით, თუ სად იგულისხმება მიზანი, რასთანაც მიმართებაში იხილება მიზანშეწონილობა, განასხვავებენ ტელეოლოგიის ორ ფორმას ე. წ. გარეგან ანუ ტრანსცენდენტურსა და შინაგან ანუ იმანენტურ ტელეოლოგიას. გარეგანი ტელეოლოგია აღიარებს, რომ სამყაროს მიზანშეწონილობა ემყარება სამყაროს გარეთ არსებული იმ არამატერიალური საწყისის მოღვაწეობას, რომელიც არსებული სამყაროს მოწესრიგებულ ხასიათს თავისი მიზნებიდან გამომდინარე ქმნის. შინაგანი ტელეოლოგია კი მიზანშეწონილობას თვით საგნებში მყოფი შინაგანი ფაქტორების (მიზანსწრაფვების, მოთხოვნილებების, ლტოლვილების, ნებისყოფის და სხვ.) მოქმედებას უკავშირებს.

ძირითადი ცნებები, რომლებითაც სარგებლობს ტელეოლოგია, არის მიზნისა და საშუალების ცნებები. იგი იყენებს აგრეთვე მიზეზის ცნებასაც, საიდანაც გამოყოფს მიზეზის სპეციფიკურ სახეს — მიზნობრივ მიზეზს, რომელსაც მიზეზის დანარჩენ სახეებთან ე. წ. მექანისტურ მიზეზებთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება.

ტელეოლოგიურ შეხედულებას უპირისპირდება დეტერმინიზმი. ეს უკანასკნელი უარყოფს სამყაროში ზებუნებრივი მიზნებისა და მიზეზების არსებობას, რომლებიც თითქოს გასაგებს ხდიან სამყაროს მიზანშეწონილობას. დეტერმინიზმის თანახმად, არ არსებობს სამყაროს არავითარი მიზნობრივი მიზეზი, არამედ სამყაროს რეალური პროცესების ფორმები და კანონზომიერებანი უნდა წარმოდგენილ იქნან მიზეზისა და შედეგის აუცილებლობითი კავშირის სახით.

ფილოსოფიის ისტორია წარმოგვიდგენს აღნიშნულ მიმართულებათა ერთმანეთისადმი შეურიგებელი ბრძოლის ნათელ სურათს. ტელეოლოგია და დეტერმინიზმი, რომლებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გამოიკვეთნენ, საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ ერთმანეთს.

ანტიკურ ფილოსოფიაში ტელეოლოგიური თვალსაზრისის ძირითადი დამცველები არიან ანაქსაგორა, პლატონი, არისტოტელე. მათი აზრით, სამყარო მიზნობრივი პრინციპის მიხედვით არის აგებული მაგ., არისტოტელეს მიეკუთვნება გამონათქვამი: „ბუნება ტყუილ-უბრალოდ არაფერს არ აკეთებს. ყოველივეს აქვს მიზანი“.

უკვე აქვე უპირისპირდება ტელეოლოგიას დეტერმინიზმი, რომლის წარმომადგენლებადაც გვევლინებიან ემპედოკლე, დემოკრიტე, ეპიკურე, ლუკრეციუსი. ისინი მოითხოვენ, რომ ყოველივეს ახსნის საფუძვლად გამოცხადდეს ბუნებრივად მოქმედი მიზეზები, რომ ახსნის მიზნობრივ პრინციპს უარი ეთქვას.

ტელეოლოგიური აზროვნება თავის კულმინაციას აღწევს საშუალო საუკუნეებში. აქ აღიარებულია, რომ სამყაროს აქვს მიზანშეწონილი სახე, კოსმოსური ბუნება და ყოველივე ეს გამომდინარეობს სამყაროს მიღმა არსებული ზებუნებრივი საწყისის — ღმერთის — ნებისაგან, რომელიც სამყაროს ქმნის თავისი განსაკუთრებული მიზნების შესატყვისად. აქ აღიარებულია, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი გაჩენილია იმ გარკვეული მიზნით, რომ ადამიანს ემსახუროს, ხოლო თვით ადამიანი გაჩენილია იმისთვის, რომ პატივი სცეს ღმერთს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების წინსვლა ამზადებს საფუძველს ტელეოლოგიური აზროვნების წესზე შეტევისათვის. ახალი ფილოსოფიის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ ფრ. ბეკონი, დეკარტი და განსაკუთრებით სპინოზა, მოითხოვენ სამყაროს მოვლენათა ახსნის მიზნობრივ პრინციპზე ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისაღებას. მათი აზრით, ბუნებაში არ არსებობენ არავითარი მიზნები, აქ ყოველივე შეიძლება ახსნილ და გაგებულ იქნეს მარტივ მექანისტურ პრინციპზე დაყრდნობით.

ტელეოლოგიასა და დეტერმინიზმს შორის საშუალო ხაზს იცავს ლაიბნიცი. მისი აზრით, მთელი ბუნება, მისი ყოველი მოვლენა ახსნილ უნდა იქნეს კაუზალურ პრინციპზე დაყრდნობით. მაგრამ, როცა საქმე ეხება თვით კაუზალური პრინციპის გარკვევას, აქ ლაიბნიცი ტელეოლოგიურ პოზიციაზე გადადის. მისი აზრით, მექანისტური კაუზალობა თვით წარმოადგენს ღმერთის ნებასურვილით შექმნილი, ღმერთის მიზნებით გამსჭვალული მსოფლიო წესრიგის გამოხატულებას.

დეტერმინისტული თვალსაზრისის დამცველებად გვევლინებიან XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის წარმომადგენლები.

მექანიცისტური და ტელეოლოგიური აზროვნების წესების ურთიერთისადმი არადაპირისპირებულ ხასიათზე ლაპარაკობს კანტი. კანტი იცავს თვალსაზრისს, რომ ბუნების ყველა მოვლენა ახსნილ უნდა იქნეს კაუზალურად. მაგრამ, მისი აზრით, ბუნებაში არსებობენ ისეთი პროდუქტებიც, რომელთა მიმართაც მხოლოდ კაუზალური დეტერმინაციის გამოყენება ვერაფერს ვერ გაგვაგებინებს, რომ აქ გამოყენებულ უნდა იქნეს ტელეოლოგიური პრინციპი. ასეთი პროდუქტი ბუნებისა, მისი აზრით, არის ორგანიზმი; აქ, ორგანიზმში ყველაფერი მიმდინარეობს კაუზალურად, მაგრამ ამავე დროს თითქოს ტელეოლოგიურადაც.

ტელეოლოგიური პრინციპი, რომლის გამოყენების აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობს კანტი, მისთვის მხოლოდ რეგულატორული და არა კონსტიტუციური პრინციპია. კანტის აზრს არასწორად გადმოვცემდით, თუ მის თვალსაზრისს ისე წარმოვადგენდით, თითქოს იგი აღიარებდეს ბუნებაში რაიმე მიზნების ობიექტურ არსებობას. სინამდვილეში კანტისთვის მიზნის ადგილსამყოფელი მოაზროვნე არსებასთანაა, რაც შეეხება აზრს ბუნების მიზანთა შესახებ, მას ერთგვარი პირობითი, ევრისტიკული მნიშვნელობა აქვს. კანტის აზრით, ჩვენს ადამიანურ განსჯას აქვს შესაძლებლობა ბუნების ზოგიერთი პროდუქტი მოიაზროს ისე, თითქოს იგი იყოს ბუნების მიზანი. ასეთ შესაძლებლობას, მისი აზრით, იძლევა მარეფლექსირებელი მსჯელობის უნარი.

კანტი პირველად ფილოსოფიის ისტორიაში აყალიბებს ე. წ. გარეგანი და შინაგანი მიზნის ცნებებს. არისტოტელეს მიერ გამოყენებული შინაგანი მიზნის ცნება კანტის სისტემატური კვლევის საგნად იქცევა. შინაგანი მიზანი ამოსავალ ცნებად იქცევა კანტის მომდევნო გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენლებთან (ფიხტე, შელინგი, ჰეგელი).

ბუნებისმეცნიერების თანდათანობითი პროგრესი სულ უფრო და უფრო ზღუდავდა ტელეოლოგიური აზროვნების წესის გამოყენების სფეროს. ძირითად სფეროს, სადაც იგი ჯერ კიდევ პოულობდა თავშესაფარს, წარმოადგენდა ორგანული ბუნება, აქ დადასტურებული მიზანშეწონილობის ფაქტები. მხოლოდ ევოლუციის თეორიამ, თეორიამ სახეთა განვითარებისა და ბუნებრივი შერჩევის შესახებ გამოდევნა იდეალისტური ტელეოლოგია აღნიშნული სფეროდანაც.

დარვინის თეორიის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მომდევნო პერიოდში აღმოცენებული ვიტალისტურ-ტელეოლოგიური თეორიები მას გვერდს ვერ უვლიდნენ, ცდილობდნენ ანგარიში გაესწორებინათ მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აზროვნების ტელეოლოგიური წესი სულ უფრო და უფრო ახალ არგუმენტებს ეძებს თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. ისეთი თანამედროვე ბიოლოგიური მიმდინარეობანი, როგორიცაა ჰოლიზმი, ორგანიციზმი და სხვ. ტელეოლოგიურ მეთოდს გადამწყვეტ და პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ. აქედან გამომდინარეობს მატერიალისტური ფილოსოფიის წინაშე მდგომი ამოცანაც: განუწყვეტლივ სრულყოფდეს თავის იარაღს.

დიალექტიკური მატერიალიზმი ტელეოლოგიას პრინციპულად უპირისპირდება და უარყოფს. იგი უარყოფს ბუნებაში რაიმე ობიექტური მიზნების არსებობას. იგი უარყოფს სამყაროს მიღმა არსებული შემოქმედის არსებობას. მისთვის ყოველივე, რაც ბუნებაში ხდება, ახსნილი და გაგებული უნდა იქნეს ბუნებრივად მოქმედი მიზეზების საფუძველზე. მისთვის უცხოა დაპირისპირება ე. წ. მოქმედი და საბოლოო მიზეზებისა, რამდენადაც მისთვის მიზეზი, რომელიც არ მოქმედებს, სულაც არ არის მიზეზი (ენგელსი).

დიალექტიკური მატერიალიზმი სამყაროს მოვლენათა ერთიანობის საფუძველს მათს მატერიალობაში ხედავს. იგი აღიარებს, რომ საფუძველს ყველაფრისას, რაც ხდება, შეადგენს მოძრავი მატერია, რომელიც თავისი თვითმოძრაობის მიზეზს თავის შიგნით შეიცავს. სამყაროს კანონზომიერი, მოწესრიგებული ხასიათი, ამ შეხედულების თანახმად, არავის მიზანსა და მოღვაწეობის შედეგს არ წარმოადგენს. ყოველივე უნდა აიხსნას ბუნებრივი მიზეზებით, ნივთთა ურთიერთმოქმედებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ნივთთა ჭეშმარიტ საბოლოო მიზეზს, მის უკან აღარაფერია შესამეცნებელი.

ორგანული ბუნების მიზანშეწონილობასაც იგი ასეთი ბუნებრივი მიზეზებიდან გამომდინარე ხსნის. სიცოცხლის ფორმების მიზანშეწონილობას იგი რაიმე ზებუნებრივ ფაქტორებს კი არ უკავშირებს, რომლებიც მიზნობრივი პრინციპის მიხედვით მოქმედებენ, არამედ გარკვეულ მატერიალურ ფაქტორებს.

დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ადამიანი როდი წარმოადგენს წმინდა ფიზიკურ სისტემას, როგორც ამას აღიარებდა მექანიცისტური მატერიალიზმი, არამედ იგი წარმოდგენილია როგორც მთლიანობა, რომლის დამახასიათებელ თავისებურებასაც მეორეული, დისტანტური ცნობიერების არსებობა, ხოლო ერთ-ერთ შემადგენელ მხარეს — ასეთნაირი ცნობიერი საზრისის შესატყვისად ორგანიზებული ფიზიკური შეადგენს.

აქ აღიარებულია, რომ ადამიანი აქტიურ ურთიერთობაში იმყოფება გარემოსთან, რომ ადამიანი თავისი აქტიური მოღვაწეობის გზით ახდენს გარემო სინამდვილის შეცვლას თავისი მიზნების შესატყვისად. „... სამყარო, — წერს ლენინი, — არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი თავისი მოქმედებით გადაწყვეტს შეცვალოს იგი“... „მოქმედება ადამიანისა, რომელმაც შექმნა თავისთვის სამყაროს ობიექტური სურათი, ცვლის გარესინამდვილეს, სპობს მის გარკვეულობას“[7]. ამგვარი ზემოქმედება კი შესაძლებელია იმიტომ, რომ ადამიანს გააჩნია გარკვეული ფიზიკური მხარე, რომელიც მისი ცნობიერი მიზნის შესატყვისად არის ორგანიზებული.

კ ი ბ ე რ ნ ე ტ ი კ ა შ ი ლაპარაკია მანქანებისა და ავტომატების მიზნების შესახებ, მათი ქცევის მიზანშეწონილების შესახებ. მიზანი აქ გაგებულია ფუნქციონალური თვალსაზრისით.

იძლევა რა ქცევის ფორმათა კლასიფიკაციას, ნ. ვინერი ლაპარაკობს ისეთი ქცევების შესახებ, რომლებიც მიმართულია რაიმე მიზნისაკენ; მიზანში

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგულისხმება მდგომარეობა, რომლისკენაც ესწრაფვის სისტემა. მიზნისაკენ მიმართულება ვინერისთვის არ არის ისეთი საყოველთაო ნიშანი, რომელიც ყოველგვარ მანქანას შეიძლება მიეწეროს. იგი მასში ისეთ შინაარსს გულისხმობს, რომელიც მდგომარეობს სწორედ მიზნისაკენ, როგორც სპეციფიკური მდგომარეობისაკენ, მიმართულებაში. ისეთი სისტემა, როგორიცაა, ვთქვათ, საათი, ვინერის აზრით, თუმცა გარკვეული ფუნქციობის წესით — სვლის რეგულარულობით — ხასიათდება, რაც მას ადამიანებისათვის გამოყენებადად, დანიშნულების მქონედ ხდის, არ შეიძლება დახასიათდეს როგორც მიზნისაკენ მიმართული, რამდენადაც არ არსებობს ისეთი სპეციფიკური საბოლოო მდგომარეობა, რომლისკენაც ის მიისწრაფვოდეს და რომლის მიღწევის შემდეგ იგი შეწყვეტდეს თავის მოქმედებას ამ მიმართულებით. მიზნისაკენ მიმართულება სისტემის მოქმედებას შინაგანად უნდა ახასიათებდეს — მიზანი სისტემის იმანენტური მოცემულობა უნდა იყოს და არა გარედან შეტანილი. ზოგიერთი მანქანა სწორედ ასეთნაირად არის მოწყობილი. მომავალი მოქმედების არც ექსტრაპოლაციის შესაძლებლობა უნდა იყოს მანქანებისათვის უცხო. რამდენადაც აღნიშნული მანქანები გარკვეული სპეციფიკური საბოლოო მდგომარეობისაკენ მიმართული მოქმედების უნარიანობით ხასიათდებიან, ვინერი მათ „მიზანსწრაფულის“ სახელით აღნიშნავს[8].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მანქანის მიზნებზე, მიზანშეწონილობასა და მიზანსწრაფულობაზე, მხოლოდ გადატანით თუ შეიძლება ლაპარაკი, მხოლოდ იმ აზრით, თუ აქ, მანქანასთან, ჩვენი ცნობიერება იქნება ნაგულისხმები. თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ადამიანს და მის ცნობიერ, ფსიქიკურ შინაარსებს, მაშინ უფლება არა გვაქვს ვიმსჯელოთ მანქანების ასეთსავე მომენტებზე. სიტყვები „აღქმა“, „მეხსიერება“, „აზროვნება“, „მიზანი“, „გადაწყვეტილების მიღება“ და სხვ. მანქანებთან მიმართებაში ბრჭყალებში ჩასმული უნდა ვიხმაროთ და ეს იმდენად, რამდენადაც ამ სიტყვებში ნაგულისხმები ფსიქოლოგიური მომენტები მანქანისათვის უცხოა, გარედან შეტანილია, მიაზრებულია. მანქანაში ამ სიტყვათა ასეთი შეზღუდული მნიშვნელობით ხმარება იმით არის გამართლებული, რომ მანქანებში მიმდინარე ობიექტური ფიზიკური პროცესები წარმოდგენილ ფსიქიკურ შინაარსთა კოდირების საშუალებანია. უკუკავშირის ობიექტური მექანიზმები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ კიბერნეტიკულ სისტემებში, ადამიანური ცნობიერი მიზნების ფსიქოლოგიური მომენტების გათვალისწინების შემდეგ შეიძლება „მიზნის“ და მისი რეალიზაციის პირობად ვიგულისხმოთ, ხოლო ამ ფსიქოლოგიური შინაარსის ჩამოშორების შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მეტ-ნაკლები სირთულის ფიზიკურ პროცესებად წარმოგვიდგებიან.

---

[8] „ტერმინი „მიზანსწრაფულობა“ აღნიშნავს ვინერი, — აქ იმას ნიშნავს, რომ მოქმედება თუ ქცევა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც მიმართული მიღწევისაკენ რომელიღაც მიზნისა ანუ იმ რომელიმე საბოლოო მდგომარეობისა, რომლის დროსაც ობიექტი ხვდება განსაკუთრებულ კავშირში რომელიმე სხვა ობიექტთან თუ მოვლენასთან დროსა და სივრცეში“ (Н. Винер, Кибернетика, изд--во „Советское радио“, М., 1968, გვ. 286).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ჭავჭანიძემ)

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ თევზაძე

# დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპი ჰეგელის ფილოსოფიაში

## შესავალი

ჰეგელმა, ისევე როგორც პლატონმა, არისტოტელემ და კანტმა, დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ფილოსოფიური აზრის და საერთოდ კულტურის განვითარებაზე.

ჰეგელის ნააზრევი 25 წლის მანძილზე (1815—1840) თითქმის ერთპიროვნულად იყო გაბატონებული ევროპულ ფილოსოფიაში. ამ პერიოდს მოყვა საყოველთაო ამბოხება ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგ. თავი წამოყვეს, აგრეთვე, ჰეგელის გავლენით დავიწყებას მიცემულმა მოაზროვნეებმა (მაგ. შოპენჰაუერმა). ყველა, მატერიალისტი იყო თუ იდეალისტი, ერთხმად საყვედურობდა ჰეგელს იმას რომ მის სისტემაში ასახვა ვერ ნახა ვერც რეალურმა სინამდვილემ და ვერც რეალურმა, კონკრეტულმა ადამიანმა.

თითქმის ყოველი ფილოსოფოსი, სანამ საკუთარ შეხედულებას ჩამოაყალიბებდა, საჭიროდ თვლიდა ანგარიში გაესწორებინა ჰეგელთან. ა. შოპენჰაუერი (1788—1860) ჰეგელს პირდაპირ შარლატანსა და მატყუარას უწოდებდა, ექსისტენციალიზმის მამამთავარი ს. კირკეგორი (1813—1855) თვლიდა, რომ ჰეგელის ლოგიკა გენიალურია, როგორც აზრის ვარჯიშის ნაყოფი, მაგრამ სინამდვილესთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. ლ. ფოიერბახი (1804—1874) ჰეგელის ფილოსოფიაში მხოლოდ რელიგიის გამართლების ცდას ხედავდა. ასეთი შეფასებები გრძელდებოდა მთელი XIX საუკუნე.

მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა შესძლეს ჰეგელის კრიტიკის დროს არ უარეყოთ მისი ფილოსოფიის ღირებული მომენტები. მარქსიზმის დამსახურება კულტურის წინაშე ისიცაა, რომ გამოაცხადა რა ჰეგელის ფილოსოფია თავის ერთ-ერთ თეორიულ წყაროდ, არავის აძლევდა მისი დავიწყების საშუალებას. ამიტომ იყო რომ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ჰეგელის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის ყოველთვის მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესავალი იყო.

XIX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფოსები იმას ამტკიცებდნენ, რომ ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკა იგივეა, რომ მარქსმა მხოლოდ საზოგადოებას მიუყენა ჰეგელის მიერ დადგენილი კანონები, ხოლო ჰეგელის დიალექტიკა თავისთავად უაზრობაა, აზროვნების ელემენტარულ წესებს ეწინააღმდეგება და მასზე არავითარი ღირებული მოძღვრების დაფუძნება არ შეიძლება.

ჰეგელმა პირველმა მოგვცა დიალექტიკის ძირითადი კანონების ფორმულირება. ესენია: I. რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი, II. უარყოფის უარყოფის კანონი, III. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი. ეს კანონები მიიღო მარქსიზმმა, თუმცა შინაარსი არსებითად შეუცვალა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად აკრიტიკებდა ჰეგელის ფილოსოფიას, მისი უმთავრესი ნაშრომის „ლოგიკის“ შესახებ წერდა: „ჰეგელის ამ ყველაზე იდეალისტურ ნაშრომში, ყველაზე ნაკლებია იდეალიზმი და ყველაზე მეტია მატერიალიზმი. „წინააღმდეგობრივია“, მაგრამ ფაქტია!“ (ხაზგასმა ყველგან ლენინისაა). ლენინი ხშირად აღნიშნავდა რომ იგი მატერიალისტურად კითხულობს ჰეგელს.

საბჭოთა ფილოსოფიისათვის ჰეგელის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოება რომ 1923 წ. ლენინი ჟურნალ „Под знаменем Марксизма“-ს თანამშრომლებს წერდა: თქვენ ერთგვარ „ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტი მეგობრების საზოგადოებას“ უნდა წარმოადგენდეთო.

ჰეგელის იდეალიზმის კრიტიკასთან ერთად მისი მოძღვრების რაციონალური მომენტების დაცვაა მოცემული ენგელსის შრომებში: „ანტი-დიურინგი“ და „ლუდვიგ ფოიერბახი“, ლენინის ნაშრომში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და სხვ.

საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება ექცევა ჰეგელის ფილოსოფიის მეცნიერულ შესწავლას. რუსულ ენაზე გამოცემულია ჰეგელის თითქმის ყველა ნაშრომი. მონოგრაფიებში, წერილებსა და სტატიებში სისტემატურად განიხილება ჰეგელის ფილოსოფია. ჰეგელს სწავლობს ყველა, ვისაც მარქსისტული ფილოსოფიის შესწავლა სურს, ამიტომ შეიძლება ითქვას ასე მასობრივად ჰეგელი არსად შეისწავლება.

საფიქრებელია რომ ჰეგელის მოძღვრებას იცნობდა ჰეგელის უმცროსი თანამედროვე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ს. დოდაშვილი (1805—1836). იგივე ითქმის რუსი რევოლუციური დემოკრატების გავლენის ქვეშ მყოფ ქართველ ინტელიგენციაზე. საქართველოში ჰეგელის სისტემატური შესწავლა იწყება მარქსიზმის გავრცელებასთან ერთად. მარქსიზმთან ერთად ქართველი მარქსისტები ჰეგელსაც იცავდნენ ფალსიფიკატორებისაგან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკული ათვისების საქმეში. 1928 წ. დაიწერა პროფ. გ. გოგიბერიძის შრომა „მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემები მარქსამდე“, 1936 წ. აკად. კ. ბაქრაძის მონოგრაფია — „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (ეს შრომა რუსულად და რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნა), 1959 წ. პროფ. ს. წერეთლის მონოგრაფია — „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“, 1967 წ. მ. ჭელიძის მიერ დაცული იქნა სადოქტორო დისერტაცია — „ჰეგელის დიალექტიკის ძირითადი თავისებურებანი ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში (ცალკე წიგნად გამოიცა 1966 წ.), ქართულ ენაზე თარგმნილია ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“ (1962 წ.) შ. პაპუაშვილის მიერ და სხვ.

## საკითხის დაყენება

ყოველი დიდი მოაზროვნის შეფასება ორმხრივ უნდა მოხდეს, ორ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი იმისთვის, რომ მოაზროვნის ადგილი განისაზღვროს აზროვნების ისტორიაში. საჭიროა დადგინდეს — I. რა გააკეთა მან მემკვიდრეობით მიღებულ პრობლემათა გადასაჭრელად და II. შექმნა თუ არა ისეთი რამ რაც მომავალს ემსახურება, რაც აუცილებელი იყო აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის. რამდენადაც საქმე ჰეგელს შეეხება, ორივე ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული. მან იდეალიზმის მთელ რიგ პრობლემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შესახებ საბოლოო სიტყვა თქვა. მეორე მხრივ, მისი დიალექტიკური მეთოდი თვისობრივად განსხვავებული ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთი აუცილებელი წანამძღვარი გახდა.

რომ ეს მართლაც ასეა, ამის ჩვენება ყველაზე მოსახერხებელია დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის ჰეგელისეული გაგების ანალიზით.

დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც მოძრაობისა და განვითარების პრინციპი დიალექტიკის არსებითი პრინციპია. ყველგან და ყოველთვის სადაც კი არის დიალექტიკის რაიმენაირი გაგება უპირველეს ყოვლისა ეს პრინციპი იგულისხმება. ამ პრინციპს გულისხმობენ მაშინ როცა დიალექტიკა მოჩვენებად ანდა აზროვნების მცდარ გზად მიაჩნიათ (ელეატები, კანტი), მაშინაც, როცა მას მხოლოდ ჭეშმარიტების მაძიებელი აზროვნების და არა სინამდვილის მამოძრავებელ კანონად მიიჩნევენ (პლატონი), აგრეთვე მაშინაც როცა დიალექტიკა აღიარებულია ბუნების საზოგადოებისა და აზროვნების შინაგან კანონზომიერების გამომხატველად.

არ არსებობს დიალექტიკის სხვა რაიმე კანონი ან ნიშანი, რომელთანაც რაღაცნაირ შეგუებას ვერ შესძლებდნენ დიალექტიკის საპირისპირო მეთოდები. რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი, ასევე თავად უარყოფის უარყოფის კანონიც საკუთრივ დიალექტიკურ შინაარსს იღებენ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის საფუძველზე, მასზე დამყარების წყალობით. ამიტომ იყო რომ ვ. ი. ლენინი ამ კანონს „დიალექტიკის ბირთვს" უწოდებდა და ზოგჯერ უიგივებდა კიდეც დიალექტიკურ მეთოდს.

ჰეგელმა მარქსამდელ ფილოსოფიაში უდიდესი დიალექტიკოსის სახელი დაისაკუთრა. მანამ დიალექტიკურ მეთოდს არასდროს ჰყოლია ასე თავდადებული დამცველი. აქ მიიღო დიალექტიკამ ყველაზე ღრმა დამუშავება. ყველაზე ფართო გაქანება. ჰეგელს ეს დამსახურება ეკუთვნის არა იმიტომ რომ დიალექტიკა სუბიექტური აზროვნების სფეროდან მთელს სინამდვილეზე გაავრცელა (ეს უპირველეს ყოვლისა ჰერაკლიტეს, ხოლო შემდეგ პლოტინის და პროკლეს დამსახურებაა), არც იმიტომ, რომ კანტის სინთეზის პრობლემაში დაპირისპირებულთა აუცილებელი ერთიანობის პრობლემა დაინახა. (აქ მას ისეთი გიგანტები ჰყავდა წინამორბედად, როგორიც იყვნენ ფიხტე და შელინგი) მეტიც შეიძლება ითქვას, ჰეგელს არც კატეგორიათა დიალექტიკური სისტემის შექმნაში ეკუთვნის პირველობა (კანტის კატეგორიათა ცხრილი ფიხტემ და შელინგმა გაშალეს კატეგორიათა ყოვლისმომცველ სისტემად). ისიც უნდა მოვიგონოთ რომ ამ სისტემებზე ნეოპლატონიზმის გავლენის შესახებ ბევრი და სამართლიანადაც თქმულა.

ჰეგელის სიდიადე ისაა, რომ იგი ცდილობდა ყოველივე ზემოთ აღნიშნული გაეკეთებინა რაციონალიზმის ნიადაგზე. თუ გერმანულ იდეალიზმის ტერმინოლოგიას ვიხმართ ნათქვამი ასეთ სახეს მიიღებს: კანტის სამი დიდი მემკვიდრისაგან ი. გ. ფიხტე იზიარებდა ადამიანის უნარებში პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გონების პრიმატის კანტისეულ პრინციპს, ფ. ვ. შელინგი ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი უნარის პრიმატს იცავდა, ხოლო ჰეგელი თ ე ო რ ი უ ლ ი გონების პრიმატიდან, მეტიც, მისი აბსოლუტურობიდან გამოვიდა. ამ საფუძველზე ჩამოაყალიბა მან დიალექტიკა, როგორც უნივერსალური მეთოდი, და მოგვცა მისი ძირითადი კანონების გენიალური ფორმულირება, ისე რომ მარქსი ჰეგელის დიალექტიკას „ყოველი დიალექტიკის ძირითად ფორმას უწოდებდა"[1]. თეორიულის ყოვლის-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, წერილი კუგელმანს 1868, 6. მარტი.

მომცველობიდან გამოსული ჰეგელი მოითხოვდა არსებულად ცნობილიყო მხოლოდდამხოლოდ ის რისი დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა ც შეიძლებოდა, ე. ი. რაც რაღაცნაირ გამართლებას ნახავდა გონების წინაშე.

კუზანელიდან დაწყებული, ჯ. ბრუნოს და დეკარტეს გავლით, სამყაროს ამგვარი სურათი ახალი ფილოსოფიის საუკეთესო წარმომადგენელთა იდეალი იყო. მაგრამ ვერავინ შესძლო იგი ისე აეგო რომ რაიმე არალოგიკური ინსტანციისათვის (ღმერთი ან მისტიკური ხედვა ან სხვა) შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ არ მიემართა. ჰეგელი შეურიგებელია ამ მხრივ. იგი რწმენასაც კი ცოდნის, აზროვნების, შემეცნების ერთ-ერთ (გაუცნობიერებელ, დაბალ) სახედ აცხადებს[2]. ლოგიკურის გავლილ საფეხურებად მიიჩნევს რელიგიას და ხელოვნებასაც. ასე აღადგენს აზრის ანუ არსის თვითმართველობას და შედეგად იღებს ისეთ პანლოგიზმს, ისეთ მონიზმს, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას.

ამასთანაა დაკავშირებული ჰეგელის ფილოსოფიის როგორც სიდიადე, ისე მისი არსებითი ნაკლოვანებანი. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი იყო არა სპეციფიკურად ჰეგელის სისტემის, არამედ იდეალიზმის, როგორც ასეთის, ნაკლოვანებანი. ეს იყო იმის ნათელყოფა, რომ იდეალიზმი, თვით განვითარებული დიალექტიკური მეთოდის დახმარებით, ვერასგზით ვერ შესძლებს აზრის თვითმყოფობა დაადგინოს და მასში დააფუძნოს არსი. ჰეგელის შემდგომ ბურჟუაზიულ ფილოსოფოსებს ეგონათ რომ ეს ნაკლი ჰეგელის სისტემისათვის სპეციფიკური ნაკლოვანება იყო და კანტთან დაბრუნებაში ეძებდნენ შველას. მათი აზრით, კანტი სათანადოდ ვერ განავითარა ჰეგელმა. დღეს ამ, ანტიჰეგელიანურ მიმართულებათა ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის სკოლები, რომლებიც კანტს დაუბრუნდნენ და კვლავ ჰეგელთან არ მივიდნენ სკეპტიციზმში და ირაციონალიზმში ამთავრებდნენ თავიანთ გზას. ამიტომ ვამბობთ, რომ ჰეგელის ფილოსოფიაში პრინციპულად დასრულდა იდეალისტური ფილოსოფიის ზეაღმავალი ხაზი. აზრისა და საგნის იგივეობის პარმენიდესეული პრინციპი, რომელიც ყოველნაირი იდეალიზმის საბოლოო საფუძველია შესაძლებელ საუკეთესო დასაბუთებას ჰეგელთან ნახულობს.

ჰეგელმა იდეალისტური აზროვნების მწვერვალს მიაღწია დიალექტიკური მეთოდის დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ იდეალისტურმა სისტემამ თავის მხრივ განსაზღვრა ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის ნაკლოვანებანი, მისტიფიცირებული ფორმა მისცა მას და საბოლოო ანგარიშში თავის თავის უარყოფამდე მიიყვანა, მაინც ჰეგელის მოძღვრებაში მისი სისტემისა და მისი დიალექტიკური მეთოდის ბედი და ღირებულება პრინციპულად განსხვავდება ერთიმეორისაგან. თუ სისტემა განვითარების აღმავალი ხაზის დასასრულს წარმოადგენდა, მეთოდი პირიქით. იქცა ახალი, თვისობრივად განსხვავებული მოძღვრების წარმოშობისა და განვითარების წყაროდ (მარქსისტული დიალექტიკის წყაროს სახით).

## ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ

ახალ დროში ევროპული ფილოსოფიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო მეთოდის საკითხმა. იგი პირველხარისხოვანი საკითხი იყო, როგორც კამპანელისათვის (1558—1639) და გასენდისათვის (1592—1655), ისე ბეკონისა (1561—1626) და დეკარტესათვის (1596—1650).

---

[2] Г е г е л ь, Соч. т. XI. стр. 412, М-Л., 1935.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეკონი ამტკიცებდა, რომ კვლევის საყოველთაო მეთოდად არ გამოდგება ტრადიციული დედუქციური მეთოდები, და წამოაყენა ე. წ. მეცნიერული ინდუქციის მეთოდი. ბეკონმა ის კი დაასაბუთა, რომ დედუქცია კვლევის საყოველთაო მეთოდი ვერ იქნება, მაგრამ ინდუქციას ვერ დაუმკვიდრა საძიებელი ადგილი. საჭირო იყო რაღაც მესამე გზის ძიება. ეს იყო დეკარტეს გზა, რომელმაც საწყისი დებულებისათვის დაადგინა არა ინდუქციით, ან დედუქციით მისი დასაბუთება, არამედ მესამე — *სხვაგვარად მოაზრების შეუძლებლობა*. რადგან დასაბუთების მთელი სფერო ტრადიციული მეთოდების კუთვნილებად ითვლებოდა, დეკარტე ამ ახალი სახის დამარწმუნებლობას ინტუიციას უწოდებდა, მაგრამ მასში არაფერია მისტიკური. აქ ის იგულისხმება, რომ არსებობს დებულება, რომლის საფუძველი მასშივე დაინახება, მოიაზრება, და ამიტომ მისი უარყოფა შეუძლებელია[3]. ამგვარი იყო დეკარტეს მეთოდოლოგიური სკეპსისის შედეგად მიღებული დებულება: cogito ergo sum.

ჰეგელი წერდა, რომ დეკარტესთან პირველად თავისუფლდება ფილოსოფია და საკუთარ ნიადაგზე დგება. ეს ნიადაგია თვითცნობიერება. მაგრამ თუ დეკარტემ cogito-დან, როგორც თვითცნობიერებიდან ვერაფრის გამოყვანა ვერ შესძლო, ჰეგელი, ფიხტეს კვალად, ეცდება მთელი სისტემა „გამოიყვანოს" მისგან და ამდენად ფილოსოფიის მთელი შინაარსი დაამყაროს სისტემურობაზე, შინაგან აუცილებელ კავშირზე.

ჰეგელის მეთოდის გასაგებად საჭიროა კიდევ მეორე წანამძღვარი, ესაა მაიმონისა (1757—1860) და ფიხტეს *ცნობიერების დებულება*, რომლის აზრი იმაშია რომ *ცნობიერებას, აზროვნებას არ შეუძლია თავის თავის გარეთ გავიდეს*, რომ ყველაფერი, რასაც ის დაუშვებს, როგორც არსებულს, საბოლოო ანგარიშში (შემეცნების თვალსაზრისით მაინც) ემყარება მხოლოდ ამ, ე. ი. აზროვნებისავე დაშვებას, ესაა (ეს აზრით დაშვება, და ის არგუმენტები, რომელიც ცნობიერებას გააჩნია) უმაღლესი ინსტანცია საგნისთვის. ეს ეხება ნებისმიერი ტრანსცენდენტურის დაშვებას. ამის საფუძველზე იქნა მოხსნილი კანტის ნივთი თავისთავად. ამდენად, ჰეგელის წინაშე დგება ამოცანა ცნობიერების მთელი შინაარსი, როგორც რეალური, ისე მოჩვენებითი, ახსნას შემეცნებელი ცნობიერების შინაგანი კანონზომიერების საფუძველზე, ახსნა უნდა მოიცავდეს ყველაფერს თავად ამ კანონების ჩათვლით. აუხსნელი, დაუსაბუთებელი არაფერი არ უნდა დარჩეს. თუ რაიმე აუხსნელად იქნა დაშვებული, ან გამოყენებული, ამით, ჰეგელის აზრით, ფილოსოფია კარგავს დამოუკიდებლობას, ის დამოკიდებული ხდება ცოდნის იმ დარგზე, საიდანაც აიღო მან (დაუმუშავებლად) შესაბამისი შინაარსი.

ამიტომ, ჰეგელი გამოსავლად იღებს ცნობიერებას, რომელსაც არავითარი კონკრეტული შინაარსი არ გააჩნია. როგორც ასეთის, მისი უეჭველობა გარანტირებულია დეკარტეს cogito-ს დებულებით. ამ, ყოველგვარ კონკრეტულ განსაზღვრულობას მოკლებული ცნობიერებიდან, (რომელსაც ერთადერთი განსაზღვრა გააჩნია, კერძოდ ის, რომ იგი *არის*) იწყებს ჰეგელის კატეგორიათა სისტემის აგებას[4].

---

[3] ისევე როგორც არისტოტელესთან, რომელიც ამ მესამე მეთოდის, ინტუიციის გზით მიღებულად თვლიდა მაგ., წინააღმდეგობის შეუძლებლის კანონს.

[4] გარკვეული აზრით, მისი დასაწყისი უფრო ლოგიკურია ვიდრე დეკარტეს, ან ფიხტეს, რადგან „მე" ცნობიერების მაღალ დონეს გულისხმობს და მისით დაწყება გარკვეული მოცემულობით დაწყებას ნიშნავს. „მე"-დან კატეგორიათა სისტემის დაწყება მართლაც გავს ემანაციას. ჰეგელთან, მე მხოლოდ აზრის განვითარების მაღალ საფეხურზე „შეიქმნება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაპირისპირებულთა ერთიანობის ადგილი ჰეგელის ფილოსოფიაში

ჰეგელი ფიქრობს, რომ ყოველ ცნებაში, ისევე როგორც ყოველ არსებულში მოცემულია საპირისპირო მხარეები. ყველაფერი გულისხმობს თავის საპირისპიროს, როგორც მაარსებელს და ამით თავის სასრულობაზე მიუთითებს. დაწყებული არსის ცნებიდან, რომელიც თავის მაარსებლად არარას ცნებაზე მიუთითებს ე. ი. არარაში[5] გადადის, აზროვნება ცნობიერების ამ შინაგანი თვითგაორების დინებით გატაცებული ვერავითარ კონკრეტულ განსაზღვრებაზე ვერ ჩერდება აბსოლუტურამდე, ე. ი. კატეგორიებს სრულ, ამომწურავ სისტემამდე. მხოლოდ ეს მთელი, რომელსაც თავის თავში აქვს თავისი გამართლების საფუძველი (მთელი დიალექტიკურ-აუცილებელი განვითარება არსი და არარადან აბსოლუტურ იდეამდე) იმსახურებს ჭეშმარიტების სახელს.

ეს შინაგანი განვითარება ხდება დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის საფუძველზე. ეს კანონი გარედან კი არ შემოიტანება ცნობიერებაში, არამედ ყოველ ცნებაში, ყოველ მსჯელობაში აუცილებელ სტრუქტურად ამოიზრდება და წარმოადგენს შინაგანი განვითარების წყაროს. ჰეგელისათვის ყოველ არსებულში, ყოველ მოაზრებადში მოცემული წინააღმდეგობა „არის წყარო ყოველი მოძრაობის და სიცოცხლის". ესაა თავად დიალექტიკური მეთოდი მის არსებაში მოცემული. დიალექტიკის ყველა სხვა კანონი და მიმართება ამ კანონის საფუძველზე არსებობს.

რომ არ იყოს შინაგანი დაპირისპირება, როგორც მოძრაობის წყარო, შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი, როგორც რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლის კანონზომიერ და შინაგანად აუცილებელ ხასიათზე, ისე თავად უარყოფის უარყოფის კანონის მნიშვნელობაზე. შეუძლებელი იქნებოდა, რადგან უარყოფის მომენტი ჰეგელის აზრით, სხვა არაფერია თუ არა „დიალექტიკური" ვიწრო აზრით, ე. ი. დაპირისპირებულთა მიერ ერთიმეორის უარყოფა[6].

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომლის მიხედვითაც რაკი ჰეგელმა თავის „ლოგიკის" პირველ ნაწილში რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი ჩამოაყალიბა, II ნაწილში კი, დაპირისპირებულთა ერთიანობისა, თითქოს ეს კანონი არ მოქმედებდეს სხვა სფეროებში. სადაც ეს კანონი არ მოქმედებს იქ ჰეგელისათვის არცაა დიალექტიკა, ე. ი. მოქმედებაც არაა. პირველივე კატეგორია „არსი" (sein), ან, უკეთ, აზროვნებაა, მხოლოდ არსებობის ამარა დარჩენილი, თავის თავში წინააღმდეგობას აღმოაჩენს, იმ აზრით, რომ ყოველგვარ განსაზღვრულობას მოკლებული არსი, სინამდვილეში არარა უფროა ვიდრე არსი. ამდენად, არსის კატეგორიიდან აუცილებელი ხდება არარაში გადასვლა და პირიქით. მათი ამგვარი აუცილებელი ურთიერთკავშირის გაცნობიერება ქმნის ახალ კატეგორიას — ქმნადობას (Werden), რომელსაც ჰეგელი პირველ კონკრეტულ ცნებას უწოდებს; და ეს პირველივე კონკრეტული ცნება არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, ე. ი. არსისა და არარას ერთიანობა. იგივე ითქმის ზომაზე და ა. შ. „ყოველი განსაზღვრულობა, ყოველი კონკრეტული, ყოვე-

---

[5] არარსისათვის (Nichtsein) ჰეგელს ცალკე ცნება აქვს არსების ლოგიკაში იხ. Logik, II, S. 41. Lasson, Leipzig, 1923.

[6] ნეგატურობას ჰეგელი არსებითად დიალექტიკურ მომენტს უწოდებს. იხ. Logik, II, S. 498.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცნება არსებითად არის ერთიანობა განსხვავებული და განსხვავებადი მომენტების“[7].

სწორედ შინაგანი გაორების წყალობით აღწევს აზრი, არსი და არარსიდან, პირველ დასრულებულ გარკვეულობას თვისობრიობის (თავისთავის არსი) სახით. იქმნება შესაძლებლობა მოხდეს თვისობრიობის რაოდენობაში გადასვლა. აქ რომ დაპირისპირებულთა კანონი არ მოქმედებდეს, ე. ი. აზროვნება თავისთავს არ იქცევდეს ისეთ თვისობრიობად, რომლის გამრავლება შეიძლება, მაშინ გვექნებოდა კატეგორიათა მიმდევრობის კანტიანური ცხრილი (რაოდენობა თვისობრიობამდე იქნებოდა მოცემული). „წინააღმდეგობა, წერს ჰეგელი — აბსოლუტური მოქმედება და აბსოლუტური საფუძველია“[8].

რამდენადაც ჰეგელისათვის ეს განვითარება მიმდინარეობს აზროვნების შინაგანი ძალებით, რამდენადაც აზრს აქ არ უნდა სჭირდებოდეს მიმართოს რაიმეს, საკუთარ თავს გარდა (ე. ი. აზროვნება უსასრულოა, რადგან არ იზღუდება გარეშე არსით), ამდენად ჰეგელი თავის ფილოსოფიას ხშირად სპეკულატურს ანუ გონებაჭვრეტითს უწოდებს. მასთან ცნებები: წინააღმდეგობის მეთოდი, დიალექტიკური მეთოდი, განვითარების მეთოდი იგივეა რაც გონებაჭვრეტითი მეთოდი.

რაც შეეხება დაპირისპირებულთა ერთიანობისა და უარყოფის უარყოფის კანონთა კავშირს, უნდა ითქვას, რომ გაუგებრობის საბაბს წარმოადგენს ჰეგელის არაერთი მითითება უარყოფის უარყოფის კანონის უნივერსალურ ხასიათზე. მაგრამ ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, ან დაპირისპირებულთა ერთიანობის უნივერსალური კანონის გამოვლენის ფორმად ყოფნა, ანდა, უარყოფის უარყოფის კანონს თავად დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის ფუნქციები მიეწერება.

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, და ასევე, ყოველი კონკრეტული, ჰეგელის აზრით, თავისში შეიცავს უარყოფის უარყოფის ფორმას. აქ საპირისპირონი ერთმანეთის უარყოფას წარმოადგენენ, ხოლო მათი ერთიანობა, ე. ი. საგანი (ანუ ცნება) უარყოფის უარყოფაა იმდენად, რამდენადაც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, ე. ი. საკუთარი ასპექტის (როგორც იგივეობრიობასა და დაპირისპირებულობას შორის დაპირისპირებულობის, ანუ I უარყოფის) უარყოფას წარმოადგენს. იგი, როგორც ერთიანი გარკვეულობა, თავის მხრივ, სხვა გარკვეულობას უპირისპირდება, როგორც ახალი დაპირისპირების ერთ-ერთი მხარე და ა. შ.

ჰეგელთან ცნება „დიალექტიკის“ ორგვარ გაგებას ვხვდებით: I, ვიწრო გაგება — დიალექტიკური, როგორც თავისთავის მოხსნის მომენტი, როგორც უარყოფის მომენტი[9] და II, დიალექტიკა, როგორც მეთოდი, ერთიანის გაორებით განვითარების და მოძრაობის დაფუძნებისა და ახსნის მეთოდი. ამის შესაბამისად, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონიც ორნაირად გაიგება: I. როგორც საერთოდ მეთოდის კვინტესენცია, და, II. როგორც ერთ-ერთი ძირითადი კანონი უარყოფის უარყოფის და თვისობრიობის რაოდენობაში გადასვლის კანონთა გვერდით.

თვისობრიობის რაოდენობაში გადასვლის კანონი ჰეგელის მეთოდის ერთ-ერთ სპეციფიკად შეიძლება ჩაითვალოს. ფიხტესთან იგი არაა კანონად ფიქსი-

---

[7] იქვე, გვ. 62.

[8] იქვე, გვ. 61.

[9] იხ. „ლოგიკის მეცნიერება“, § 81, თბილისი, 1962.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული. ფიხტესთან კანტის ყოველი კატეგორიის დედუქცია ხდება მე-ს თვითმოქმედებიდან (და მათ შორის, ცხადია, ჯერ „თვისობრიობის“ და მერე „რაოდენობის“). ჰეგელის მეთოდში კი ამ კანონს სავსებით გარკვეული, აუცილებელი ფუნქცია აკისრია, მან უნდა ახსნას ის გარემოება თუ, როგორ ხდება ახალი თვისობრიობის წარმოშობა განვითარების პროცესში.

რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი, როგორც დიალექტიკის ერთ-ერთი უზოგადესი კანონი, მოქმედებს არა მარტო ლოგიკის ან სამყაროს, ერთ რომელიმე სფეროში, არამედ ყველგან სადაც განვითარებას აქვს ადგილი. კატეგორიათა იდეალისტური სისტემა საშუალებას არ აძლევს ჰეგელს ბოლომდე გაატაროს ეს აზრი. მის ფილოსოფიაში ხომ ყოველი კატეგორიის დაფუძნება საჭირო აზროვნების თვითმოქმედებაზე და რაოდენობაც ჯერ უნდა „წარმოიშვეს“ ამ თვითმოქმედებაში, მერე კი მას ექნება რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის ერთ-ერთი საყოველთაო (ბუნება, საზოგადოება, აზროვნების) კანონის ძალა.

ერთიანის გაორების, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობის ნიადაგზე არსებული მოძრაობის დაკონკრეტება რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონად, წარმოადგენს უსასრულო აზროვნების მიერ საკუთარი განვითარების კანონის შექმნას. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, მართალია, თავის თავში ყველა სხვა კანონის შესაძლებლობას შეიცავს, მაგრამ თავისთავად, სხვა კანონებისაგან იზოლირებული იგი იძლევა მხოლოდ თვითმოძრაობის და დაპირისპირებულთა შორის იდენტურის არსებობის გარანტიას. ხოლო ის, რომ ეს თვითმოძრაობა რაღაც სხვის, ახლის წარმოშობაა, ამის დასაფუძნებლად ახალი კანონია საჭირო. ამ ფუნქციას ჰეგელის ლოგიკაში ასრულებს რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი. იგი ასაბუთებს, რომ დიალექტიკური მოძრაობა არ შეიძლება იყოს უბრალო განმეორება, უბრალო წრეში ტრიალი, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობის საფუძველზე წარმოშობილი მოძრაობა არის თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ა დ   ა ხ ლ ი ს   წ ა რ მ ო შ ო ბ ა, რომელიც თავის მხრივ, ემორჩილება რა იგივე უძირითადეს კანონს, კვლავ ახლის წარმოშობის ნიადაგია და ა. შ. მაგრამ არა უსასრულოდ.

არა უსასრულოდ, რადგან სასრულის მიერ სასრულის დაუსრულებელი მოხსნა ჰეგელს ცუდ დაუბოლოებლად მიაჩნია. მისი აზრით, ჭეშმარიტი დაუბოლოებელი და უსასრულო გვაქვს მაშინ, როცა მიზანი მიღწეულია, ე. ი. როცა ლოგიკური მთელს თავის შინაარსს საკუთარი შინაგანი კანონებით დაასაბუთებს. ეს იქნება დაუბოლოებელი იმ აზრით, რომ ლოგიკური დამტკიცდება როგორც მხოლოდდამხოლოდ საკუთარი თავით განსაზღვრული, როგორც ისეთი, რომელიც არ იზღუდება მისგან დამოუკიდებელი რაიმე ალოგიკური ინსტანციით (მატერიით, ან სხვ.). ასეთი რიგის დაუბოლოებელს წარმოადგენდა პარმენიდეს „სფეროსებური“ არსი, ასევე ნეოპლატონიკოსების ერთი (ღმერთი). მაგრამ მათთან დაუბოლოებლობა მიიღწეოდა კონკრეტულობის, შინაგანი დასხვაობის უარყოფით, ჰეგელთან კი კონკრეტულობის გარეშე ყოველგვარი არსებობა მხოლოდ ცარიელი აბსტრაქციაა.

ლოგიკურის თვითმოქმედების პროცესში რაოდენობრივ ცვლილებათა საფუძველზე თვისობრივად ახლის წარმოშობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქმე განვითარებასთან გვაქვს. განვითარება ამ სიტყვის საკუთრივი აზრით, წინსვლის აზრით, მხოლოდ მაშინა გვაქვს, როცა ჩნდება არა უბრალოდ ახალი, არამედ ისეთი ახალი, რომელიც ძველს უბრალოდ კი არ უარყოფს, არამედ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი შინაარსის ნაწილად ინახავს. მხოლოდ ამგვარ განვითარებას უწოდებს ჰეგელი დიალექტიკურს. განვითარების პროცესში არაფერი არ უნდა დაიკარგოს. საბოლოო შედეგში შინაარსის მომენტებს უნდა წარმოადგენდეს მთელი გავლილი გზა. იგი კონკრეტული უნდა იყოს ამგვარი გაგებით.

დაპირისპირებულთა ერთიანობის საფუძველზე მოცემული თვითმოქმედება რომ სწორედ ამ აზრით იქნეს გაგებული, ჰეგელი ადგენს სპეციალურ, ზოგად კანონს, რომელსაც ის უარყოფის უარყოფას უწოდებს. მისი მოქმედების არე ისევე ვრცელია, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონისა, მაგრამ მისი სპეციფიკური ფუნქცია გაპირობებულია დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონით. უარყოფის უარყოფის კანონი იწყებს უარყოფით ე. ი. გულისხმობს უარყოფას, როგორც დადგენილს და გამართლებულს. გარდა ამისა, უარყოფის უარყოფისათვის დაპირისპირებულთა ერთიანობა თავისებურ ნიმუშს წარმოადგენს. აქ გვაქვს არა მარტო საპირისპიროები, არამედ მათი ერთიანობაც, იდენტური მათ შორის. ამ ასპექტით, დაპირისპირებულთა ერთიანობა თავადაა უარყოფის უარყოფა; და ჰეგელის დებულება იმის შესახებ, რომ ყოველი საგანი უარყოფის უარყოფას წარმოადგენსო, გაგებული უნდა იქნეს არა მარტო იმ აზრით, რომ იგი (საგანი) განვითარების შედეგია და მოხსნილი სახით შეიცავს თავისში განვითარების პროცესის წინა, უარყოფილ საფეხურებს, არამედ იმ აზრითაც, რომ საგანი ერთიმეორის გამომრიცხველ საპირისპიროთა შორის იდენტურს შეიცავს და ამიტომაა ის ერთიანობა, მთლიანობა.

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის ადგილი ჰეგელთან და მისი მნიშვნელობა საერთოდ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, არ იქნება სათანადოდ შეფასებული თუ არ იქნა აღნიშნული, რომ ეს კანონი წარმოადგენს თვითმიზეზის ცნების გამართლების (დაფუძნების) ერთადერთ ლოგიკურ საშუალებას. თვითმიზეზის ცნება ყოველი თანმიმდევრული მსოფლმხედველობის და მით უმეტეს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის აუცილებელი ცნებაა. ამ ცნების, როგორც საწყისის დაფუძნების გარეშე გადაულახავი იქნებოდა დუალიზმი. მრავალი ფილოსოფოსი ხედავდა ამას და თვითმიზეზის ცნებას მოიხმარდა, მაგრამ მის დაფუძნებას ვერ ახერხებდა. ეს ასე იყო არა მარტო იმათთან, ვინც მარქსამდელი მატერიალისტებივით, სანაქებო არათანმიმდევრულობას იჩენდნენ და მატერიას თვითმიზეზად აცხადებდნენ (ტოლანდი, დიდრო და სხვები), არამედ იმათთანაც, რომლებიც თვითმიზეზად მიიჩნევდნენ ერთს (ღმერთს), როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობას (ნეოპლატონიზმი, კუზანელი, მისტიკა). რადგან აქ დაპირისპირებულობა მოიხსნებოდა ერთიანობაში, რჩებოდა იგივეობა, დაპირისპირებულთა განუსხვავებლობა. ამ ცნების დაფუძნების სიძნელის გამო იყო, რომ მარქსამდელ მატერიალისტთა უმრავლესობა სამყაროს გარედან პირველი ბიძგის დაშვებამდე მიდიოდნენ, ხოლო იდეალისტები, ან საერთოდ უარყოფდნენ განვითარება-მოძრაობას, ან ღმერთის „ცნებას“ მოიშველიებდნენ. ჰეგელთან დაპირისპირებულთა ერთიანობა თვითმიზეზის ცნების შინაარსია, მისი შინაგანი სტრუქტურაა. იგი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ასეთი სტრუქტურის მქონე შეიძლება იყოს მხოლოდ თვითმოქმედი აზროვნება.

დაპირისპირებულთა ერთიანობის ჰეგელისეულ კანონს ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიკოსები ხშირად უიგივებენ ნეოპლატონიზმიდან მომდინარე ამავე სახელწოდების კანონს, რომელიც კუზანელის შემდეგ coinzidentia oppositorum-ის სახელითაა ცნობილი. ნეოპლატონიზმმა უდავოდ დიდი გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა მოახდინა ევროპული ფილოსოფიის განვითარებაზე. XX ს. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ლასკის მიერ ხელახლა ხდება მისი აღორძინება. ლასკის დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი, მართლაც, დაპირისპირებულთა ერთიანობის კუზანელისეული პრინციპის ბუნებისაა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჰეგელთან ეს პრინციპი სულ სხვა შინაარსს იღებს.

ნეოპლატონიზმის მიხედვით სამყარო ერთიდან, ანუ ღმერთიდან „ემანაციის“ „გამოსხივების“ გზით წარმოიშვება. ემანაცია უდავოდ კლებაა, დაქვეითებაა[10]. ჰეგელთან კი ლოგიკურის დასაწყისიდანვე მხოლოდ წინსვლა და გამდიდრება გვაქვს. აქ ჩვენ არასდროს არ გავდივართ წმინდა ლოგიკურის გარეთ. ნეოპლატონიზმში ხარისხობრივად გადაულახავი ზღვარია ერთსა და სამყაროს შორის. ჰეგელისათვის სრული თვითგანსაზღვრება, დასახსვრა, კონკრეტულობა არის ღმერთის ნამდვილი არსებობა; ნეოპლატონიზმში (ისევე, როგორც პლატონთან) ღმერთი ყოველგვარ განსაზღვრულობაზე და სხვაზე მაღლა დგას. ჰეგელთან (ისევე, როგორც ნაწილობრივ სპინოზასთან) არავითარი განსაზღვრულობა არ იკარგება. სწორედ ამიტომ გვაქვს მასთან პანთეიზმი, უფრო სწორედ პანლოგიზმი. თუ ვინმეს აგრძელებს აქ ჰეგელი ეს იაკობ ბოემეა (1575—1624), ჰეგელი მას პირველს ტევტონ ფილოსოფოსს უწოდებდა, ე. ი. ისეთს, რომელშიც პირველად ალაპარაკდა გერმანული ფილოსოფიური აზროვნების თავისებურება[11]. ბოემე ამტკიცებდა, რომ თავდაპირველად ღმერთი არარაა. გაურკვევლობაა და თანდათან შინაგანი ბრძოლით (ტანჯვით) ხდება რაიმედ და ღირებულად. მთელი ეს გზა ემანაცია კი არაა, არამედ ღირებულების განუხრელი მატება. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად აქედან იწყება იმ პრინციპის რეალიზაციის სერიოზული ცდა, რომლის დამცველადაც ქრისტიანობა და, მისი გავლენით, სქოლასტიკური ფილოსოფია გამოდიოდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს *ინდივიდუაციის პრინციპი*. ცხადია, არავითარი ჭეშმარიტი აზროვნება არ შეიძლება ზოგადისა და ინდივიდუალურის კავშირის გარეშე, მაგრამ ფილოსოფიურ თეორიებში, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანის ღირებულება იკარგება მეორესადმი დაქვემდებარებით.

ბერძნული ფილოსოფიის დასაწყისიდანვე, აღმოსავლური სიბრძნის გავლენით, არსებითად დაკანონდა ინდივიდუალურის, კონკრეტულის უფასურობა ზოგადთან და საყოველთაოსთან შედარებით. ანაქსიმანდრესგან შემორჩენილი ერთადერთი ფრაგმენტი ამის ნათელი დადასტურებაა. მისთვის ერთეულად, კონკრეტულად არსებობა „თანშობილი ცოდვაა“, რისთვისაც საგნები უნდა დაისაჯონ და უნდა აღდგეს „ნორმალური“ მდგომარეობა — ინდივიდუალურობა მოისპოს არადიფერენცირებულის, აპეირონის სასარგებლოდ. ეს პრინციპი ნათლად ჩანს, როგორც არისტოტელისეულ ფორმა-მასალის იერარქიაში, ისე (მისი გავლენით) მომდევნო სისტემებში ნეოპლატონიზმამდე. ამას ემყარება სტოელების მოძღვრება თავისუფლებაზე, როგორც ინდივიდუალობის უარყოფით საყოველთაოში გათქვეფაზე და, ასევე, მოგვიანებით, ე. წ. მისტიკური შეერთება ღმერთთან. რასაკვირველია, საპირისპირო თეორიათა დავიწყებაც არ შეიძლება (განსაკუთრებით სოფისტების), მაგრამ ისინი ვერ ქმნიდნენ განვითარების კარდინალურ ხაზს.

---

10 რაც შეეხება გამოსხივებული გზის საპირისპირო მიმართულებით გავლას, დაბრუნებას ერთში (ღმერთში), აქ ახალი არაფერი იქმნება. ქვემო საფეხურს თავისი სპეციფიკური არა „აქვს“ ზემოთაში.

11 Гегель. Сочинения, т. XI, Соцекгиз. 1935, s. 229, 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეალისტურ სისტემებში ინდივიდუალური ვერასდროს ნახულობს თავის უფლებას საყოველთაოს გვერდით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ნაკლის ასაცილებლად ყველაზე მეტი ჰეგელმა გააკეთა. ეს არ მოგვეჩვენება პარადოქსად თუ გავიხსენებთ, რომ ინდივიდუალობა მოუაზრებადია კონკრეტულობის გარეშე და საყოველთაოს, როგორც მთელის კონკრეტულობის დასაბუთება ჰეგელმა ძირითად მიზნად დაისახა. თუმცა ჰეგელი ამგვარი მიზანდასახულობის საყრდენს ქრისტიანობის იდეაში ეძებდა (კონკრეტული, სამპიროვნო ღმერთი) მაგრამ მას არ შეიძლება არ დავუფასოთ, რომ იგი ახალი ეპოქის ანტიკურისაგან განმასხვავებელს, სწორედ ინდივიდუალურობის და კონკრეტულობის დაცვაში ხედავდა. ეს ახალი ეპოქა, მისი აზრით, იწყება მაშინ როცა „აბსოლუტი გაგებული იქნება, როგორც კონკრეტული“, როგორც განსხვავებულ და დაპირისპირებულ განსაზღვრულობათა ერთიანობა[12].

ქრისტიანულ ფილოსოფიას მრავალმხრივ სჭირდებოდა ინდივიდუალურობის დაცვა (პიროვნული ღმერთი, ინდივიდუალური დანაშაული, სასჯელი და ინდივიდუალური ხსნა), მაგრამ რადგან იგი, თეორიულად, ზოგადს აბსტრაქციის (განზოგადების) გზით მიღებულად თვლიდა, აღნიშნულ საკითხების ასახსნელად მისტიკას მიმართავდა. შეიძლება ითქვას, რომ ნომინალიზმი, კონცეპტუალიზმი და პანთეიზმი ზოგადის ფორმალურლოგიკური გაგების გააბსოლუტურების წინააღმდეგ იყო მიმართული. აღორძინების ფილოსოფიაში ჩაისახება და ახალ ფილოსოფიაში უკვე აშკარაა ბრძოლა პირველ და ყოვლისმომცველ პრინციპთან მისვლის ახალი (არა გენერალიზაციის) გზისათვის. ესაა, ე. წ. „შინაარსეული ზოგადის“ ძიება. სპინოზას სუბსტანცია, როგორც შინაარსეულად ყოვლისმომცველი, ამგვარი ძიების პირველი დიდმნიშვნელოვანი შედეგია. ჰეგელი შეგნებულად დაადგება ამ გზას, მაგრამ ვერც მან (ისევე, როგორც, ვერც სპინოზამ) ვერ მოახერხა საყოველთაოს გვერდით ინდივიდუალურის დამოუკიდებელი ღირებულება დაეფუძნებინა. მისი აბსოლუტური მართალია კონკრეტული იყო, მაგრამ ეს იყო წმინდა აზროვნების კონკრეტულობა თავის თავში. ძველი სიბრძნე, რომ ინდივიდუაციის და კონკრეტიზაციის პრინციპი მატერიაა, მიუღებელი იყო ჰეგელისათვის, და, ამასთან დაკავშირებით, ნამდვილად კონკრეტული, გრძნობად-რეალური ინდივიდის ღირებულებაც მიუწვდომელი დარჩა მისთვის.

მართალია, ჰეგელი პლატონთან და ნეოპლატონიზმთან ერთად იზიარებს იმ არსებით ნაკლს, რომ სანამ დაპირისპირებულთა ბრძოლას ადგილი აქვს, მანამ არა ვართ მიზანთან, მაგრამ ჰეგელთან შედეგში შენარჩუნებული იყო მთელი გზა[13]. გარდა ამისა, ჰეგელის მეთოდის მსვლელობა არ იყო, არც ინდუქციური, არც დედუქციური. ჰეგელს ჰქონდა პრეტენზია, რომ მისი მეთოდი ერთსა და იმავე დროს ორივეს შეიცავს, არა ცალ-ცალკე, ერთი მეორის შემდეგ, არამედ იმ აზრით, რომ ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე, ერთი მხრით, იყო ლოგიკურის შინაგანი შესაძლებლობის გამოაშკარავება და, ამ აზრით, დ ე დ უ ქ ც ი ა, ხოლო, მეორე მხრით, ის იყო პირველად შექმნა ახალი განსაზღვრულობისა და, ამ აზრით, ი ნ დ უ ქ ც ი ა. იდეალიზმის ისტორიის თვალსაზრისით ეს მოსაზრებაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი წარმოადგენს თანშობილი იდეების უძველესი და, შეიძლება ითქვას, მარადი იდეალისტური პრობლემის გადაჭრის გონებამახვილურ ცდას. აქ ლოგიკური აზროვნება არაფერს სესხულობს სხვა

[12] Гегель. Сочинения, XI, стр. 79—82;

[13] Гегель. Соч. т. XI, стр. 229.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინსტანციიდან (პრაქტიკა იქნება ეს, მეცნიერება თუ სხვ.) და, ამავე დროს, აფუძნებს იმას რასაც შემეცნების პროცესში მისაღებად ცნობს. აზროვნების განვითარების პროცესში „სინამდვილედ“ იქცევა ის, რაც შესაძლებლობის სახითაა მასში მოცემული. მოცემული არავითარ გარკვეულობას არ წარმოადგენს მანამ, სანამ ლოგიკურად დაფუძნებული არ იქნება.

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის საფუძველზე შესძლო ჰეგელმა პირველი დადგომოდა უზოგადესი ცნებების, კატეგორიების კვლევის მეცნიერულ გზას. მასთან კატეგორია განისაზღვრება საპირისპიროსთან კავშირში და ამავე დროს იმ ადგილით, რომელიც მას უჭირავს კატეგორიათა სისტემაში. ამის საშუალებით პირველად იქნა დადგენილი სწორი გზა თავისუფლებისა და აუცილებლობის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, შესაძლებლობისა და სინამდვილის და სხვათა შესასწავლად.

განსაკუთრებით საყურადღებოა დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპის საფუძველზე შემთხვევითობის განსაზღვრა, როგორც აუცილებლობის გამოვლენის ფორმის. თითქმის ყველა ჰეგელამდელი ფილოსოფოსი, საბოლოო ანგარიშით, იძულებული იყო ან უარეყო შემთხვევითობა (ფრანგი მატერიალისტები, პარმენიდე) ანდა სასწაულად გამოეცხადებინა იგი (თეოლოგები), ე. ი. დუალიზმს დაქვემდებარებოდნენ. შემთხვევითობის უარყოფა ძალზე აღარიბებდა სინამდვილეს, ხოლო მისი მოწყვეტა აუცილებლობისაგან აუფასურებდა მეცნიერულ კვლევას და ზღუდავდა მის მიყენების არეს. ჰეგელისათვის ყოველი კონკრეტულად არსებული ბუნებაში და საზოგადოებაში შემთხვევითია, როგორც მრავალი აუცილებლობათა გადაკვეთის წერტილი და ამრიგად აუცილებლობის გამოვლენაა[14] (ლოგიკურში ჰეგელისათვის შემთხვევითი არ არსებობს).

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი არა მარტო იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სამყარო, როგორც მთლიანი, განთავისუფლებული იქნეს ყოველივე ზებუნებრივი ძალისაგან, არამედ, იგი აგრეთვე შედარებით დამოუკიდებლობას უნარჩუნებს სინამდვილის ცალკეულ პროცესებს თუ მის სფეროებს. რადგან, არა მარტო საერთოდ არსებული, არამედ მისი ყოველი ნაწილიც შინაგანი დაპირისპირებით არსებობს და ვითარდება. და ეს, მისი განვითარების შინაგანი წყარო ქმნის შესაძლებლობებს და ტენდენციებსაც მასზე დანარჩენი სინამდვილის ზემოქმედების.

ამ პრინციპებზე დამყარებით ჰეგელმა საფუძველი ჩაუყარა ისტორიის ფილოსოფიას და ასევე ფილოსოფიის ისტორიას, როგორც მეცნიერებას. საზოგადოების ისტორია მას ესმოდა, როგორც თავისუფლების თანდათანობითი განხორციელება. საბოლოო ანგარიშში, ამ მიზანს ემსახურება მასთან ყოველგვარი ისტორიული პროცესი. ისტორიული ასპექტის მოშველიება საგნისა თუ მოვლენის არსის გასაგებად, რომელიც ასე ღრმადაა გამჯდარი თანამედროვე აზროვნებაში თავის არსებობას სწორედ ჰეგელს უნდა უმადლოდეს.

მართალია, ჰეგელი ყველგან განვითარებას ხედავს, მაგრამ ასევე ყველგან და ყოველთვის დაასრულებს ხოლმე განვითარებას. მისთვის სადაც განვითარებაა იქ დაპირისპირებულთა ერთიანობაც არის, მაგრამ მიზნის მიღწევის შემდეგ ეს კანონიც წყვეტს თავის მოქმედებას.

---

[14] ამ კანონს ყველაზე მეტად ჰეგელის შეურიგებელი მოწინააღმდეგეები იყენებდნენ. მაგ. ნიცშე და ფროიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეგელთან განვითარება ხდება როგორც საწინააღმდეგოთა შორის წინააღმდეგობის მოხსნა იგივეობრივის საფუძველზე. ის, რაშიც მოხსნილია წინააღმდეგობა კვლავ წინააღმდეგობრივ მხარეებად იშლება და ა. შ. მაგრამ ეს პროცესი მარტო დანაწევრების და დასახსვრის პროცესი კი არაა, არამედ იგივეობის თანდათანობითი ზრდის პროცესიცაა. ეს გზა სრული იგივეობით თავდება. რჩება წმინდა, ერთიანი ლოგიკურის შინაგანი კონკრეტულობა, წინააღმდეგობის გარეშე. ეს წინააღმდეგობის და, ასევე, მოძრაობის დასასრულიცაა. „საქმე წინააღმდეგობით არ შეიძლება დამთავრდეს — წერდა ჰეგელი — წინააღმდეგობა თავის თავს მოხსნის თავის თავის მეოხებით და ეს დადგენილი საფუძველი თავის თავში შეიცავს იგივეობას და განსხვავებას, როგორც მოხსნილი“[15]. აქ უკვე ნათლად ჩანს, რომ იდეალისტური სისტემა დიალექტიკურ მეთოდთან არსებითად შეუთანხმებადია, მეტიც, რომ ისინი საბოლოო ანგარიშში გამორიცხავენ ერთმანეთს. გამორიცხავენ ერთმანეთს არა ჰეგელის დიალექტიკა და ჰეგელის სისტემა, ისინი თანხმობაში არიან, არამედ დიალექტიკის ჭეშმარიტი ბუნება და იდეალისტური სისტემა. ჰეგელთან წინააღმდეგობაზე, იმარჯვებს იგივეობა, დაპირისპირებაზე — ერთიანობა. დიალექტიკის ამგვარი მოხსნა ცხადად აყენებდა საკითხს ახალ საფუძველზე, ახალი მეთოდის განვითარების შესაძლებლობისა, რისი განხორციელებაც მარქსიზმის კლასიკოსების მსოფლიო ისტორიული დამსახურებაა. მაგრამ ეს იყო არა ჰეგელის დიალექტიკის ხელაღებით უარყოფა, არამედ უარყოფა სწორედ დიალექტიკური აზრით, მისი რაციონალური შინაარსის შენარჩუნებით, „მისტიფიკაციას, რომელიც დიალექტიკამ ჰეგელის ხელში განიცადა—წერდა მარქსი—სრულიადაც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ პირველად მხოლოდ ჰეგელმა წარმოგვიდგინა ამომწურავად და შეგნებულად დიალექტიკური მოძრაობის ზოგადი ფორმები. ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას, საჭიროა იგი გადმოვაყირაოთ, რათა მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალი აღმოვაჩინოთ“[16].

იდეალისტურ ფილოსოფიაში ჰეგელის უარყოფა მუდამ ირაციონალიზმისა და პესიმიზმის საფუძველზე ხდებოდა. ჰეგელის მნიშვნელობას ხელაღებით უარყოფდნენ, მაგრამ ჰეგელის გავლენა მის უარმყოფლებთანაც ძლიერად იჩენდა და იჩენს თავს (შოპენჰაუერი, კირკეგორი, სარტრი, ნ. ჰარტმანი). როგორც ფილოსოფიურ-ისტორიულმა კვლევამ დაადგინა, თავად შოპენჰაუერის სისტემა ჰეგელის სისტემის ქარგაზე იყო გამოჭრილი, ოღონდ შებრუნებული მიმართებით. რაც შეეხება კირკეგორს დღეს მას, მარქსის გვერდით, ჰეგელის უდიდეს მოწაფედ აღიარებენ ეგზისტენციალისტები (ჰაიდეგერი). თავად ჰაიდეგერის შრომების შესახებ ამ უკანასკნელ დროს, არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ იქ „ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა ჰეგელი“[17]. ექსისტენციალისტები, ისევე, როგორც ნეოჰეგელიანელები ჰეგელს მისტიციზმისა და ირაციონალიზმის დასასაბუთებლად იყენებენ, ე. ი. იმისათვის, რასაც მთელი არსებით ებრძოდა ჰეგელი.

განსხვავებით შელინგისაგან ჰეგელს (ფილოსოფიაში) არასდროს უღალატია თავის ახალგაზრდობის ნათელი იდეალებისათვის. 1795 წ. 25 წლის ჰეგელი შელინგს წერდა (შელინგისავე სიტყვებს): „დაე ჩვენი ლოზუნგი იყოს გონება და თავისუფლება, ხოლო ჩვენი საკრებულო უხილავი ტაძარი“. მთელი მისი

---

15 „ლოგიკის მეცნიერება“, თბილისი, 1962, გვ. 41.

16 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ. 23.

17 იხ. H. Kunn. Archiv für Philosophie, 1952, №. 2/3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედება იმის დასაბუთების ცდა იყო, რომ ყველაფერი ვითარდება და ეს განვითარება არის წინსვლა, თავისუფლების ზრდა.

თავის ყველაზე უფრო დასრულებულ და დახვეწილ ნაშრომში, რომლის III გამოცემა 1830 წ., ე. ი. ჰეგელის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გამოვიდა („ლოგიკის მეცნიერება“) ჰეგელი წერდა: „სამყაროს დაფარულ არსებას თავის თავში არავითარი ძალა არ გააჩნია, რომ შესძლოს აზროვნების სითამამეს წინააღმდეგობა გაუწიოს“[18]. ამიტომ იყო რომ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჰეგელის მოძღვრება რევოლუციური იყო, მას სწამდა „ადამიანის გონების და მისი უფლებების“[19].

ჰეგელის ფილოსოფიის ოპტიმიზმი, მისი განუსაზღვრელი რწმენა ადამიანის გონების და შემეცნების შესაძლებლობებისადმი, ჰეგელს თანამედროვედ და თანამებრძოლად ხდის ყველასათვის, ვინც ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისათვის იბრძვის.

---

18 „ლოგიკის მეცნიერება“. გვ. 41.

19 ლ ე ნ ი ნ ი, „მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, თბილისი, 1953, გვ. 67.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ სარჯველაძე

# მოთხოვნილების რეალიზაციის ან ფრუსტრაციის გავლენა სოციალური ურთიერთქმედების ობიექტის პიროვნული თვისებების შეფასებაზე

1. მოტივაციური ცვლადების გავლენა ფსიქიკური აქტივობის შინაარსზე და მისი მიმდინარეობის ხასიათზე სხვადასხვა ასპექტით არის ნაკვლევი ფსიქოლოგიაში. მთელ რიგ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში სპეციალური ყურადღების საგნად იყო საკითხი მოთხოვნილების გავლენისა სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესებზე. დადგენილი ფაქტები მოწმობენ, რომ სუბიექტის მოთხოვნილება არსებით გავლენას ახდენს პერცეპტულ და აზროვნებით პროცესებზე, საგანთა და მოვლენათა შეფასების ხასიათზე. აღქმის ველში შემოდის ის ობიექტები ან ობიექტთა თვისებები, რომლებიც მოთხოვნილებასთანაა კავშირში; მოთხოვნილების გავლენით ხდება სენსიბილიზაცია გამღიზიანებელთა მიმართ. მოთხოვნილება ხშირად ილუზური აღქმის ძირითადი ფაქტორია; მოთხოვნილების ნიადაგზე გარდაიქმნება სუბიექტის ღირებულებათა სისტემა მოვლენათა შეფასების პროცესში.

აღნიშნულ საკითხებზე მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა არსებობს. აღსანიშნავია კ. ლევინის[1], შ. ჩხარტიშვილის[2], სენფორდის[3], პოსტმენისა და კრაჩფილდის[4], სოლლისა და სომერის[5] და სხვათა გამოკვლევები.

2. ჩვენი ყურადღების ცენტრში დადგა სუბიექტის მოთხოვნილების გავლენის საკითხი სოციალური ურთიერთქმედების ობიექტის პიროვნული თვისებების შეფასებაზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან (1) აქტუალური, მოქმედი მოთხოვნილებისა და (2) მოთხოვნილების რეალიზაციის ან რეალიზაციაში ხელის შეშლის (ბლოკადა, ფრუსტრაცია) გავლენა სოციალურ პერცეპციებზე და ინტერპერსონალური ურთიერთობების (Interpersonel relation) ხასიათზე. ამჯერად ჩვენ მეორე საკითხს შევეხებით, კერძოდ, მოთხოვნილების რეალიზაციის ან რეალიზაციაში ხელის შეშლის ფაქტორის (ფრუსტრაციის) ზეგავლენას სოციალური ურთი-

---

[1] K. Levin Vorsctz, Wille und Bedüvfnis. Psychologische Forschung. Zeitschirft für Psychologische und ihre Grenz? wissenschoften, b. 7, 1926.

[2] Ш. Н. Чхартишвили, Влияние потребности на восприятие и установка. „Вопросы психологии“ № 1, 1971.

[3] K. N. Senford. The effect of abstinence from feed ipen imaginal processes. Rsycholog; 2. 1936, გვ. 129—136, 1937.

[4] L. Postman and R. Cmutchfield the interaction გვ. 145—159, of need, set and stimulus structur in a cognitive taske. „American I. of psychology“. vol. 62, 1952.

[5] Ch. Solley and R. Sommer, Perceptual autism in children, „The journ. of general Psychology, vol. 56, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთქმედების ობიექტის პიროვნული თვისებების შეფასებაზე. ინტერპერსონალურ პერცეპციებზე მოტივაციური ცვლადების გავლენის შესახებ საყურადღებოა სნეიდერის, ჯექსონის, რეიკოვსკის, ვიტრაიხისა და სხვათა გამოკვლევები[6].

3. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კონკრეტული სიტუაცია: სუბიექტი, რომელსაც აქვს გარკვეული მოთხოვნილება, შეაფასებს მეორე ადამიანს პიროვნული თვისებების მიხედვით, შემფასებელი სუბიექტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა სწორედ ამ მეორე ადამიანის ხელთ არის. ამ ორ ადამიანს შორის სოციალური ურთიერთქმედება ხორციელდება ისეთ პირობებში, როცა პირველი მოთხოვნილების სუბიექტია, ხოლო მეორემ უშუალოდ უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება. ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში ადამიანებს შორის ხორციელდება სოციალური ურთიერთქმედება, რომელშიც ორი წევრი მონაწილეობს: მოთხოვნილების სუბიექტი (S) და მეორე ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების „წყაროს“ (O). სოციალური ურთიერთქმედების პირველ წევრს (S) ვუწოდოთ მოთხოვნილების სუბიექტი, ხოლო მეორე წევრს (O) სოციალური ურთიერთქმედების ობიექტი. ჩვენ გვაინტერესებს ასეთი სახის სოციალური ურთიერთქმედებისას მოთხოვნილების სუბიექტის (S) მიერ სოციალური ურთიერთქმედების ობიექტის (O) პიროვნული თვისებების შეფასების ხასიათი. ამ შემთხვევაში S არის შემფასებელი სუბიექტი, ხოლო შესაფასებელია O-ს პიროვნული თვისებები სოციალური ურთიერთქმედების დაწყებამდე და მისი განხორციელების შემდეგ. კერძოდ, S შეაფასებს O-ს პიროვნული თვისებების მიხედვით მანამ, სანამ მას რაიმე მოთხოვნილება გაუჩნდებოდეს და მას შემდეგ, რაც მისი გარკვეული სურვილი O-მ დააკმაყოფილა ან არ დააკმაყოფილა.

საკვლევი საკითხია: 1) რამდენად შეიცვლება S-ის მიერ O-ს პიროვნული თვისებების შეფასების ხასიათი მას შემდეგ, რაც მისი მოთხოვნილების რეალიზაცია მოხდა ან რეალიზაციაში ხელი შეუშალეს. 2) ასეთი სახის ცვლილება მხოლოდ მოთხოვნილების ხასიათთან, მისი რეალიზაციის ან რეალიზაციაში ხელის შეშლის შინაარსთან დაკავშირებულ პიროვნული თვისებების შეფასებას ეხება თუ სუბიექტის მოთხოვნილების ხასიათის მიმართ ირრელევანტური პიროვნული თვისებების შეფასებაშიც აქვს ადგილი ამგვარ ცვლილებას?

4. აღნიშნული საკითხის საკვლევად ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა მოსწავლის მიერ მასწავლებლის პიროვნული თვისებების შეფასების ხასიათი. საკითხს იმის შესახებ თუ რა გავლენა აქვს მოთხოვნილების რეალიზაციის ან რეალიზაციაში ხელის შეშლის (ფრუსტრაციის) ფაქტორს მოსწავლის მიერ მასწავლებლის პიროვნული თვისებების შეფასებაზე, დიდი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. სწავლისა და აღზრდის პროცესები სკოლაში სოციალური ურთერთქმედების ფორმით მიმდინარეობენ. მოსწავლე-მასწავლებლის ინტერპერსონალური ურთიერთქმედების გათვალისწინებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლისა და აღზრდის პროცესების რეგულირებისა და ოპტიმალური მართვის საქმეში. აღნიშნულ გარემოებას ხაზს უსვამს ფრანგი ფსიქოლოგი ჟ. კ. ფილუ, რომელიც იძლევა დ. ჟანკინსისა და რ. ლიპი-

[6] А. А. Бодалев. Восприятие человека человеком, 1965, გვ. 45—51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ცნობილი გამოკვლევის ანალიზს მოსწავლე-მასწავლებლის ინტერპერსონალური პერცეფციების შესახებ[7].

ჩვენი საკითხის საკვლევად შევიმუშავეთ ექსპერიმენტული მეთოდიკა.

ცდებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები. ც/პ-თა რიცხვი უდრის 98-ს.

## მეთოდი

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი მრავალდღიანია და შედგება 4 ნაწილისაგან.

1) ექსპერიმენტის პირველ დღეს მოსწავლეებს შევავსებინეთ აქ მოტანილი კითხვარი.

კითხვარი გულისხმობს ხუთბალიანი სისტემის მიხედვით კლასის თითოეული მასწავლებლის პიროვნული თვისებების შეფასებას. როგორც კითხვარიდან ჩანს, შესაფასებელი პიროვნული თვისებებია: სამართლიანობა, იუმორის გრძნობა, ხასიათის სიმტკიცე, სიკეთე, მოკრძალება, სიმპათიური გარეგნობა, მოსწავლეებზე ზრუნვა, დაპირების შესრულება, მოსწავლეთა სწორი შეფასება და საგნის ცოდნა. მოსწავლეებს ჩვენ ვუხმარტავდით თითოეული პიროვნული თვისების შინაარსს.

მოსწავლეებს არ ევალებოდათ თავისი გვარი მოეწერათ შევსებულ კითხვარზე; მაგრამ ჩვენ დანომრილი გვქონდა თითოეული კითხვარი და მისი დარიგება ხდებოდა კლასის ჟურნალის სიის მიხედვით. ამდენად უზრუნველყოფილი გვქონდა გაგვეგო, თუ რომელმა მოსწავლემ რომელი კითხვარი შეავსო. გარდა ამისა, მოსწავლეები დავარწმუნეთ იმაში, რომ მასწავლებლები არ გაეცნობოდნენ მოსწავლეთა მიერ მათი შეფასების შედეგებს. ამით ჩვენ ვცდილობდით ყოველგვარი პირობა შეგვექმნა, რათა შეფასება გულწრფელი ხასიათის ყოფილიყო.

2) ორი დღის შემდეგ მთელ კლასს გამოვუცხადეთ: უახლოეს ხანებში მოეწყობა მრავალდღიანი ექსკურსია საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქებში (ერთ-ერთ სკოლის ერთ კლასში მოსკოვში გამგზავრება დავპირდით მოსწავლეებს); გარკვეული პირობების გამო (ძირითადად ფინანსური დაბრკოლებების გამო) ექსკურსიაზე გაემგზავრება მხოლოდ კლასის მოსწავლეთა ნაკრები. ნაკრების წევრთა რაოდენობა შემოისაზღვრება მოსწავლეთა რაოდენობის ნახევრით (თითო ექსპერიმენტულ კლასში საშუალოთ 30 მოსწავლე სწავლობდა; ასე რომ, ყოველ კლასში ნაკრების წევრთა რაოდენობა 15 მოსწავლით განისაზღვრებოდა). ექსკურსიის მონაწილეთა შერჩევა დამოკიდებულია კლასის სამი მასწავლებლისაგან შემდგარი ჟიურის გადაწყვეტილებაზე. იქვე აღვნიშნავდით, რომ ჟიურის წევრები ნაკრების კანდიდატებს წამოაყენებდნენ არა მარტო აკადემიური მოსწრებისა და სანიმუშო დისციპლინის მიხედვით, არამედ საზოგადოებრივი აქტივობის, სპორტულ და თვითშემოქმედებით წრეებში წარმატების საფუძველზე და სხვა. აქვე ვუმატებდით, რომ შესაძლებელია, ზოგიერთი ჩამორჩენილი მოსწავლე წახალისების მიზნით შეეყვანათ ნაკრების შემადგენლობაში.

[7] Jean-Claude Fillaux. Psychosociologie de l' education IV—Les perceptions interpersonelles maitre—elleves. „Bulletin de psychologie", 1968 — 1969, № 14, გვ. 871—875.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთხოვთ შეავსოთ ხუთბალიანი სისტემის მიხედვით რამდენად ახასიათებს თქვენს მასწავლებლებს ქვემოთ ჩამოთვლილი პიროვნული თვისებები

| პიროვნული თვისებები | მასწავლებელი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქართულის | რუსულის | მათემატიკის | ბიოლოგიის | ისტორიის | უცხო ენის | ფიზიკის | ფიზკულტურის |
| 1. სამართლიანობა | | | | | | | | |
| 2. იუმორის გრძნობა | | | | | | | | |
| 3. ხასიათის სიმტკიცე | | | | | | | | |
| 4. სიკეთე | | | | | | | | |
| 5. მოკრძალება | | | | | | | | |
| 6. სიმპათიური გარეგნობა | | | | | | | | |
| 7. მოსწავლეებზე ზრუნვა | | | | | | | | |
| 8. დაპირების შესრულება | | | | | | | | |
| 9. მოსწავლეთა სწორი შეფასება | | | | | | | | |
| 10. საგნის ცოდნა | | | | | | | | |

ამით შევეცადეთ მოსწავლეები დაგვერწმუნებინა იმაში, რომ ყველას დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა ექსკურსიაში მონაწილეობისა, რითაც განურჩევლად ყველა მოსწავლეს მიეცა იმედი ნაკრებში მოხვედრისა, რაც ნათლად გამოჩნდა მოსწავლეთა რეაქციებში. მაგალითად, საკმაოდ ჩამორჩენილი მოსწავლეები უკვე იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რა ჩაეცვათ ან სახლიდან გაუშვებდნენ თუ არა, თითქოს უკვე მოხვდნენ ნაკრების შემადგენლობაში და უახლოეს ხანში გაემგზავრებოდნენ.

რათა მოსწავლეები კიდევ უფრო აქტიურად ჩაბმულიყვნენ ცდაში, მათ შევთავაზეთ თვითონ შეერჩიათ ჟიურის წევრთა შემადგენლობა. თითოეულ მოსწავლეს ევალებოდა ფურცელზე დაეწერა („ხმა მისცეს") იმ ორი მასწავლებლის გვარი, რომელნიც მათ სურდათ შეეყვანათ ჟიურის შემადგენლობაში (ე. ი. შეერჩიათ ის მასწავლებლები, რომლებიც მის სურვილს განახორციელებდნენ; რომელთა იმედიც მათ ჰქონდათ და ა. შ.).

ინსტრუქციის ამ პუნქტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეებს არა მარტო მოთხოვნილება უჩნდებოდათ, არამედ გამოჰყოფდნენ იმ პიროვნებებს, რომელთაც მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლოთ.

ყოველივე ამის გარდა საჭირო იყო დაგვედგინა, რომელ მოსწავლეს ჰქონდა ნაკრებში მოხვედრის მაღალი პრეტენზია და საერთოდ, ვის თვლიდა ობიექტურად ნაკრების წევრობის ღირსად მოსწავლეთა უმრავლესობა. ამ მიზნით მოსწავლეებს დავავალეთ ჩამოეწერათ ფურცელზე იმ 15 თანაკლასელის გვარი, რომლებიც მათი აზრით ღირსნი იყვნენ და მოხვდებოდნენ ნაკრების შემად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლობაში. აქვე განვუმარტეთ, რომ ამ უკანასკნელი პროცედურის შედეგებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ნაკრების დაკომპლექტებისათვის და ეს ჩვენ უბრალოდ მოსწავლეებთან უფრო დაახლოებისათვის გვჭირდებოდა.

3) როგორც გამოირკვა, მოსწავლეთა შეხედულებანი თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ერთმანეთს და შესაძლებელი იყო იმ 15 მოსწავლის გამოყოფა, რომელნიც კლასის საერთო აზრით საზოგადოდ ღირსნი იყვნენ ნაკრების წევრობისა და რომელნიც, ამრიგად, მაღალი პრეტენზიით ხასიათდებოდნენ კლასში მათი ამგვარი სტატუსის გამო.

კლასის მასწავლებლებისაგან (თითოეულ კლასში 8 მასწავლებელი ასწავლიდა) გამოვყავით ის 3 მასწავლებელი, რომელთაც ყველაზე მეტი „ხმა მიიღეს" მოსწავლეებისაგან (რომელთა იმედიც ჰქონდათ მოსწავლეთა უმრავლესობას) და შევადგინეთ მასწავლებელთა ჟიური. რეალურად ჟიურის წევრები არ შეკრებილან და არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. ისე მოვახერხეთ, რომ მასწავლებლებმა საერთოდ არც იცოდნენ ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ. ასეთი რამ საჭირო იყო ცდის ნორმალური მსვლელობისათვის.

შევიმუშავეთ თითქოს — ჟიურის მუშაობის შედეგები და დავკომპლექტეთ ნაკრების შემადგენლობა. ჩამოვწერეთ თითოეული მოსწავლის გვარი და მის გასწვრივ ჟიურის თითოეული წევრის აზრი ამ მოსწავლის ნაკრების შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე: ჟიურის რომელმა წევრმა მისცა ამა და ამ მოსწავლეს დადებითი ხმა (ე. ი. წამოაყენა მისი კანდიდატურა) და რომელმა მისცა უარყოფითი ხმა (ე. ი. ხელი შეუშალა ნაკრებში მოხვედრაში). ნაკრების შემადგენლობაში ძირითადად შევიყვანეთ ის მოსწავლეები, რომელთაც ამის ნაკლები პრეტენზია ჰქონდათ, მაღალი პრეტენზიის მოსწავლეები კი ნაკრებში ვერ მოხვდნენ. აღსანიშნავია, რომ თითოეულ კლასში ორიოდე მაღალი პრეტენზიის მოსწავლეც შევიყვანეთ ნაკრების შემადგენლობაში, რათა არსებულ ვითარებას ბუნებრივი სახე არ დაეკარგა და მოსწავლეები არ მიმხვდარიყვნენ სიტუაციის ექსპერიმენტულობას.

ნაკრებში მოხვედრილთაგან ზოგ მოსწავლეს ჟიურის სამივე წევრი აძლევდა დადებით ხმას, ზოგ მოსწავლეს კი ჟიურის ორი წევრი აძლევდა დადებით ხმას, ერთი კი უარყოფით ხმას. ასევე, იმ მოსწავლეებისაგან, რომლებიც ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, ზოგი „ღებულობდა" სამ უარყოფით, ხოლო ზოგი ერთ დადებით და ორ უარყოფით ხმას.

4) „ჟიურის მუშაობის შედეგების" გამოცხადების შემდეგ მოსწავლეებს შევავსებინეთ იგივე კითხვარი იმავე წესით, რაც პირველ დღეს იყო გამოყენებული. კითხვარის ხელახლა შევსების მოტივად მოსწავლეებს დავუსახელეთ ის, რომ თითქოს პირველ დღეს გამოყენებული კითხვარის მასალები დაგვეკარგა.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მოსწავლეს გამოეცნოს სიტუაციის ექსპერიმენტული ხასიათი. ეს მოხდებოდა მაშინ, რომ მოსწავლეებს ერთმანეთთან დაეკავშირებინა კითხვარის შევსება და ნაკრების დაკომპლექტება. ჩვენ ცდები ისე ჩავატარეთ, რომ მოსწავლეებს კითხვარი დაურიგა ერთმა პიროვნებამ, ხოლო ექსკურსიაზე წასვლის შესაძლებლობის შესახებ და ჟიურის მუშაობის შედეგები გამოაცხადა სხვამ. ასე რომ, ერთ კლასში ცდას ატარებდა ორი პიროვნება. კერძოდ, ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენთან თანამშრომლობდნენ პედაგოგიურ მეცნ. კანდიდატი მ. ღოღონაძე და მასწავლებელი რ. ღლონტი, რომელთაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ კეთილსინდისიერი და უანგარო დახმარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექსპერიმენტული მასალების დამუშავების ხერხი

ექსპერიმენტის შედეგები მდიდარია რაოდენობრივი მაჩვენებლებით. გამოყენებული კითხვარი თვისობრივი მაჩვენებლებისათვის არ არის გამიზნული.

რიცხობრივი მაჩვენებლების გამოყოფისა და დამუშავების საშუალებას იძლევა ექსპერიმენტის პირველ და ბოლო დღეს შევსებული კითხვარების შედარება. პირველ დღეს შევსებულ კითხვარს ვუწოდოთ I კითხვარი, ხოლო ექსპერიმენტის ბოლო დღეს შევსებულ კითხვარს II კითხვარი. ა) თუ II კითხვარის ნიშანი გარკვეული მასწავლებლის რომელიმე პიროვნული თვისებების მიმართ აღემატება I კითხვარის ნიშანს, იმავე მასწავლებლის იგივე პიროვნული თვისებების შეფასებისას, მაშინ ვგულისხმობთ, რომ ადგილი აქვს შეფასებაში დადებითი მიმართულების ცვლილებას. ბ) თუ კი, პირიქით, II კითხვარის ნიშანი გარკვეული მასწავლებლის რომელიმე პიროვნული თვისებების შეფასებისას ნაკლებია, ვიდრე I კითხვარის ნიშანი იმავე მასწავლებლის იგივე პიროვნული თვისებების შეფასების შემთხვევაში, მაშინ ვამბობთ, რომ ადგილი აქვს შეფასებაში უარყოფითი მიმართულების ცვლილებას. გ) იმ შემთხვევაში, როცა ნიშნები ერთმანეთს ემთხვევა, ვგულისხმობთ, რომ ცვლილება არ აღინიშნება.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი: ერთ-ერთმა მოსწავლემ I კითხვარში ერთ-ერთი მასწავლებელი იუმორის გრძნობის მხრივ შეაფასა სამიანზე. იგივე მასწავლებელი აღნიშნული პიროვნული თვისების მხრივ II კითხვარში შეფასებულია ხუთიანზე. ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ მოსწავლის მიერ მასწავლებლის მოცემული პიროვნული თვისებების შეფასებაში აღინიშნება ცვლილება დადებითი მიმართულებით.

ექსპერიმენტული მასალების რაოდენობრივი მაჩვენებლების წარმოდგენა შეიძლება ორი ასპექტით:

1. ვითვალისწინებთ თითოეული მასწავლებლის შეფასებას ყველა პიროვნული თვისებების მიხედვით და გამოგვყავს ის საშუალო ნიშანი, რითაც შეაფასდა მოსწავლის მიერ თითოეული მასწავლებელი I და II კითხვარში. საშუალო ნიშნის გამოყოფა ხდება მარტივად: ვკრებთ ყველა ნიშანს, რაც მასწავლებელმა მიიღო ათივე პიროვნული თვისების მიხედვით და ჯამს ვყოფთ ათზე. ამის შემდეგ ვარკვევთ ცვლილების მიმართულებას I და II კითხვარის საშუალო ნიშანთა შედარების საშუალებით. ვთქვათ, მოსწავლემ I კითხვარში მასწავლებელი შეაფასა საშუალო ნიშნით — 5, ხოლო II კითხვარში საშუალო ნიშნით — 3,5; ვგულისხმობთ, შეფასების საშუალო ნიშანში მოხდა უარყოფითი მიმართულების ცვლილება, რის სიდიდეც გამოიხატება $3{,}5 - 5 = 1{,}5$.

ცალ-ცალკე ვაჯამებთ ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრილი მოსწავლეებისა და იმ მოსწავლეების მაჩვენებლებს, რომლებიც ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ. გარდა ამისა, ც/პირების მიერ ჟიურის წევრთა შეფასებების მაჩვენებლებს გამოვყოფთ იმ მასწავლებელთა შეფასებების მაჩვენებლებისაგან, რომლებიც ჟიურის შემადგენლობაში არ შედიოდნენ.

ჟიურის წევრთა შეფასების მაჩვენებლების შედარება იმ მასწავლებელთა შეფასების მაჩვენებლებთან, რომლებიც ჟიურის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, უნდა იძლეოდეს პასუხს კითხვაზე: მოთხოვნილების რეალიზაციას ან, პირიქით, მოთხოვნილების რეალიზაციის საქმეში ხელის შეშლას, შეუძლია თუ არა და თუ შეუძლია რამდენად შეუძლია ცვლილებები შეიტანოს სოციალური ურთიერთქმედების ობიექტის პიროვნულ თვისებათა შეფასებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღვრიცხეთ და შევაჯამეთ ცვლილებების მაჩვენებლები თითოეული პიროვნული თვისების შეფასების მიმართ. ამ შემთხვევაშიც, ერთი მხრივ, ნაკრების წევრთა და იმ მოსწავლეთა მაჩვენებლები, რომლებიც ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, ცალ-ცალკე დავაჯგუფეთ და, მეორე მხრივ, ჟიურის წევრთა თითოეული პიროვნული თვისებების შეფასების ცვლილების მაჩვენებლები გამოვყავით იმ მაჩვენებელთაგან, რომლებიც ეხებოდნენ დანარჩენ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებას.

ცდების შედეგების დალაგების გაადვილების მიზნით მასწავლებლებს, რომლებიც ვითომდა ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ვუწოდოთ ექსპერიმენტული ჯგუფის მასწავლებლები; ხოლო ის მასწავლებლები, რომლებიც არ შედიოდნენ ვითომდა ჟიურის შემადგენლობაში, პირობითად ჩავთვალოთ საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლებად.

### ცდის შედეგები

98 მოსწავლიდან 46 „მოხვდა“ ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო დანარჩენ 52 მოსწავლეს ამ მხრივ იმედი გაუცრუვდა (ფრუსტრაცია განიცადეს).

ცალ-ცალკე განვიხილოთ იმ მოსწავლეთა ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებმაც ფრუსტრაცია განიცადეს და იმ მოსწავლეთა მონაცემები, რომლებიც მოხვდნენ ნაკრების შემადგენლობაში.

I. იმ ც-პ-თა ექსპერიმენტული შედეგები, რომლებმაც ფრუსტრაცია განიცადეს.

როგორც I ცხრილიდან ჩანს, მოსწავლეებს, რომლებიც ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ და ფრუსტრაცია განიცადეს, პიროვნულ თვისებათა შეფასების საშუალო ნიშანი ჟიურის წევრთა მიმართ (ანუ ფრუსტრაციის უშუალო მიზეზთა მიმართ ძირითადად უარყოფითი მიმართულებით ეცვლებათ.

I ცხრილში მოტანილი რიცხობრივი მაჩვენებლები ეხება:

1) იმ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებას, რომელთაც უარყოფითი ხმა მისცეს მოსწავლეს (ხელი შეუშალეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში);

2) მასწავლებლებს, რომლებმაც დადებითი ხმა მისცეს მოსწავლეს და ამდენად ცდილობდნენ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

3) იმ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებას, რომლებიც არ შედიოდნენ ჟიურის შემადგენლობაში და საერთოდ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ნაკრების წევრთა შერჩევაში (საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები).

თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მასწავლებელთა შეფასების ცვლილებების რიცხობრივ მაჩვენებლებს, რომელთაც უარყოფითი ხმა მისცეს მოსწავლეს და იმ მაჩვენებლებს, რომლებიც ეხებიან საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებას, დავინახავთ:

ა) ის მასწავლებლები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მოსწავლეებს ნაკრებში მოხვედრაში, II კითხვარში მოსწავლეთა მიერ ძირითადად შეფასდებიან უფრო დაბალი საშუალო ნიშნით, ვიდრე I კითხვარში.

ფრუსტრაციის შემდეგ ამ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებისას საშუალო ნიშნის უარყოფითი მიმართულებით შეცვლის რიცხვი მკვეთრად აღემატება დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს. გარდა ამისა,

ცხრილი 1

ცვლილებები პიროვნულ თვისებათა შეფასების საშუალო ნიშნებს შორის

| | ცვლილებები / მასწავლებლები რომელთა პიროვნული თვისებები შეფასდა | მოსწავლეები, რომლებიც ნაკრებში ვერ მოხვდნენ | | | მოსწავლეები რომლებიც ნაკრებში მოხვდნენ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცვლილება უარყოფითი მიმართულებით (—) | ცვლილება დადებითი მიმართულებით (+) | ცვლილება არ აღინიშნება | ცვლილება უარყოფითი მიმართულებით (—) | ცვლილება დადებითი მიმართულებით (+) | ცვლილება არ აღინიშნება |
| მასწავლებლები, რომლებიც შედიოდნენ ჟიურის შემადგენლობაში | მასწავლებლები, რომელთაც მოსწავლეს უარყოფითი ხმა მისცეს | 76 (53 7%) | 22 (16,4%) | 36 (2,9%) | 16 (38,1%) | 6 (14,3%) | 20 (47,6%) |
| | მასწავლებლები, რომელთაც მოსწავლეს დადებითი ხმა მისცეს | 3 (23,07%) | 7 (53,86%) | 3 (23.07%) | 16 (15,8%) | 59 (58,4%) | 26 (25 8%) |
| | მასწავლებლები, რომლებიც არ შედიოდნენ ჟიურის შემადგენლობაში | 72 (30 7%) | 73 (30.7%) | 89 (38,6%) | 49 (22,2%) | 94 (42,9%) | 87 (34,1%) |

დაბალია იმ შემთხვევათა ხვედრითი წილი, როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება. კერძოდ, რიცხობრივი მაჩვენებლები ასეთია:

მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელ მასწავლებელთა შეფასების 134 შემთხვევა გვქონდა. 134-დან უარყოფითი მიმართულების ცვლილების 76 (53,7%) შემთხვევა აღირიცხება;

დადებითი მიმართულების ცვლილებათა მაჩვენებელი უდრის 22 (16,4%); ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება — 36-ის (29,9%) ტოლია.

ბ) რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასების მაჩვენებლებს, აქ არ შეიმჩნევა რაიმე მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. პიროვნული თვისებების შეფასების საშუალო ნიშნებში უარყოფითი და დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი ერთმანეთს უტოლდება; ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა ცვლილება არ აღინიშნება, ოდნავ აღემატება რომელიმე ერთი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს. ამ მასწავლებელთა შეფასების სულ 234 შემთხვევა გვაქვს. 234 შემთხვევიდან უარყოფითი მიმართულების ცვლილების რიცხვი უდრის 72-ს (30,7%); დადებითი მიმართულებით ცვლილების მაჩვენებელი 73-ის (30,7%) ტოლია; ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება, უდრის 89-ს (38,6%). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სიხშირეები თითქმის თანაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად განაწილდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პატარა განსხვავებას, რაც იმ შემთხვევებთანაა დაკავშირებული, როცა ცვლილება არ აღინიშნება.

ამ ორი რიგის (ა და ბ) რიცხობრივ მაჩვენებელთა შედარება გვაფიქრებინებს: პირველ შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ გადახრა მოხდება უარყოფითი მიმართულებით, საკმაოდ დიდია; ხოლო მე-2 შემთხვევაში უარყოფითი და დადებითი მიმართულების ცვლილებები თანაბარ ალბათურნი არიან. თუ შევამოწმებთ $X^2$-ის კრიტერიუმით ჩვენი ცდების მონაცემებს, რომელიც ეხება მოთხოვნილების სუბიექტის მიერ იმ სოციალური ობიექტის პიროვნული თვისებების შეფასებას, რომელმაც მას მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე ჩაუშალა, მივიღებთ სანდოობის მეტად მაღალ მაჩვენებელს: $X^2=27,22$, რაც მნიშვნელოვანია სანდოობის $p<0,001$ დონით.

აღსანიშნავია, რომ ის მოსწავლეები, რომელთაც ფრუსტრაცია განიცადეს, ზოგიერთი მასწავლებლებისაგან ღებულობდნენ დადებით ხმას ნაკრების შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე. სულ იყო ასეთი 13 შემთხვევა. ამ მასწავლებელთა 13 შეფასებიდან 7 შემთხვევაში ვხვდებით შეფასებაში დადებითი მიმართულების ცვლილებას, 3 შემთხვევაში უარყოფითს და 3-ჯერ არ აღიმიშნება არავითარი ცვლილება. მოცემულ შემთხვევათა რიცხვი არ არის დიდი, მაგრამ მაინც შეიძლება ვივარაუდოთ: ფრუსტრაციის შემდეგ მოსწავლეები უფრო ხშირად დადებითი ნიშნით შეაფასებენ იმ მასწავლებლებს, რომელთაც მათ მხარი დაუჭირეს და ეხმარებოდნენ სურვილის განხორციელებაში.

გ) II ცხრილში მოტანილია ის რიცხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ ცვლილებებს თითოეული პიროვნული თვისების შეფასებაში მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელი და საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასებისას. როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდი განსხვავებაა ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა თითოეული პიროვნული თვისების შეფასებაში ცვლილების მაჩვენებლებს შორის.

შესაფასებელ პიროვნულ თვისებათაგან — სამართლიანობა და მოსწავლეთა სწორი შეფასება — შინაარსეულად უშუალოდ უკავშირდებიან მოსწავლის მოთხოვნილების ხასიათს და მისი დაკმაყოფილების ან, პირიქით, არ დაკმაყოფილების პირობებს. მაგალითად, სამართლიანი მასწავლებელი ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანს ღირსეულ მოსწავლეს.

მოსწავლის მოთხოვნილების ხასიათთან არა უშუალოდ და არაპირდაპირად არის დაკავშირებული მასწავლებელთა ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა სიკეთე, მოსწავლეებზე ზრუნვა და დაპირების შესრულება.

რაც შეეხება ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა იუმორის გრძნობა, ხასიათის სიმტკიცე, მოკრძალება, სიმპათიური გარეგნობა და საგნის ცოდნა, მათ არავითარი კავშირი არა აქვთ მოსწავლის მოთხოვნილების ხასიათთან, მისი რეალიზაციის ან რეალიზაციაში ხელის შეშლის პირობებთან.

II ცხრილიდან ჩანს, რომ თუ მასწავლებელი არ აკმაყოფილებს მოსწავლის მოთხოვნილებას, იგი ამ უკანასკნელის მიერ ყველა პიროვნული თვისებების მხრივ შეფასებული იქნება უფრო დაბალი ნიშნით, ვიდრე ფრუსტრაციამდე აფასებდა მას მოსწავლე. შეფასებაში ასეთი უარყოფითი მიმართულების ცვლილებები ეხება არა მარტო ისეთ პიროვნულ თვისებებს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან მოთხოვნილების რეალიზაციის პირობებთან; იმავე ხარისხის ცვლილებებს აქვს ადგილი ისეთი პიროვნული თვისებების შეფასების დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც, რომლებიც მოთხოვნილების არ დაკმაყოფილების პირობების მიმართ არ არიან რელევანტურნი.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შეფასებათა ის მონაცემები, რაც დაკავშირებულია შემდეგ ოთხ პიროვნულ თვისებასთან: სამართლიანობა, მოსწავლეთა სწორი შეფასება, იუმორის გრძნობა და სიმპათიური გარეგნობა.

ცხრილი 2

ფრუსტრაციის ჯგუფის მოსწავლეთა მიერ იმ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასების მაჩვენებლები, რომელთაც მოსწავლეს უარყოფითი ხმა მისცეს

| | | მასწავლებლები, რომლებიც ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ | | | მასწავლებლები, რომლებიც ჟიურის შემადგენლობაში არ შედიოდნენ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პიროვნული თვისებები \ ცვლილებები | ცვლილება უარყოფითი მიმართულებით (—) | ცვლილება დადებითი მიმართულებით (+) | ცვლილება არ აღინიშნება | ცვლილება უარყოფითი მიმართულებით | ცვლილება დადებითი მიმართულებით | ცვლილება არ აღინიშნება |
| 1. | სამართლიანობა | 49 | 13 | 84 | 25 | 23 | 189 |
| 2. | იუმორის გრძნობა | 48 | 11 | 87 | 39 | 35 | 163 |
| 3. | ხასიათის სიმტკიცე | 49 | 10 | 87 | 48 | 41 | 148 |
| 4. | სიკეთე | 45 | 10 | 91 | 27 | 30 | 180 |
| 5. | მოკრძალება | 43 | 12 | 90 | 34 | 38 | 165 |
| 6. | სიმპათიური გარეგნობა | 36 | 12 | 97 | 32 | 27 | 178 |
| 7. | მოსწავლეებზე ზრუნვა | 33 | 11 | 100 | 31 | 37 | 169 |
| 8. | დაპირების შესრულება | 48 | 14 | 84 | 39 | 42 | 156 |
| 9. | მოსწავლეთა სწორი შეფასება | 47 | 16 | 82 | 31 | 37 | 169 |
| 10. | საგნის ცოდნა | 36 | 8 | 111 | 15 | 16 | 206 |

თუ სამართლიანობა და მოსწავლეთა სწორი შეფასება ისეთი პიროვნული თვისებებია, რომლებიც ფრუსტრაციის პირობების რელევანტურნი არიან, ასეთი რამ არ ითქმის ისეთი პიროვნული თვისებების მიმართ, როგორიცაა იუმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გრძნობა და სიმპათიური გარეგნობა. ორივე პიროვნული თვისებების შესახებ შეიძლება ერთი და იგივე ითქვას: ხელის შემშლელი (ექსპერიმენტული ჯგუფის) მასწავლებლების შეფასებაში აღინიშნება უარყოფითი ხასიათის ცვლილებებისკენ ტენდენცია. უარყოფითი მიმართულების ცვლილებები საგრძნობლად აღემატებიან დადებითი მიმართულების ცვლილებებს. კერძოდ, ორივე შემთხვევაში უარყოფითი ცვლილებების რიცხვი 3—4-ჯერ აღემატება დადებითი მიმართულების ცვლილებების რიცხვს. იგივე პიროვნული თვისებების შეფასებაში არ აღინიშნება არავითარი ტენდენცია, როცა საქმე ეხება საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებას. ამ შემთხვევაში უარყოფითი და დადებითი ცვლილებების შემთხვევათა რიცხვი თითქმის ერთმანეთს უტოლდება. ამ ორი ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასების მაჩვენებელთა შედარება ნათლად გვიჩვენებს ფრუსტრაციის უშუალოდ გამომწვევი მასწავლებლის (ფრუსტრატორის) პიროვნული თვისებების შეფასების ხასიათში ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს მეტად მაღალ სანდოობას.

როგორც II ცხრილიდან ჩანს, მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელი მასწავლებლების პიროვნული თვისებების შეფასებაში ცვლილებები თანაბარი ხასიათით არის წარმოდგენილი: ყველა პიროვნული თვისებების შეფასებისას უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი საგრძნობლად აღემატება დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს. მხოლოდ ერთი გარემოების აღნიშვნა შეიძლება: ფრუსტრაციის პირობების მიმართ არარელევანტური პიროვნული თვისებებიდან საგნის ცოდნის, მოსწავლეებზე ზრუნვისა და სიმპათიური გარეგნობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ოდნავ მეტი რაოდენობა აღირიცხება იმ შემთხვევებისა, როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება. სამაგიეროდ არის შემთხვევები როცა ფრუსტრაციის მიმართ არარელევანტური პიროვნული თვისებების შეფასებაში უფრო მეტი რაოდენობით ვხვდებით უარყოფითი მიმართულების ცვლილებებს, ვიდრე ფრუსტრაციის პირობების მიმართ რელევანტური პიროვნული თვისებების შეფასების შემთხვევაში. კერძოდ, ასეთ სურათს ნათლად ვხედავთ იუმორის გრძნობისა და მოსწავლეთა სწორი შეფასების მაჩვენებელთა შედარებისას. იუმორის გრძნობის შეფასებისას უარყოფითი მიმართულების ცვლილებების რიცხვი უფრო მკვეთრად აღემატება დადებითისას, ვიდრე ამას აქვს ადგილი ისეთი პიროვნული თვისებების შეფასების შემთხვევაში, როგორიცაა მოსწავლეთა სწორი შეფასება.

### იმ ც/პირთა ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც მოხვდნენ ნაკრების შემადგენლობაში

I ცხრილში მოტანილია ის რიცხობრივი მონაცემებიც, რომლებიც ეხებიან ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილ მოსწავლეთა მიერ მასწავლებლების პიროვნული თვისებათა შეფასებისას საშუალო ნიშნის შეცვლის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. მოსწავლეთა მიერ პიროვნული თვისებების მხრივ შეფასებულია:

1. მასწავლებლები, რომელნიც ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ და დადებითი ხმა მისცეს მოსწავლეს ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრის თაობაზე;

2. მასწავლებლები, რომელთაც უარყოფითი ხმა მისცეს მოსწავლეს და ამით ხელს უშლიდნენ მას სურვილის განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მასწავლებლები, რომლებიც არ შედიოდნენ ჟიურის შემადგენლობაში და არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ნაკრების კანდიდატების შერჩევაში (საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები).

ა) განვიხილოთ იმ მოსწავლეთა შეფასების რიცხობრივი მაჩვენებლები, რომელთაც დადებითი ხმა მისცეს მოსწავლეს და ამით უზრუნველჰყვეს მისი სურვილის განხორციელება. შეფასების საშუალო ნიშანთა შეცვლის რაოდენობრივი მაჩვენებლები ასეთია: შეფასების შემთხვევები უდრის 101-ს; აქედან დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი 59-ის (58,4%) ტოლია; უარყოფითი მიმართულების ცვლილებებს 16-ჯერ (15,8%) ჰქონდა ადგილი; ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა არავითარი ცვლილება არ შეიმჩნევა საშუალო ნიშნის შეფასებისას — 26-ს (25,8%) უდრის.

როგორც ვხედავთ, აღინიშნება გარკვეული ტენდენცია: დადებითი მიმართულებით შეიცვალოს იმ პიროვნების შეფასების ხასიათი, რომელიც აკმაყოფილებს შემფასებელი სუბიექტის მოთხოვნილებას. ხვედრითი წილი იმ შემთხვევებისა, როცა ცვლილება არ აღინიშნება, დაბალია. აღნიშნული ტენდენციის სანდოობის მნიშვნელობა საკმაოდ მაღალია — $X^2 = 14{,}76$, რაც მნიშვნელოვანი სანდოობის $p < 0{,}001$ დონით.

სანდოობის მნიშვნელობა დავადგინეთ საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასების რაოდენობრივ მაჩვენებლებთან შედარების შედეგად.

ბ) რაოდენობრივი მაჩვენებლები იმ მასწავლებელთა შეფასებისა, რომელთაც „უარყოფითი ხმა“ მისცეს მოსწავლეს და ამით გამოდიოდნენ მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელთა როლში, ასეთ სურათს იძლევიან: დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი უდრის 16-ს; (38,1%) უარყოფითი მიმართულებისა 6-ს (14,3%), ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა ცვლილება არ აღინიშნება, უდრის 20-ს (47,6%). როგორც ვხედავთ, აქ ორ ძირითად ტენდენციასთან გვაქვს საქმე: 1) შეფასების ნიშნის არ შეცვლა და 2) ცვლილება უარყოფითი მიმართულებით. დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი კი ამ მასწავლებელთა შეფასებისას ძალიან მცირეა.

შევადაროთ ეს მაჩვენებლები იმ რიცხობრივ მაჩვენებლებს, რასაც ადგილი ჰქონდა მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელი მასწავლებლების (ფრუსტრატორების) შეფასებისას იმ მოსწავლეთა მიერ, რომელთაც ფრუსტრაცია განიცადეს (ე. ი. ნაკრებში ვერ მოხვდნენ).

მოსწავლეთა ორივე ჯგუფში შეიმჩნევა ერთი ტენდენცია: უარყოფითი მიმართულების ცვლილებები მკვეთრად ჭარბობენ დადებითი მიმართულების ცვლილებებს ხელის შემშლელი მასწავლებლების პიროვნული თვისებების შეფასებისას. მაგრამ ც. 3-თა იმ ჯგუფში, რომელთა მოთხოვნილების რეალიზაციაც მოხდა (ე. ი. ნაკრებში მოხვედრილი მოსწავლეები), შეფასების ნიშნის არ შეცვლის შემთხვევები ყველაზე მეტი რაოდენობით არის წარმოდგენილი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ შემთხვევათა რიცხვი, როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება შეფასებაში, აღემატება კიდეც უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს, თუმცა ასეთი განსხვავება სიხშირეებს შორის უმნიშვნელოა. რაც შეეხება ფრუსტრაციის ჯგუფის მოსწავლეთა შეფასების რიცხობრივ მაჩვენებლებს, ვხედავთ, რომ უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი მეტად საგრძნობლად აღემატება როგორც დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს, ისე იმ შემთხვევებს როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება. აქ ერთი ძირითადი ტენდენცია დომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანტობს, კერძოდ, ტენდენცია შეფასების უარყოფითი მიმართულებით შეცვლისა.

გ) სპეციალურ ყურადღებას იპყრობს საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებისას საშუალო ნიშანთა შეცვლის რაოდენობრივი მაჩვენებლები. ნაკრებში მოხვედრილ მოსწავლეთა რაოდენობრივი მაჩვენებლები საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასების ცვლილებების შესახებ განსხვავდება იმ მოსწავლეთა მაჩვენებლებისაგან, რომელნიც ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ (ფრუსტრაცია განიცადეს). კერძოდ, თუ ფრუსტრაციის ჯგუფის მოსწავლეთა რაოდენობრივ მაჩვენებლებში აღინიშნებოდა დადებითი და უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვის თანაბარი განაწილება, ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა ცვლილება არ აღინიშნება, აღემატება ცალ-ცალკე აღებულ დადებითი და უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს, სულ სხვა სურათი გვაქვს ამ მხრივ ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილ მოსწავლეთა მიერ საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასებების შემთხვევაში. აქ საშუალო ნიშანთა ცვლილებების რაოდენობათა განაწილების სურათი ასეთია: საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასების 220 შემთხვევიდან დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი უდრის 94-ს (42,9%); უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი — 49-ს (22,2%); ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა არავითარი ცვლილება არ შეიმჩნევა შეფასებაში, 77-ის (34,1%) ტოლია. როგორც ვხედავთ, დადებითი და უარყოფითი მიმართულების ცვლილებების შემთხვევების განაწილება არათანაბარია: დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი სჭარბობს უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა შემთხვევების რიცხვს; გარდა ამისა, იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა არავითარი ცვლილება არ აღინიშნება, ცოტათი, მაგრამ მაინც ნაკლებია დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვზე. შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული ტენდენცია (რასაკვირველია, შედარებით მკრთალი) საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების დადებითი მიმართულებით გადაფასებისა. სავარაუდოა, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ მოსწავლენი დადებითად განეწყვნენ იმ მასწავლებელთა მიმართაც, რომლებიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ მათი სურვილების განხორციელებაში.

დ) III ცხრილის მონაცემები ეხებიან ც/პირების მიერ მასწავლებელთა თითოეული პიროვნული თვისების შეფასებაში ცვლილებებს. ცხრილის რაოდენობრივი მაჩვენებლები ათივე პიროვნული თვისების შეფასებაში ცვლილებებს აღნუსხავენ. აქ მოტანილია შედეგები იმ მასწავლებელთა შეფასებისა, რომლებიც „დადებით ხმას აძლევდნენ" მოსწავლეებს ნაკრების კანდიდატად წამოყენების თაობაზე (ხელს უწყობდნენ სურვილის განხორციელებაში) და საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასების შედეგები.

მოსწავლის სურვილის განხორციელებაში ხელის შემწყობი მასწავლებლების თითქმის ყველა პიროვნული თვისების შეფასების ხასიათის ცვლილებების შესახებ შეიძლება ითქვას; ცვლილება ძირითადად ხდება დადებითი მიმართულებით. დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი ყველა პიროვნული თვისების შეფასების შემთხვევაში (ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ დაპირების შესრულება) საგრძნობლად აღემატება უარყოფითი მიმართულების ცვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3

ნაკრებში მოხვედრილ მოსწავლეთა მიერ იმ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასების მაჩვენებლები რომლებმაც დადებითი ხმა მისცეს მოსწავლეს

| | ცვლილებები / პიროვნული თვისებები | მასწავლებლები, რომლებიც ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ | | | მასწავლებლები, რომლებიც ჟიურის შემადგენლობაში არ შედიოდნენ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უარყოფითი მიმართულების ცვლილებები | დადებითი მიმართულების ცვლილებები | ცვლილება არ აღინიშნება | უარყოფითი მიმართულების ცვლილებები | დადებითი მიმართულების ცვლილებები | ცვლილება არ აღინიშნება |
| 1. | სამართლიანობა | 2 | 18 | 87 | 16 | 36 | 155 |
| 2. | იუმორის გრძნობა | 9 | 37 | 41 | 23 | 52 | 132 |
| 3. | ხასიათის სიმტკიცე | 13 | 31 | 44 | 23 | 36 | 148 |
| 4. | სიკეთე | 6 | 24 | 57 | 23 | 39 | 145 |
| 5. | მოკრძალება | 7 | 33 | 47 | 16 | 46 | 145 |
| 6. | სიმპათიური გარეგნობა | 8 | 28 | 51 | 11 | 36 | 160 |
| 7. | მოსწავლეებზე ზრუნვა | 4 | 26 | 57 | 11 | 39 | 157 |
| 8. | დაპირების შესრულება | 19 | 22 | 46 | 24 | 46 | 137 |
| 9. | მოსწავლეთა სწორი შეფასება | 8 | 24 | 55 | 22 | 45 | 140 |
| 10. | საგნის ცოდნა | 2 | 9 | 75 | 4 | 15 | 188 |

ლებათა რიცხვს. ზოგი პიროვნული თვისების შეფასებისას დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი ორჯერ აღემატება უარყოფითისას, ზოგი პიროვნული თვისების შეფასებისას სამჯერ და ოთხჯერ, ხოლო სამართლიანობის შეფასებისას ცხრაჯერაც კი. მხოლოდ დაპირების შესრულების მიმართ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დადებითი და უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი თითქმის ერთმანეთს უტოლდება. საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასების დროსაც დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი აღემატება უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვს. ეს შეიძლება ითქვას ყველა პიროვნული თვისებების მიმართ. როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილიდან ჩანს, ამ მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებაში დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი უარყოფითისას ზოგან აღემატება 1,5-ჯერ, ზოგან კი ორჯერ და სამჯერ.

მაშასადამე, ორივე ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებაში ძირითადად ჭარბობს დადებითი მიმართულების ცვლილებები.

მაგრამ ამ მხრივ მაინც არის განსხვავება ამ ორი რიგის შეფასებათა მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, დადებითი მიმართულების ცვლილებები უფრო მეტი ხარისხით აღემატებიან უარყოფითი ხასიათის ცვლილებებს იმ მასწავლებელთა შეფასებისას, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოსწავლეს სურვილის განხორციელებაში, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასებისას აღემატებიან დადებითი მიმართულების ცვლილებები უარყოფითისას. მაგალითად, პიროვნული თვისების — იუმორის გრძნობის — შეფასების შემთხვევაში ასეთი შეფარდებითი მაჩვენებლები გვაქვს:

1) ხელის შემწყობი მასწავლებლების შეფასება:
   დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი — 37;
   უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი — 9;
2) საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასება:
   დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი — 52.
   უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი — 23.

ე. ი. თუ ერთგან დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი უარყოფითისას აღემატება 4-ჯერ, მეორეგან აღემატება 2,01-ჯერ. განსხვავება რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის ნათელია.

ორი პიროვნული თვისების — სიმპათიური გარეგნობისა და საგნის ცოდნის — შეფასებისას თანაბარი სიძლიერის დადებითი მიმართულების ცვლილების ტენდენცია შეიმჩნევა ორივე ჯგუფის მასწავლებელთა მიმართ; ხოლო დაპირების შესრულების მხრივ საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასებისას დადებითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი უფრო მეტად აღემატება უარყოფითისას, ვიდრე ამას აქვს ადგილი მოსწავლის სურვილის განხორციელებაში ხელის შემწყობი მასწავლებლის შეფასებისას.

სხვა შემთხვევებში, ხელის შემწყობი მასწავლებლებისა და საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებაში რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის განსხვავება აშკარაა.

## დასკვნები

1. ფრუსტრაციის შემდეგ მოსწავლე იმ მასწავლებელს, რომელიც ფრუსტრაციის უშუალო გამომწვევია (ფრუსტრატორია) პიროვნული თვისებების მხრივ ძირითადად შეაფასებს უფრო დაბალი ნიშნით, ვიდრე ფრუსტრაციამდე აფასებდა, ასეთი უარყოფითი ხასიათის ცვლილება შეფასებაში ვრცელდება მასწავლებელთა ყველა იმ პიროვნულ თვისებებზე, რომელთა შეფასებაც მოეთხოვებოდა ექსპერიმენტში მოსწავლეებს. ფრუსტრაციის ხასიათის მიმართ რელევანტური და არარელევანტური პიროვნული თვისებების შეფასებისას უარყოფითი მიმართულების ცვლილებებს თითქმის თანაბარი სიძლიერით აქვს ადგილი.

რაც შეეხება იმ მასწავლებლებს, რომლებიც საერთოდ არ შედიოდნენ ჟიურის შემადგენლობაში და ამდენად არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლის ფრუსტრაციასთან (საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები) მოსწავლეთა მიერ მათი პიროვნული თვისებების შეფასების დროს დადებითი და უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა რიცხვი ერთმანეთს უტოლდება. ერთი სიტყვით, ფრუსტრაცია ამ მასწავლებლების პიროვნული თვისებების შეფასებაზე გავლენას არ ახდენს და აქ არავითარი ტენდენცია არ შეიმჩნევა შეფასების ხასიათის რომელიმე ერთი მიმართულებით შეცვლის თვალსაზრისით.

2. მოთხოვნილების რეალიზაციის შემდეგ ის მასწავლებლები, რომელთა უშუალო მონაწილეობითა და ხელის შეწყობით განხორციელდა მოსწავლის სურვილი, მოსწავლეების მიერ პიროვნული თვისებების მხრივ შეფასდებიან უფრო მაღალი ნიშნით, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი მოსწავლის მოთხოვნილების რეალიზაციამდე. შეფასებაში ასეთი დადებითი მიმართულების ცვლილებები სჭარბობენ ამ მასწავლებელთა თითქმის ყველა პიროვნული თვისების შეფასების დროს. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ დაპირების შესრულება.

საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა პიროვნული თვისებების შეფასებისას მოთხოვნილების რეალიზაციის შემდეგ შეიმჩნევა დადებითი მიმართულების ცვლილებათა სიჭარბე უარყოფითი მიმართულების ცვლილებებთან შედარებით. ეს მიუთითებს გარკვეულ ტენდენციაზე; დადებითი მიმართულებით შეიცვალოს პიროვნულ თვისებათა შეფასების ხასიათი არა მარტო იმ მასწავლებლების შეფასებისას, რომლებიც უშუალოდ ხელს უწყობდნენ მოსწავლეს სურვილის განხორციელებაში, არამედ იმ მასწავლებელთა შეფასების დროსაც, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მოსწავლის მოთხოვნილების რეალიზაციის პირობებთან. დადებითი მიმართულების ცვლილებების ხარისხი პირველ შემთხვევაში საკმაოდ აღემატება ასეთივე ცვლილების ხარისხს საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელთა შეფასების დროს.

3. როცა მოსწავლე ფრუსტრაციას განიცდის და ამის შემდეგ უნდა შეაფასოს ის პიროვნება, რომელიც მისი სურვილის განხორციელებას ხელს უწყობდა (დადებით ხმას აძლევდა), პიროვნული თვისებების შეფასებაში ზოგადად დადებითი მიმართულების ცვლილებები აღინიშნება. ექსპერიმენტული მონაცემები ამის შესახებ არ არის საკმაოდ დიდი რაოდენობის და ასეთი დასკვნის გამოტანა არ არის შესაძლებელი სრული გაბედულებით. ყოველ შემთხვევაში, შეფასებაში ასეთი ცვლილება სავარაუდოა.

4. რაც შეეხება უარყოფითი მიმართულების ცვლილებებს იმ შემთხვევაში, როცა ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილი მოსწავლე (ე. ი. ის მოსწავლე, რომლის სურვილიც განხორციელდა) აფასებს იმ მასწავლებელს, რომელიც მისი მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელის როლში გამოდის („უარყოფით ხმას აძლევს“), ასეთი უარყოფითი ხასიათის ცვლილებების ტენდენციაზე საკმაო დარწმუნებულობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მაგრამ ამ ტენდენციაზე ოდნავ უფრო ძლიერია შეფასების ნიშნის არშეცვლის ტენდენცია.

ექსპერიმენტული მასალები უფლებას გვაძლევენ წამოვაყენოთ შემდეგი მოსაზრება: ფრუსტრაციის შინაგანი მდგომარეობის ფონზე მოთხოვნილების რეალიზაციის საქმეში ხელის შემშლელი პიროვნებების (ფრუსტრატორების)

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეფასების დროს დომინანტობს შეფასების ნიშნის უარყოფითი მიმართულებით შეცვლის ტენდენცია; ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების შინაგანი მდგომარეობის ფონზე მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემშლელი პიროვნებების შეფასებისას უარყოფითი მიმართულების ცვლილების ტენდენციასთან ერთად საქმე გვაქვს ცოტათი უფრო ძლიერ შეფასების ნიშნის არშეცვლის ტენდენციასთან. მოთხოვნილების რეალიზაციის გამო სუბიექტი ტოლერანტულია (შემწყნარებელია) იმ პიროვნების მიმართ, რომელიც ხელს უშლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში და თითქმის თანაბარი ალბათობით არიან წარმოდგენილნი შეფასებაში უარყოფითი მიმართულების ცვლილებები და შეფასების ნიშნის არშეცვლის შემთხვევები. ფრუსტრაციის შემთხვევაში კი ტოლერანტობაზე ლაპარაკიც ზედმეტია და ამის გამო უარყოფითი ხასიათის ცვლილებები შეფასებაში მკვეთრად დომინანტობს.

5. ფრუსტრაციის შემთხვევაში უარყოფითი მიმართულების ცვლილების ტენდენცია ეხება მხოლოდ იმ პიროვნებათა შეფასებას, რომლებიც უშუალოდ უშლიდნენ ხელს სუბიექტს მოთხოვნილების რეალიზაციაში. ასეთი ტენდენცია არ შეიმჩნევა იმ პიროვნებათა შეფასებისას, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სუბიექტის ფრუსტრაციის საქმეში (საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები).

სუბიექტის მოთხოვნილების რეალიზაციის შემთხვევაში დადებითი ხასიათის ცვლილებების ტენდენცია აღინიშნება არა მხოლოდ იმ პიროვნებათა შეფასებისას, რომლებიც უშუალოდ უწყობდნენ ხელს სუბიექტს სურვილის განხორციელებაში, არამედ იმ პიროვნებათა მიმართაც, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ სუბიექტის მოთხოვნილების რეალიზაციის საქმეში (საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები). მართალია, ამ უკანასკნელთა პიროვნული თვისებების შეფასებაში დადებითი მიმართულების ცვლილების ტენდენციის ხარისხი შედარებით ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემწყობი პიროვნებების შეფასებისას, მაგრამ ასეთი ტენდენცია, მაინც საკმაოდ საგრძნობია.

ერთი სიტყვით, ფრუსტრაციის შემთხვევაში პიროვნულ თვისებათა შეფასებაში უარყოფითი მიმართულების ცვლილებები ეხება მხოლოდ იმ პიროვნებებს, რომლებიც უშუალოდ უშლიდნენ ხელს სუბიექტს მოთხოვნილების რეალიზაციაში. ასეთი სახის ცვლილების ტენდენცია არ შეიმჩნევა იმავე ჯგუფის (ე. ი. მასწავლებლების) დანარჩენი პიროვნებების შეფასებისას, თუ კი ისინი საერთოდ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ სუბიექტის მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შეშლის საქმეში და ამ მხრივ ინდიფერენტული პოზიცია ეჭირათ.

ხოლო მოთხოვნილების რეალიზაციის შემთხვევაში დადებითი მიმართულების ცვლილებები ეხება არა მარტო სუბიექტის მოთხოვნილების რეალიზაციაში ხელის შემწყობი პიროვნებების შეფასებას, არამედ ვრცელდება იგივე ჯგუფის (ე. ი. მასწავლებელთა ჯგუფის) დანარჩენი პიროვნებების მიმართაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ სუბიექტის მოთხოვნილების რეალიზაციის საქმეში და ამ მხრივ ინდიფერენტული პოზიცია ეჭირათ.

საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ ფრუსტრაციის შემთხვევაში უარყოფითი ხასიათის განწყობა ინტენსიურად კონცენტრირდება ფრუსტრაციის უშუალო მიზეზზე, ხოლო მოთხოვნილების რეალიზაციის პირობებში დადებითი მიმართულების განწყობა ექსტენსიური ხასიათისაა და არა მარტო მოთხოვნილების რეალიზაციის უშუალო მიზეზზე ვრცელდება, არამედ ეხება სხვა პიროვნებებსაც, თუ ეს უკანასკნელნი ეკუთვნიან იმ ჯგუფს, რომლის წევრიცაა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ხელის შემწყობი პიროვნება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

Шалва ЧХАРТИШВИЛИ

# ПОТРЕБНОСТЬ И ВОЛЯ

## К ПРИРОДЕ ПОТРЕБНОСТИ

Поведение всегда непосредственно или опосредованно служит делу удовлетворения потребности. Потребность представляет «идеальное внутреннее побуждающее начало производства». Она есть предпосылка этой специфической активности человека. Действия человека, не имеющего в виду какую-либо собственную или чужую потребность, не направленные на потребление, поиски, созидание или сохранение средств ее удовлетворения не является поведением. Вот почему, по мнению Маркса, все богатство человеческой деятельности для психолога выражается в словах «потребность», «общая потребность».

Однако высказанное не означает, что единственным источником человеческой активности является потребность, что энергию, необходимую для организации и реализации каждого поступка, она черпает только из резервов актуальной потребности. По нашему мнению, существует в качестве воли второй специфический для человека источник, который можно назвать источником личного поведения. В чем основная разница между этими двумя источниками поведения?

В организации поведения потребность участвует в двух, существенно отличающихся друг от друга формах: как живой факт потребности и как идея потребности. Факт потребности является субъективным фактором импульсивного поведения, и в соответствующей ситуации определяет все протекание поведения; идея же потребности входит в состав идейной ситуации волевого поведения и участвует в определении особенностей волевого поведения со стороны объективной действительности.

Какова психологическая природа потребности, какими специфическими признаками она обладает? Выяснение этого вопроса имеет особое значение для того, чтобы установить, какие явления можно объединить под общим понятием потребности, и какое направление принимает поведение человека на основе этих явлений. Большая часть психологов полагает, что единственным источником поведения как животного, так и человека, является потребность, что каждый поступок опирается на импульс потребности. Психологический анализ потребности способствует выяснению, насколько правильно это, последнее соображение;

а) одна из общих особенностей потребности, признаваемая всеми, заключается в том, что она содержит тенденцию активности. Длительная задержка последней вызывает неприятную напряженность и неудовольствие. Та потребность, которая удовлетворяется без всякой задержки остается психологически незамеченной, она не переживается как желание и стремление. Так происходит, например, когда мы дышим, находясь на свежем воздухе. Не чувствуется также и потребность среды, обставленной с тонким эстетическим вкусом, если эта среда у нас есть. В

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

естественных условиях, очевидно, и рыба не ощущает жажды. Как видно, одним из обязательных условий возникновения психологического факта потребности является торможение, задержка активности в определенном направлении. Вне такой задержки не существует потребностей, желания и стремления.

Для примера возьмем голод. Важным условием возникновения психологического состояния голода является задержка активности, связанной с процессами питания. Как только путем актов соответствующего поведения, пищеварительная система получит материал, необходимый для ее активности, переживание голода исчезает, психологический процесс питания кончается и уступает место активности внутренне-биологического порядка: органы пищеварения продолжают выделение питательного материала из полученных веществ. Переработанные питательные вещества поступают в кровь, и она несет их клеткам. Здесь заслуживает внимания то, что переживание голода прекращается до начала настоящего процесса питания — за 5—6 часов до того, как истощенные клетки получат пищу. Как видим, психическое состояние голода не связано только с иссяканием в клетках питательных веществ, важнейшим его условием является задержка активности, характерной для пищеварительной системы. Питание нужно и самим истощенным клеткам для такой активности, которая является их природой, их жизнью, без которой они как живые клетки не могут существовать.

Потребность — это явление, производное от активности. Жизнь сама по себе является активностью. Поэтому стремление к активности заложено в ее природу с самого начала.

Формы жизни или самоактивности меняются вместе с изменениями объективных условий, достигая в конце концов уровня духовной жизни. Потребность проявляется, благодаря задержке той или иной формы жизни, того или иного вида активности. В ней всегда содержится требование того, что необходимо для нормального протекания заторможенной жизни, сдержанной активности. Поэтому формы потребности меняются вместе с формами жизни или активности.

Каждая предметная потребность как психический факт подразумевает задержку действия. Поэтому понятно, что от нее берет начало такая тенденция активности, такой импульс поведения, который должен обеспечить условия, необходимые для нормального развертывания этой задержанной активности.

Эта сторона потребности еще более ярко выражена в духовных потребностях. Теоретическую или эстетическую потребность удовлетворяет не только тот опыт, который получает человек в результате поисков истины и переживания прекрасного, но для него необходима сама активность, которой является исследование и эстетическое созерцание художественного произведения. Преимущество, можно сказать, принадлежит этой последней. Раз полученное, пережитое теоретическое или эстетическое содержание не переваривается в организме, подобно пище, а остается в виде опыта личности. Несмотря на это, каким бы богатым ни был этот опыт, сам по себе он не может обеспечить второй раз удовлетворение потребности. Для этого необходимы новые поиски истины и обновленное созерцание прекрасного. Если бы это было не так, психологический факт культурного прогресса человека был бы невозможен.

Человек никогда не удовлетворяется достигнутым, поскольку жизнь — это не состояние, а активность, которая обретает смысл в достижении того или иного состояния;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

б) потребность побуждает субъекта не вообще к любой возможной активности, а направляет его к тем предметам и явлениям, в которых потребность сама находит удовлетворение. Потребность в данных объективных условиях дает активности определленное направление. В этом её основная особенность, которую учитывает современная психология потребности.

Потребность возникает в результате задержки тенденции к активности какого-либо конкретного содержания и находит удовлетворение в тех предметах и явлениях, которые обеспечивают нормальное развитие этой задержанной активности. Когда, например, у организма иссякает материал — питательные вещества, нужные для внутренней активности огрганизма, возникает голод, побуждающий к обеспечению и внесению в организм этого материала.

В данной среде анатомно-физиологические возможности выполнения активности, нужной для поисков и добывания пищи, выработались у индивидов в борьбе за обеспечение условий, необходимых для первичной или внутренней активности жизни и стали на службу этой активности. Благодаря этому жизнь развернулась и приобрела новую форму, проявила себя во внешней активности, которая позже приняла в некотором роде автономный характер. Задержка активности этого нового вида стала источником новой, своеобразной природы потребности, поскольку жизнь анатомно-функциональной структуры организма, реализующей внешнее действие, не может продолжаться без активности. Ее существование — в характерной для нее активности.

То же самое можно сказать и относительно интеллекта. В результате исторических изменений жизненных условий возникли трудности на пути целесообразного управления практическим действием. В борьбе с этими трудностями развился интеллект, первейшая цель которого выражается в обслуживании практического действия. Он указывал и указывает субъекту пути практического действия и средства выхода из возникающих трудностей. В этом заключается повседневная задача интеллекта, однако и интеллект приобрел автономию и начал жить собственной жизнью. Вместе с ним появилась потребность его собственной активности, поскольку без такой активности не существует интеллект. Форма существования интеллекта — интеллектуальная активность, интеллектуальная жизнь. В форме этой активности и существует интеллект в целостной системе личности;

в) потребность подразумевает нехватку, недостаток тех предметов и явлений, которые составляют условие физического и духовного существования, физической и духовной активности субъекта. Поэтому она переживается в виде более или менее определенной нехватки. Потребность в самой себе содержит некое чувственное, с л е п о е  э м о ц и о н а л ь н о е  о т р а ж е н и е  т о й  с ф е р ы  действительности, в которой возможно ее удовлетворение. Психологически потребности более всего отличают друг от друга именно это  ч у в с т в е н н о е  п е р е ж и в а н и е  н е д о с т а ю щ е г о  п р е д м е т а  и л и  я в л е н и я. Там, где это переживание не имеет места, там нет и психологического факта потребности. Это переживание безошибочно указывает индивиду в чем оно нуждается, каковы его потребности. Интеллектуальное сознание недостачи предмета потребности опирается на самую потребность как на непосредственное чувственное переживание этого предмета.

Чувство потребности отражает предмет потребности не как явление внешней действительности, существующей независимо от субъекта, а как определенную нехватку в нормальном протекании жизни. Что представляет собой эта нехватка сама по себе как явление, существую-

ეროვნული ბიბლიოთეკა

щее вне субъекта, какой природой и формой она обладает, — это может постичь только интеллектуальное, предметное сознание;

г) каждая потребность представляет собой отдельную автономию: одна потребность не прилагается к какой-нибудь второй потребности и не создает вместе с ней общий факт потребности (В. Т. Дежнев). В случае одновременного возникновения голода и жажды, голод переживается как голод, а жажда — как жажда. Импульсы поведения, нужные для их удовлетворения, они дают независимо друг от друга. То же самое можно сказать относительно высших потребностей. Невозможно, чтобы потребность вызвала импульсы такого поведения, которое не ставит целью удовлетворение этой потребности, а обслуживает какую-нибудь другую потребность. Каждая потребность заботится только о себе и стремится быть удовлетворенной в кратчайшее время и по возможности — максимально. Сдерживание не соответствует, более того, противоречит ее природе;

д) потребность вызывается актуальной нехваткой в протекающей жизни и делает все для заполнения этой нехватки. Дальше она вообще и не смотрит. Побуждение таких актов поведения, которые заботятся о завтрашних потребностях, о будущей жизни, исключено из ее природы. Сегодняшний голод не может привести в движение ни один мускул ради голода, который возникает завтра, завтрашний голод же вообще не даст никакого импульса активности, поскольку сегодня он существует только в виде идеи.

Идея потребности является необходимым условием человеческого поведения, но не источником энергии человеческого поведения. Тот, кто считает идею энергетическим источником поведения, отнимает у нее настоящую природу и стирает всякую разницу между идеей и тем отрезком действительности, отражением которого является эта идея. Благодаря вышеуказанному обстоятельству, потребность целиком подчиняет индивид настоящему протеканию жизни и отнимает возможность думать и заботиться о будущем (о тех потребностях, которые возникнут у него в будущем). Потребность, условий удовлетворения которой сейчас нет, но в будущем они могут создаться, направляет индивид к будущему, однако только для заполнения нехватки в настоящем, а вовсе не ради той потребности, которая появится у него в будущем. Если бы это было возможным, потребность тотчас же перенесла бы будущее в настоящее для того, чтобы немедленно получить удовлетворение.

Потребности, связанные с самосохранением и продолжением рода, чаще всего развивают такое поведение, естественный результат которого служит задачам будущей жизни, но психологически акты такого поведения осуществляются для удовлетворения теперешней жизни и в своей целеустремленности не принимают во внимание интересов будущего. Они стремятся к тому, чтобы получить в настоящем протекании жизни как можно больше удовольствия. Импульс потребности самосохранения, как бы это не было необходимо для здоровья, не может заставить индивида выпить горькое и неприятное лекарство или сделать болезненную операцию, поскольку акты такого поведения вносят в актуальное протекание жизни значительные неудовольствия. Их полезность может проявиться только в будущем;

е) потребность с момента своего возникновения до ликвидации дает импульсы, необходимые для ее удовлетворения, если она не ограничена извне влиянием другой потребности или какого-либо другого фактора. Ее импульсам одинаково подчиняются возможности как внешней практической, так и внутренней — психологической активности. В данных объективных усло-

ეროვნული ბიბლიოთეკა

виях под влиянием импульса потребности процессы воображаения и мышления, необходимые для удовлетворения этой потребности, могут быть вызваны также легко, как движения органов чувств и моторного аппарата, служащие той же задаче.

Согласно взгляду, утвердившемуся в психологической науке, пассивными и непроизвольными могут быть только процессы памяти, внимания и воображения. Что же касается мышления, оно всегда активно и протекает в соответствии с нашей волей и намерениями. Это, последнее положение не соответствует действительности. Под влиянием импульса актуальной потребности мыслительные процессы также возникают непроизвольно, даже в направлении, противоположном нашим намерениям, именно так, как это происходит в сфере памяти, внимания и воображения. Сильная потребность, если ситуация ее удовлетворения отсутствует, заставляет человека посредством мышления найти условия, которые ее обеспечат даже тогда, когда ее удовлетворение противоречит намерению и явно вредно для будущей жизни личности. Так часто случается с человеком, который из-за слабой воли не может сопротивляться импульсу сильной потребности, легко подчиняясь ей.

Мышление, побуждаемое импульсом потребности, служит анализу только лишь ситуации этой потребности, ищет пути и средства удовлетворения этой потребности. В случае необходимости оно проявляет все свои возможности в этом направлении и максимально проливает свет на те предметы и явления, которые способствуют или затрудняют удовлетворение потребности. Все остальное, что не связано с этой потребностью, мышление оставляет без внимания и не учитывает. Поэтому оно совершенно не задерживается на объективной ценности тех явлений, которые остаются после завершения поведения (удовлетворения потребности) — как естественный результат этого поведения.

Вышеуказанные обстоятельства не осознаны соответствующим образом в современной психологии, что создает определенные трудности в деле понимания особенностей волевого поведения;

ж) импульс потребности тем более силен и становится трудносдерживаемым (если это необходимо), чем ближе и чем совершеннее предмет , который его удовлетворяет. Например, голодный человек легче сдерживается, если видит еду на столе, удаленном от него. Однако, если он находится близко от этого стола, ему понадобятся большие усилия, чтобы сдержать себя. Те предметы и явления, которые обладают высокой потребительной ценностью, могут разбудить уже удовлетворенные и дремлющие потребности, усилить их и ввести в действие.

Если потребность не удовлетворяется, ее интенсивность сначала постепенно усиливается и достигает максимального уровня, а затем постепенно снижается, ослабевает и в некоторых случаях совершенно затухает. Это соображение частично распространяется на такие жизненно важные потребности, как голод. Как известно, после нескольких дней абсолютного отсутствия пищи переживание голода ослабевает и наконец затухает;

з) Потребность возникает в потреблении какого-либо конкретного свойства предмета и явления, и затем она всегда проявляетяя в стремлении повторения потребления тех же конкретных свойств предметов и явлений. Поэтому не существует отвлеченной или общей потребности, такой потребности, которая не была бы обусловлена актуальной нехваткой какого-либо конкретного содержания и не стремилась бы к ее заполнению. Отвлеченной и общей может быть только мысль или идея относительно потребности, а

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

не сама потребность. Поэтому неправильно положение, которое, наряду с конкретной потребностью, пускает существование какой-то отвлеченной, общей потребности и видит в ней источник энергии волевого поведения. Потребность — факт, а один факт не может быть более общим или более конкретным, чем другой. По этому признаку отличаются друг от друга только результаты познания — мысли и идеи.

Нельзя также, наряду с обычной потребностью, допустить, необычную потребность, которая заранее будет заботиться о создании условий удовлетворения всех остальных потребностей. Невозможно, чтобы одна какая-нибудь потребность дала бы импульсы такого поведения, которое будет иметь в виду приобретение и сохранение явлений, необходимых для удовлетворения всех возможных и ожидаемых потребностей. Человек способен на такое поведение и именно поэтому он является человеком. Однако способность, посредством которой удается осуществить такое поведение, по своей психологической природе настолько отличается от явлений, подразумеваемых в понятии потребности, что мы не сможем избежать ошибок, если не выделим ее от потребности и откажемся от раскрытия ее специфической природы;

и) потребность возникает вне намерений личности и создает (если дана ситуация) установку такого поведения, которое ее удовлетворяет. Отсюда ясно, поведение, которое управляется импульсом потребности, не является произвольным поведением личности. Непроизвольное внимание, воображение представления и мышления являются внутренней стороной такого поведения. Поведение, которым сначала до конца управляет импульс той потребности, делу удовлетворения которой служит оно само, мы называем импульсным поведением, независимо от того, на каком уровне сознания оно протекает, и какое сопротивление ему приходится преодолеть. Основные особенности импульсного поведения определены основными особенностями потребности.

## 2. НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ВОЛИ

Для того, чтобы человек сделался личностью, поднялся бы на высший уровень общественной жизни, ему необходимо было осуществить не только акты импульсного поведения и удовлетворить актуальные потребности, но подумать и о будущей жизни и обратиться к производству, действительно продуктивному труду. Для этого было бы необходимо чтобы наряду с интеллектом и в связи с интеллектом у человека развились бы такие способности, которые дали бы ему возможность стать выше интересов момента, предусмотреть задачи будущей жизни и заранее позаботиться об условиях удовлетворения всех тех потребностей, которые возникнут в будущем. Причем для того, чтобы его общественное существование стало возможным, в своих действиях он должен был бы учесть потребность других людей, нормы отношений с другими людьми и другие требования общественной жизни. Такая способность у человека выработалась и, по-нашему мнению, эта способность есть воля.

Воля — личностная сторона психики, дающая человеку возможность высвободиться из-под власти импульсов актуальной потребности, встать выше интересов момента, взять в руки психо-физические возможности собственного поведения и принять и осуществить такие цели, которые соответствуют требованиям общества и вместе с тем служат задачам будущей жизни личности.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Основные особенности воли проявляются в волевом поведении. Остановимся на некоторых из них:

а) действие воли, проявляющееся в волевом поведении, опирается на определенные интеллектуальные предпосылки, в первую очередь, на идеи потребности, предмета потребности и объективной ценности. Поэтому волевое поведение всегда протекает в плане сознания объективных ценностей. Идея объективной ценности возникает из отношения идеи потребности с предметом потребности и обычно выполняет функцию мотива волевого поведения;

б) каждая потребность прочно фиксирована на узком отрезке действительности, и дает импульс активности только по отношению к нему. Воля же одинаковым образом охватывает сферы всех потребностей и отличает их только по степени их ценности; в первую очередь заботиться об удовлетворении тех потребностей, которые, с точки зрения общественной жизни личности, имеют большую ценность.

Для субъекта воли действительность является системой предметов и явлений, обладающих определенными ценностями. В этой системе он как личность занимает определенное место. Выше него стоят семья, коллектив, народ, родина, наука, искусство и вообще материальная и духовная культура. Субъект воли, когда это необходимо, для высокой объективной ценности, жертвует низшими объективными ценностями, даже тогда, когда эти последние переживаются индивидом как высшие субъективные ценности: для родины, народа, науки, искусства часто жертвуют собой люди, которые горячо любят жизнь; родители посылают на смерть детей, несмотря на то, что любят их больше всего на свете.

Когда я как субъект воли забочусь о самом себе, я могу действовать для улучшения здоровья своего организма, или для развития моих духовных возможностей, или для сохранения моральной чистоты моей личности, или для такой организации условий моей жизни, которая обеспечит мне на протяжении всей жизни как можно больше удовольствия. Я пытаюсь не затратить в какой-то один момент жизни субъективные и объективные возможности получения удовольствия и не дать импульсам потребности, действующей в настоящем, ради удовольствия момента отнять у меня мое счастье будущей жизни. Такое действие часто требует от настоящего значительных уступок. Иногда, например, для здоровья необходима тяжелая операция, которая в своем протекании переживается как наиболее болезненное нарушение здоровья, и поэтому, для субъекта, ограниченного настоящим, представляет собой явление большой отрицательной ценности. Иногда для сохранения морального достоинства необходимо перенести острые физические страдания. Такое тяжелое бремя может взять на себя только субъект волевого поведения. Телесное и духовное здоровье, моральное достоинство личности и условия, необходимые для удовлетворения будущей жизни, являются ценностями, которые находят свое отражение в целях волевого поведения.

Субъект воли подчиняется требованиям общественной жизни и в зависимости от них намечает свои цели и осуществляет их, чем выполняет свой долг человека и сохраняет высокое моральное достоинство. Волевое поведение всегда протекает на уровне требований общественной жизни;

в) импульсное и волевое поведение наиболее отчетливо отличаются друг от друга особенностями мотива и цели: мотив и цель одного из них никогда не может выполнять функцию мотива и цели другого. Эти поведения протекают на равных уровнях человеческой жизни. Воля поднимает человека на новый и более высокий уровень активности.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Поэтому воля не является функцией формального характера, она не может подобно вниманию, быть подогнанной к любому содержанию, она имеет собственную, специфическую цель и мотив;

г) акты волевого поведения служат не тому, что происходит в процессе протекания поведения, а тому что остается после завершения этого процесса как его результат, обладающий определенной ценностью. Воля всегда подчиняется задачам будущей жизни, ее цели всегда служат жизни, лежащей вне момента. Однако поскольку каждый момент будущего в течение времени становится настоящим, в конечном счете удовлетворение в настоящем тоже обусловлено волей;

д) в волевом поведении личность ощущает себя свободной, поскольку мотивом своего поведения делает нечто, в результате интериоризации и персонификации которого произошла она сама. Субъект воли действует в соответствии со своей природой только лишь в волевом поведении. Поэтому он в одно и то же время и детерминизован и свободен. Сама воля и то, что ее детерминирует, обладает общей природой. Воля является тем, что ее детерминирует, только перенесенным и персонифицированным в индивиде;

е) воля проявляется в 2-х направлениях. С одной стороны, она сдерживает импульсы актуальной потребности, когда эти импульсы заставляют ради мимолетного удовольствия развить такую активность, которая может: 1) поставить под угрозу моральное, физическое или экономическое положение личности, 2) принести вред благосостоянию других людей, коллектива, народа. С другой стороны, воля организует и управляет таким поведением, которое по своей целеустремленности служит достижению, созданию и сохранению предметов и явлений, ценных с точки зрения общественной жизни, и обеспечивает принятие и осуществление общественных обязательств;

ж) мотивом импульсного поведения является субъективная ценность поведения в определении которой решающую роль играет субъективное состояние индивида, вызванное в нем какой-либо потребностью. Он (мотив импульсного поведения) всегда дается в виде эмоционального переживания. Мотивом волевого поведения является объективная ценность поведения, которая определяется объективной ценностью результатов его и обычно выражается в форме суждения. Величина субъективной ценности, выступающая в роли мотива импульсивного поведения, меняется в соответствии с изменениями субъективного состояния, созданного в индивиде потребностью. Величина объективной ценности, выполняющей функцию мотива волевого поведения, не меняется в зависимости от субъективного состояния и вообще не зависит от него.

Мотив импульсного поведения возникает из субъективного состояния индивида, тогда как мотив волевого поведения входит в состав идейной ситуации личностного поведения и как основной структурный момент этой ситуации принимает участие в определении особенностей поведения;

з) воля часто действует вкупе с какой-нибудь потребностью или рядом потребностей. Это происходит, когда волевое поведение осуществляется путем такого действия, которое удовлетворяет какую-нибудь актуальную потребность. Например, человек, у которого имеется сильная потребность к труду, трудится, в первую очередь, не для удовлетворения этой потребности, а для создания продукта, который является предметом общественной потребности и обеспечивает его в буду-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

щей жизни средствами существования. Однако трудовой процесс одновременно удовлетворяет его потребность к труду, благодаря чему трудовая активность сопряжена с чувством удовольствия.

Поведение, которое в одно и то же время осуществляет цели субъекта импульсивного поведения и удовлетворяет актуальную потребность, мы называем двояким поведением или поведением двоякой природы. Воспитание воли должно протекать путем поведения, двоякой природы. В процессе воспитания вся тяжесть поведения которую в первое время по существу несет субъект актуальной потребности, постепенно должна быть перенесена на субъект воли.

В связи с этим надо отметить и то, что воспитание воли в зависимости от того, останемся ли мы на точке зрения традиционного понимания воли или разделим взгляды, развитые здесь, должно направляться различным образом.

Таким образом, воля является основной и специфической особенностью человека, благодаря которой индивид становится личностью и фактором организующим волевое поведение. Волевым поведением управляет сама личность, как субъект воли, которая владеет собой, своими силами и делает то, что от нее требует во всех частных случаях общество и перспектива личной жизни.

Надо отличать друг от друга волю и воление. Воля является приобретенным свойством человеческой природы, проявляющимся и реализирующимся в волении, соответствующей данной идейной ситуации, в решении, в намерении, и в явлениях, непосредственно связанных с ними. Первая обладает диспозиционным существованием, вторая — феноменальным, процессуальным. Воля человека, у которого она выработалась, всегда наличествует в виде склонности, воленые же, как активность этого последнего, только тогда имеет место, когда личность попадает в ситуацию волевого поведения и соотносится с соответствующим мотивом. Волевая ситуация сама диктует личности, что требуется от нее в данных условиях и осуществление какого поведения она должна взять на себя. Безвольный человек глух к таким требованиям — он их не переживает.

В переживании воления должны быть особенно подчеркнуты два момента. Личность чувствует: 1) она овладела собственными психофизическими силами, и с этого времени в ее руках возможность свободного управления ими; 2) она взяла в свои руки возможности собственной активности, потому что должна осуществить акты поведения, обладающие объективной ценностью и продиктованные данной идейной ситуацией. Поэтому в волении на передний план всегда выдвинуто переживание «я должен», а не «я хочу», как это часто подчеркивается в специальной литературе.

Таким образом, человек в условиях общественной жизни на пути исторического развития приобрел в виде сознания и воли две основные специфические особенности: посредством сознания он постигает особенности явлений объективной действительности, посредством же воли он высвобождается из-под власти актуальных потребностей, выделяется из естественного протекания жизни, определяемой минутным удовольствием, и обращается к миру объективных ценностей, благодаря чему он от существа моментного настоящего возвышается до уровня общественной личности и становится субъектом волевого поведения.

Согласно всему вышесказанному, можно заключить, что воля является внутренним психологическим условием существования человека как человека.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Если счатье человека выражается в максимальном удовлетворении всех потребностей на уровне общественной жизни, то тогда воля должна быть принята тем основным фактором, который развивает со стороны личности акты поведения, необходимые для достижения основ такого счастья. Если предназначение личности — выполнять определенный долг перед обществом и поставить свои силы на службу общественным ценностям, стоящим выше самой личности, то воля является той особенностью, которая создает психологическую возможность развития такой активности.

(Представил Институт психологии АН Грузинской ССР)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1

ალექსანდრე ბრეგვაძე, ღურსუნ ღიასამიძე

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 50 წლის მანძილზე

ქართველი ხალხი ხანგრძლივი დროის მანძილზე გმირულად იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლაში დაქუცმაცებული საქართველო ეკონომიკურად იმდენად დასუსტდა, რომ მას აღარ შეეძლო სულთანის თურქეთისა და ირანის შაჰის წინააღმდეგ დამოუკიდებლად ბრძოლა. ქართველი ხალხი თავის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში დასაყრდენს ერთმორწმუნე რუს ხალხში ეძებდა. რუსეთთან შეერთება, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 1801 წელს, საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ისტორიაში შემობრუნებით ეტაპს. მიუხედავად მძიმე ჩაგვრისა, რომელიც დაამყარა ცარიზმმა, რუსეთთან საქართველოს შეერთებამ საერთოდ პროგრესული როლი შეასრულა.

რუსეთთან შეერთებით საქართველო მოექცა კაპიტალისტური განვითარების ორბიტაში, რამაც დააჩქარა მისი მწარმოებლური ძალების განვითარება.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით რეალური პირობები შეიქმნა ქართველი და რუსი ხალხების დაახლოებისათვის. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი ცხოვრების და შემდეგ კი — რევოლუციური მოძრაობის გავლენა წარმოადგენდა უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის ფაქტორს ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა, რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან ერთად, აღსდგა რუსეთის თვითმპყრობელობის, კოლონიურ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მთავარ ხელმძღვანელ ძალას დიდი რუსი ხალხი წარმოადგენდა, რომელსაც მაღლა ეჭირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა.

ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს პროლეტარიატის მებრძოლი ავანგარდი — 1903 წელს შექმნილი და ლენინის მიერ გამოწრთობილი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული კომუნისტური პარტია, რომელმაც მიიყვანა რუსეთის მრავალეროვანი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე.

1921 წლის 25 თებერვალს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და რუსი ხალხის დახმარებით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შეიქმნა მუშათა და გლეხთა დიქტატურა, რომელმაც არ დააყოვნა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის დეკრეტების გატარება. განხორციელდა მიწისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია. ამ ისტორიული აქტის საფუძველზე მთელი მიწა, საშუალო და მსხვილი კერძო საწარმოები გამოცხადდა საერთო სახალხო საკუთრებად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის შექმნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება შეუძლებელი იყო საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობის გარეშე. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ და მისმა შესვლამ საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მეურნეობრივ-კულტურული განვითარების ფართო გზა გაუხსნა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა მეურნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში თანმიმდევრულად გახორციელდეს ნაციონალური უთანასწორობის ლიკვიდაცია, რომ რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა მხარეებში ნედლეულის ბაზის შესაბამისად განვითარდეს მრეწველობა[1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებსა და მხარეებში მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებით მომხდარიყო ეკონომიკური ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაცია.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მთლიანად სსრ კავშირში, შეუძლებელი იყო მძიმე ინდუსტრიის განვითარების გარეშე. ამ მიმართულებით საქართველოში პირველი ნაბიჯი იქნა გადადგმული 1922 წელს, როდესაც საქართველოს მშრომელები შეუდგნენ გოელროს ლენინური გეგმით გათვალისწინებულ ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. საბჭოთა მთავრობამ ზაჰესის მშენებლობისათვის გამოჰყო 750 ათასი მანეთი ოქროთი. მომდევნო წლებში დაიწყო აგრეთვე აბაშის, აჭარისწყლის, ცხინვალისა და ზოგიერთი სხვა მცირე-ძალოვანი ჰიდროსადგურების მშენებლობა. 1923 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მშრომელებს უსასყიდლოდ გამოუგზავნა მოსკოვის ერთ-ერთი მაუდის ფაბრიკის მთლიანი გაწყობილობა, რომელიც გაიგზავნა ქ. ქუთაისში და მწყობრში ჩადგა 1924 წელს. ამ წლებში საქართველოში დაიწყო 20 მსხვილი მრეწველური საწარმოს მშენებლობა, ცხრა მათგანი გადაეცა ექსპლოატაციაში 1926 წლამდე, ამასთან ერთად მიმდინარეობდა ინდუსტრიულ საწარმოთა რეკონსტრუქცია. ამის მაჩვენებელია კაპიტალურ დაბანდებათა ყოველწლიური ზრდა, მაგალითად, 1923—1924 წწ. საქართველოს სსრ ცენზიანი მრეწველობის ძირითადი ფონდების ზრდას დაახლოებით 239 ათასი მანეთის კაპიტალდაბანდება მოხმარდა, 1924/25 წელს კი აღნიშნული თანხა 1207 ათას მანეთამდე გაიზარდა. ამასთან, კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობაში იზრდებოდა ინდუსტრიულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ახალ მშენებლობაზე გამოყენებული სახსრების ხვედრიწონა[2]. საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდა რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის განვითარებისადმი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო ერთბაშად მსხვილი კაპიტალდაბანდებით უზრუნველეყო მრეწველობის სხვა დარგებიც, განსაკუთრებით ეს ითქმის მსუბუქ და კვების მრეწველობაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის საქართველოს მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ ბევრად გადააჭარბა ომამ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.

[2] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., პროფ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1969, გვ. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ დონეს: 1927—1928 წწ. იგი შეადგენდა 76 მლნ მანეთს (1926/27 წლის უცვლელი ფასებით) და 1913 წ. დონეს 69 პროცენტით აღემატებოდა.

საქართველოში კიდევ უფრო მეტად გაიშალა ახალ მრეწველურ საწარმოთა მშენებლობა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. 30-იანი წლებისათვის სოციალისტურმა მრეწველობამ თითქმის მთლიანად მოიცვა რესპუბლიკის ინდუსტრიული წარმოება, კერძო მრეწველობის ხვედრიწონა 0,6 პროცენტამდე დაეცა. 1929—1930 წლებში საქართველოს ცენზიანი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 92,4 პროცენტი სოციალისტურ სახელმწიფოს ხელში იყო, ხოლო 7,5 პროცენტი კოოპერაციულ ორგანიზაციებს ეკუთვნოდათ.

კიდევ უფრო მეტი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა მეორე და მესამე ხუთწლედებში. მწყობრში ჩადგნენ ლენინის სახელობის ზემოავჭალისა და ი. ბ. სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგურები. მათ ბაზაზე ამუშავდა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და „ცენტროლიტის" ქარხნები.

სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობა ქ. ქუთაისში, იგი გადაიქცა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრად. აქ აშენდა სამთოსაშახტო გაწყობილობისა და ლითოპონის ქარხნები, აგრეთვე ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილი ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი საკონსერვო ქარხანა.

რესპუბლიკაში ვითარდება ნავთობგადამუშავება, ფეროშენადნობთა წარმოება და წიაღისეულის ახალი სახეების მოპოვება. გაიზარდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა მანგანუმის, ქვანახშირისა და მოპოვებითი მრეწველობის სხვა დარგები.

თითქმის ხელახლად შეიქმნა მსუბუქი და კვების მრეწველობა, წარმოიშვა ახალი ინდუსტრიული რაიონები. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა აჭარის ასსრ-ში, აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გადიდდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვი. აღიზარდა მრეწველობის მრავალი დარგის ნაციონალური კადრები.

1940 წ. რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ თითქმის 27-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

1921—1940 წლების განმავლობაში მთელ სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იყო 6 014 939,0 ათასი მანეთი, აქედან მრეწველობაზე მოდიოდა ერთ მესამედზე მეტი.

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპები საქართველოს მრეწველობაში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად, რაც მეტყველებს იმაზე რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა წინათ ჩამორჩენილ მხარეებისა და რესპუბლიკების უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაჩქარებით დაძლევას.

საქართველოს სსრ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად დროის უმოკლეს მანძილზე გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო გაჩანაგებული სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის უდიდეს ღონისძიებათა განხორციელება. ამ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანესი იყო მიწის ნაციონალიზაცია, რითაც მშრომელ გლეხობას მიწით სარგებლობის ფართო ასპარეზი მიეცა.

მაგრამ დაქუცმაცებული, წვრილგლეხურ მეურნეობათა ბატონობის პირობებში შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის მოკლე დროში აღდგენა და, რაც მთავარია, მისი შემდგომი განვითარება, შეუძლებელი იყო მიწათმოქმედებაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენება და საერთოდ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება. აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

აღდგენითი პერიოდის მანძილზე კოლმეურნეობათა მშენებლობა დაბალი ტემპით მიმდინარეობდა. 1925 წლისათვის საქართველოში იყო 19 კოლმეურნეობა: სახელდობრ 4 კომუნა, 13 სოფლის მეურნეობის არტელი და ორი მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. 1928 წლიდან გაძლიერდა კოლმეურნეობრივი მოძრაობის ტემპი. კოლმეურნეობათა რიცხვი 239-მდე გაიზარდა, 1930 წელს საქართველოში იყო 2039, ხოლო 1933 წელს 3487 კოლმეურნეობა. დიდად გაიზარდა კოლმეურნეობათა ხვედრიწონა მთელ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. კოლმეურნეობები უკვე წარმოადგენდნენ მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ძირითად მწარმოებლებს.

წვრილგლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებში გაერთიანებით შესაძლებელი გახდა მანქანებზე დამყარებული მიწათმოქმედების შექმნა. სოფლისმეურნეობრივი შრომა შეუჩერებლად მიემართებოდა მექანიზაციის გზით.

ამავე პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა წარმოებრივი მიმართულების რამდენიმე ათეული საბჭოთა მეურნეობა, სადაც უახლესი ტექნიკის და მოწინავე აგროწესების საფუძველზე იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ უზრუნველყო როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოს სოფელში ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრების განმტკიცება. კოლმეურნეობრივმა წყობილებამ ქართველი გლეხობა კულტურისა და შეძლებული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა. საქართველოს სოფელში გაჩნდნენ კლუბები, რადიო, სკოლები, საბავშვო ბაგები, კოლმეურნეობების მრავალი მუშაკი წარჩინებული და სახელმოხვეჭილი ადამიანი გახდა.

ქართველმა ხალხმა რესპუბლიკის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებათა შესაბამისად უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გაადგილება და გეგმაზომიერი განვითარება. საბჭოთა საქართველოში ფართო მასშტაბით განვითარდა ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურები (ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, თამბაქო და სხვ.), რაც ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის დაუშრეტელი წყარო გახდა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი წარმატებებისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა კოლოსალური ღონისძიებები უახლესი კონსტრუქციის მანქანა-იარაღების შემოღების, მრავალწლიანი ნარგავების გაშენების, მელიორაციის, ელექტროფიკაციის და საერთოდ წარმოების გარდაქმნა-გაუმჯობესებისაკენ მიმართულ გრანდიოზულ მშენებლობათა სახით. სახელმწიფოს და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობაში წარმოებრივი დანიშნულების ობიექტებზე 1921—1946 წწ. 241,2 მილიონ მანეთს შეადგენდა[3].

დიდ ირიგაციულ სამუშაოთა გატარების შედეგად ჩვენ სოფლის მეურნეობას შეემატა ათიათასობით ჰექტარი ნოყიერი და მაღალმოსავლიანი მიწა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას.

1913-1940 წლებში საქართველოს სსრ სახმარი მიწების ფართობი 37,4 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის ნათესი ფართობი დაახლოებით 20 პროცენტით, ხოლო მრავალწლიან ნარგავთა ფართობი (ჩაი, ვენახი, თხილი და ციტრუსები) 3,3-ჯერ, აქედან: ჩაის ფართობი 55-ჯერ, ვენახისა — 34,6%-ით, ხეხილისა დაახლოებით 5-ჯერ და ციტრუსებისა — 120-ჯერ[4]. მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობის ესოდენ დიდ ზრდას არ მოჰყოლია შესაბამისად ნათესი ფართობის შემცირება, ვინაიდან მათი განვითარება ძირითადად მანამდე აუთვისებელი მიწების ხარჯზე ხდებოდა.

მოპოვებულ წარმატებათა შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა 1940 წლისათვის იძლეოდა 2,5-ჯერ მეტ მთლიან პროდუქციას, მათ შორის 3,7-ჯერ მეტ მემცენარეობის პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საქართველო, ისე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის და მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაიქცა;

შეიქმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურის დონე.

ხალხის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებასთან ერთად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, განსაკუთრებით მრეწველურ ცენტრებში.

ძირეულ ეკონომიკურ გარდაქმნათა საფუძველზე ქართველმა ხალხმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს კულტურული მშენებლობის დარგში. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელთა ფართო მასებს გზა გაუხსნა ცოდნისაკენ, მეცნიერებისაკენ. შეიქმნა სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელი.

სახელმწიფოს ყოველწლიური ხარჯები მოსახლეობის სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის გასავლის თითქმის ორ მესამედს შეადგენდა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს დაექვემდებარა. მოკლე დროში ომის ყაიდაზე გარდაიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, რომლებსაც უდიდესი და საპატიო ამოცანა დაეკისრა — მიეცა სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი მრეწველური პროდუქცია, სურსათ-სანოვაგე, საბრძოლო საჭურველი და სამარი მასალა.

1942 წლის ზაფხულში გერმანელ ფაშისტთა არმიებმა დიდი დანაკლისის ფასად შესძლეს გაჭრილიყვნენ მთავარი კავკასიის ქედის გასწვრივ. საომარი ოპერაციები უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან წარმოებდა. ამიერკავკა-

---

3 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში (სტატ. წელიწდეული), თბ., 1968, გვ. 189.

4 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში, გვ. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის ფრონტი თითქმის მოწყდა სსრ კავშირის მრეწველობის ძირითად ცენტრებს. შეფერხდა და შემდეგ თითქმის სრულიად შეწყდა რესპუბლიკის მრეწველობის მომარაგება საჭირო ნედლეულით და გაწყობილობებით; შექმნილ პირობებში რესპუბლიკის მრეწველობა მეტად რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავდნენ მრეწველობის მუშახელით უზრუნველყოფისათვის. მიუხედავად მუშათა დიდი ნაწილის ფრონტზე წასვლისა, საწარმოებში მოვიდნენ ათასობით ქალები, ახალგაზრდობა, პენსიაზე გასული მუშები, შრომითი რეზერვების სისტემის კვალიფიციური მუშები, რომლებიც თავდადებით შრომობდნენ და წარმატებით სძლევდნენ ომით გამოწვეულ დაბრკოლებებს. ფართოდ გაიშალა საწარმოებში ახლადმოსულ მუშების მომზადება კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; წარმოების სრულყოფაში დიდი წვლილი შეჰქონდათ რაციონალიზატორ-გამომგონებლებს. მრეწველობის მრავალი დარგის საწარმოების მშრომელები აღწევდნენ საუკეთესო მაჩვენებლებს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში. სწრაფად იზრდებოდა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა.

ომის წლებში რამდენადმე შემცირდა სახალხო მეურნეობის დაფინანსება, მაგრამ კაპიტალური დაბანდებების ხვედრიწონა მრეწველობაში მაინც დიდი იყო.

მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნამ შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის სტრუქტურაში. გაიზარდა სამხედრო მრეწველობის პროდუქციის ხვედრიწონა, ხოლო შემცირდა — ზოგიერთი სხვა დარგის — პროდუქციისა.

ომის წლებში მიმდინარეობდა ახალი მრეწველური საწარმოების მშენებლობაც; მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელოვანი კერის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყება 1944 წელს.

თავდადებული, პატრიოტული შრომისა და ბრძოლისათვის მრეწველობის ათასობით მუშა დაჯილდოვდა მედლებით — „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს მამაცური შრომისათვის“.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მშრომელი გლეხობის ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში ნათესი ფართობი კი არ შემცირებულა, არამედ გადიდდა კიდეც, გაიზარდა აგრეთვე მოსავლიანობა, წარმატებები იქნა მოპოვებული პირუტყვის სულადობის ზრდის საქმეში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ გაცილებით მეტ პროდუქციას ვიდრე ომის წინ.

მთლიანად საქართველოს სსრ 1945 წელს ყველა ძირითადი კულტურის ნათესი ფართობი შეადგენდა 945,3 ათას ჰექტარს, რაც 49,6 ათ. ჰექტარით აღემატებოდა 1940 წლის დონეს. აქედან მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ფართობი უდრიდა 827,6 ათას ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 748,4 ათასი ჰექტარისა[5].

[5] Народное хозяйство грузинской ССР в 1956 году. Стат. сборник, Тб., 1957, стр. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის წლებში შემცირდა თამბაქოს ფართობი 20,9 ათასი ჰექტარიდან 15,7 ათას ჰექტარამდე, მაგრამ კოლმეურნეთა ენერგიული შრომის შედეგად თამბაქოს მთლიანი მოსავალი გაიზარდა კიდეც.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სოფლის მშრომელთა საპატიო ამოცანას წარმოადგენდა მრავალწლიან ნარგავთა ფართობების შენარჩუნება და მოსავლიანობის გადიდება. შენარჩუნებულ იქნა და რამდენადმე გაიზარდა კიდეც ჩაის, ვენახის ფართობი, მაგრამ ომის წლებში მუშახელის და წარმოების საშუალებათა ნაკლებობის გამო რამდენადმე შემცირდა ჩაისა და ყურძნის მოსავალი.

სამამულო ომის წლებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა მეცხოველეობის განვითარება, მისი პროდუქციულობის გადიდება. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს მეცხოველეობას მთელი რიგი სიძნელეები ელობებოდა, ამ დარგის შემდგომი განვითარების ამოცანები ძირითადად წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. განსაზოგადოებული მეცხოველეობა ომის წლებშიც აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ომის წლებში რესპუბლიკის მეცხოველეობას 620 ათას სულზე მეტი პირუტყვი შეემატა, მარტო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 120 ათასი სულით, ცხვრისა და თხისა — 500 ათასი სულით[6].

მიუხედავად სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეებისა, საგრძნობლად განმტკიცდა კოლმეურნეობების ეკონომიკა, გადიდდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ოდენობა. კოლმეურნეობები გაცილებით მეტ საქონლურ პროდუქციას იძლეოდნენ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სურსათით ფრონტისა და ზურგის შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა რა დიდი სამამულო ომი, სკკპ ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენას და შემდგომ განვითარებას. პირველ რიგში საჭირო იყო მძიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის აღდგენა-განვითარება, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ მრეწველობის განუხრელი აღმავლობა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის სწრაფად აღდგენა. მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. თითქმის ერთ წელიწადში საქართველოს მრეწველობამ შესძლო სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე მთლიანად გადასვლა, ხოლო 1947 წლისათვის რესპუბლიკის მრეწველობამ გადააჭარბა პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს. რსფსრ და სხვა მოძმე რესპუბლიკების დახმარებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა.

ომამდელ პერიოდში შექმნილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით და იმის შედეგად, რომ სამამულო ომის უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა მძიმე ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი ობიექტების მშენებლობა, შეიქმნა პირობები საქართველოს სსრ მრეწველობის შემდგომი აღმავლობისა და ახალი ინდუსტრიული მშენებლობის განხორციელებისათვის, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა ომისშემდგომ ხუთწლედებში.

---

[6] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 488—470.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლითიწლობით იზრდებოდა სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების (კოლმეურნეობათა ჩაუთვლელად) კაპიტალდაბანდებანი, რაც მლნ მანეთობით უდრიდა: 1946—1950 წწ. — 680, 1951—1955 წწ. — 1068, 1956—1960 წწ. — 1376, 1961—1965 წწ. 2277, 1966—1968 წწ. — 2081. მეოთხე ხუთწლედში სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდება შეადგენდა — 2,3-ჯერ მეტს ვიდრე მეორე ხუთწლედში, ხოლო მეხუთე ხუთწლედის კაპიტალდაბანდება 75 პროცენტით აღემატებოდა კაპიტალდაბანდებას მეოთხე ხუთწლედში. მხოლოდ მერვე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ათვისებულია — 2081 მლნ მან. კაპიტალდაბანდება, ეს კი 91 პროცენტით მეტია ვიდრე 1961 — 1965 წწ. ათვისებული კაპიტალდაბანდებანი. მარტო მერვე ხუთწლედის სამი წლის კაპიტალდაბანდება ბევრად აღემატება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ 30 წლის მანძილზე განხორციელებულ მთლიან კაპიტალდაბანდებას[7].

ამასთან ერთად მკვეთრად იზრდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებაში მრეწველობის ხვედრი წონა, რომელიც წარმოადგენს მძლავრ ფაქტორს მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის. მრეწველობაში კაპიტალდაბანდების საერთო ოდენობა უდრიდა (მილიონ მანეთობით) 1946—1950 წწ. — 326; 1951—1955 წწ. — 481; 1956—1960 წწ. — 587, 1961—1965 წწ. — 861 და 1966—1968 წწ. — 681. ამრიგად 1946—1968 წლების მანძილზე მრეწველობაში კაპიტალდაბანდება შეადგენს სულ — 2610 მილიონ მანეთს, რაც შესაბამის წლებში სახალხო მეურნეობაში მთელ კაპიტალდაბანდების 35 პროცენტს უდრის.

მოქმედებაში შევიდა სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების (კოლმეურნეობათა ჩაუთვლელად) ძირითადი ფონდები მლნ მანეთობით: 1946—1950 წწ. — 551, 1951—1955 წწ. — 1000, 1956—1960 წწ. — 1315, 1966—1968 წწ. 1771. ამრიგად, მხოლოდ მერვე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ამოქმედდა 14 პროცენტით მეტი წარმოების ძირითადი საშუალებანი, ვიდრე ომისშემდგომ ათწლეულში. 1946—1968 წლების მანძილზე აშენდა და მოქმედებაში შევიდა — 312-ზე მეტი მსხვილი სახელმწიფოებრივი საწარმო.

შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ელექტროენერგეტიკული, შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მსხვილი საამშენებლო ინდუსტრიის, მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალი ახალი მსხვილი საწარმო. მრეწველობის ბევრმა დარგმა საერთოსაკავშირო მნიშვნელობა მოიპოვა.

საქართველოს სსრ მაღალია წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპები. მაგალითად, ამ დარგების (ჯგუფი „ა“) მთლიანი პროდუქცია 1968 წელს გაიზარდა 1960 წელთან შედარებით 82 პროცენტით, ხოლო მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი დარგების (ჯგუფი „ბ“) — 78 პროცენტით.

რესპუბლიკაში შეიქმნა მძიმე ინდუსტრიის ცენტრები: თბილისი (მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება), ქუთაისი (ავტომობილმშენებლობა, მანქანათმშენებლობა), რუსთავი (მეტალურგია, ქიმია), ტყიბული და ტყვარჩელი

---

[7] ციფრები აქ და შემდგომ ნაწილში ძირითადად აღებულია კრებულებიდან „Советская Грузия по ленинскому пути. Стат. сборник, Тб., 1970, და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში (სტატისტიკური წელიწდეული), თბ., 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ქვანახშირი), ჭიათურა (მანგანუმი), ზესტაფონი (ელექტრომეტალურგია), ბათუმი (ნავთობის დამუშავება, მანქანათმშენებლობა) და სხვა.

რესპუბლიკის მთელ მრეწველობაში ჩაბმული იყო 1960 წელს მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი — 272,4 ათასი კაცი, მათ შორის მუშა — 220 ათასი კაცი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი — 26 ათასი კაცი, მოსამსახურე — 14 ათასი კაცი. 1968 წელს მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი შეადგენდა — 373 ათას კაცს, მათ შორის მუშა—292 ათას კაცს, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი — 42 ათას კაცს, მოსამსახურე — 20 ათას კაცს. ამრიგად, 1960—1968 წლებში მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი გაიზარდა 37 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობრივი ზრდა უმთავრესად გამოწვეულია ინდუსტრიული წარმოების მთელი რიგი ახალი დარგების და საწარმოების შექმნით. მრეწველობაში დასაქმებული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა თითქმის მთელი კადრი ომისშემდგომ წლებში მომზადდა. მრეწველობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება მიმდინარეობდა როგორც შრომითი რეზერვების სისტემით, ისე უშუალოდ საწარმოებში. მრეწველობის ახალი დარგების საჭიროებისათვის მრავალი ათასი მუშა კვალიფიკაციას იმაღლებდა რუსეთისა და უკრაინის ინდუსტრიულ ცენტრებში.

საქართველოს სსრ მრეწველობაში, ისე როგორც სსრ კავშირში, ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მრავალი ათასი კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვრელის საპატიო წოდების მოპოვებისათვის. წარმოების სრულყოფაში დიდი წვლილი შეაქვთ ნოვატორებს, რაციონალიზატორ-გამომგონებლებს.

საქართველოს ინდუსტრიულ საწარმოებში ფართოდ გაიშალა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროგრესული ტექნიკით აღჭურვას. სულ უფრო მეტად ვითარდება მჭიდრო თანამშრომლობა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მუშაკთა შორის.

ტექნიკური პროგრესის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე ომისშემდგომ უზრუნველყოფილი იქნა შრომის მწარმოებლურობის ზრდა. 1968 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობა 1940 წელთან შედარებით გადიდდა — 274 პროცენტით.

1940 წელთან შედარებით მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა პროცენტობით: 1950 წელს — 56, 1960 წელს — 87, 1965 წელს — 47 და 1968 წელს — 61.

1968 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა თითქმის ათჯერ. მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის წარმოებით საბჭოთა საქართველო 1969 წელს 8,5-ჯერ უსწრებდა თურქეთს და 20-ჯერზე მეტად ირანს.

მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარების შესახებ მონაცემები მოტანილია ცხრილში (იხ. გვ. 98).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის დინამიკა

| მრეწველობის დარგები | 1913 | 1940 | 1960 | 1969 |
|---|---|---|---|---|
| მანგანუმის მოპოვება (ათასი ტონა) | — | 1449 | 3036 | 1588 |
| ელექტროენერგიის გამომუშავება (მლნ კვტსაათი) | 20 | 742 | 3702 | 8341 |
| თუჯი (ათასი ტონა) | — | — | 721 | 802 |
| ფოლადი (ათასი ტონა) | — | 0,2 | 1131 | 1380 |
| შავი ლითონის ნაგლინი (ათასი ტონა) | — | — | 821 | 1038 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალი) | — | 803 | 3836 | 3490 |
| ნახშირის მოპოვება (ათასი ტონა) | 70 | 625 | 2850 | 2317 |
| მინერალური სასუქები (ათასი ტონა) | — | — | 247 | 492 |
| ცემენტი (ათასი ტონა) | — | 119 | 1256 | 1377 |
| სამშენებლო აგური (მლნ ცალი) | 30 | 91 | 348 | 363 |
| მაგისტრალური ელექტრომწევი | — | — | 87 | 82 |
| ბამბის ქსოვილები (მლნ კვ. მეტრი) | — | 0,4 | 5,4 | 60,2 |
| აბრეშუმის ქსოვილები (მლნ კვ. მეტრი) | — | 5,3 | 19,4 | 31,4 |
| ჩაი, პირველადი გადამუშავება (ათასი ტონა) | — | 11,6 | 38,2 | 57,2 |
| ყურძნის ღვინო* (მლნ დეკალიტრი) | — | 1,7 | 4,8 | 5,4 |

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და კერძოდ მრეწველობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კვების მრეწველობას (ჩაის, ღვინის, ხილბოსტნეულის კონსერვის, თამბაქოს, ეთერზეთოვანთა და სხვ. წარმოებას), რაც გაპირობებულია მწარმოებლურ ძალთა გაადგილების სოციალისტური პრინციპით და საქართველოს სპეციფიკური პირობებით.

რესპუბლიკის მრეწველური პროდუქცია იგზავნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, იგი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს საერთოსაკავშირო პროდუქტგაცვლაში. ამასთან სწრაფად ვითარდება საქართველოს საგარეო ვაჭრობის კავშირები, რასაც მოწმობს საერთაშორისო ბაზრობებზე წარმატებების მოპოვება. 1965 და 1968 წლებში საქართველოს სსრ მონაწილეობდა (საბჭოთა პავილიონის ცალკე განყოფილების სახით) იზმირის, ხოლო 1967 წელს ალჟირის საერთაშორისო ბაზრობებზე.

ალჟირში საბჭოთა პავილიონის საქართველოს განყოფილებას მიენიჭა დიდი ოქროს მედალი.

საქართველოს მრეწველობის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 70-მდე სხვადასხვა ქვეყანაში.

მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965) პლენუმის დადგენილება მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და მრეწველური წარმოების ეკონომიკური სტიმულაციის გაძლიერების შესახებ, რაც მიზნად ისახავს ინდუსტრიული წარმოების განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფასა და მისი ეფექტურობის გადიდებას.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად საქართველოში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგები.

* სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე გატანილი ღვინო მეორედ გადამუშავებისათვის მოტანილ მონაცემებში არ არის შეტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ომისშემდგომ პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლმეურნეობათა გამსხვილებას, რაც ძირითადად 1949—1951 წწ. განხორციელდა. 1940 წ. საქართველოში იყო 4256 კოლმეურნეობა, 1955 წ. 2122 კოლმეურნეობა. შემდგომ პერიოდში რიგ კოლმეურნეობათა ბაზაზე საბჭოთა მეურნეობების შექმნის გამო მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა და 1960 წელს შეადგენდა 1842, ხოლო 1969 წელს — 1349 კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობათა გამსხვილებამ დააჩქარა მწარმოებლურ ძალთა განვითარება, უზრუნველყო იარაღ-მანქანების ეკონომიურად გამოყენება და კოლმეურნეთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. ფართო პერსპექტივები გადაიშალა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და სამამულო აგრონომიული მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის.

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 5—6-ჯერ გაიზარდა. უდიდესი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში.

საბჭოთამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი ხვედრიწონით იყო წარმოდგენილი მარცვლეულის მეურნეობა. მასზე მოდიოდა მთელი ნათესი ფართობის 94,6 პროცენტი.

ნათესი ფართობის სტრუქტურა (ათას ჰექტრობით)

| მაჩვენებლები | 1913 წ. | | 1940 წ. | | 1960 წ. | | 1969 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათს | %% | ათს. | %% | ათს. | %% | ათს. | %% |
| სულ ნათესი ფართობი მათ შორის: | 747,4 | 100 | 895,7 | 100 | 829,4 | 100 | 747,0 | 100 |
| მარცვლეული | 706,7 | 94,6 | 748,4 | 83,6 | 471,6 | 56,9 | 413,5 | 55,6 |
| ტექნიკური კულტურები | 20,7 | 2,8 | 51,6 | 5,8 | 39,9 | 4,8 | 41,5 | 5,6 |
| კარტოფილი ბოსტანბაღჩ. | 9,1 | 1,2 | 43,1 | 4,8 | 48,3 | 5,8 | 57,0 | 7,6 |
| საკვები კულტურები | 5,7 | 0,8 | 52,6 | 5,8 | 269,6 | 32,5 | 235,0 | 31,4 |

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება ხდებოდა მრავალწლიან ნარგავთა და ტექნიკური კულტურების ფართობების სწრაფი ტემპით ზრდისა და მარცვლეულის თანდათანობითი შემცირების მიმართულებით. მაგრამ მარცვლეულის ნათესი ფართობის შემცირების მიუხედავად, საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის წარმოება, რაც წლების მიხედვით შეადგენდა (ათას ტონობით): 1913 წ. — 428; 1940 წ. — 537,5; 1950 წ. — 796,0; 1960 წ. — 628,5; და 1969 წ. — 605,3. ამრიგად, 1913—1969 წწ. მარცვლეულის ნათესი ფართობი დაახლოებით ერთი მესამედით შემცირდა, ხოლო მარცვლეულის მოსავალი დაახლოებით ერთნახევარჯერ გაიზარდა.

საქართველოში მრავალწლიან ნარგავთა მძლავრი მეურნეობა არსებითად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. თუ 1913 წელს მრავალწლიან ნარგავთა ფართობი (ვენახი, ჩაი, ციტრუსები, ხილი) 83,4 ათას ჰექტარს არ აღემატებოდა, 1969 წლისათვის მისი ფართობი 331,7 ათას ჰექტარამდე ან 4-ჯერ გაიზარდა. აქედან ვენახის ფართობი გაიზარდა 2,2-ჯერ, ჩაის — 70-ჯერზე მეტად, ციტრუსებისა — 68-ჯერ და ხილისა დაახლოებით 4,7-ჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში სსრ სოფლის მეურნეობაში დიდია ჩაის კულტურის ხვედრიწონა. საბჭოთა კავშირში საქართველო ჩაის ძირითადი მწარმოებელია. 1969 წ. საქართველოში ჩაის პლანტაციების ფართობმა 64,1 ათას ჰექტარს მიაღწია, რაც საბჭოთა კავშირის ჩაის პლანტაციის საერთო ფართობის დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენს. ქართული ჩაი დაახლოებით 60 პროცენტით აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას. ჩაის მეურნეობა დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

საქართველოს მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე, 1970 წლის ვალდებულება და სახელმწიფოს მიყიდეს 258 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ანუ 33 ათასი ტონით მეტი ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამრიგად ჩაის მწვანე ფოთლის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალება 115 ათასი ტონის გადაჭარბებით შესრულდა.

საქართველოში ციტრუსები ცნობილი იყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. მაგრამ საბჭოთამდელ პერიოდში მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ეს დარგი უმნიშვნელო ზომით იყო განვითარებული. ციტრუსების ნარგავები რესპუბლიკაში 1950 წლის 8,1 ათასი ჰექტარიდან 1969 წელს 13,6 ათას ჰექტარამდე გაიზარდა, ხოლო მთლიანი მოსავალი 2,9 ათასი ტონიდან 34 ათას ტონამდე.

ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენი რესპუბლიკა ციტრუსოვანთა ნერგით ამარაგებს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს — უკრაინას, მოლდავეთს, შუა აზიის რესპუბლიკებს.

მევენახეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. იგი დიდ როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ყურადღების შედეგად სოფლის მეურნეობის ეს დარგი მნიშვნელოვნად განვითარდა. ვენახის ფართობი 1940 წლის 70 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა 113 ათას ჰექტარამდე 1969 წელს. 1940 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 113 ათასი ტონა, ხოლო 1970 წელს 385 ათასი ტონა ყურძენი. წარმატებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმა. ხუთი წლის მანძილზე დამზადებულია 1472 ათასი ტონა ყურძენი, ანუ 230 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა საქართველოში დიდად გაიზარდა ხეხილის ბაღები, ფართოდ გავრცელდა ტექნიკური კულტურები, განსაკუთრებით თამბაქო. დიდი ყურადღება ეთმობა ეთერზეთოვან კულტურებს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა ბოსტნეულის დამზადება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცხოველეობას. ამ დარგზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით ერთი მესამედი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო შედარებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი საკვები ბაზით, ამიტომ პირუტყვის მნიშვნელოვან ნაწილს მიერეკებიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზამთრის საძოვრებზე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა საქართველოში პირუტყვის სულადობა მაინც გაიზარდა. კერძოდ, 1916 წელთან შედარებით 1970 წელს გადიდდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1301 ათასიდან 1446 ათას სულამდე, ღორისა — 377 ათასიდან 589 ათასამდე; ცხვრისა და თხის სულადობა თითქმის არ შეცვლილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვის სულადობრივ გადიდებასთან ერთად იზრდებოდა მისი პროდუქტიულობაც. 1913 წელთან შედარებით 1969 წელს ხორცის წარმოება გაიზარდა ორჯერ, რძისა 2,2-ჯერ, კვერცხისა თითქმის 3-ჯერ. ერთი ძროხის წველადობა 1969 წელს კოლმეურნეობებში შეადგენდა 1095 კგ, ნაცვლად 1940 წლის 441 კგ-ისა.

პარტია და მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას იჩენენ ამ უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგისადმი. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ფასები, გატარდა რიგი სხვა ღონისძიება, რაც საზოგადოებრივ მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი განვითარებისა და მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისაკენაა მიმართული.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია მეფუტკრეობა. მსოფლიოში სახელგანთქმულია მთის რუხი ქართული ფუტკარი, რომელმაც 1961 წ. ერფურტის (გდრ) გამოფენაზე და 1965 წ. მსოფლიოს მეფუტკრეობის XX კონგრესზე ბუქარესტში ოქროს მედლები მიიღო. საქართველოდან მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ ყოველწლიურად იგზავნება ათასობით ფუტკრის დედა სანაშენოდ.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის რესპუბლიკა ფართოდ იქნა წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა აღნიშნა, მიღწეულ დონეს საკმარისად ვერ მივიჩნევთ. ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცზე. სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება სოფლის მეურნეობას ახალ, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მყარ განვითარებას, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვას უფრო ფართო მასშტაბით, მის უზრუნველყოფას მინერალური სასუქებით. მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებას. პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის ყველა მშრომელთა, მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან ერთად განვითარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა სხვადასხვა სახეობანი; გაფართოვდა რკინიგზის, ზღვის და საჰაერო ტრანსპორტის ქსელი და განხორციელდა მისი ძირეული რეკონსტრუქცია, შეიქმნა და განვითარდა საავტომობილო, მილსადენი და საბაგირო ტრანსპორტი. მწყობრში ჩადგა თბილისის მეტროპოლიტენი. განვითარდა საგზაო მეურნეობა, ფართოდ გატარდა ქალაქებისა და სოფლის ტელეფონიზაცია, რადიოფიკაცია, სწრაფად ვითარდება ტელევიზია. ქალაქებში მუშაობენ ავტომატური ტელეფონის სადგურები.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებამ მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან საქართველოს სსრ რაიონები და დიდ როლს ასრულებენ ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების დაძლევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებით საქართველო მჭიდროდაა დაკავშირებული მოძმე რესპუბლიკებთან და სხვა ქვეყნებთან.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა საბჭოთა ვაჭრობა. სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სისტემატური ზრდისა და მშრომელთა რეალური შემოსავლების განუხრელი ამაღლების საფუძველზე ყოველწლიურად იზრდება რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვა, უმჯობესდება მისი ასორტიმენტული სტრუქტურა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ დაინერგა ვაჭრობისა და მომსახურების პროგრესული ფორმები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდასთან ერთად სისტემატურად იზრდება მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) 1968 წელს 1928 წელთან შედარებით 123-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1940 წელთან შედარებით 4,5-ჯერ. 1940—1968 წლებში ცალობრივი ვაჭრობის საწარმოთა რაოდენობა დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო საზოგადოებრივი კვების საწარმოთა — 3-ჯერ გაიზარდა.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულ მიღწევების საფუძველზე ამაღლდა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, აყვავდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ქართული კულტურა.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის განმაზოგადოებელი მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის ზრდა. 1960 წელთან შედარებით 1968 წელს საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავალი 2 132 მილიონი მანეთიდან 3 374 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. ნაციონალური შემოსავლის უდიდესი ნაწილი — დაახლოებით სამი მეოთხედი მოსახლეობის პირად მოხმარებისათვის გამოიყენება.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის საფუძველზე გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი. მარტო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებული შეღავათები 1960 წელთან შედარებით 1,9-ჯერ გაიზარდა და 1968 წლისათვის 875 მილიონ მანეთს შეადგენდა.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე ხდება მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო სწავლება, დახმარების, პენსიების, სტიპენდიების გაცემა, მორიგ შვებულებათა ანაზღაურება, უფასოდ ან შეღავათიან ფასებში დასვენება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში და სხვ.

უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ ამაღლდა მცირესაზღაურიან მუშაკთა ხელფასის დონე. გაუმჯობესდა მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობები — განხორციელდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა. ამ ღონისძიებას, როგორც აღინიშნა სკკპ XXIII ყრილობამ, აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებისათვის. იქმნება დამატებითი შესაძლებლობანი შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მშრომელთა მიერ თავიანთი თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის (დასვენების, ბავშვთა აღზრდის, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლის, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისა და სხვ.).

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველზე გაიზარდა საქართველოს სსრ მოსახლეობის რიცხოვნობა, მუშათა და მოსამსახურეთა რაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დენობა და არსებითად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა.

ქალაქად და სოფლად ბინათმშენებლობის არნახული ზრდის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა 39,4 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1956 წლიდან 1968 წლამდე 1730 ათასმა კაცმა მიიღო საცხოვრებელი ფართობი ახალ სახლებში ან გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე. 1969 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საწარმოთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 1960 წელთან შედარებით 3,2-ჯერ გაიზარდა, მათ შორის სოფლად 8,8-ჯერ.

ომამდელ ხუთწლედებში მოხდა უდიდესი კულტურული ძვრები. ძირითადად დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამჟამად საბჭოთა საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანას წარმოადგენს.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 1969/70 სასწავლო წელს 6-ჯერ, ხოლო სკოლების რაოდენობა 2-ჯერ მეტი იყო რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით.

რევოლუციამდელ საქართველოში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი და 5 საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფართო ქსელი, სადაც ათიათასობით სტუდენტი ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს ცოდნის სხვადასხვა დარგში. 1928—1969 წლების მანძილზე საქართველოს სსრ უმაღლესმა სასწავლებლებმა 217 ათასი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი მოამზადეს.

ფართოდ განვითარდა მეცნიერების ყველა დარგი. 1968 წლის ბოლოსათვის მეცნიერ მუშაკთა რაოდენობამ 17 ათასს მიაღწია, ე. ი. 5-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით.

განუხრელად იზრდება მოსახლეობის მომსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. შექმნილია ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, მუზეუმების ფართო ქსელი. საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე უდიდესი მზრუნველობით ეკიდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესების საქმეს. 1968 წელს 1913 წელთან შედარებით ექიმების რაოდენობა 34-ჯერ, ხოლო საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა 20-ჯერ გაიზარდა.

დიდად განვითარდა საკურორტო მეურნეობა. 1968 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 140 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი 31 ათასი საწოლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით, უფრო მეტად ამაღლდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე.

ქართველი ხალხი, საქართველოს ყველა მშრომელი მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, აღფრთოვანებულნი მოპოვებული გამარჯვებებით, ბეჯითად ეძიებს წარმოების ზრდის ახალ რეზერვებს, ამაღლებს შრომით აქტივობას, რაც ჩვენი ქვეყნის შემდგომი მძლავრი ეკონომიკური და კულტურული განვითარების, კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების წარმატებით შესრულების პირობაა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

„მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიკო მიქელოვი

# ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა და მისი განხორციელება საქართველოში

საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მაქსიმალური გამოყენება მხოლოდ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მითითებანი კავკასიის კომუნისტებისადმი მთელი ძალღონით განევითარებინათ მდიდარი მხარის მწარმოებლური ძალები, თეთრი ნახშირი და დაეწყოთ დიდი სამუშაოები ელექტროფიკაციის დარგში.

ლენინის ეს მითითება გულისხმობდა არა მარტო ჰიდროენერგეტიკული რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, არამედ იაფი ჰიდროელექტროენერგიის საფუძველზე მხარის მთელი მძიმე ინდუსტრიის შექმნა-განვითარებასაც.

ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იპყრობდა მრავალი სპეციალისტის ყურადღებას. საქართველოს დედაქალაქში ელექტროგანათების მოწყობის საკითხი პირველად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ეკონომისტმა ნიკო ნიკოლაძემ დააყენა. იგი ყოველთვის იმ ადამიანთა მოწინავე რიგებში იდგა, რომლებიც იბრძოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვისათვის.

პირველი ელექტროსადგური თბილისში მოეწყო ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1887 წელს, ქართული თეატრის შენობასთან. ეს იყო პირველი სტაციონარული ელექტროდანადგარი რევოლუციამდელ საქართველოში, მაგრამ შემდეგ ელექტროენერგეტიკა საბჭოებამდელ საქართველოში სათანადოდ არ განვითარებულა, ხოლო მენშევიკების ხანმოკლე ბატონობის დროს მანამდე არსებული ელექტროსადგურების დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. იმპერიალისტურმა ომმა, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისა და უცხოელ იმპერიალისტების ბატონობამ კატასტროფამდე მიიყვანა საქართველოს ეკონომიკა.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში კაპიტალისტური მრეწველობა მოწინავე ქვეყნებთან შედარებით დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ ცხადია საქართველო ამ მხრივ თვით რუსეთსაც ჩამორჩებოდა.

1913 წელს რუსეთის მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 78 მანეთს, საქართველოში კი 18 მანეთს, 1918 წელს რუსეთში ელექტროენერგია მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 13,7 კვტ საათი, საქართველოში კი 7,8 კვტსაათი, ქვანახშირი რუსეთში 209 კგ, საქართველოში 28,4 კგ, ხოლო მექანიკური ძრავების სიძლიერე რუსეთში ათჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განადგურებამდე იყო მისული სოფლის მეურნეობაც. საბჭოთა წყობილების დამყარებამდე საქართველოს სოფლებში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები იშვიათი გამონაკლისი იყო და იგი მხოლოდ ზოგიერთი მსხვილი მემამულის მეურნეობაში თუ მოიპოვებოდა.

ამრიგად, საბჭოთა საქართველომ წარსულიდან მემკვიდრეობით მიიღო გაჩანაგებული მრეწველობა, მოშლილი ტრანსპორტი, გაპარტახებული სოფლის მეურნეობა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უდიდეს სიძნელეებს უქმნიდა რესპუბლიკის მშრომელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის გაჩაღებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ შეუდგნენ ინდუსტრიული წარმოების შექმნას. ახალგაზრდა რესპუბლიკას ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მთელი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა ხალხი და პირველ რიგში რუსი ხალხი. ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე დროს საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში, მისი პირდაპირი მითითებით გამოუყო სახსრები საქართველოს რესპუბლიკას ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. ეს იყო პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა საქართველოში და მეორე სადგური ჩვენს ქვეყანაში, აგებული ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის მიხედვით[1].

სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში საქართველოს კპ(ბ) მეორე ყრილობამ (1923 წ. 11—18 მარტი) და ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის ივლისის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილეს საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობის საკითხი. ყრილობისა და ცკ პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შრომა გააჩაღეს სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის აღდგენისათვის, რის შედეგადაც უკვე 1923—1924 წელს საქართველოს სსრ ცენზიანი მრეწველობის ელექტროსადგურებმა 4,8 მლნ კვტსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, ხოლო 1924—1925 წელს ეს მაჩვენებელი 7,9 მლნ კვტსაათს აღწევდა.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულმა საქართველოს მშრომელებმა სსრკ მრეწველობაზე დაყრდნობით, დიდი რუსი ხალხისა და სხვა საბჭოთა ხალხების დახმარებით მოამზადეს აუცილებელი პირობები რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და ამ საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დამლევს, 1923 წლის დეკემბერში, საქართველოს კპ(ბ) IV ყრილობამ სპეციალურად განიხილა საბჭოთა საქართველოს მრეწველობის აღდგენა-განვითარების საკითხები. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ელექტროსადგურების მშენებლობის ფართოდ გაშლის ამოცანებს: „... საქართველოში, ჩამორჩენილ და მრეწველობას მოკლებულ ქვეყანაში უმთავრეს, ძირითად ამოცანას ახალი მრეწველობის მშენებლობა წარმოადგენს“[2].

საკ. კ. პ(ბ) XIV და საქართველოს კპ(ბ) ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პარტიული და

---

1 ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე, ლენინის მიერ მითითებული გზით, ჟურნ. „კომუნისტი“, 1966, № 2, გვ. 11—12.

2 საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების IV ყრილობა, თბ., 1926, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ორგანოები სისტემატურად იხილავდნენ ელექტროენერგეტიკული მრეწველობის საქმიანობას და ელექტრომშენებლობების საკითხებს და ატარებდნენ სათანადო ღონისძიებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტროენერგეტიკული ბაზის წარმატებით მშენებლობის განხორციელებისათვის.

ასე, 1923 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ზაჰესის მშენებლობის მდგომარეობა და სრულიად აუცილებლად ცნო გაგრძელებულიყო მუშაობა სადგურის ასაგებად. ცენტრალურმა კომიტეტმა დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე, რათა გაეღოთ „ავჭალის სადგურისათვის 200 ათასი ჩერვონული მანეთი სამუშაოთა საწარმოებლად ოქტომბერში და ნოემბერში", ხოლო საკითხი მთლიანად განხილული ყოფილიყო რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმზე[3].

ზაჰესის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხები შემდგომშიაც არაერთხელ გამხდარა რესპუბლიკის კპ ცკ-ის მსჯელობის საგნად.

1927 წლის 26 ივნისს მოხდა ზაჰესის საზეიმო გახსნა, რომელიც ქართველი ხალხის ნამდვილ ეროვნულ ზეიმად გადაიქცა. ზაჰესის ამუშავების შემდეგ გადაწყდა მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგურის — რიონჰესის მშენებლობა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბრძოლის პერიოდის დამდეგიდანვე გაძლიერდა საბჭოთა საქართველოს ახალი ინდუსტრიული მშენებლობა, საზოგადოდ ელექტროენერგეტიკული მრეწველობისადმი გეგმური ხელმძღვანელობა. მუშავდებოდა სოციალისტური მრეწველობის, მათ შორის ელექტროენერგეტიკის განვითარების წლიური გეგმები, მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური საკონტროლო ციფრები. საკ. კპ (ბ) XV ყრილობისა და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მითითებათა საფუძველზე გაიშალა მუშაობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის პირველი ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

1928 წლის თებერვალში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა დირექტივები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე ამიერკავკასიის ფედერაციასა და საბჭოთა საქართველოშიც მტრული ელემენტები, მათთან ერთად მემარჯვენე ოპორტუნისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ საბჭოთა წყობილების რესურსების სრული გამოვლინებისა და მეცნიერულად დასაბუთებული სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის. ისინი განსაკუთრებით იბრძოდნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, მათ შორის ელექტროენერგეტიკული მშენებლობის წინააღმდეგ. საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობაზე (1929 წ. VI), სადაც მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1-ლი ხუთწლიანი გეგმა, გაისმოდა ხმები რიონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ „რად გვინდა რიონჰესი, უკეთესია პურზე ფასები ავწიოთო".

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაანადგურა სოციალისტური მშენებლობის ყველა ჯურის მტრების გამოხდომები და სკკპ XV ყრილობის დირექტივებისა და სსრ კავშირის და ამიერკავკასიის სფსრ სათანადო ხელმძღვა-

---

3 კ. ჩარკვიანი, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა, თბ., 1965, გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ორგანოების მითითებათა საფუძველზე უზრუნველყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის მეცნიერულად დასაბუთებული პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენა.

იმავე ხანებში, 1928 წლის სექტემბერში საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს კომპარტიის მუშაობის საკითხები და მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დადგენილებაში აღნიშნულია საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის თვალსაჩინო წარმატებანი და ამავე დროს მითითებულია ახალი ინდუსტრიული მშენებლობის ნაკლოვანებანი.

ცოტა მოგვიანებით, 1929 წლის ივლისში საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობამ, რომელმაც მიიღო ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1-ლი ხუთწლიანი გეგმა, თავის რეზოლუციაში პირველი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩაწერა: „ხუთწლიანმა გეგმამ შედეგად უნდა მოგვცეს საქართველოს სახალხო მეურნეობის სახის შეცვლა, ამ მხრივ საჭირო იქნება პირველ რიგში ხელი მოვკიდოთ წარმოების ისეთი დარგების განვითარებას, რაც დღევანდელ აგრარულ სამრეწველო საქართველოს, სამრეწველო აგრარულ ქვეყნად გადააქცევს"[4].

ყრილობის რეზოლუციაში მრეწველობის მუშაობის შესახებ აღნიშნულია მრეწველური შრომის ელექტროაღჭურვილობის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყრილობამ ამასთან საჭიროდ სცნო ენერგომშენებლობის უფრო ფართოდ გაშლა.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას, სადაც აღნიშნულია ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების ნაკლოვანებანი, ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებანი და სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა. კერძოდ, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „ჰიდროელექტრომშენებლობის" ფართოდ განვითარებას. ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობის რეზოლუციაში (1932 წ. იანვარი) ელექტროფიკაციის შესახებ ნათქვამია:

„ენერგო ბალანსის დაჭიმული მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ...უნდა ამუშავდეს ფერო-მარგანეცის ქარხანა და დამთავრდეს ტყელტეხილის ელექტროფიკაცია, უზრუნველყოფილ იქნას რიონის ჰიდროელექტროსადგურის, ზაჰესის მეორე რიგის და ალაზანჰესის თავის დროზე ამუშავება... ახალ მსხვილ მომხმარებელთა ელექტროენერგიით დაკმაყოფილების მიზნით დაჩქარებულ იქნას აჭარისწყლის ჰიდროსადგურის მშენებლობა... დაჩქარდეს აგრეთვე ტყვარჩელის თბოსადგურის მშენებლობა"[5].

ამასთან ერთად ყრილობამ დასახა ხრამჰესის, როგორც საქართველოს ჰიდროსადგურების ჯგუფის ერთ-ერთი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, აგრეთვე სამგორის ჰიდროელექტროსადგურის მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება.

---

[4] საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1929, გვ. 681—682.

[5] საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 216.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათ მიერ შემოგზავნილი აგენტები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის შიგნით კაპიტალისტური ელემენტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩაეშალათ ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელება საქართველოში. ისინი უარყოფდნენ შინაგანი რეზერვებით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შესაძლებლობას და ამით არსებითად კაპიტალიზმის აღდგენისაკენ უბიძგებდნენ.

სოციალიზმის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა საქართველოს კომუნისტური პარტია, ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის პერიოდის მანძილზე გაიზარდა პარტიის წევრთა, განსაკუთრებით კომუნისტ მუშების რიცხვი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ინდუსტრიული წარმოების, მათ შორის ელექტროენერგეტიკული მრეწველობის მზარდ ზრდასთან ერთად გადიდდა პროფესიულ კავშირთა წევრთა რიცხვი. გაიზარდა და განმტკიცდა აგრეთვე საქართველოს ალკკ ორგანიზაცია, განსაკუთრებით მრეწველობასა და ელექტრომშენებლობებზე დასაქმებული მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს ახალი ამოცანები დაუსახა. საჭირო გახდა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გადასინჯვა, მათი საქმიანობის გამოცოცხლების მიღწევა. პარტიამ გამოაცხადა ლოზუნგი: „პირით წარმოებისაკენ“, რომელიც მუშათა კლასის ყველა მასობრივი ორგანიზაციისადმი იყო მიმართული. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ-მა 1929—1930—1931 წწ. ადგილობრივი პარტიული მუშაკების მონაწილეობით რამდენჯერმე შეამოწმა რიონჰესის, აწჰესის, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის და სხვა მშენებლობის მიმდინარეობა და მათი საქმიანობა (40-მდე ელექტრომრეწველური საწარმოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა)[6].

ამან ხელი შეუწყო ადგილებზე პარტიული მუშაობის გამოცოცხლებას და გაუმჯობესებას. შემცირდა დირექტივებისა და ცირკულარების რაოდენობა. უფრო მრავალფეროვანი გახდა ელექტროსადგურების და ელექტრომშენებლობების პარტიულ ორგანიზაციებთან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ცოცხალი ურთიერთობის ფორმები. ელექტროსადგურთა და ელექტრომშენებლობების პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ისმებოდა წარმოებისა და მშენებლობის რაციონალიზაციის, ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის, შრომის მწარმოებლურობის გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ამოცანები.

სოციალისტურ მშენებლობაში, წარმოების მართვაში და შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის ბრძოლაში მუშათა მასების ჩაბმის უმნიშვნელოვანესი ფორმა იყო წარმოებრივი თათბირები, რომლებიც მუშების ინიციატივით წარმოიშვა. ისინი ფართოდ გავრცელდა. რიონჰესის, აწჰესის, ალაზანჰესის და სხვა მშენებლობებზე, აგრეთვე მოქმედი ელექტროსადგურების — ზაჰესის, აბჰესის და სხვა წარმოებრივ თათბირებზე მუშათა ფართო მონაწილეობით იხი-

6 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, საქმე 35, ფურცელი 1, 2, 7, 8, 11, 24, 47—48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდა მშენებლობის მდგომარეობის, მომჭირნეობის რეჟიმის, გაცდენათა ლიკვიდაციის, თვითღირებულების შემცირების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და სხვა საკითხები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ცდილობდა, რომ წარმოებრივი თათბირების მოწინავე გამოცდილება გავრცელებულიყო მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგზე, ყოველი ღონისძიებით მხარს უჭერდა და ავითარებდა მასების შემოქმედებითი ინიციატივის სხვა ფორმებსაც.

1931 წლის 23 იანვარს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პარტიული მუშაობის ორგანიზაციული გარდაქმნის შესახებ“[7], იმავე წლის 1 ივნისს—მრეწველურ საწარმოებში „ხელშეკრულების დადების კამპანიისა და მეურნეობრივ ანგარიშზე გადასვლის შესახებ“[8]. ცოტა ხნის შემდეგ, კერძოდ 1932 წლის 7 თებერვალს საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა, თუ როგორ სრულდებოდა დადგენილება საწარმოების, საამქროებისა და ბრიგადების გადაყვანის შესახებ მეურნეობრივ ანგარიშზე[9].

პარტიის უდიდესი ზრდის შედეგად ელექტროსადგურებისა და ელექტრომშენებლობების პარტიული უჯრედების მნიშვნელოვანი ნაწილი მრავალასიან კოლექტივებად გადაიქცა. ითვალისწინებდა რა ამას, ცენტრალური კომიტეტი რჩევას იძლეოდა, რომ ყოველი ელექტრომშენებლობა და ელექტროსადგური, სადაც კომუნისტთა რიცხვი 200 ნაკლები არ იყო შეექმნათ პარტიული კომიტეტები, საამქროს უჯრედები და პარტიული ჯგუფები ბრიგადებში.

პარტიული მუშაობის ასეთმა ორგანიზაციულმა გარდაქმნამ ხელი შეუწყო ზაჰესის, რიონჰესის, აწჰესის, ტყვარჩელთესის, ალაზანჰესის და სხვა ჰიდრო და თბოელექტროსადგურების პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას და პარტიული გავლენის ზრდას მუშათა მასებში.

ელექტროსადგურების პარტიული ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას უთმობდნენ წარმოების საკითხებს. პარტიის ორგანიზატორული მუშაობა მიმართული იყო უწინარეს ყოვლისა მშენებლობების ტემპების დაჩქარებისაკენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის საუკეთესო კადრებს და მუშათა კლასის ძალებს თავი მოუყარა ელექტროსადგურების: რიონჰესის, აწჰესის, ალაზანჰესის, ტყვარჩელთესის და სხვა მშენებლობებზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევდა ელექტროსადგურების საქმიანობას და ელექტრომშენებლობის მუშაობას. იგი მტკიცედ მოითხოვდა, რომ თითოეული ელექტროსადგური დაწესებულ ვადაში ამუშავებულიყო; ასე, ჯერ კიდევ 1930 წლის დეკემბერს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ რიონჰესის მშენებლობაზე“. მომდევნო წლის 2 თებერვალს ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ განიხილა რიონჰესის მშენებლობის მიმდინარეობა. დადგენილებაში ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებულია მშენებლობის მუშახელით და სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის საკითხებზე. რესპუბლიკის კპ(ბ) ცკ სამდივნოს, ბიუროს, პრეზიდიუმის სხდომებზე ასევე ხშირად იხილებოდა აწჰესის, ტყვარჩელთესის, სურამის საულელტეხილო

---

[7] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფონდი 14, აღწ. I, ნაწ. III, ს. 3902, ფ. 320.

[8] იქვე, ფურც. 328.

[9] იქვე, საქმე 4330, ფურც. 1—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკინიგზო ხაზის ელექტროფიკაციის, ალაზანჰესის და სხვ. ელექტროსადგურთა მშენებლობა და საქმიანობა[10].

აღნიშნულ მშენებლობებზე უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ პარტიული კომიტეტები და უჯრედები, რომელთა ბირთვს საქალაქო და საფაბრიკო ქარხნული პარტიული ორგანიზაციების მიერ წარგზავნილი კომუნისტები შეადგენდნენ. ისინი რაზმავდნენ ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსულ მშენებლებს, ეწეოდნენ დიდ მუშაობას სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის და აყალიბებდნენ ახალგაზრდა შრომითს კოლექტივებს, ცდილობდნენ მათი მუშაობა გამართული ყოფილიყო.

რაზმავდა რა საბჭოთა საქართველოს მშრომელების შემოქმედებით აქტივობას ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მუშებს მიმართა მოწოდებით მოეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება გეგმური დავალებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. რესპუბლიკაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. რიონჰესმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია აწჰესი, აწჰესმა აბაშჰესი, აბაშჰესმა თავის მხრივ ზაჰესი[11].

აღსანიშნავია, რომ სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურებსა და საბჭოთა კავშირის სხვა ეკონომიკურ რაიონებში მდებარე ელექტროსადგურებს შორის. ასე, რიონჰესი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო დეპროჰესთან, აწჰესი დზორაგესთან (სომხეთის სსრ) და სხვა[12].

პარტიის ღონისძიებების შედეგად ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობრივი განვითარებაც პირველსა და მეორე ხუთწლედებში თვალსაჩინო მიღწევებით აღინიშნა. რადიკალურად განახლდა რესპუბლიკის წარმოებრივ-ტექნიკური აპარატი. მეორე ხუთწლედის დამდეგიდან საბჭოთა საქართველოს მსხვილი მრეწველობა თითქმის მთლიანად ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოებისაგან შედგებოდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმული საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული წარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მშრომელი მასები სულ უფრო აძლიერებდნენ შრომით აქტივობას და თანდათანობით სძლევდნენ აღნიშნულ სიძნელეებს. რესპუბლიკის მშრომელი მასების აქტივობას აწყობდა და წარმართავდა საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის რიგებში 1940 წლის დამდეგისათვის 54531 წევრი და 36371 კანდიდატი ირიცხებოდა. ამ 91-ათასიანი კომუნისტური არმიის 37,3%-ს, უმთავრესად ინდუსტრიული წარმოების მუშები შეადგენდნენ. ამავე თარიღისათვის საქართველოს ლენინურ კომკავშირში იყო 622227 კომკავშირელი, მათ შორის 89335 (34,1%) ქალიშვილი.

საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობისა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებათა საფუძველზე საბჭოთა საქართველოში ხორციელდებოდა ელექტროფიკაციის გაშლილი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა გარდა მშენებლობის პროცესში მყოფი ხრამის მსხვილი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლო-

10 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, ს. 3578, ფურც. 15—16.

11 საქ. ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 657, ს. 66, ფურც. 11—12.

12 ი ქ ვ ე, ფურც. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა და სოხუმჰესისა და სხვა დამთავრებას, აგრეთვე საშუალო და მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ფართოდ გაშლას.

ჰიტლერული გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეაფერხა ელექტრომშენებლობის საქმე საქართველოში. ჯერ კიდევ ომის დროს, 1944—45 წლებში, განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყო ჩითახევჰესის რაიონული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ტყვარჩელის რაიონული თბოელექტროსადგურის მეორე რიგის მონტაჟი.

მეოთხე ხუთწლედში ამუშავდა ხრამჰესი I, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი და ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ზოგიერთი სხვა ობიექტი. 1946—1950 წწ. საქართველოს სსრ ელექტროსადგურების სიმძლავრე 1,9-ჯერ გაიზარდა. ამასთან მწყობრში ჩადგა ხრამჰესი, რომელიც თავისი ჰიდროტექნიკური ნაგებობით პირველი იყო საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ ჰიდროელექტროსადგურს წარმოადგენდა. მას განსაკუთრებული მარეგულირებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ ენერგოსისტემისათვის.

კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკული მრეწველობის წარმოებრივი აპარატის გაფართოება და სრულყოფა მეხუთე ხუთწლედში. ამ პერიოდში აშენდა და ამუშავდა სამგორის და სხვა ჰიდროელექტროსადგურები. მწყობრში ჩადგა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ ენერგოსისტემების შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზი. მიმდინარეობდა გუმათჰესი № 2, ბჟუჟჰესის მშენებლობა, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის გაფართოების სამუშაოები. დაიწყო ხრამჰეს № 2, გუმათჰეს № 1, ლაჯანურჰესისა და ტყიბულჰესის მშენებლობა.

1956—1970 წწ. უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკული მრეწველობის წარმოებრივი აპარატის შემდგომი გაფართოება და ტექნიკური რეკონსტრუქცია.

საბჭოთა საქართველომ, რომელიც გაერთიანებულია ჩვენი დიადი ქვეყნის ევროპული ნაწილის მძლავრ მოქმედ ენერგოსისტემაში, ჰიდროელექტროსადგურების ერთიანი სიმძლავრე ჯერ კიდევ 1965 წლისათვის გაზარდა 140-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება 90-ჯერ, ვიდრე ეს ზაჰესის ამუშავების დროს იყო.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა ცხრაჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლევა, ვიდრე მეზობელი თურქეთი, თუმცა ამ უკანასკნელის ტერიტორია თერთმეტჯერ აღემატება საქართველოს ტერიტორიას.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ენერგეტიკოსებმა და მშენებლებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს. რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ამუშავდა მეტროპოლიტენის პირველი რიგი. მიწის ქვეშ ამოქმედდა რთული და მძლავრი ენერგეტიკული მეურნეობა, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი, რომელიც მოწმობს, რომ კვლავაც წარმატებით ხორციელდება ელექტროფიკაციის ლენინური იდეა.

მაგრამ, მიუხედავად დიდმნიშვნელოვანი წარმატებებისა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მთელ ამიერკავკასიაში ენერგეტიკული ბალანსი დეფიციტურია. მისი გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ადგილობრივი მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებას, რომელთა გამოყენების კოეფიციენტი მეტად დაბალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სწორედ ამიტომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავისი XXIV ყრილობის რეზოლუციაში ჰიდროენერგომშენებლებს მეტად პასუხსაგები ამოცანა დაუსახა, რეზოლუციაში ნათქვამია: ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს ენერგეტიკული საწარმოების, ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელზედაც ყრილობამ გაამახვილა ყურადღება, რესპუბლიკის სათბოენერგეტიკული ბაზის მდგომარეობა და შემდგომი განვითარებაა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი ამოცანების გადაჭრისათვის განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა ქიმია და მეტალურგია გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნას, რესპუბლიკის ჰიდრორესურსების უფრო ფართოდ გამოყენებას

ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს სსრ პირობებში, როცა ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა სათბობის ნაკლებობა, ჰიდროელექტროსადგურებში იაფი ელექტროენერგიის გამომუშავება გადამწყვეტ როლს შეასრულებს ჩვენი რესპუბლიკის და მთლიანად ამიერკავკასიის მწარმოებლურ ძალთა განვითარების საქმეში.

ამიტომ უდავო ხდება საქართველოში იაფი ელექტროენერგიის წარმოების მდიდარ შესაძლებლობათა გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, რათა დაკმაყოფილდეს, როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე ნაწილობრივ სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე.

ცნობილია, რომ ჰიდროენერგომშენებლობის პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როცა ხუთი წლის განმავლობაში ერთდროულად შენდებოდეს რამდენიმე უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, რომლებსაც უნიკალური თაღოვანი კაშხალები ექნებათ.

ამოცანად დასახულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ჰიდროელექტროსადგურების — ჟინვალჰესის და ვარციხისჰესის პირველი რიგის ამოქმედება. თბილისის სახელმწიფოებრივ რაიონულ ელექტროსადგურში ამ გიგანტში — გათვალისწინებულია მძლავრი ენერგობლოკების დადგმა.

გასულ 1970 წელს რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა 9 მილიარდამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, რაც 4,5 მეტია, ვიდრე 1913 წელს წარმოებული იყო მთელ მეფის რუსეთში, ხოლო ხუთწლედის ბოლოს ელექტროენერგიის გამომუშავება კიდევ უფრო გაიზრდება.

ენერგოენერგეტიკის ასე ფართოდ განვითარებაში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ენგურჰესი, რომლის სიმძლავრე ერთი მილიონ 630 ათასი კილოვატი, ხოლო ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 5 მილიარდზე მეტი კილოვატსაათი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტროფიკაციის დარგში XXIV ყრილობის მიერ დასახული პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს ელექტროენერგიაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ამით კიდევ უფრო დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა ახალ, მძლავრ აღმავლობას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა).

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭიკო ტაბატაძე

# ფონდუკუგების საკითხისათვის ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში

მეურნეობრივი საქმიანობის საერთო ანალიზისათვის, კაპიტალური დაბანდების, წარმოებრივი სიმძლავრეებისა და ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოქმედებაში შეყვანის დასაგეგმავად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე, რომელსაც ფონდუკუგებას უწოდებენ.

როგორც ძირითადი წარმოებრივი ფონდების მთელი ერთობლიობის გამოყენების განმაზოგადებელი ღირებულებითი მაჩვენებელი — ფონდუკუგება განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის შეფარდებით ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებასთან. ამასთან გამოშვებული პროდუქცია აღირიცხება უცვლელ ფასებში, ხოლო ძირითადი წარმოებრივი ფონდები — საშუალოწლიური ღირებულების მიხედვით. საჭიროა აღინიშნოს, რომ მთლიანად სახალხო მეურნეობის მასშტაბით ფონდუკუგებას განსაზღვრავენ ნაციონალური შემოსავლის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებასთან შეფარდებით.

ფონდუკუგების გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\Phi_0 = \frac{\Pi}{\Phi},$$

სადაც $\Phi_0$ — ფონდუკუგება;

$\Pi$ — გამოშვებული პროდუქციის ღირებულება;

$\Phi$ — ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება.

თუ მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი უსწრებს ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების ზრდას, მაშინ ფონდუკუგება იზრდება, ხოლო თუ მრეწველური საწარმოო ადიდებს ძირითად წარმოებრივ ფონდებს და პროდუქციის მოცულობა ნაკლები ტემპით იზრდება, ვიდრე ძირითადი წარმოებრივი ფონდები, მაშინ ფონდუკუგება მცირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე როგორც მთლიანად მრეწველობაში, ისე მის მრავალ დარგში. მართლაც, თუ ავიღებთ სკკპ ცკ სექტემბრის (1965 წ.) პლენუმამდელ 15 წელს, მივიღებთ ძირითადი წარმოებრივი ფონდების 1 პროცენტით ზრდაზე მთლიანი პროდუქციის მატების შემდეგ საშუალო მონაცემებს (პროცენტობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

1951—1955 წწ. — 1,16
1956—1960 წწ. — 0,91
1961—1965 წწ. — 0,79

1956 წლიდან ფონდუკუგება მრეწველობაში თანდათანობით იწყებს შემცირებას და 1965 წლისათვის მისი სიდიდე განისაზღვრება 79 კაპიკით მოქმედი ძირითადი წარმოებრივი ფონდების თითოეულ მანეთზე. ფონდუკუგების შემცირება განსაკუთრებით იგრძნობოდა შავ მეტალურგიაში, ქიმიურ, მსუბუქ, ხე-ტყის, ქაღალდის და ხისდამამუშავებელ დარგებში. ფონდუკუგების შემცირების გამო ჩვენს ქვეყანას 5 წლის განმავლობაში დააკლდა 8 მლრდ მანეთის დამატებითი პროდუქცია.

ამ პერიოდში ფონდუკუგება იზრდებოდა მხოლოდ მანქანათმშენებლობაში, რაც გაპირობებული იყო არა ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებით, არამედ მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასების გადიდებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ დარგებში, როგორიცაა ჩარხმშენებლობა, ადგილი ჰქონდა ფონდუკუგების შემცირებას. ასე მაგალითად, 1962 წლიდან ჩარხმშენებლობაში ფონდუკუგება შემცირდა 5 პროცენტით. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს შემცირება ლითონსაჭრელი ჩარხების და სამჭედლო-საწნეხი მანქანების წარმოებაში. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო, ჯერ ერთი, მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპების შენელებით და მეორე, ძირითადი წარმოებრივი ფონდების შემადგენლობაში მათი პასიური ნაწილის მკვეთრი გაზრდით.

ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისაგან განსხვავებით, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების ზრდის ტემპები ჩამორჩება მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპებს, თუმცა ეს ჩამორჩენა წლითიწლობით მცირდება. ასე მაგალითად, თუ 1967 წლის მონაცემებით ზრდის ტემპებს შორის სხვაობა 7 პროცენტს შეადგენდა, 1969 წლისათვის ეს სხვაობა 3 პროცენტამდე შემცირდა. საერთოდ კი ძირითადი წარმოებრივი ფონდები 1969 წელს 1965 წლის მიმართ გაიზარდა 28 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვება 30,7 პროცენტით. ცალკეული ქარხნების მიხედვითაც მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპებს, გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხნები, რომლებშიაც ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპები საგრძნობლად აღემატება მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპებს. ზრდის ტემპებს შორის სხვაობა თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში 2-დან 7 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხანაში 3-დან 58 პროცენტამდე (იხილეთ ცხრილი 1).

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა ფონდუკუგების სიდიდის მაჩვენებელზე. თუ ფონდუკუგება მთლიანად ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში შეადგენდა 1,11 მანეთს 1960 წელს, ცალკეული წლების მიხედვით 1,21—1,23 მანეთს მიაღწია, 1969 წლისათვის მისი სიდიდე რამდენადმე შემცირდა და შეადგინა 1,17 მანეთი, ე. ი. 1965 წლის მიმართ მხოლოდ 1,7 პროცენტით გაიზარდა. ფონდუკუგების ყველაზე კარგი მაჩვენებელი აქვს ჩარენცავანის შიგსაჩარხი ჩარხების ქარხანას — საშუალოდ 1,40—1,45 მანეთი და თანაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასეთივე მდგომარეობაა თბილისის სახები

ცხრილი 1

ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და მთლიანი პროდუქციის ზრდის დინამიკა ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში*

| №№ | საწარმოთა დასახელება | ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდა (პროცენტობით) | | | | | მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდა (პროცენტობით) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. |
| | ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობა სულ . | 100 | 107,6 | 113,0 | 118,5 | 128,0 | 100 | 113,0 | 120,0 | 126,3 | 130,7 |
| | მათ შორის: | | | | | | | | | | |
| 1 | თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . | 100 | 108,3 | 109,0 | 115,7 | 121,1 | 100 | 101,3 | 111,2 | 116,2 | 112,7 |
| 2 | თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა | 100 | 103,8 | 108,9 | 114,3 | 115,3 | 100 | 109,3 | 117,5 | 132,8 | 139,4 |
| 3 | ერევნის ფ.ე. ძერჟინსკის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . | 100 | 103,0 | 107,0 | 107,3 | 113,3 | 100 | 103,7 | 107,3 | 111,8 | 124,8 |
| 4 | ერევნის სათრეზო ჩარხების ქარხანა | 100 | 103,3 | 112,8 | 117,5 | 120,5 | 100 | 124,4 | 110,4 | 104,3 | 113,8 |
| 5 | კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხანა . . . . | 100 | 105,5 | 114,5 | 123,3 | 172,4 | 100 | 108,5 | 111,3 | 107,9 | 114,3 |
| 6 | ლენინაკანის სახეხი ჩარხების ქარხანა | 100 | 112,4 | 125,2 | 132,2 | 147,2 | 100 | 132,9 | 147,1 | 164,9 | 169,6 |
| 7 | ჩარენცავანის ზიუსახარხი ჩარხების ქარხანა . . . . | 100 | 114,8 | 126,8 | 129,2 | 141,1 | 100 | 122,2 | 132,0 | 142,9 | 157,6 |
| 8 | ოქტემბერიანის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . | 100 | 107,4 | 110,2 | 121,5 | 124,3 | 100 | 239,4 | 264,2 | 266,3 | 266,3 |

ჩარხებისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნებში. სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვღებულობთ თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, სადაც ფონდუკუგება 1,38 მანეთიდან 1960 წელს შემცირდა 1,15 მანეთამდე 1969 წელს. 1969 წლის მაჩვენებელმა შეადგინა 1965 წლის მაჩვენებლის 92,7 პროცენტი. კიდევ უფრო დაბალია ფონდუკუგება ერევნის სახეხი ჩარხების ქარხანაში, საშუალოდ 0,75 მანეთი, ფონდუკუგების შედარებით კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხანა — საშუალოდ 1,70—1,80 მანეთი, მაგრამ ეს მაჩვენებელი წლითიწლობით 10—15 პროცენტით მცირდება. ფონდუკუგება ამ ქარხანაში 1969 წელს 1965 წელთან შედარებით 33,7 პროცენტით შემცირდა, თუმცა მისი აბსოლუტური სიდიდე საშუალო დარგობრივზე მაღალია (იხილეთ ცხრილი 2).

---

* ეს და მომდევნო ცხრილები შედგენილია საწარმოთა წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფონდუკუგების განსაზღვრისათვის აიღება აგრეთვე პირობით-წმინდა პროდუქცია, რაც იმით არის გაპირობებული, რომ რიგ შემთხვევაში მთლიანმა პროდუქციამ შეიძლება დაამახინჯოს ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ფაქტიური დონე, ვინაიდან ის მოიცავს ნაყიდი ნახევარფაბრიკატების ღირებულებასაც, რომელთა ხვედრიწონა წარმოების დანახარჯებში არცთუ მცირეა. პირობით-წმინდა პროდუქცია შესაძლებლობას გვაძლევს სწორად ვიმსჯელოთ ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების დონეზე, რადგან ის ისეთ პროდუქციას წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ მოცემულ საწარმოში იქმნება.

ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში ფონდუკუგების უფრო სწორი მაჩვენებლის მისაღებად მიზანშეწონილია პირობით-წმინდა პროდუქციის გამოყენება, ვინაიდან ნაყიდი ნახევარფაბრიკატების ხვედრიწონა წარმოების დანახარჯებში 25—30 პროცენტს შეადგენს.

პირობით-წმინდა პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე მთლიანად ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში წლითიწლობით მცირდება. თუ 1960 წელს ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე გამოშვებულ იქნა 1,01 მანეთის პროდუქცია, მისი სიდიდე შემცირდა 0,91 მანეთამდე 1965 წელს და 0,85 მანეთამდე 1969 წელს. როგორც მესამე ცხრილიდან ჩანს, ამ მეთოდით გაანგარიშებული ფონდუკუგების ყველაზე კარგი მაჩვენებელი 1969 წლისათვის თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანას აქვს — 1,09 მანეთი, რაც 1965 წლის მაჩვენებლის 122,5 პროცენტს შეადგენს, შემდეგ მოდის ლენინაკანის სახეხი ჩარხების ქარხანა — 1,15 მანეთი 1968 წელს და 1 მანეთი — 1969 წელს. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს ერევნის საფრეზო ჩარხების ქარხანას — 0,44 მანეთი 1960 წელს და 0,57 და 0,44 მანეთი შესაბამისად 1965 წელს და 1969 წელს. ცალკეული წლების მიხედვით ყველაზე კარგი მაჩვენებლები ჰქონდა კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხანას (1,60—1,75 მანეთი 1960—1967 წლებში, მაგრამ უკანასკნელ წლებში მისი მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა და მხოლოდ 0,97 მანეთი შეადგინა 1969 წელს.

ფონდუკუგების მაღალი მაჩვენებლები, გაანგარიშებული პირობით — წმინდა პროდუქციის მიხედვით თავისთავად დადებითი მოვლენაა და საწარმოთა კარგ მუშაობაზე მიუთითებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ფაქტი საწარმოთა კოოპერირების დაბალ დონეზე მეტყველებს. და მართლაც ამიერკავკასიის ჩარხსამშენებლო საწარმოები ნახევარფაბრიკატების მნიშვნელოვან ნაწილს თვითონ ამზადებენ. ასე, მაგალითად, ოქტემბერიანის ჩარხსამშენებლო ქარხანა 32 დასახელების დეტალიდან 18 დასახელების დეტალს იღებს ჩარენცავანის ქარხანა „ცენტროლიტიდან", ხოლო 14 დეტალს კი თვითონ ამზადებს. ასეთივე მდგომარეობაში არის თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა და სხვა ქარხნებიც.

ფონდუკუგება, რომელიც გაიანგარიშება მთლიანი პროდუქციის ღირებულების შეფარდებით ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებასთან, შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს იმ საწარმოებში, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შრომის პირობების გაუმჯობესებას თანამედროვე წარმოებრივი შენობების, ლაბორატორიების და სხვ. მშენებლობების სახით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათი წარმოებრივი განწყობილების გამოყენება შედარებით დაბალი იყოს. მართალია, პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია ძირითადი წარმოებრივი ფონდების ყველა ელემენტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

მთლიანი პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობაში

| № № | საწარმოთა დასახელება | მთლიანი პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე (მან.) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1960 წ. | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. |
| | ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობა—სულ . . . . . | 1,11 | 1,15 | 1,21 | 1,22 | 1,23 | 1,17 |
| | ინდექსი (1965—100%) . | — | 100 | 105,2 | 106,1 | 107,0 | 101,7 |
| | მათ შორის: | | | | | | |
| 1 | თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . . | 1,38 | 1,24 | 1,16 | 1,26 | 1,24 | 1,15 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 93,5 | 101,6 | 100,0 | 92,7 |
| 2 | თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა . . . . . . . | 1,19 | 1,18 | 1,24 | 1,27 | 1,37 | 1,43 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 105,1 | 107,6 | 116,1 | 121,2 |
| 3 | ერევნის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . | 0,56 | 0,76 | 0,91 | 0,74 | 0,67 | 0,72 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 119,7 | 97,4 | 88,2 | 94,7 |
| 4 | ერევნის საფრეზო ჩარხების ქარხანა . . . . . . . . | 1,14 | 1,02 | 1,03 | 1,02 | 1,06 | 1,12 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 101,0 | 100,0 | 103,9 | 109,8 |
| 5 | კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხანა . . . | 0,83 | 1,90 | 1,95 | 1,85 | 1,66 | 1,26 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 102,6 | 97,4 | 87,4 | 66,3 |
| 6 | ლენინაკანის სახერხი ჩარხების ქარხანა . . . . . | 0,65 | 1,08 | 1,27 | 1,26 | 1,34 | 1,24 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 117,6 | 117,5 | 124,8 | 114,8 |
| 7 | ჩარენცავანის შიგსაჩარხი ჩარხების ქარხანა . . . | 0,42 | 1,31 | 1,40 | 1,36 | 1,47 | 1,46 |
| | ინდექსი . . . . | — | 100 | 106,9 | 103,8 | 112,2 | 111,4 |
| 8 | ოქტემბერიანის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . | 0,20 | 0,48 | 1,08 | 1,16 | 1,06 | 1,03 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 225,0 | 241,7 | 220,8 | 214,6 |

მაგრამ გადამწყვეტი როლი მაინც მის ყველაზე აქტიურ ნაწილს — მუშა-მანქანებსა და გაწყობილობას — ეკუთვნის. ამიტომ საწარმოთა მეურნეობრივი საქმიანობის უფრო სრული დახასიათებისათვის ჩვენი აზრით გაანგარიშებულ უნდა იქნეს ფონდუკუგების კიდევ ერთი მაჩვენებელი — მთლიანი პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის ღირებულების 1 მანეთზე.

მეოთხე ცხრილში მოცემულია აქტიური ნაწილის ხვედრიწონა ძირითადი წარმოებრივი ფონდების საერთო ღირებულებაში და მთლიანი პროდუქციის გამოშვება მისი ღირებულების 1 მანეთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3

პირობით - წმინდა პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე კავკასიის ჩარხმშენებლობაში

| № № | საწარმოთა დასახელება | პირობით - წმინდა პროდუქციის გამოშვება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების 1 მანეთზე (მანეთობით) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1960 წ. | 1965 წ. | 1966 წ. | 1967 წ. | 1968 წ. | 1969 წ. |
| | ამიერკავკასიის ჩარხმშენებლობა—სულ . . . . . | 1,01 | 0,91 | 0,98 | 0,93 | 0,90 | 0,85 |
| | ინდექსი (1965 წ.—100%) | — | 100 | 107,7 | 102,2 | 98,9 | 93,4 |
| | მათ შორის; | | | | | | |
| 1 | თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . . | 1,03 | 0,89 | 0,95 | 0,99 | 1,08 | 1,09 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 106,7 | 111,2 | 121,3 | 122,5 |
| 2 | თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა . . . . . | 1,38 | 0,99 | 0,93 | 0,95 | 0,88 | 0,82 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 93,9 | 96,0 | 88,9 | 82,8 |
| 3 | ერევნის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . . | 0,93 | 0,84 | 0,79 | 0,76 | 0,80 | 0,83 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 94,0 | 90,5 | 95,2 | 98,8 |
| 4 | ერევნის საფრეზო ჩარხების ქარხანა . . . . . . . | 0,44 | 0,57 | 0,73 | 0,57 | 0,49 | 0,44 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 128,1 | 100 | 86,0 | 77,2 |
| 5 | კიროვაკანის პრეციზიული ჩარხების ქარხანა . . . | 0,83 | 1,60 | 1,73 | 1,60 | 1,35 | 0,97 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 108,1 | 100 | 84,4 | 60,6 |
| 6 | ლენინაკანის სახეხი ჩარხების ქარხანა . . . . . | 0,47 | 0,85 | 0,95 | 0,94 | 1,15 | 1,00 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 111,8 | 110,6 | 135,3 | 117,6 |
| 7 | ჩარენცავანის შიგსაჩარხი ჩარხების ქანხანა . . . | 0,32 | 0,93 | 1,26 | 0,93 | 0,96 | 0,94 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 135,5 | 100 | 103,2 | 101,1 |
| 8 | ოქტემბერიანის ჩარხსამშენებლო ქარხანა . . . . | 0,10 | 0,39 | 0,94 | 0,99 | 0,70 | 0,81 |
| | ინდექსი . . . . . | — | 100 | 241,0 | 253,8 | 179,5 | 207,7 |

[28] ნაგულისხმევი იყო, რომ ხელისუფლების დროებითი ორგანოს მიერ დამტკიცებული შემადგენლობით მთავრობა დარჩებოდა საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობამდე. რუსეთში საბჭოების მე-3 ყრილობამდე თვით მთავრობა იწოდებოდა დროებითად (იმის გამო, რომ განზრახული იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა).

[29] С. С. Кравчук, Декрет об учреждении Совета Народных Комиссаров. „Вестник Московского университета“, серия XII, право, 1967, № 5, стр. 30, 34, 36.

[30] იხ. მაგ. „Революционные комитеты Грузии..“, стр. 19, 28—32, 42, 65, 74—75, 100—102, 168, 337.

[31] იქვე, გვ. 31 და სხვ.

[32] იქვე, გვ. 115—116, 126—127.

[33] «История Советского государства и права», кн. I..., стр. 512.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურ მთავრობას წარმოადგენდა[34]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სომხეთის რევკომი რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოდ გარდაიქმნა (1921 წლის მაისში)[35].

ცენტრალურ აპარატთან ერთად ქართული სოციალისტური სახელმწიფოს სათანადო ადგილობრივი ორგანოებიც ყალიბდებოდა.

პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ახალი ორგანოების შექმნას საქართველოში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, სერიოზული სიძნელეები ელობებოდა. მაგალითად, სამმართველო აპარატი პირველ ხანებშივე „საშინლად გაიბერა“; ანტისაბჭოთა ელემენტებმა ზოგან ადგილობრივი ხელისუფლების კონტრრევოლუციური ორგანოების შექმნაც კი მოახერხეს[36].

ამგვარ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან ერთად მიმდინარეობდა სახელმწიფო აპარატის გაეროვნულება, რასაც კომუნისტური პარტია თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მხრივ უდავოდ ზოგად-პრინციპული ხასიათისა იყო რკპ(ბ) VIII კონფერენციის მოთხოვნა, რომ „რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრებმა უკრაინის ტერიტორიაზე საქმით უნდა განახორციელონ მშრომელი მასების უფლება — ისწავლონ და ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ილაპარაკონ დედაენაზე, ყოველნაირი წინააღმდეგობა გაუწიონ ცდებს — ხელოვნური საშუალებებით დააყენონ უკრაინული ენა უკანა რიგში... დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები, რათა ყველა საბჭოთა დაწესებულებაში საკმაო რაოდენობით იყვნენ უკრაინული ენის მცოდნე მოსამსახურეები და რომ შემდეგში ყველა მოსამსახურეს შეეძლოს ახსნა-განმარტების მიცემა უკრაინულ ენაზე[37].

საქართველოს პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ეროვნული ენის მართებულად ხმარების საკითხს. ამ მიმართულებით რამდენიმე ქმედითი ღონისძიების განხორციელებაც კი გახდა საჭირო. საქმე ის იყო, რომ მტრული ელემენტები ხალხის უკმაყოფილების გამოწვევისა და საბჭოთა ხელისუფლების დასუსტების მიზნით პროვოკაციულად შლიდნენ ქართულ წარწერებს სხვადასხვა აბრებიდან. „იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთ დაწესებულებებიდან“. ასეთ მეტად საშიშ ქმედობათა აღსაკვეთად რესპუბლიკის რევკომი მკაცრ ზომებს მიმართავდა[38]. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში სავანგებოდ აღინიშნა, რომ „... რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა“ („ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ... სამშობლო ენის ხმარების უფლება...“). ამასთანავე, მიღებულ იქნა დეკრეტი „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის და

---

[34] К. Шеметаев, Создание и деятельность Центрального Исполнительного Комитета Советов Узбекской ССР (1925—1937 гг.), автореферат диссертации, Ташкент, 1968, стр. 8.

[35] А. З. Бегиян, Великий Октябрь и создание советской армянской государственности, «Советское государство и право», 1967, № 7, стр. 7.

[36] იხ.: „კომუნისტი“, 1921, № 243; სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების II ყრილობა (სტენოგრ. ანგ.), ტფ., 1925, გვ. 43; პ. ცქვიტარია, აჭარის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შრ. მე-15 კრ., თბ., 1967, გვ. 56, 58—60.

[37] „სკკპ ყრილობების... გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I..., გვ. 586. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. IV გამოც., ტ. 30, გვ. 448.

[38] იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 2, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებთა უმრავლესობისა და ეროვნული უმცირესობის ენის ხმარების შესახებ“[39].

რესპუბლიკური აპარატის გაქართულებისათვის ზრუნავდა ვ. ლენინი. იგი, მაგალითად, დაინტერესდა (1922 წლის სექტემბერში) — შეუძლია თუ არა „გლეხს... შორაპანში ქართულად იყიდოს რკინის გზის ბილეთი“ და „ჩინოვნიკი“ იმ სადგურზე ქართველია თუ სხვა ვინმე“[40].

ამ საგნისადმი ინტერესი ადვილად აიხსნება, თუ გავიხსენებთ ლენინის ნაანდერძევს მისი ნაშრომიდან — „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ (1922 წლის დეკემბერი)[41]: „უნდა შემოვიღოთ უმკაცრესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში და განსაკუთრებით გულმოდგინედ შევამოწმოთ ეს წესები. ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაბით, ფისკალური ერთიანობის საბაბით და სხვ. ჩვენში, ახლანდელი ჩვენი აპარატის არსებობისას, ჭეშმარიტად რუსული თვისების უამრავი ბოროტმოქმედება იპოვის გზას“.

ჩანს, შემთხვევითი არ იყო ის, რომ ლენინს სურდა გაეგო, თუ როგორაა მოწყობილი მგზავრთა სარკინიგზო მომსახურება შორაპანში. ვფიქრობთ, შორაპნის სადგურის შესახები ზემომოყვანილი ამონაკრებ-ამონაწერი და ლენინის ხსენებულ ნაშრომიდან აქ წარმოდგენილი ციტატა პირდაპირ, უშუალო აზრობრივ-შინაარსობლივ ურთიერთკავშირშია: შორაპნელი „ჩინოვნიკის“ ეროვნება და ბილეთის „ქართულად ყიდვის“ შესაძლებლობა ლენინს აინტერესებდა სწორედ „სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაბთან“ დაკავშირებით.

ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ აპარატს გარდა, ქართული ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ნგრევის კვალობაზე იქმნებოდა სხვა საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებიც. კაპიტალისტური სახელმწიფოებრიობის მოსპობა საქართველოში საბოლოოდ გაფორმდა „ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკის გვირგვინის“[42] — დამფუძნებელი კრების დათხოვნისა და ძველი წესწყობილების ემბლემების — გერბისა და დროშის გაუქმების აქტებით. ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს სუვერენიტეტს კი სიმბოლურად გამოხატავდა რევკომის მიერ 1921 წლის 20 მაისს დამტკიცებული დროშა და გერბი. პირველ მათგანზე იყო სათანადო წარწერა მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო მეორეზე — აგრეთვე რუსულად და ფრანგულად.

---

39 იხ.: საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ტფ., 1922, მუხ. 6; საქართველოს სსრ კან. კრ., 1924, № 1, მუხ. 10; სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის II მოწვევის I, II და III სესია (სტენოგრ. ანგ.), ტფ., 1925, გვ. 38—44.

40 „რევოლუციის მატიანე“, ტფ., 1924, № 1 (6), გვ. 36. იხ. აგრ. ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924), თბ., 1959, გვ. 414.

41 ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 36, გვ. 694—695.

42 «Декреты Советской власти», т. I, М., 1957, стр. 335.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასე რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძალზე მოკლე დროში სავსებით ნათლად გამოიკვეთა ქართული სოციალისტური სახელმწიფო და მკვიდრი საფუძველი დაედო მის მძლავრ აღმავლობას. საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობა საკანონმდებლო წესით განამტკიცა რესპუბლიკის 1922 წლის კონსტიტუციამ, რომელიც ახალი წესწყობილების ძირითად ნიშანთვისებათა კონცენტრირებულ სამართლებრივ გამოხატულებასა და შემდგომი განვითარების მთავარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდია უგრეხელიძე

# შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, „ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა". ეს მუხლი ნათლად მიუთითებს, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ორი ფორმაა, რომლითაც ცალკეულ დანაშაულთა სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს.

ზოგიერთი დანაშაული სისხლის სამართლის კანონში ისეთნაირად არის აღწერილი, რომ გულისხმობს არაერთგვაროვან ფსიქიკურ დამოკიდებულებას ამ დანაშაულის ობიექტური მხარის სხვადასხვა ელემენტების მიმართ. ამის გამო იურიდიულ ლიტერატურაში კანონიერად წამოიჭრა საკითხი: ხომ არ არსებობს კიდევ ბრალის სხვა ფორმა, რომელიც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ერთ მთლიანობაში აერთიანებს და ისე გამოხატავს ზოგიერთი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს.

ამ საკითხზე საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დავა მიმდინარეობს. კრიმინალისტთა უმრავლესობა აღიარებს ე. წ. შერეულ ანუ ორმაგ ბრალს, რომელიც შერწყმული სახით მოიცავს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ამის საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი კრიმინალისტი საერთოდ უარყოფს შერეული ბრალის არსებობას. აზრთა სხვადასხვაობაა თვით შერეული ბრალის მომხრეთა შორის, რომლებიც ვერ შეთანხმებულან, როგორია ასეთი ბრალის გამოყენების არე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ ყველა ის შემთხვევა, რომლის დროსაც შერეული ბრალის არსებობა-არარსებობაზე მსჯელობენ.

2. გაბატონებული შეხედულების თანახმად, შერეული ბრალი გულისხმობს არაერთგვაროვან ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობისა და შედეგისადმი, სახელდობრ, ქმედობის მიმართ — განზრახვას, ხოლო შედეგის მიმართ — გაუფრთხილებლობას[1]. ამ შეხედულების მომხრეები შერეული ბრალის სფეროს მიაკუთვნებენ ყველა შედეგიან დელიქტს, რომელშიც მოქმედება და შედეგი

---

[1] იხ. А. А. Пионтковский, Курс советского уголовного права, часть общая, том II, М., 1970, стр. 333; В. Ф. Кириченко, Смещанные формы вины, „Советская юстиция", 1966, № 19, стр. 13; Б. А. Куринов, Автотранспсртные престугления, М., 1970, стр. 86; П. С. Дагель, Проблемы вины в советском уголовном праве, Ученые записки Дальневосточного государственного университета, Выпуск 21, часть I, Владивосток, 1968, стр. 130 и т. д.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოიაზრება და თვით მოქმედება შეიძლება შეგნებულად განხორციელდეს. ერთ-ერთი ასეთი დელიქტი, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად მიმართავენ შერეული ბრალის საილუსტრაციოდ, არის ავტოსატრანსპორტო დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის II, III და IV ნაწილებით. 241-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით, „მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა..., თუ ამის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან თუ ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, — ისჯება...“ ზუსტად ასეთივე პრინციპით არის ჩამოყალიბებული 241-ე მუხლის შემდგომი პუნქტები.

ავტოსატრანსპორტო დანაშაულში შერეული ბრალი აღიარებულია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 9 აპრილის № 2 დადგენილებით, სადაც ნათქვამია: „ავტოსატრანსპორტო დანაშაულებში მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევის მიმართ დამნაშავის დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი ფორმით, ხოლო დამდგარი შედეგების მიმართ — მხოლოდ გაუფრთხილებლობითი ფორმით“[2]. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ განსახილველი შეხედულების საბუთიანობას სწორედ ავტოსატრანსპორტო დანაშაულის მაგალითზე შევამოწმებთ.

241-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ყველა იმ ელემენტისაგან ყალიბდება, რომლებიც ჩვეულებრივ გაუფრთხილებლობით დანაშაულს შეადგენენ. სახელდობრ, აქა გვაქვს როგორც უსაფრთხოების ნორმის დარღვევა, ისე შედეგები, რომლებიც ამ ნორმის დარღვევამ გამოიწვია. მართალია, 241-ე მუხლში უსაფრთხოების ნორმის დარღვევა საგანგებოდ აღნიშნულია, მაშინ როდესაც ზოგიერთ სხვა მუხლში, რომელიც გაუფრთხილებლობით დანაშაულს ითვალისწინებს (გაუფრთხილებლობით მკვლელობა — მუხ. 108, გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანება — მუხ. 114) უსაფრთხოების ნორმის დარღვევა არაა ნახსენები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ერთ შემთხვევაში წარმოადგენს პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას, ხოლო მეორეში — არა. სისხლის სამართლის მეცნიერებაში ურყევია დებულება, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაული აუცილებლობით გულისხმობს უსაფრთხოების წესების (წინდახედულების ნორმების) დარღვევას[3]. „მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევაზე“ მითითებით კანონმდებელმა 241-ე მუხლში ცალკე გამოჰყო ტრანსპორტის მოძრაობისადმი უყურადღებო დამოკიდებულებით ზიანის მიყენება, როგორც გაუფრთხილებლობის სპეციალური შემთხვევა, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს უკავშირდება და, ამიტომ, მეტ სასჯელს იმსახურებს.

ამგვარად, თავისი ბუნებით 241-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა გაუფრთხილებლობითი დანაშაულია, ანუ ისეთი დანაშაული, რომელიც მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩაიდინება. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ისევე, როგორც ყოველ სხვა გაუფრთხილებლობით დელიქტში (მუხ. მუხ. 108, 114), აქაც გამორიცხულია შერეული ბრალის არსებობა. წინა-

---

[2] იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР, 1965, № 3, стр. 11.

[3] იხ. В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შერეულ ბრალად ვცნოთ ყოველი თვითიმედოვნება და, აგრეთვე, დაუდევრობის ყველა ის შემთხვევა, როდესაც მოქმედება შეგნებულადაა ჩადენილი, ხოლო შედეგი — არაცნობიერად განხორციელდა[4]. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებას. აღნიშნულ მოსაზრებათა გამო შერეული ბრალის აღიარება სატრანსპორტო დელიქტებში (ისევე, როგორც სხვა მსგავსი საკანონმდებლო კონსტრუქციის დელიქტებში) ჩვენ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია.

შერეული ბრალის განსახილველი კონცეფცია შეიძლება საფუძველი გახდეს სერიოზული დარღვევებისა სასამართლო პრაქტიკაში. ეს განსაკუთრებით მოსალოდნელია მას შემდეგ, რაც ამ კონცეფციამ პირდაპირი გამოხატულება პოვა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ ციტირებულ დადგენილებაში. ამას ადასტურებს რ.-ის საქმე.

რ.-მა, რომელიც მთვრალი მართავდა მანქანას, დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები. ამის შედეგად მან სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა მის გვერდით მიმავალ მოტოციკლისტს.

სარატოვის ოლქის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ, ხოლო მის კვალობაზე სარატოვის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ რ.-ის მხრივ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა დამოუკიდებლად შეაფასა როგორც განზრახი ქმედობა, ისე, რომ საეჭვოდ არ გაუხდია გაუფრთხილებლობითი ბრალი სხეულის დაზიანების მიმართ; ამის შემდეგ, მთლიანად დანაშაულიც განზრახ განხორციელებულად ჩათვალა და, ამ მოტივით, უარი თქვა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოყენებაზე რ.-ის მიმართ[5]. ცხადია, ჩადენილი დანაშაული არ შეიძლება რ.-ს განზრახ ბრალად შეერაცხოს[6]. სასამართლოს შეცდომა ამ დანაშაულის სუბიექტური მხარის მთლიანი შეფასებისას უნდა აიხსნას იმ გაბატონებული კონცეფციის ზეგავლენით, რომელიც ყველა შემთხვევაში თანაბრად მოითხოვს მოქმედების მიმართ განზრახვის, ხოლო შედეგებისადმი — გაუფრთხილებლობის ცალ-ცალკე დასაბუთებას.

3. თუ კანონით აკრძალული ქმედობა უსათუოდ განზრახვას გულისხმობს, მაშინ ასეთი მოქმედებით გამოწვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგების გაუფრთხილებლობით განხორციელება ყველა შემთხვევაში შერეულ ბრალს მოგვცემს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით ისჯება „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენა ან არჩადენა, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“. როგორც ვხედავთ, კანონში სავსებით ნათლადაა გამოხატული განზრახვა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედების მიმართ. რაც შეეხება ამ

---

[4] იხ. ო. გამყრელიძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის (რეცენზია გ. ტყეშელიაძის წიგნზე — „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის“), „საბჭოთა სამართალი“, 1966, № 6, გვ. 85—86.

[5] მაგალითი მოტანილია ბ. ა. კურინოვის დასახელებული წიგნიდან, გვ. 93—94.

[6] ამას თვით განსახილველი შეხედულების მომხრეებიც აღიარებენ. იხ. ბ. ა. კურინოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

მოქმედების თანამდევ შედეგებს, კანონის აზრის მიხედვით ისინი შეიძლება განხორციელდნენ როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით[7].

ასეთივეა 187-ე მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქცია (ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

შესაძლებელია თუ არა შერეული ბრალის რამდენადმე დასაბუთებული უარყოფა აღნიშნულ მუხლებში?

ჩვენი აზრით შერეული ბრალის არსებობა აქ იმდენად ნათელია, რომ მისი უარყოფა სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შერეული ბრალის ისეთი მოწინააღმდეგე, როგორიცაა ი. ფილატოვსკი, იძულებულია 186 და 187 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტური მხარის ანალიზს დუმილით აუაროს გვერდი[8]. გ. კრიგერი თუმცა უარყოფს შერეულ ბრალს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას, მაგრამ არავითარი საბუთი არ მოაქვს ამის დამამტკიცებლად[9].

ბრალის უწყვეტობის პრინციპს ემყარება თვალსაზრისი, რომელსაც ანვითარებს შერეული ბრალის ყველაზე უფრო თანამიმდევრული მოწინააღმდეგე ბ. სახაროვი. იგი ირწმუნება, რომ ბრალი ერთიანია და დაუშვებელია მისი ხელოვნური გახლეჩა ფსიქიკურ დამოკიდებულებად ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგის მიმართ[10]. ამავე თვალსაზრისს ანვითარებს ა. სვეტლოვი, რომელიც წერს: „ისევე როგორც არ შეიძლება მოქმედებისა და შედეგის ერთმანეთისაგან მოწყვეტა ობიექტური მხარის ფარგლებში, არ შეიძლება არც ერთიანი ბრალის გახლეჩა ბრალად, ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგების მიმართ... დანაშაული არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს განზრახიც იყოს და გაუფრთხილებლობითიც“[11]. ამ წანამძღვრებიდან ა. სახაროვი და ა. სვეტლოვი დაასკვნიან, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შედეგებისადმი მხოლოდ განზრახვას გულისხმობს.

ა. სახაროვისა და ა. სვეტლოვის პოზიცია ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია. უწინარეს ყოვლისა დაუსაბუთებელია თვით ერთიანი ბრალის უწყვეტობის პრინციპი, რომელსაც ისინი ემყარებიან. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ფსიქოლოგიისათვის იყო ცნობილი, რომ არაერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულება სავსებით შესაძლებელია არა მარტო მოქმედებისა და მისი შედეგის მიმართ, არამედ თვით ერთიანი ქცევის სხვადასხვა ფაზების (ელემენტების) მი-

---

[7] იხ. А. Н. Трайнин, Должностные и хозяйственные преступления, М., 1938, стр. 27; Г. Р. Смолицкий, Должностные преступления, М., 1947, стр. 19; Б. С. Утевский, Общее учение о должностных преступлениях, М. 1948, стр. 404; Курс советского уголовного права, Особенная часть, т. 2, М., 1959, стр. 76—77; В. Ф. Кириченко, Виды должностных преступлений по советскому уголовному праву, М., 1954 стр. 28—29; Советское уголовное право, часть особенная, М., 1962, стр. 293; В. Максимов, Ответственность за зло-употребление властью или служебным положением, „Советская юстиция“, 1963, № 15, 21—22 и др.

[8] იხ. И. Филоновский, Составы преступлений с простой и сложной формой вины, „Советская юстиция“, 1967, № 14, стр. 15,

[9] იხ. Г. Кригер, Еще раз о смешанной форме вины, „Советская Юстиция“, 1967, № 3, стр. 6.

[10] იხ. А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, М., 1956. стр. 109—128.

[11] А. Я. Светлов, Борьба с должностными злоупотреблениями, Киев, 1970, стр. 69—70.

ბართაც[12]. თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემებმა კიდევ უფრო ნათელი გახადეს ეს ფაქტი. ამიტომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მისი უარყოფა წარმოუდგენელია.

კიდევ უფრო შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ 186-ე მუხლში საკანონმდებლო-იურიდიული მოსაზრებით უნდა იქნეს უგულებელყოფილი არაერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებისა და შედეგის მიმართ. კანონმდებლის ნება რომ ასეთი ყოფილიყო, მაშინ იგი მუხლის შემდეგნაირ კონსტრუქციას მოგვცემდა: „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებათა და კანონიერი ინტერესების განზრახ არსებითი შელახვა (დაზიანება) ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით“. მაგრამ ასეთი კონსტრუქცია შეგნებულად არ არის გამოყენებული.

საქმე ისაა, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ობიექტური მხარე და 188 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (დაუდევრობის) ობიექტური მხარე ფარავენ ერთიმეორეს. ამასთანავე, ორთავე ამ დანაშაულის ძირითად შინაარსობრივ ბირთვს, რომელიც განსაზღვრავს მათი ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, ისევე როგორც თანამდებობრივი დანაშაულის სპეციფიკას საერთოდ, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მ ო ქ მ ე დ ე ბ ა წარმოადგენს. ამიტომ, მკვეთრად რომ გაემიჯნა ეს შემთხვევები ერთმანეთისაგან, კანონმდებელმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი 186-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობის განზრახ ხასიათს, 188 მუხლით გათვალისწინებული ანალოგიური ქმედობის გაუფრთხილებლობითი ბუნების საპირისპიროდ. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შემთხვევაში, რამდენადაც მატერიალურ შემადგენლობასთან გვაქვს საქმე, ბრალის ფორმა უნდა დაგვედგინა შედეგებთან ფსიქიკური დამოკიდებულების მიხედვით. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 186-ე მუხლი შედეგების განხორციელებას გაუფრთხილებლობითაც უშვებს. მაშასადამე, შედეგის გაუფრთხილებლობით გამოწვევისას დანაშაული მთლიანად გაუფრთხილებლობით ჩადენილად უნდა მიგვეჩნია. ამით კი სავსებით წაიშლებოდა ზღვარი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და დაუდევრობას შორის.

ყოველივე ამის საფუძველზე კანონმდებელი ქმნის სპეციალურ კონსტრუქციას: დასჯადად აცხადებს სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო განზრახ მოქმედებას და, მასთან ერთად, შემადგენლობის დამაფუძნებელ ელემენტად იყენებს მძიმე შედეგებს, რომელთა მიმართ მოითხოვს ბრალს განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ფორმით მაინც. ასეთი საკანონმდებლო კონსტრუქცია რამდენადმე წააგავს მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების აგებულებას. მათი განმასხვავებელი მხოლოდ ისაა, რომ აქ მძიმე შედეგების აკრძალვას წინ არ უსწრებს მოსამზადებელი ეტაპი ცალკე ქმედობის დამოუკიდებლად აკრძალვის სახით. სხვანაირად, ქმედობისა და შედეგების მართლსაწინააღმდეგოდ გამოცხადება ერთდროულად ხდება.

4. ყველაზე უფრო თვალნათლივ შერეული ბრალი წარმოგვიდგება მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, როდესაც კანონი გაძლიერებულ სასჯელს აწესებს ისეთი მძიმე შედეგისათვის, რომელსაც ძირითადი შემადგენ-

---

[12] იხ. Ф. В. Бассин, Проблема бессознательного, М., 1968, стр. 271.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა არ ითვალისწინებდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებია: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი (მუხ. 110, ნაწ. 2), გაუპატიურება, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა (მუხ. 117, ნაწ. 2), უკანონო ექიმობა, თუ მას სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვა (მუხ. 250, ნაწ. 2) და სხვ.

მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების უმრავლესობა ისეა აგებული, რომ დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს განზრახ ბრალს ძირითადი შედეგის მიმართ (ან მოქმედების მიმართ, თუ ძირითადი შემადგენლობა შედეგგარეშე დანაშაულს გულისხმობს, მაგ., 250 მუხ.), ხოლო უფრო მძიმე შედეგი შეიძლება განხორციელებულ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით. თუ უფრო მძიმე შედეგი გაუფრთხილებლობით განხორციელდა, გვექნება შერეული ბრალი. სწორედ ამ შემთხვევებს გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი, როდესაც ის აწესებს: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა".

აღსანიშნავია, რომ ის კრიმინალისტებიც კი, რომლებიც საერთოდ უარყოფენ შერეულ ბრალს, გარკვეული დათქმებით აღიარებენ მის არსებობას მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში; თუმცა მაინც ცდილობენ გაემიჯნონ შერეული ბრალის კონცეფციის ყველაზე უფრო გავრცობით ვარიანტს. მაგალითად, გ. კრიგერი წერს: „მართლაც, ყველა ამ შემთხვევაში ლაპარაკია შერეული ბრალის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება მისი გაიგივება ან გათანაბრება იმ „შერეული ბრალის ფორმებთან", რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი"[13] (რომელშიაც იგულისხმება შერეული ბრალი ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგების მიმართ). არსებითად ასეთივე თვალსაზრისს ავითარებენ უ. კობიაშვილი[14] და ტკაჩევსკი[15]. დასახელებული ავტორების პოზიციაში განსაკუთრებული მხოლოდ ისაა, რომ შერეული ბრალის გამოყენების სფეროს ისინი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებით ამოსწურავენ.

ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად ა. სახაროვი, ისე უარყოფს შერეული ბრალის ყოველგვარ ვარიანტს (როგორც გავრცობითს, ისე შეზღუდვითს), რომ არც კი განიხილავს მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების სუბიექტურ მხარეს[16]. ა. სახაროვი ბრალის უწყვეტობის პრინციპიდან გამოდის. მაშასადამე, ლოგიკურად მან მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებშიც უნდა უარყოს ბრალის განსხვავებული ფორმები ცალ-ცალკე ძირითადი და თანამდევი შედეგების მიმართ. მაგრამ საკითხის ასეთი გადა-

---

[13] იხ. Г. Кригер, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

[14] იხ. უ. კობიაშვილი, ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1969, № 3, გვ. 21.

[15] იხ. Курс советского уголовного права, т. I, ЛГУ, 1968, стр. 438.

[16] ასე იქცეოდა ადრე ნ. კუზნეცოვაც. თავის ბოლო ნაშრომში ნ. კუზნეცოვა საგანგებოდ ეხება მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს და პირდაპირ აღიარებს მათში ბრალის სხვადასხვა ფორმათა არსებობას ძირითადი და მძიმე შედეგების მიმართ. იხ. მისი Преступление и преступность. М., 1969, стр. 90.

წყვეტა არ იქნებოდა სწორი. თუ მოქმედებასა და შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი ჯაჭვის უწყვეტობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებლობით არ გულისხმობს შესაბამისი ფსიქიკური პროცესების უწყვეტობას რეზულტატურ დელიქტებში, ასეთი უწყვეტობა მით უფრო ნაკლებად დასაბუთებულია მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, სადაც გაცილებით უფრო შორეული შედეგების განხორციელებასთან გვაქვს საქმე.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ორმაგი ბრალის რეალობა და მისი ბუნება მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, საჭიროა უფრო დაწვრილებით გავერკვეთ მათს სტრუქტურაში.

მძიმე შედეგით კვალიფიცირებული ყოველი დელიქტი რთული საკანონმდებლო წარმონაქმნია, რომელიც ორი დამოუკიდებელი და დასრულებული შემადგენლობისაგან ყალიბდება. მაგალითად, 110-ე მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას პლუს გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. აღნიშნული ნორმის თითოეული შემადგენელი ნაწილი წარმოადგენს ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა ისეთ ერთობლიობას, რომელიც, დამოუკიდებლად აღებული, უკვე ქმნის სხვა ნორმებით გათვალისწინებულ დანაშაულს: პირველი — დანაშაულს, გათვალისწინებულს 110-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მეორე — დანაშაულს, გათვალისწინებულს 108-ე მუხლით. ეს იმას ნიშნავს, რომ 110 მუხლის მეორე ნაწილის არარსებობის შემთხვევაშიც, ამ ნორმით გათვალისწინებული რთული შემადგენლობის თითოეული რგოლი დამოუკიდებლად იარსებებდა მათი სუბიექტური და ობიექტური მხარეების ერთიანობაში, რადგან თითოეული მათგანი ისედაც გულისხმობს გარკვეულ ობიექტურ მხარეს (მოქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი) და ბრალს (შესაბამისი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიმართ). შესაბამისად, თუ დამნაშავე განზრახ მძიმედ დააზიანებდა ვინმეს და ამის შედეგად გაუფრთხილებლობით მოუსპობდა სიცოცხლეს, მთელი მისი დანაშაულებრივი საქმიანობა შეფასდებოდა როგორც დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა (ანუ დანაშაულის ორი დამოუკიდებელი შემადგენლობის ერთი მოქმედებით განხორციელება) და დაკვალიფიცირდებოდა ერთდროულად 110-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 108 მუხლით.

მაგრამ კანონმდებელი არ წავიდა ამ გზით. მან გაითვალისწინა, რომ სხვისი სხეულის დაზიანება მომეტებულ საშიშროებას მოასწავებს, რადგან ასეთ დროს დიდია სიკვდილის ალბათობა. ამავე დროს, განზრახ მძიმე დაზიანების შედეგად კაცის სიკვდილი ერთობ ტიპიურია ცხოვრებაში. ამიტომ მან სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და გაუფრთხილებლობით მკვლელობა ერთ შემადგენლობაში გააერთიანა და დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის მოდელის მიხედვით შექმნა სპეციალური საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომელსაც გადიდებული სასჯელი დაუკავშირა. ამ კონსტრუქციაში სხეულის განზრახი მძიმე დაზიანებაცა და გაუფრთხილებლობითი მკვლელობაც უცვლელად აისახა მათი პირვანდელი ონტოლოგიური სახით, რაც, ცხადია, იმასაც გულისხმობს, რომ თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური ბუნება შეინარჩუნა. მაგრამ, ვინაიდან ერთი მათგანი განზრახ ბრალს გულისხმობს, ხოლო მეორე — გაუფრთხილებლობითს, მთლიანად ეს რთული კონსტრუქციაც ბრალის ორ ფორმას შეიცავს შესაბამის ობიექტურ მხარეთა ნიშნების მიმართ. ბრალის თითოეული ეს ფორმა შემადგენლობის დამოუკიდებელი ნიშანია და ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი არსებობა. ეს თანაბრად შეეხება მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ ყველა დელიქტს.

5. დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად, გარდა შედეგისა, მრავალი სხვადასხვა გარემოება შეიძლება მოგვევლინოს. სისხლის სამართლის კოდექსში ვხვდებით ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს, როგორიცაა: დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით; დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურად, განმეორებით ან ხელობის სახით; დანაშაულის ჩადენა ამა თუ იმ სპეციალური მიზნით ან საშუალებით; დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელება ორსული ქალის ან არასრულწლოვანის მიმართ და სხვ.

შესაძლებელია თუ არა შერეული ბრალი მოგვცეს არაერთგვაროვანმა ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ ერთი მხრივ შემადგენლობის ძირითად ნიშნებთან, ხოლო მეორე მხრივ, ასეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან?

ადვილი შესამჩნევია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მაკვალიფიცირებელ გარემოებათაგან ზოგიერთი ნების აქტიურ ცნობიერ წარმართვას გულისხმობს, რაც თავისთავად გამორიცხავს მათ მიმართ ფსიქიკურ დამოკიდებულებას გაუფრთხილებლობის ფორმით. შეუძლებელია, მაგალითად, ვილაპარაკოთ გაუფრთხილებლობით წინასწარ შეთანხმებაზე, ან კიდევ, გაუფრთხილებლობით ხელობის სახით დანაშაულებრივ საქმიანობაზე. ამიტომ თუ ძირითადი შემადგენლობა განზრახაა განხორციელებული, გაუფრთხილებლობის სახით ბრალის მეორე ფორმის არსებობა აღნიშნულ გარემოებათა მიმართ წარმოუდგენელია და, მაშასადამე, შერეული ბრალის შესაძლებლობის საკითხიც იხსნება.

ამასთანავე, ზოგიერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება აუცილებლობით არ გულისხმობს დამნაშავის ცნობიერ და ნებელობით აქტივობას მის მიმართ. უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტის თვისებას შეადგენენ. მაგალითად, ქალის გაუპატიურებისას (რაც ყველა შემთხვევაში განზრახია) დამნაშავემ შეიძლება არ იცოდეს, რომ დაზარალებული არასრულწლოვანია. წამოიჭრება საკითხი, შეიძლება თუ არა ქალის არასრულწლოვანების მიმართ გაუფრთხილებლობაზე ვილაპარაკოთ, თუ აღმოჩნდება, რომ დამნაშავე მოვალე იყო და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა დაზარალებულის არასრულწლოვანება, სხვანაირად, დასაშვებია თუ არა შერეული ბრალი ამ შემთხვევებში?

ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ არასრულწლოვანის გაუპატიურების (სუხ. 117, ნაწ. 3) სუბიექტური მხარე გულისხმობს შერეულ ბრალს — განზრახვას გაუპატიურების მიმართ და ევენტუალურ განზრახვას ან გაუფრთხილებლობას დაზარალებულის არასრულწლოვანების მიმართ[17]. ასეთივე შეხედულებას ავითარებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1964 წლის 25 მარტის № 2 დადგენილებაში „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ", სადაც ნათქვამია: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელმაც იცოდა ან რომელიც უშვებდა, რომ ძალადობით სქესობრივ აქტს ჩადის არასრულწლოვანის მიმართ, ან მოვალე იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს გარემოება"[18]

[17] А. Н. Игнатов, Ответственность за преступления против нравственности (Половые преступления), М., 1966, стр. 128—132; В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, стр. 194—195; В. Кириченко, Смешанные формы вины, „Советская юстиция", 1966, № 19, стр. 14-

[18] „Бюллетень Верховного Суда СССР", 1964, № 3, стр. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტის სასარგებლოდ ჩვეულებრივ ის მოსაზრება მოაქვთ, რომ რამდენადაც კანონი პირდაპირ არ მოითხოვს დაზარალებულის ასაკის დანამდვილებით ცოდნას, ამდენად იგი უშვებს დამნაშავის გაუფრთხილებლობას არასრულწლოვანების მიმართ[19].

ჩვენი აზრით, ასეთი მოსაზრება ვერ დასტურდება მოქმედი კანონმდებლობით. 150-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. მუხლის ტექსტიდან არ ჩანს, რომ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისათვის „წინასწარი შეცნობაა“ საჭირო. მიუხედავად ამისა, ქურდს მხოლოდ მაშინ შეიძლება შეერაცხოს დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, „თუ დამნაშავეს შეცნობილი ჰქონდა, რომ თავისი ქმედობით იგი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს დაზარალებულს ან გულგრილად ეკიდება იმ ფაქტს, თუ რა ზიანს აყენებს დაზარალებულს“[20]. ამიტომ ქურდი, რომელმაც ძვირფასი ბეჭედი მოიპარა, მაგრამ მიუტევებელი შეცდომის გამო თვლიდა, რომ უბრალო ბეჭედს იპარავს, კვალიფიციური ქურდობისათვის კი არ აგებს პასუხს, არამედ მხოლოდ „მარტივი“ ქურდობისათვის. ჩვენი აზრით, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს არასრულწლოვანის გაუპატიურების საკითხიც. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება, რატომ არის შესაძლებელი მაკვალიფიცირებელი გარემოების მიმართ გაუფრთხილებლობითი ბრალი არასრულწლოვანის გაუპატიურებისას, მაშინ როდესაც ქურდობის დროს იგი გამორიცხულია.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პასუხისმგებლობისათვის კანონი ხშირად პირდაპირ მოითხოვს მაკვალიფიცირებელ გარემოებათა „წინასწარ შეცნობას“. მაგალითად, 104-ე მუხლის მეხუთე პუნქტით გადიდებული სასჯელი უკავშირდება „წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობას“. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ასეთი მოთხოვნის უქონლობა ნიშნავს გაუფრთხილებლობის შესაძლებლობას მაკვალიფიცირებელი გარემოების მიმართ. ამაში გვარწმუნებს 104-ე მუხლის მეხუთე პუნქტისა და 117-ე მუხლის მესამე ნაწილის შედარებითი ანალიზი. წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე არასრულწლოვანის გაუპატიურება. ამიტომ, თუ კანონი მოითხოვს, რომ მკვლელს წინასწარ ჰქონდეს შეცნობილი მისი მსხვერპლის ორსულობა, მით უფრო აუცილებელია არასრულწლოვანების წინასწარი შეცნობა არასრულწლოვანის გაუპატიურების შემთხვევაში. მაგრამ, თუ 117-ე მუხლის მესამე ნაწილში პირდაპირ არ არის აღნიშნული, რომ დამნაშავეს წინასწარ ჰქონდეს შეცნობილი დაზარალებულის არასრულწლოვანება, ეს მუხლის რედაქციულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს და არა იმის დამადასტურებლად, თითქოს, კანონის აზრით, არასრულწლოვანის გაუპატიურების შემთხვევაში „არასრულწლოვანების“ მიმართ გაუფრთხილებლობითი ბრალიც საკმარისია.

ნათქვამი სრულ შესაბამისობაშია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებებთან.

---

[19] იხ. В. Н. Кудрявцев, დასახ. ნაშრ., გვ. 194—195, А. Н. Игнатов, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[20] Научно-практический комментарий Уголовного Кодекса РСФСР (издание второе), М., 1964, стр. 309; იხ. აგრეთვე, Strafrecht der DDR, Lehrkommentar zum Strafgesetzbuch, Band I, Berlin, 1969, S. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საფუძვლების“ მე-8 მუხლის თანახმად, „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას“. ამ განსაზღვრების მიხედვით დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების აქტუალური შეგნება განზრახვის აუცილებელი ელემენტია. ეს თანაბრად შეეხება როგორც „მარტივ“, ისე „კვალიფიციურ“ შემადგენლობებს. მაგრამ იმისათვის, რომ დამნაშავეს შეგნებული ჰქონდეს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მას შეგნებული ჰქონდეს ყველა ის ფაქტიური გარემოება, რომელიც „მარტივ შემადგენლობებში“ აფუძნებს საზოგადოებრივ საშიშროებას, ხოლო „კვალიფიციურ შემადგენლობებში“ კი ზრდის ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. არასრულწლოვანის გაუპატიურების შემთხვევაში დაზარალებულის არასრულწლოვანება ის გარემოებაა, რომელიც ასეთი გაუპატიურების გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას ასაბუთებს. ამიტომ დამნაშავეს არ შეიძლება შეგნებული ჰქონდეს ეს მომეტებული საშიშროება, თუ მან დანამდვილებით არ იცის, რომ სწორედ არასრულწლოვანს აუპატიურებს. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანება როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, საერთოდ ვერ შეერაცხება პირს, თუ ის განზრახვით არ იყო მოცული[21].

ყოველივე ამის გამო ჩვენ სავსებით საფუძვლიანად მიგვაჩნია მეცნიერთა ერთი ნაწილის კრიტიკული დამოკიდებულება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის № 2 დადგენილებისადმი[22], რომელიც შესაძლებლად ცნობს შერეულ ბრალს არასრულწლოვანის გაუპატიურების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ეს დადგენილება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის საერთო პოზიციას, რადგან, პლენუმის სხვა დადგენილებანი მოითხოვენ განზრახვას მაკვალიფიცირებელ გარემოებათა მი-

---

[21] მაკვალიფიცირებელი გარემოების შეგნებას ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იმდენად სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ საჭიროდ ცნობს მისი მოთხოვნა ზოგად პრინციპად გაითვალისწინოს კანონში. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ რუსეთის 1903 წლის „სისხლის სჯულდება“ ითვალისწინებდა, რომ „ისეთი გარემოების არცოდნა, რომელიც განაპირობებს ქმედობის დანაშაულებრიობას ან აძლიერებს პასუხისმგებლობას, გამორიცხავს თვით ქმედობის ან პასუხისმგებლობის გამაძლიერებელი გარემოების ბრალად შერაცხვას (მუხ. 43). გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც დღესაც მოქმედებს გფრ-ში, ნათქვამია: „თუ პირს შეგნებული არა აქვს ისეთი გარემოებანი, რომლებიც საკანონმდებლო შემადგენლობას მიეკუთვნებიან ან აძლიერებენ სასჯელს, მაშინ ეს გარემოებანი მას არ შეერაცხება“ (§ 59). ასეთივე აზრია გატარებული აშშ-ის სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსში: „იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის განმსაზღვრელი კანონი მოითხოვს ბრალის ფორმას, რომელიც საკმარისია ამ დანაშაულის ჩასადენად, ისე რომ არ ანსხვავებს მის მატერიალურ ნიშნებს, ეს მოთხოვნა შეეხება დანაშაულის ყველა მატერიალურ ნიშანს, თუ სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონში“ (§ 2—02, პ. 4). ანალოგიური შინაარსის მუხლი შესულია ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის უახლეს კოდექსებში. მაგალითად, გდრ-ის სსკ-ის მიხედვით, „განზრახი ქმედობის მძიმე შემთხვევა, დაფუძნებული განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებათა არსებობით, იმ შემთხვევაში შეერაცხება მოქმედს განზრახ ბრალად, თუ ეს გარემოებანი მისთვის ცნობილი იყო“ (§ 11).

[22] იხ. Б. С. Никифоров, Об умысле по действующему уголовному законодательству, „Советское государство и право“, 1965, № 6, стр. 36; В. Г. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, „Мацне“ (Орган Отделения общественных наук АН ГССР), 1966, № 6, стр. 79; Г. Кригер, დასახ. ნაშრ., გვ. 7; Н. Ф. Кузнецова, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

მართ[23]. ჩვენი აზრით, მსგავსი არათანამიმდევრობა სასამართლო პრაქტიკაში თავიდან იქნება აცილებული, თუ „საფუძვლები" გაითვალისწინებს სპეციალურ მუხლს, რომელიც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებათა ბრალად შერაცხვის საკითხს მიეძღვნება. მიზანშეწონილია, რომ ამ მუხლის პირველ ნაწილში უცვლელად იქნეს გადმოტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის ტექსტი (რომლის მიხედვით შესაძლებლად ითვლება მაკვალიფიცირებელი მძიმე შედეგების გაუფრთხილებლობით ბრალად შერაცხვა), ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „განზრახი ქმედობის სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოებანი, რომლებიც აძლიერებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მხოლოდ მაშინ შეერაცხება დამნაშავეს ბრალად, თუ მას წინასწარ ქონდა შეცნობილი ეს გარემოებანი". ასეთი ნორმის შემოტანა „საფუძვლებში" გამორიცხავდა, აგრეთვე, იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა გულისხმობს, როდესაც უფრო მძიმე შემთხვევებში პირდაპირ მოითხოვს მაკვალიფიცირებელი გარემოებების „წინასწარ შეცნობას" (მუხ. 104, პ. 5), ხოლო უფრო მსუბუქ შემთხვევებში კი — არა (მუხ. 117, ნაწ. 3).

შეიძლება დაიბადოს ეჭვი, ხომ არ გულისხმობს ყოველივე ზემოთ ნათქვამი ლოგიკურ არათანამიმდევრობას: თუ განზრახვის საკანონმდებლო ცნება არ ეწინააღმდეგება შერეული ბრალის არსებობას მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, რატომ უნდა გამორიცხავდეს ის შერეულ ბრალს სხვა გარემოებებით კვალიფიცირებულ დელიქტებში?

თვით კანონმდებლობა იძლევა პასუხს ამ კითხვაზე. ჯერ ერთი, სხვადასხვა რესპუბლიკათა კოდექსები ზოგად ან კერძო ნაწილში პირდაპირ მიუთითებენ გაუფრთხილებლობის შესაძლებლობაზე კანონში აღნიშნული უფრო მძიმე შედეგების მიმართ (იხ. მაგალითად, საქ. სსკ-ის მუხ. 11; ესტ. სსკ-ის მუხ. 107, პ. 1. ნაწ. 2; იმავე კოდექსის მუხ. 156 და სხვ.). მეორე, საფუძვლების მე-9 მუხლის ძალით გაუფრთხილებლობითი ბრალი (შედეგიან დელიქტებში) აიგება მხოლოდ და მხოლოდ შედეგებთან ფსიქიკური დამოკიდებულების მიხედვით[24]. სხვა მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან პირის ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ კი შეიძლება მოგვცეს მარტოოდენ „გაუფრთხილებლობის ელემენტი", რომელიც მართალია „შედის ბრალის შინაარსში და გავლენას ახდენს მის მოცულობაზე, მაგრამ გავლენას ვერ მოახდენს მის ფორმაზე"[25]. ეს გარემოება დამატებით მოწმობს, რომ შერეული ბრალი გამორიცხულია ისეთ კვალიფიციურ შემადგენლობებში, სადაც მაკვალიფიცირებელ ნიშანს შედეგი კი არ წარმოადგენს, არამედ სხვა რომელიმე გარემოება.

6. აქამდე ჩვენ ვცდილობდით შერეული ბრალის სფეროს მოცულობა იმისდამიხედვით გაგვესაზღვრა, თუ რა გარემოებებზე შეიძლება გავრცელდეს არაერთგვაროვანი ფსიქიკური მდგომარეობა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სახით. შემდეგი საკითხი, რომელიც წამოიჭრება, ასეთია: რა სახის ფსიქიკურმა კომბინაციამ შეიძლება მოგვცეს შერეული ბრალი ერთი და იმავე შემადგენლობის ჩარჩოებში.

---

[23] იხ. В. Г. Макашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[24] იხ. Б. С. Никифоров, დასახ. ნაშრ., გვ. 36; Я. М. Яковлев, Половые преступления, Изд. „Ирфон", Дюшамбе, 1969, стр. 254; Г. Кригер, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[25] П. С. Дагель, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა კრიმინალისტი, ვინც კი საერთოდ ცნობს შერეული ბრალის არსებობას, ერთხმად აღიარებს, რომ არაერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულება შემადგენლობის სხვადასხვა გარემოებათა მიმართ შეიძლება გამოიხატოს ერთი მხრივ განზრახვაში, ხოლო მეორე მხრივ გაუფრთხილებლობაში. მაგრამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ გამონათქვამებს, იშვიათად თუ იკვლევს ვინმე სპეციალურად საკითხს, შესაძლებელია თუ არა შერეული ბრალის არსებობა ბრალის ერთი და იმავე ფორმის ფარგლებში, სხვანაირად, შეიძლება თუ არა შერეული ბრალის ისეთი კომბინაცია, როდესაც ადგილი აქვს გარემოებათა ერთი ნაწილის მიმართ თვითიმედოვნებას, ხოლო მეორე ნაწილის მიმართ დაუდევრობას, ან კიდევ, გარკვეული ნიშნების მიმართ პირდაპირ განზრახვას, სხვა ნიშნების მიმართ კი ევენტუალურ განზრახვას.

ვ. კირიჩენკო, რომელსაც სხვა იურისტთა შორის ყველაზე უფრო ფართოდ წარმოუდგენია შერეული ბრალის სფერო, შესაძლებლად თვლის შერეული ბრალის ისეთ კომბინაციას, როდესაც პირი თვითიმედოვნებას ამჟღავნებს მოქმედების მიმართ, ხოლო დაუდევრობას — შედეგების მიმართ. „მანქანის მძღოლის თვითიმედოვნება მოქმედების მიმართ, რომელიც რსფსრ სსკ-ის 111-ე და 112-ე მუხლებითაა გათვალისწინებული, — წერს ვ. კირიჩენკო, — შეიძლება იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ ის ქარაფშუტულად ვარაუდობდა მის წინ მიმავალი ავტომანქანის გადასწრებას, ვიდრე გადასწრების ამკრძალავ ნიშანს გასცდებოდა. ასეთი თვითიმედოვნება შეიძლება შერწყმული იყოს დაუდევრობასთან კანონით გათვალისწინებული შემდეგი საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ: დაზარალებულისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება და სხვ.“[26].

მოცემულ შემთხვევაში თვითიმედოვნებაზე ლაპარაკი გაუმართლებელია. კანონი თვითიმედოვნებას განსაზღვრავს როგორც დამნაშავის ქარაფშუტულ ვარაუდს, რომ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ დადგება. ცხადია, ის გარემოება, რომ ვ. კირიჩენკოს მაგალითში მძღოლმა ვერ შეძლო თავისი ვარაუდის შესაბამისად გადასწრების ამკრძალავ ნიშნამდე მეორე მანქანისათვის გადასწრება, კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგად ვერ ჩაითვლება. ამიტომ ამ გარემოებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებაც უბრალო გაცუდებულ ვარაუდად უნდა ჩაითვალოს და არა თვითიმედოვნებად, რომელიც კანონით ზუსტად განსაზღვრული ფსიქიკური დამოკიდებულებაა მხოლოდ და მხოლოდ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ.

ყოველივე აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა გახდა მიზეზი იმ ლოგიკური წინააღმდეგობისა, რომელსაც ვ. კირიჩენკოს შეხედულება შეიცავს. როგორც მართებულად შენიშნავს პ. დაგელი, მისი მსჯელობის მიხედვით გამოდის, რომ ერთ დანაშაულში, რომელმაც ერთი შედეგი გამოიწვია, ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს დაუდევრობა, რომლის დროსაც პირი არ ითვალისწინებს შედეგს და თვითიმედოვნება, რომელიც შედეგის გათვალისწინებას გულისხმობს[27].

ამგვარად, თუ გაუფრთხილებლობით ერთი შედეგი იქნა განხორციელებული, მაშინ გამორიცხულია შერეული ბრალი თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის შერწყმული სახით.

---

[26] В. Кириченко, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[27] П. С. Дагель, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს როდი ნიშნავს, რომ თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის შერწყმა შერეულ ბრალად პრინციპულად შეუძლებელია. ასეთი სახის შერეული ბრალი სავსებით დასაშვებია ისეთი დანაშაულის დროს, რომელმაც კანონით გათვალისწინებული ორი ან მეტი შედეგი გამოიწვია. მაგალითად, 158-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურებისა ან დაზიანებისათვის, რომელიც ჩადენილია ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად და რომელსაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები. პრაქტიკაში არც თუ იშვიათად აღიძვრება სისხლის სამართლის საქმეები ისეთ პირთა მიმართ, რომლებმაც, დაარღვიეს რა ხანძარსაწინააღმდეგო წესები, დარწმუნებული იყვნენ, რომ განსაზღვრულ გარემოებათა ძალით შესაძლო ხანძარი არ გაჩნდებოდა და ქონება დაზიანებას გადარჩებოდა, მაგრამ მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ხანძარმა ქონებაც დააზიანა და, ამას გარდა, მათ მიერ გაუთვალისწინებელი ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია. ასეთი შემთხვევები ორ სრულიად განსხვავებულ შედეგს გულისხმობს, რომელთაგან პირველი თვითიმედოვნებას უკავშირდება, ხოლო მეორე — დაუდევრობას.

ორი შედეგი შესაძლებელს ხდის შერეული ბრალის არსებობას ბრალის განზრახი ფორმის ჩარჩოებშიც. ამის მაგალითია მძიმე შედეგით კვალიფიცირებული ზოგიერთი დელიქტი. როგორც ცნობილია ამ დელიქტებში ძირითადი შედეგი აფუძნებს პასუხისმგებლობას, ხოლო მძიმე შედეგი კი აძლიერებს პასუხისმგებლობას. მაგრამ მძიმე შედეგი და ძირითადი შედეგი სხვადასხვა დელიქტებში სხვადასხვა თანაფარდობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ეს თანაფარდობა, შერეული ბრალის საკითხიც ამ დელიქტებში სხვადასხვანაირად გადაწყდება.

კანონმდებლობაში შეიმჩნევა ორი ძირითადი სახე ძირითად და მძიმე შედეგებს შორის თანაფარდობისა. ერთია შემთხვევა, როდესაც მძიმე შედეგი და ძირითადი შედეგი ორთავე ერთგვაროვანი ობიექტის დაზიანებას გულისხმობს ისე, რომ მძიმე შედეგის განხორციელება მოიცავს ძირითადი შედეგის განხორციელებას, როგორც აუცილებელ წინა საფეხურს. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, 110 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სხეულის მძიმე დაზიანება, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია). აქ, წმინდა ობიექტური მხრივ, დაზარალებულის სიკვდილი შთანთქავს სხეულის მძიმე დაზიანებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დანაშაული სხეულის მძიმე დაზიანებად რჩება, ვიდრე სიკვდილი გაუფრთხილებლობით განხორციელებას გულისხმობს. საკმარისია სიკვდილი თუნდაც ევენტუალური განზრახვით განხორციელდეს, რომ მაშინვე წარმოიშვება უმართლობის სრულიად ახალი ტიპი — მკვლელობა. ამიტომ ლოგიკურად იმთავითვე ისპობა იმის საშუალება, რომ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შერეული ბრალი წარმოიშვას სხეულის დაზიანებისადმი პირდაპირი განზრახვის, ხოლო სიკვდილის მიმართ — ევენტუალური განზრახვის შერწყმული სახით. ასევე გადაწყდება საკითხი ყველა ანალოგიურ შემთხვევაში.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო პრინციპი მოქმედებს მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ ისეთ დელიქტებში, სადაც ძირითადი შედეგი არ გულისხმობს მძიმე შედეგის მონათესავე ობიექტის დაზიანებას. ასეთ დელიქტთა ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია გაუპატიურება, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (მუხ. 117, ნაწ. 3). თვით გაუპატიურება ქალის სქესობრივ თავისუფლებას ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფს. მძიმე შედეგებს კი, რომელიც ამას შეიძლება მოჰყვეს, მიეკუთვნება ფსიქიკური დაავადება, სიკვდილი და სხვ. ეს შედეგები თავიანთი ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან გაუპატიურების ძირითადი შედეგისაგან. მეორე მხრივ ეს უკანასკნელი არ შეადგენს მათი შინაარსის ნაწილს. ამიტომ კიდეც რომ დადგინდეს, რომ დამნაშავის განზრახვა მძიმე შედეგებზეც ვრცელდებოდა, ამით გაუპატიურება ვერ გადაიქცევა სხვა დანაშაულად. მაგალითად, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემს მხოლოდ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გაუპატიურების ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავემ იცოდა წარსულში დაზარალებულის ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ, ითვალისწინებდა, რომ გაუპატიურებით გამოწვეულმა ტრავმამ შეიძლება განაახლოს ასეთი დაავადება და შეგნებულად უშვებდა ასეთ შედეგს. ეს შესაძლებლობას იძლევა ასეთ შემთხვევებში შერეული ბრალის კონსტრუქციისა გაუპატიურების მიმართ პირდაპირი განზრახვისა და მძიმე შედეგების მიმართ ევენტუალური განზრახვის სახით. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის თვალსაზრისით აღნიშნულ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება[28].

დასასრულ, დავას არ იწვევს ლიტერატურაში, რომ პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის თანაარსებობა შესაძლებელია ისეთ შედეგიან დელიქტებში, სადაც მოქმედების განზრახ ჩადენა პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით. ამ დანაშაულთა სუბიექტური მხარე ძალიან ხშირად შერეული ბრალის სწორედ ისეთ სახეს გულისხმობს, როდესაც მოქმედება პირდაპირი განზრახვით განხორციელდა, შედეგი კი ევენტუალური განზრახვით.

7. ცალკე ანალიზს მოითხოვს საკითხი, როგორ უნდა შეფასდეს სუბიექტური მხრივ — განზრახ თუ გაუფრთხილებლობით დანაშაულად — ისეთი დელიქტი, რომელიც შერეული ბრალით ჩაიდინება. ამ საკითხის გარკვევას როდი აქვს მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობა. იმისდა მიხედვით, განზრახ დანაშაულად ჩაითვლება ესა თუ ის ქმედობა თუ პირიქით, გაუფრთხილებლობით დანაშაულად, მას სხვადასხვა იურიდიული შედეგები უკავშირდება. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით (მუხ. 52) და დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემით (მუხ. 53) არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, ვინც წინათ მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის; გარკვეულ პირობებში, დანაშაულის განზრახ ჩადენა გამორიცხავს დამნაშავის ვადამდე პირობით გათავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით (მუხ. 54); ბრალის ფორმაზეა დამოკიდებული ვცნოთ თუ არა დამნაშავე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად (მუხ. 44); ბრალის ფორმას მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარკვევისას, შეიძლება თუ არა დამნაშავის მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება (მუხ. 25), ან ამნისტიის გამოყენება; დასასრულ, ბრალის ფორმის მიხედვით ხდება დანაშაულის ერთგვაროვნების განსაზღვრა, თანამონაწილეობისა და მცდელობის შესაძლებლობის გარკვევა და სხვ. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ იმის დადგენას, თუ ბრალის რომელი ფორმაა განმსაზღვრელი შერეული ბრალის დროს, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ზემოთ ჩვენ უკვე მოვნიშნეთ შერეული ბრალის სფერო სისხლის სამართალში. ამიტომ ისღა დაგვრჩენია სათითაოდ შევეცადოთ იმ დელიქტების სუ-

---

[28] იხ. თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგები, თბ., 1966, გვ. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიექტური მხარის საერთო შეფასებას, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, შერეულ ბრალს გულისხმობენ.

ა) როგორც უკვე ითქვა, მოქმედების მიმართ განზრახვის, ხოლო შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობის სახით შერეული ბრალი, კანონის პირდაპირი აღიარებით, დასაშვებია ხელისუფლებისა თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების შემთხვევებში (მუხ. მუხ. 186, 187), კანონით გათვალისწინებული შედეგები — სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესების არსებითი დაზიანება არ არის ამ დანაშაულის შინაარსისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი შედეგები მრავალი სხვა დანაშაულისათვის არის დამახასიათებელი. მეორე მხრივ, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო განზრახი ქმედობა განსაზღვრავს განსახილველ დანაშაულთა თვისობრივ რაობას, იმ სპეციფიკას, რითაც ისინი სხვა დანაშაულთაგან გამოირჩევიან. ამიტომ ჩვენ სავსებით უდავოდ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებისა თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება თავიანთი ბუნებით განზრახი დელიქტებია. ამაზე მიუთითებს მათი სახელწოდებათა სემანტიკური ანალიზიც: ცნებები „ბოროტად გამოყენება“ და „გადამეტება“ აზრობრივად უსათუოდ განზრახვას გულისხმობენ. შესაბამისად, ამ დანაშაულებს ყველა ის იურიდიული შედეგი უნდა დაუკავშირდეს, რომლებიც განზრახ დანაშაულებზე ვრცელდებიან[29]. ამ თვალსაზრისს ურყევად ადგას სასამართლო პრაქტიკაც.

ბ) ამავე მაჩვენებლების მიხედვით უნდა მოხდეს დანაშაულის სუბიექტური მხარის საერთო შეფასება მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, სადაც შერეული ბრალი გვევლინება ძირითადი შედეგისადმი განზრახვისა და მძიმე შედეგისადმი გაუფრთხილებლობის ფორმით. ასეთ დელიქტებში ძირითადი შედეგი ის კონსტრუქციული ელემენტია, რომელიც მონაწილეობს დანაშაულის დამოუკიდებელი ტიპის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, 110 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხეულის დაზიანება შემადგენლობის აუცილებელი და განმსაზღვრელი ნიშანია, რომლის გარეშე საერთოდ ვერ იარსებებდა შესაბამისი დანაშაული. მეორე მხრივ, მძიმე შედეგი სიკვდილის სახით ის თანამდევი გარემოებაა, რომელიც სულ სხვა ტიპის შემადგენლობიდან არის ნასესხები (გაუფრთხილებლობითი მკვლელობა) და არ განსაზღვრავს სხეულის დაზიანების თვისობრივ რაგვარობას. ამიტომ ცხადია, გაუფრთხილებლობითი ბრალი ასეთი მძიმე შედეგის მიმართ ვერ დაედება საფუძვლად 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის სუბიექტური მხარის შეფასებას და ეს უნდა მოხდეს ბრალის განზრახი ფორმის მიხედვით, რომელიც უკავშირდება სხეულის მძიმე დაზიანებას, როგორც ძირითად შედეგს.

განზრახ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მძიმე შედეგით კვალიფიცირებული ისეთი დელიქტიც, სადაც მძიმე შედეგი ე. წ. „ფორმალური დანაშაულის“ (შედეგგარეშე შემადგენლობის) მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. ასეთია, მაგალითად, უკანონო ექიმობა, რასაც სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად

29 ჩვენ არ ვიზიარებთ პ. დაგელის შეხედულებას, თითქოს განზრახვის იურიდიული შედეგები შერეული ბრალით ჩადენილ დელიქტებს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუკავშირდეს, თუ ქმედობა თავისთავად, დამდგარი შედეგების მიუხედავად, დამოუკიდებელ განზრახ დანაშაულს წარმოადგენს (იხ. П. С. Дагель, დასახ. ნაშრ., გვ. 144).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე დაზიანება მოჰყვა (მუხ. 250, ნაწ. 2). მსგავს შემთხვევებში მთლიანად დანაშაულის განზრახ ხასიათს განზრახი მოქმედება განსაზღვრავს.

გ) საერთოდ არ დგება სუბიექტური მხარის მთლიანი შეფასების საკითხი ისეთ დელიქტებში, რომლებიც შერეულ ბრალს გულისხმობენ ძირითადი შედეგისადმი თვითიმედოვნებისა და მძიმე შედეგისადმი დაუდევრობის სახით (მუხ. მუხ. 101, 158). ამ დელიქტებში არაერთგვაროვან ფსიქიკურ მდგომარეობათა კომბინირება ბრალის ერთი ფორმის, გაუფრთხილებლობის ჩარჩოებში ხდება. მოქმედი სისხლის სამართლის მიხედვით გაუფრთხილებლობის ორთავე სახეს, როგორც თვითიმედოვნებას, ისე დაუდევრობას თანაბარი იურიდიული შედეგები უკავშირდება. ამიტომ იმთავითვე გამორიცხულია ასეთი დელიქტების ერთი რომელიმე მათგანის მიხედვით შეფასების საჭიროება. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს. რომ გაუფრთხილებლობის თითოეული სახე ცალცალკე აღარ იქნეს დადგენილი და გამოკვლეული. პირიქით, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის ამის გაკეთება აუცილებელია.

დ) თუ ძირითადი შედეგი პირდაპირი განზრახვით განხორციელდა, ხოლო მძიმე შედეგი ევენტუალური განზრახვით, მთლიანად დანაშაული განზრახი იქნება და ყველა შესაბამისი იურიდიული შედეგი დაუკავშირდება. მიუხედავად ამისა, განზრახვის სახეების სათითაოდ დადგენა მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მაინც მეტად მნიშვნელოვანია. ასე მაგალითად, თუ დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა მძიმე შედეგის მიმართ (მაგ., მუხ., 117, ნაწ. 3), რომელიც ბოლომდე აღარ განხორციელდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაშინ მცდელობა დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნაწილში გამოირიცხება, რადგან მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა თ. წერეთელმა)

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია“

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის სისტემატური გადმოცემის პირველ ცდას მარქსისტულ ფილოსოფიაში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ჩათვლით, ჯერ კიდევ არა გვაქვს მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან შესრულებული ანალოგიური ნაშრომი[2], მაშინ, როდესაც მისი საჭიროება, უკვე დიდი ხანია მთელი სიცხადით ავლენს თავს, უდავო გახდება სარეცენზიო შრომის აქტუალობა.

წიგნი ავტორთა დიდი კოლექტივის თანამშრომლობის შედეგია. იგი მიზნად ისახავს აწარმოოს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობათა კრიტიკული ანალიზი, კრიტიკული ანალიზი ფილოსოფიისა, რომლისთვისაც ირაციონალიზმისა და პესიმიზმის მძლავრი ნაკადი, მომდინარე ჰეგელის შემდგომი ბურჟუაზიული ფილოსოფიიდან, XX საუკუნისათვის დომინანტად იქცა. ამ მიმართულებით ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ გარკვეული გზა განვლო ი. კანტის შემდეგ. ფილოსოფიის ბურჟუაზიული ისტორიკოსის ი. ბოჰენსკის აზრით, მან იმაში პოვა გამოვლენა, რომ „კანტისეული ეჭვი გონების ღირებულებაზეც იქნა გავრცელებული“, ამიტომ იგი „ჩვენი დროის ინტელექტუალური კრიზისის ერთ-ერთ შედეგს საუკუნის დასაწყისში ირაციონალისტურ ტენდენციათა ფართოდ გავრცელებაში“[3] ხედავს. თვით XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთ-ერთი წარმომადგენლის ა. კამიუს სიტყვებით რომ ვთქვათ „არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ისეთი ძლიერი ბრძოლა გონების წინააღმდეგ, როგორც დღეს. იასპერსიდან ჰაიდეგერამდე, კირკეგორიდან შესტოვამდე და ფენომენოლოგებიდან შელერამდე ყველანი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ გონების შარაგზა გადახერგონ და ჭეშმარიტებისაკენ ნამდვილი გზა მოძებნონ“[4].

სწორედ ეს, „ჭეშმარიტებისაკენ ნამდვილი გზის“ ძიება გონების ფარგლებს იქით, განაპირობებს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სიყალბესა და მრავალსახეობას. გზას უკაფავს მას სკეპტიციზმისა და ირაციონალიზმისაკენ.

მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ცალკეული გამოჩენილი წარმომადგენლები მართებულად შენიშნავენ მეცნიერებისა და კულტურისათვის აუცილებელ საჭირბოროტო საკითხებზე და მის ყურადსაღებ კონკრეტულ ანალიზს აწარმოებენ. ეს ხშირად ნდობას მოუპოვებს ხოლმე საერთოდ მცდარ მსოფლმხედ-

---

1' ავტორები: კ. ბაქრაძე, ა. ბოჭორიშვილი, ს. ავალიანი, ა. ბევიაშვილი, გ. თევზაძე, ე. თოფურიძე, ზ. კაკაბაძე, ე. კოდუა, მ. ჭელიძე, გ. ცინცაძე, მ. ბეჟანიშვილი, თ. ბუაჩიძე, ა. ბრეგაძე, ვ. გოგობერიშვილი, ვ. ერქომაიშვილი, ვ. კაკაბაძე, გ. მაჩიტაძე, ლ. მჭედლიშვილი, გ. ცინცაძე, ო. ჯიოევი, გ. თევზაძის ხელმძღვანელობით, „განათლება“, 1970, 586 გვ.

2 ის, რაც ამ მიმართულებით უკვე გაკეთებულია ჩვენთან, მრავალრიცხოვან კრებულთა თუ მონოგრაფიათა გამოცემის სახით, რომელნიც XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ცალკეულ მიმდინარეობათა ანალიზს ეძღვნება და ამა თუ იმ ქვეყნებს მოიცავს, მხოლოდ ნიადაგს ამზადებს ანალოგიური შრომის შექმნისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ხსნის მის საჭიროებას. ხოლო ის, რაც ამ მიზნით ფილოსოფიის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა — F. Heinemann. Die Philosophie im 20 Jahrhundert, Stuttgart, 1963, J. Bochenski, Contemporary European Philosophie, Berkley and Los. Angelos, 1957. (არის რუსული თარგმანი) და სხვათა მიერ არის გაკეთებული, ფაქტიური ვითარების ყალბი ინტერპრეტაციის გამო მიუღებელია ჩვენთვის.

3 И. Бохенский, Современная европеиская философия, 1959. стр. 19.

4 XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, 1970, გვ. 7. შემდეგი მითითებანი ამ შრომაზე, გვერდის აღნიშვნით, ტექსტშია მოცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველობას, მოჩვენებითი მეცნიერულობის ელფერს სძენს მას და მისი ზეგავლენის სფეროს განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კი სრულიადაც არ ამოიწურება მხოლოდ გაბატონებულ კლასთა ცნობიერებით. იგი ზემოქმედებას ახდენს „ხალხთა მასების ფართო წრეთა ცნობიერებაზეც", იჭრება თითოეული უბრალო ადამიანის კონცეფციაში.

ეს არის ფაქტი, რომელიც შეუძლებელია უარყოფილ იქნეს. მას უნდა ითვალისწინებდეს ყოველგვარი მეცნიერული, ჭეშმარიტი კრიტიკა. იგი მოითხოვს მარქსისტი მკვლევრისაგან თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ობიექტურ გადმოცემას და ღრმა მეცნიერულ ანალიზს, მისი იმ წინააღმდეგობრივი ბუნების ნათელყოფის მიზნით, რომელიც ფაქტიურად კლავს საკითხის კონკრეტულ განხილვით მოცემულ დადებითს.

შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო შრომის ავტორებმა კარგად გაითვალისწინეს აღნიშნული გარემოება, რამაც შრომას შესძინა მეცნიერული ღირებულება და დამაჯერებლობა. შრომაში თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის უამრავი სკოლისა და მიმართულებიდან წარმოდგენილია ყველაზე მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის. და რაც მთავარია, „მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლათა და მიმდინარეობათა უმრავლესობა ერთმანეთის გვერდით არსებობს, ნაშრომში ნაცადია განვითარების შინაგანი აუცილებლობის გამოვლენა, რაც ერთი უკიდურესობიდან მეორეში აგდებს ბურჟუაზიულ ფილოსოფიას და სულ უფრო და უფრო აღრმავებს მის კრიზისს" (გვ. 15).

აღნიშნული გარემოება, — ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების შინაგანი აუცილებლობის გამოვლენის ცდა — ძირითადად განსაზღვრავს შრომის სტრუქტურას. იმ ადგილს, რასაც მასში ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკული ანალიზისას, XX ს. ესა თუ ის მიმართულება იჭერს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ანალიზი შრომაში იწყება XX საუკუნის, ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებული და გავლენიანი მიმდინარეობის — „სიცოცხლის ფილოსოფიის" გადმოცემით (გვ. 17—87). იგი წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნებით და მოაზროვნეებით. თავი 1. სიცოცხლის ფილოსოფია გერმანიაში (ფ. ნიცშე, ვ. დილთაი, ო. შპენგლერი, ზ. ფროიდი). თავი 2. სიცოცხლის ფილოსოფია საფრანგეთში (ა. ბერგსონი); თავი 3. სიცოცხლის ფილოსოფია ესპანეთში (ო. ი. გასეტი).

სიცოცხლის ფილოსოფიის ზემოთ მითითებულ ავტორთა საფუძვლიანი ანალიზი, მკითხველისათვის ნათელს ხდის მის მკვეთრ დაპირისპირებას ტრადიციული კლასიკური ფილოსოფიისა და კვლევის არსებული მეთოდებისადმი, რომლის მიმართაც იგი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ მას სურდა „გაეგო სიცოცხლე სამყაროდან". სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სიცოცხლის არსება თვითგანსაზღვრულობაშია, რის გამოც იგი თვით სიცოცხლიდან უნდა იქნეს ახსნილი და გაგებული და არა საგანთა სამყაროდან.

ამისდა შესაბამისად სიცოცხლის ფილოსოფიის სხვადასხვა წარმომადგენლები წინ წამოსწევენ და ამუშავებენ ანალიზურ, აღწერით ფსიქოლოგიას (საწინააღმდეგოდ ახსნითი ფსიქოლოგიისა), როგორც სიცოცხლის ანალიზის გზას, შეიმუშავებენ „გაგების" (verstehen) მეთოდს, როგორც სპეციფიკურს გონის მეცნიერებისათვის, განსხვავებით „ახსნითი" (erklären) მეთოდისაგან (ვ. დილთაი); მიუთითებენ ისტორიის სპეციფიკაზე და უარყოფენ მისი ლოგიკური მეთოდებით კვლევის შესაძლებლობას. ამ უკანასკნელს სივრცისეულის, მყარის დამორჩილების გზად მიიჩნევენ და უარყოფენ მისი გამოყენების შესაძლებლობას ქმნადი სამყაროს მიმართ. ლოგიკურისათვის უცხოდ ცხადდება „სიცოცხლე", რადგან იგი სინამდვილის გაზომვის პირობად მის სიკვდილს, მუმიად ქცევას მიიჩნევს. გონება შემეცნებით კლავს, გახევებულ საგნად აქცევს სიცოცხლეს, ცხოვრებას, ჭვრეტა კი ასულდგმულებს მას (ო. შპენგლერი), ამიტომ, ისინი ცნობიერებაში ეძებენ უნარს, რომელიც სპეციფიკური იქნება სიცოცხლის შემეცნებისათვის და არ გამოიყენებს ლოგიკურის მეთოდებს. ა. ბერგსონი სხვებთან ერთად, ასეთად ინტუიციას (ინსტინქტს)[5] მიიჩნევს და მას დაუპირისპირებს ინტელექტს. როგორც მატერიალურ საგანთა კვლევის საშუალებას. მის თანახმად ინტუიცია (ინსტინქტი) მატერიის, მკვდარი სხეულებისაკენ მიმართული გონებისაგან განსხვავებით, მზერის მიმართვაა შიგნით თავის თავისაკენ, სიცოცხლისაკენ. ინტელექტის ასპექტში სიცოცხლეს საქმე აქვს არაორგანულ მატერიასთან, ხოლო ინსტინქტისა და ინტუიციის ასპექტში თავის თავთან, სიცოცხლესთან. იგი სიცოცხლეა მიმართული თავად სიცოცხლისაკენ და როგორც ასეთი არის თანაგანცდა ანუ „სიმპატია". ა. ბერგსონი ფიქრობს,

---

5 ინტუიცია დაწმენდილი, ცნებიერებამდე ამაღლებული, გაცნობიერებული ინსტინქტია ბერგსონის აზრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „სიცოცხლის ჭეშმარიტი კონცეფციის შემუშავებისათვის საჭიროა გადავლახოთ ინტელექტის ჩვევები, ე. ი. სხეულის თავისებურებათა „თარგზე გამოჭრილი“ გამომდინარეობითი აზროვნება და მივმართოთ ინტუიციას ანუ ცნობიერების მზერა მივაპყროთ უშუალოდ სიცოცხლეს, რომელიც ჩვენი სულიერი მდგომარეობისა და მასში გამჟღავნებული „მე“-ს სახითაა მოცემული“ (გვ. 73).

ასეთია ერთ-ერთი ასპექტი XX ს. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში „ჭეშმარიტებისაკენ ნამდვილი გზის“ ძიებისა, წარმოდგენილი სიცოცხლის ფილოსოფიის სახით, რომელიც ცდილობს ინტუიციით „გადახერგოს გონების შარაგზა“ და ამით გზა გაჰკაფოს ირაციონალურისაკენ.

შრომაში საფუძვლიანი კრიტიკაა წარმოებული ამ გზის შესაძლებლობა-მართებულებისა, იმ სიძნელეებზე მითითებით, რომელსაც პასუხს ვერ სცემს სიცოცხლის ფილოსოფიაში ამა თუ იმ ავტორის მიერ მისი დასაბუთების მიზნით წამოყენებული არგუმენტაცია. წიგნში ნაჩვენებია, რომ ადამიანის სიცოცხლის აზრად თავისუფალი აქტივობისა და შემოქმედების მიჩნევა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და ამ უკანასკნელითაა დეტერმინირებული ეს მიმართება გარემოსთან არა შემთხვევითი და გარეგანია, არამედ შინაგანი და არსებითი, რის გამოც ადამიანის თავისუფალი აქტივობა და შემოქმედება საზოგადოებრიობა — სოციალურობასთან თანხმობადობაში უნდა ხორციელდებოდეს. ამ ფაქტის გაუგებრობა თუ შეგნებული უგულვებელყოფა საბედისწერო აღმოჩნდა სიცოცხლის ფილოსოფიისათვის. მისმა გარკვეულმა მოტივებმა სამსახური გაუწიეს ფაშისტურ იდეოლოგიას.

შრომის შემდგომი მონაკვეთი პოზიტივიზმის ანალიზს ეძღვნება (გვ. 89—211). იგი წარმოდგენილია: თავი 1. ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი (რ. ავენარიუსი, ე. მახი); თავი 2. პრაგმატიზმი (ჩ. პირსი, უ. ჯემსი, ჯ. დიუი); თავი 3. ნეოპოზიტივიზმი (ბ. რასელი, ლ. ვიტგენშტაინი, მ. შლიკი, რ. კარნაპი, ჰ. რაიხენბახი, პ. ბრიჯმენი, ინგლისური ლინგვისტური ფილოსოფია).

შრომაში ნაჩვენებია, რომ პოზიტივიზმი უარყოფს სინამდვილის განსაკუთრებული სფეროს, რომელიც იქნებოდა ფილოსოფიის შემეცნების ობიექტი. შესაბამისად იგი უარყოფს სპეციალურ მეცნიერებებში არსებულ მეთოდებისაგან განსხვავებულ ფილოსოფიური მეთოდის არსებობას. ფილოსოფია თავისი ბუნებით სპეციალური ტიპის მეცნიერებაა. მისი ამოცანა ან მეცნიერების ანალიზი ან სამყაროს მთლიანი სურათის შექმნაა, რომელიმე მეცნიერებაში გამოყენებულ მეთოდების გზით. ამისდაშესაბამისად ისტორიაში ჩამოყალიბდა პოზიტივიზმის სხვადასხვა სახე: 1. ფსიქოლოგისტური; 2. ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტური; 3. პრაგმატისტული და 4. ლოგიკური. შრომაში კრიტიკულად განიხილება უკანასკნელი სამი, რადგანაც პირველი არ განეკუთვნება XX საუკუნეს. მის საფუძველზე მკითხველის წინაშე ნათლად წარმოსდგება ის გზა, რომელიც პოზიტივიზმმა განვლო ნეოპოზიტივიზმისაკენ.



პოზიტივიზმი ფილოსოფიის წინაშე წარმოსდგა პრეტენზიით მაღლა დამდგარიყო იდეალიზმსა და მატერიალიზმზე. ამ პრეტენზიაზე უარს არც მისი ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტური სახე-ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი ამბობს. პირიქით მათი ავტორების ჩანაფიქრით ისინი მიმართულნი არიან სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის წინააღმდეგ და ცდილობენ აღადგინონ სამყაროს ბუნებრივი გაგება. ავენარიუსის ფილოსოფიური სისტემისა და მახის მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კრიტიკული ანალიზი შრომაში ნათელს ხდის ამ პრეტენზიის უსაფუძვლობას — მათი მოძღვრების სუბიექტურ-იდეალისტურ და აგნოსტიკურ ხასიათს. მკითხველის წინაშე ნათლად წარმოსდგება ავენარიუსის უაღრესად რთული, ალოგიზმით დამძიმებული ფილოსოფიური სისტემა. მისი შემეცნების თეორიის ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტური ხასიათი, მოძღვრება სასიცოცხლო რიგთა შესახებ; შემეცნებაზე როგორც დამოკიდებულ სასიცოცხლო რიგში წონასწორობის აღდგენაზე; ჭეშმარიტებაზე როგორც ხასიათზე და სხვ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს „ძალთა უმცირესი ხარჯვის“ პრინციპის, „აზროვნების ეკონომიის“ ადგილსა და როლზე ემპირიოკრიტიციზმსა და მახიზმში, მიუთითებს მასზე, როგორც თეორიული აპერცეფციის, ყოველი შემეცნების, გაგებისაკენ ყოველი სწრაფვის საფუძველზე, როგორც „აზროვნების ძირითად კანონზე“.

პრაგმატიზმი როგორც პოზიტივიზმის ამერიკული სახესხვაობა შრომაში წარმოდგენილია ჩ. პირსის, უ. ჯემსის და ჯ. დუის ნააზრევის სახით. ნაჩვენებია პირსის „პრაგმატისტული მაქსიმას“ ადგილი და როლი პრაგმატისტულ ნააზრევში, პრაგმატისტული გნოსეოლოგიის რაობა და განსაკუთრებით ყურადღება მახვილდება ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ნაკლებად დამუშავებულ ჯ. დიუის ლოგიკურ ნააზრევზე, რაც უდავოდ მისალმების ღირსია. სასურველი იყო პრაგმატიზმის ანალიზისას ს. ჰუკის ნააზრევის გათვალისწინებაც. ის უფრო თანამედროვე ელფერს მისცემდა აქ წარმოდგენილ არგუმენტაციას და ჰუკის მიერ მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ წამოყენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ „არგუმენტთა" სიყალბის მხილებით ნათელს გახდიდა მის ანტიმეცნიერულ ბუნებას.

„ნეოპოზიტივიზმი", როგორც კრებითი ტერმინი აერთიანებს მრავალ განსხვავებულ ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც მეცნიერებისა და ფილოსოფიის სფეროდან მეტაფიზიკის განდევნის წყაროს ენის ანალიზში ეძებს. შესაბამისად ენის ანალიზს ისინი ფილოსოფიური კვლევის ერთადერთ ობიექტად მიიჩნევენ. ანალიზის მეთოდთან დაკავშირებული ნეოპოზიტივისტური თეორიები შრომაში წარმოდგენილია ლოგიკური ატომიზმის (ბ. რასელისა და ნ. ვიტგენშტაინის ადრინდელი პერიოდი) ლოგიკური ემპირიზმი (მ. შლიკი, რ. კარნაპი, ო. ნოირატი და სხვ.) და ინგლისური ლინგვისტური ფილოსოფია (ჯ. რაილი, ჯ. უიზდომი, ჯ. ურმსონი, პ. სტროუსონი, ნ. მალკოლმი და სხვ.) სახით.

შრომაში ნაჩვენებია, რომ ანალიზის ფილოსოფიის სხვადასხვა ჯგუფები იმისდამიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ როგორ წყვეტენ ანალიზისა და ბაზისის პრობლემებს. ყურადღებას იქცევს რასელის ფილოსოფიური ევოლუციის, მისი დეკარტეს მეთოდურ ეჭვთან მიმართების ავტორისეული ანალიზი. საინტერესოდაა წარმოდგენილი ვერიფიკაციისა და ფალსიფიკაციის ნეოპოზიტივისტური ინტერპრეტაცია, იმ ევოლუციის გათვალისწინებით, რაც ამ პრინციპმა განიცადა, კრიტიკის მიერ მითითებულ სიძნელეთა „დაძლევის" მიზნით.

თანამედროვე პოზიტივიზმის ბუნებათმეცნიერული ფილოსოფია შრომაში წარმოდგენილია პ. რაიხენბახისა და პ. ბრიჯმენის ნააზრევით.

ნეოკანტიანელობა XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ყველაზე გავრცელებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას წარმოადგენდა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. იგი წარმოიშვა გასული საუკუნის 60-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ჰეგელის ფილოსოფიის უარყოფის შედეგად იდეალიზმი თანდათან თმობდა პოზიციებს დიალექტიკური და თვით ვულგარული მატერიალიზმის წინაშეც. ამ ვითარებაში ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ წამოაყენა ლოზუნგი „უკან კანტისაკენ" და შეეცადა ჰეგელის ფილოსოფიის მიერ დათმობილი პოზიციები ნეოკანტიანელობისათვის დაემკვიდრებინა. მისი მამამთავარნი შეეცდებიან დაასაბუთონ, რომ კანტის ფილოსოფია არ იყო მართებულად გაგებული მის შემდგომ ფილოსოფიაში, რაც იდეალიზმის კრახის მიზეზი გახდა ჰეგელთან. ნეოკანტიანელი კოჰენის თანახმად, კანტის სისტემის ძირითად ცნებათა გაგება არა მხოლოდ და არა იმდენად იყო დაკარგული, რამდენადაც არასოდეს არ იყო მიღწეული[6].

ნეოკანტიანელობის სპეციფიკის დადგენის მიზნით შრომაში გაანალიზებულია მისი მიმართება კანტის შოპენჰაუერისეულ და ფიხტესეულ ინტერპრეტაციასთან. ნაჩვენებია, რომ ამ სპეციფიკას კარგად გამოთქვამს ფრ. ლანგეს დებულება იმის შესახებ, რომ კანტის ნივთი თავისთავად „მხოლოდ და მხოლოდ საზღვრით ცნებაა". შესაბამისად შრომაში ნეოკანტიანელად იწოდება ფილოსოფოსი, „რომელიც ემყარება კანტის შემეცნების თეორიას და უარყოფს ნივთი თავისთავადის არსებობას, მაგრამ ინარჩუნებს მის, როგორც „საზღვრითი ცნების" ე. ი. შემეცნებისათვის მარად მიუღწეველი მიზნის მნიშვნელობას" (გვ. 212).

წიგნში ნაჩვენებია, რომ კანტის ფილოსოფიის ამგვარი, ანტიჰეგელიანური ინტერპრეტაცია გარკვეული მიმართულებით წარმართავდა აზროვნებას, რომელიც თანდათან ზღუდავდა ფილოსოფიის სფეროს შემეცნების თეორიით და უარს ამბობდა შემეცნების ობიექტურ ღირებულებაზე. რამაც ფაიჰინგერის ფიქციონალიზმში ჭეშმარიტებისა და ფიქციის გაიგივებაში პოვა გამოხატულება. „ის, რასაც ჩვეულებრივ **ჭეშმარიტებას** ვუწოდებთ, — წერს ფაიჰინგერი — მიზანშეწონილი შეცდომაა (irrtum)[7].

ნეოკანტიანელობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წიგნში ნათელყოფილია, რომ კანტის ფილოსოფიის ახლებური ინტერპრეტაციით იდეალიზმის გადარჩენის ცდა ლოგიკურად სკეპტიციზმით მთავრდება. ამ გზის ანალიზი შრომის მესამე ნაწილში — ნეოკანტიანელობა (გვ. 211—255) წარმოდგენილია ძირითადი ნეოკანტიანური სკოლებით: მარბურგის (ჰ. კოჰენი, პ. ნატორპი, ე. კასირერი); ფრაიბურგის (ვ. ვინდელბანდი, ჰ. რიკერტი, მ. ვებერი) და ჰ. ფაიჰინგერის ფიქციონალიზმით.

ნეოკანტიანელობის შინაგანმა წინააღმდეგობამ, თვით შვა აუცილებლობა ჰეგელიანობის აღორძინებისა. და ეს გასაგებიც უნდა იყოს. რადგან, არც ბურჟუაზიულ ფილოსოფიას შეეძლო სკეპტიციზმის კედელთან შეჩერება. იგი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს შექმნას შედარებით მთლიანი მსოფლმხედველობა, რათა უფრო ნატიფად გაშიფროს მისი რეაქციული იდეები, უფრო შენიღბული ფალსიფიკაცია აწარმოოს პროგრესული იდეური მემკვიდრეობისა. ამიტომ ყოფილი ნეოკანტიანელები თვით ცდილობენ კანტის მოდერნიზაცია აწარმოონ

[6] იხ. H. Cochen, Logik der reinen Erkenntnis, Berlin, 1902, s. VII.

[7] იხ. H. Vaihinger, Die Philosophie des Als Ob. 1922, s. 192.

ჰეგელის ფილოსოფიის საფუძველზე. ნიადაგს უმზადებენ ნეოჰეგელიანობას.

მაგრამ ისევე, როგორც ნეოკანტიანელობა არ იყო კანტის უბრალო აღორძინება, ნეოჰეგელიანელობა არ წარმოადგენდა ჰეგელის ფილოსოფიის უბრალო აღდგენას. „ნეოჰეგელიანელობა წარმოადგენს ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს რაციონალისტურად ინტერპრეტირებული კანტის ფილოსოფიის საფუძველზე გაგებული ჰეგელის ფილოსოფიით მოაწესრიგოს ის წინააღმდეგობანი, რომელშიც გაიხლართა ფილოსოფია თავისი ასპარეზის შემეცნების თეორიული სფეროთი შემოფარგვლის შედეგად“ (გვ. 256). იგი ამ ამოცანის გადაჭრას ცნობიერების აბსოლუტიზაციისა და მასში ირაციონალურისა და მისტიკურის აღდგენის გზით ცდილობს. ამიტომ XX ს. ნეოჰეგელიანელობა უპირისპირდება ჰეგელს, როგორც პანლოგისტსა და რაციონალისტს. ამ დაპირისპირებაში ბურჟუაზიული ფილოსოფია ერთიან სახეს იღებს. ამ ვითარებაზე მიუთითებს და სავსებით სამართლიანად მ. უაიტის დებულება იმის შესახებ, რომ „XX ს. თითქმის ყოველი გავლენიანი ფილოსოფიური მოძრაობა ჰეგელის შეხედულებებზე შეტევით იწყება“. მაგრამ ეს შეტევა ერთი არსებითი მომენტითაც გამოირჩევა. კერძოდ, როგორც სამართლიანადაა მითითებული წიგნში, ბურჟუაზიული ფილოსოფიის არსებით ნიშნად, რაციონალური აზროვნების აბსოლუტურობის უარყოფის ხარჯზე, ირაციონალურის დაშვება იქცა. ნეოჰეგელიანელობა სწორედ ამ მიზნისათვისაა მოწოდებული. იგი ცდილობს ჰეგელში ირაციონალური ეძიოს და უარყოს ისტორიულად გაგებული ჰეგელი[8]. ამ მიზნით ნეოჰეგელიანელები ცდილობენ ლოგიკური და რაციონალური ირაციონალურის მომენტებად ან ირაციონალური გონის აუცილებელ მხარედ წარმოადგინონ. ყოფილი ნეოკანტიანელი რ. კრონერი ჰეგელის სისტემის არსს რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის სინთეზში ეძებს, რადგან ფიქრობს, რომ „ჰეგელისეული აზროვნების რაციონალიზმი თავის თავში შეიცავს ირაციონალიზმს“[9]. მის თანახმად „ჰეგელის აზროვნება ისევე რაციონალურია, როგორც ირაციონალური, ზერაციონალური ან ანტირაციონალური“. რის გამოც იგი ჰეგელს მიიჩნევს „უდიდეს ირაციონალისტად, როგორსაც კი ცნობს ფილოსოფიის ისტორია“[10].

შრომაში ნეოჰეგელიანიზმის კრიტიკული ანალიზის ბაზაზე ნაჩვენებია, რომ ჰეგელის ასეთი ინტერპრეტაცია, მიუხედავად იმისა, რომ მასთან მართლაც მოიძებნება ირაციონალური ელემენტები ყალბად წარმოადგენს ისტორიულ ჰეგელს და კლავს მასში იმ რაციონალურს, რითაც ჰეგელი ღირებული არის ფილოსოფიური აზროვნებისათვის.

ნეოჰეგელიანელობის ანალიზი წიგნის IV ნაწილშია გადმოცემული (გვ. 255—314) იტალიური ნეოიდეალიზმით (ბ. კროჩე, ჯ. ჯენტილე — თავი I; გერმანული ნეოჰეგელიანობით (რ. კრონერი, ჰ. გლოკნერი, გ. ლასონი) — თავი II და ნეოჰეგელიანობით რუსეთში (ი. ილინი) — თავი III.

წიგნის V თავი — ნეოთომიზმი — (გვ. 315—346) ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი უდიდესი განშტოების კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ფილოსოფიის განხილვას ეძღვნება. მის წარმომადგენელთა (ჟ. მარიტენი, ე. ჟილსონი, ი. ლოტცე, ი. ბოჰენსკი, გ. ვეტერი და სხვ.) ნააზრევის კრიტიკული ანალიზის შუქზე შრომაში ნათელყოფილია ნეოთომისტური ფილოსოფიის იდეალისტური და მისტიკური ბუნება. ავტორის ყურადღებას განსაკუთრებით ღმერთის არსებობის დასაბუთების გზათა ანალიზი იქცევს, რადგანაც მასში ნათლად ვლინდება ნეოთომისტური ონტოლოგიის რეაქციული არსი. შრომაში გაანალიზებულია ღმერთის არსებობის დასაბუთების 5 გზა თ. აქვინელთან და მითითებულია მე-6 გზაზე, რომელსაც ნეოთომისტი ჟ. მარიტენი გვთავაზობს. ნეოთომისტური გნოსეოლოგიის ავტორისეული ანალიზი სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ჭეშმარიტებისა და სიცხადის როგორც მისი საზომის ნეოთომისტური გაგების წარმოდგენას ძირითად ხაზებში. რასაკვირველია სასურველი იყო წიგნში ნეოთომიზმიც

---

[8] ამიტომ ავტორის სამართლიანი შენიშვნით — არ შეიძლება ნეოჰეგელიანელი ეწოდოს XIX ს. გერმანელ, ინგლისელ ან იტალიელ ჰეგელიანელებს... თუმცა ისინიც იზიარებდნენ ჰეგელის ნააზრევს და მის გარკვეულ მოდერნიზაციას ახდენენ (გვ. 256).

[9] R. Kroner, Von Kant bis Hegel, B. 2, Tübingen, 1924, s. 272.

[10] იქვე, გვ. 270—1. ასე ინტერპრეტირებულ ჰეგელში ავტორი „ევროპული აზროვნების შემდგომ გადაულახავ მწვერვალს“ ხედავს, რომლის სულითაც გამსჭვალულია მთელი XX საუკუნე. რადგან ნახევარი მსოფლიო დღეს მარქსიზმის დროშითაა გაერთიანებული, ხოლო მეორე ნახევარი ფილოსოფიურად, თეოლოგიურად და ლიტერატურულად კიერკეგორის ექსისტენციალიზმითაა შეპყრობილი. კიერკეგორი და მარქსი კი ჰეგელის მოწაფეები არიან. იგი ჰეგელში ეძებს მსოფლიოს 2 ბანაკად გაყოფისა და მათი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ზავის საფუძველსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოცემულიყო მის ცალკეულ წარმომადგენელთა სახით. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა იმ სპეციფიკის გათვალისწინებაც, რითაც ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და იმ წვლილის ნათელყოფაც, რაც თვითეულმა მათგანმა შეიტანა ნეოთომიზმის საერთო მოძღვრებაში.

შრომის შემდეგი ნაწილი (VI, გვ. 347—360) პერსონალიზმის ანალიზს ისახავს მიზნად. პერსონალიზმი XX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ერთგვარ შედეგს წარმოადგენს ობიექტურ-იდეალისტური სისტემის დაშლის და მექანისტური მატერიალიზმის კრიტიკის. იგი ჰეგელის იდეალისტურ მონიზმსა და პანლოგიზმს პლურალიზმს უპირისპირებს, ხოლო გონებას — ინტუიციას.

პერსონალიზმი როგორც გარკვეული ფილოსოფიური თვალსაზრისი მე-19 ს. დასასრულისათვის ჩამოყალიბდა ფილოსოფიაში. მან გავრცელება პოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1920 წ. ამერიკელი პერსონალისტის ე. ფლიულინგის მიერ დაარსებული იქნა ჟურნ. „Personalist“, ხოლო 1932 წ. საფრანგეთში ჟ. ლაკრვას და ე. მუნიეს მეთაურობით ჟურნ. „Esprit“-ი. წიგნში პერსონალიზმი წარმოდგენილია გერმანელ ვ. შტერნის ნააზრევის ანალიზით.

XX ს. ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა იყო ლოგიკის როგორც თეორიული, სხვა მეცნიერებათაგან და განსაკუთრებით ფსიქოლოგიისაგან დამოუკიდებელი მეცნიერების შექმნა. ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შემეცნების თეორიასა და ლოგიკაში XX ს. განიხილებოდა ფილოსოფიისათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობის საწინდრად. მართალია ეს ბრძოლა არ დაწყებულა ჰუსერლით, მაგრამ მან განვითარების კულმინაციურ წერტილს XX ს. ჰუსერლის ფილოსოფიაში მიაღწია. ჰუსერლის სახელთანაა დაკავშირებული ფსიქოლოგიზმისა და რელატივიზმის მკაცრი და საფუძვლიანი კრიტიკა; ნომინალიზმის უარყოფა და იდეალური არსებობის ენერგიული დაცვა; ლოგიკის ნორმატულობის დაძლევა და წმინდა ლოგიკის თეორიულ-საგნობრივი ბუნების ცხადყოფა და მრავალი სხვა. მაგრამ ძირითადი ჰუსერლის ნააზრევში მაინც ფენომენოლოგიაა, რომლის შექმნითაც მან მსოფლიო სახელი მოიხვეჭა და XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ყველაზე გავლენიან ფილოსოფიად იქცა.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ჰუსერლი ფილოსოფიაში იდეალისტურ ტრადიციას აგრძელებს. და რომ მისი თეორია გამოყენებული იქნა, როგორც „იდეალიზმის უკანასკნელი საფარი“ (მ. ფარბერი). მაგრამ უდავოა ის ფაქტიც, რომ ჰუსერლის ფენომენოლოგიური ნააზრევი დადებითი მომენტის შემცველია, რის გამოც მისი კრიტიკული დაძლევაა აუცილებელი.

ნაწილობრივ ამ ამოცანას ისახავს მიზნად სარეცენზიო შრომის VII ნაწ. — ფენომენოლოგია (გვ. 361—420), რომლის ცენტრშიც ჰუსერლის ნააზრევი ექცევა. და რადგანაც ჰუსერლის ფილოსოფიური ნააზრევი მისი ანტიფსიქოლოგიზმითაა აღსანიშნავი, მისი მნიშვნელობის ნათელყოფის მიზნით, მის ანალიზს წინ უძღვის ფ. ბრენტანოსა და ლოგიცისტ-ლოგიკაში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დამწყებ — გ. ფრეგეს თვალსაზრისთა განხილვა. დასასრულს კი მ. შელერის ფილოსოფიური ნააზრევია დალაგებული, როგორც კვლევის ფენომენოლოგიური მეთოდის პრაქტიკული გამოყენების ილუსტრაცია და თანაც იმ სფეროში, რომელიც ჰუსერლის ფენომენოლოგიური რედუქციის აქტით „ფრჩხილებში“ იყო მოქცეული. შელერის ფენომენოლოგიას ამიტომ გამოყენებითს უწოდებენ.

ყურადღებას იქცევს ფ. ბრენტანოს „ევიდენციის ფილოსოფიის“ ავტორისეული ანალიზი. საინტერესოდაა წარმოდგენილი ბრენტანოს თვალსაზრისის ევოლუცია ჭეშმარიტების რაობის შესახებ, რამაც იგი „ევიდენტობის განცდასთან“ როგორც ჭეშმარიტების საზომთან მიიყვანა; თვით ევიდენტობის გრძნობელობასთან; განცდის ევიდენტობის ევიდენტობის განცდისაგან განსხვავების აუცილებლობისა და იმის შესახებ, რომ ევიდენტობის განცდა — ევიდენცი გნოსეოლოგიის ცნებაა და არა ფსიქოლოგიის. უდავოდ ანგარიშგასაწევია ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ „თუ ფსიქოლოგიზმის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი რელატივიზმია (ჰუსერლი), ხოლო პოზიტივიზმისა — ობიექტივიზმი, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ბრენტანო არც ფსიქოლოგისტია და არც პოზიტივისტი“. (გვ. 366). მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იყო უფრო ნათლად გამოკვეთილიყო ფ. ბრენტანოს ფილოსოფიური პოზიცია.

ცნობილია აზრთა ის სხვაობა, რაც ჰუსერლის ფილოსოფიის ინტერპრეტაციას ახლავს თან. იგი ნაწილობრივ თვით ჰუსერლის რთული ფილოსოფიური ევოლუციითაა განპირობებული. ამ შემთხვევაში უდავო ღირებულების შემცველია უკვე შრომის ამ მონაკვეთის შესავალში გამოთქმული მეთოდური მოსაზრება იმის შესახებ, რომ „მკაცრად უნდა იქნეს განსხვავებული თვით მოძღვრების და მისი შემქმნელის განვითარების გზები და შესაძლებლობანი“, და რომ „ფენომენოლოგთა, თუნდაც მისი შემქმნელის, ევოლუცია არ ნიშნავს იმას, რომ ამ ევოლუციას იტევს ფენომენოლოგიური მეთოდი“ (გვ. 362).

აღსანიშნავია, რომ ჰუსერლის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ანალიზი, წარმოდგენილი სარეცენზიო წიგნში გადაჭრით უარყოფს, და სავსებით მართებულადაც, ამ ევოლუციის იმ აზრით გაგებას, თითქოს ჰუსერლის განვითარების გზა წმინდა ლოგიკის შემქმნელიდან „დესკრიფციული ფსიქოლოგიისაკენ" უკანგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდეს. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ჰუსერლის აზროვნების ამგვარი ინტერპრეტაცია მცდარია" და რომ „საქმის ნამდვილი ვითარება სრულიად საწინააღმდეგოა" (გვ. 385). ამ მიზნით ავტორი, ძირითად ხაზებში, მიმოიხილავს ფენომენოლოგიის ჰუსერლიანულ ინტერპრეტაციას, რომლის არსებასაც იგი ფენომენოლოგიურ რედუქციაში ხედავს. მის თანახმად, ფენომენოლოგია ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც ფენომენოლოგიური მეთოდი, ე. ი. ძიება დამყარებული იმ ვითარებაზე, რომელიც იქმნება ფენოლოგიური რედუქციის წყალობით[11].

ამ ძიების ცენტრში წმინდა ცნობიერება ექცევა, რომელშიც ფენომენოლოგიური რედუქციის მეშვეობით დაიძებნება სწორედ ის, რასაც ფილოსოფია ეძებდა ყოველთვის, როგორც მყარ აბსოლუტურ სინამდვილეს. ავტორი გვიჩვენებს, რომ „ჰუსერლი მუნდანური სუბიექტურის უკუგდების შემდეგ მუნდანურ ობიექტურობას კი არ მიმართავს ფილოსოფიის პრობლემის გადასაჭრელად, არამედ უკუგდებული სუბიექტურობის ადგილას ათავსებს ნამდვილ, აბსოლუტურ სუბიექტურობას, ისეთ სუბიექტურობას, რომელმაც ჰუსერლის აზრით, ბრწყინვალედ დაიჭირა ობიექტურობისა და აბსოლუტურობის მაქსიმალური მომთხოვნელობის გამოცდა" (გვ. 396). ავტორის აზრით ასე უნდა ვიაზროთ ფილოსოფიის ამაღლება ჰუსერლთან უზუსტესი მეცნიერების რანგამდე. აქ წმინდა ფენომენოლოგია ტრანსცენდენტალური ეგოლოგიის სახეს იღებს. ტრანსცენდენტალური იმანენტურიც არის — როგორც ასეთი იგი შემეცნების საწყისად გვევლინება—და ტრანსცენდენტურიც, რითაც იგი სამყაროს ონტიურ „მშენებლობას" ედება საფუძვლად. ამით იწყება ფენომონოლოგიის უმაღლესი მიზნის რეალიზაცია, იწყება კონსტიტუცია სამყაროსი, იქმნება „კონსტიტუციური ფენომენოლოგია".

ავტორი ფიქრობს, რომ სუბიექტურობა, რომელსაც ჰუსერლი ებრძვის, როგორც ფსიქოლოგიზმს „ლოგიკური გამოკვლევების" I ტომში, არსებითად სხვაა, ვიდრე ის, სუბიექტურობა, რომელზედაც ლაპარაკია „ლოგიკური გამოკვლევების" II ტ. და ჰუსერლის ყველა შემდგომ ნაშრომში.

ზემოთქმული სავსებით ორიგინალურ და მეტად საყურადღებო ინტერპრეტაციას აძლევს ჰუსერლის ნააზრევის გრძელ და მრავალსაფეხურიან გზას. სასურველი იყო მისი დასაბუთების მიზნით ავტორს ყურადღება გაემახვილებინა ჰუსერლის ნააზრევის სხვა მხარეებზეც მაგალითად, ჭეშმარიტებისა და სიცხადის როგორც მისი საზომის — და მათი ჰუსერლიანური ინტერპრეტაციის ანალიზის საფუძველზე, ლოგიკური გამოკვლევების II ტ. ერთად მის მომდევნო შრომებშიც, — ნათელეყო ჰუსერლის „აბსოლუტური სუბიექტურობისაკენ" მობრუნების საკუთარი ინტერპრეტაციის მართებულება.

როგორც ზემოთ შევნიშნავდით, ფილოსოფიის სფეროს შემეცნების თეორიით შეზღუდვამ, მისი ონტოლოგიიდან მოწყვეტამ ნეოკანტიანელობა სკეპტიციზმთან მიიყვანა. ამიტომ მოხდა, რომ მრავალი ნეოკანტიანელი ჰუსერლის ფილოსოფიის გავლით ცდილობს აღადგინოს ახალი ონტოლოგია და მეტაფიზიკა. ამან დასაბამი მისცა ახალ მიმდინარეობას XX ს. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში — რეალონტოლოგიას (ნაწ. VIII, გვ. 421—499).

პირველი, ვინც იგრძნო, ფილოსოფიის შემეცნების თეორიას სფეროთი შემოფარგვლის უსაფუძვლობა, გერმანელი ნეოკანტიანელი ე. ლასკი იყო. მისი აზრით შემეცნების თეორია უფლებამოსილი არ არის და არც შესაძლებლობა შესწევს უარყოს მეტაფიზიკა. შრომაში ნაჩვენებია, რომ ე. ლასკი ამ ამოცანის გადაჭრას ცდილობს კანტის ფილოსოფიის ახალი ინტერპრეტაციის გზით. რაც მისი „პოზიციური ირაციონალიზმით" მთავრდება და ფაქტიურად სრული ირაციონალიზმის საფარს წარმოადგენს (გვ. 431).

ე. ლასკის თვალსაზრისთა ანალიზით იწყება შრომაში გერმანული რეალონტოლოგიის კრიტიკული გადმოცემა. შემდეგ გაანალიზებულია მისი მეორე დიდი წარმომადგენლის ნ. ჰარტმანის მოსაზრებანი. რომლისთვისაც უდავოდ იქცა ის ფაქტი, რომ შემეცნების თეორია შეუძლებელია ონტოლოგიის გარეშე და რომ შემეცნებას უნარი არ შესწევს თვით აწარმოოს თავისი საგანი. ამის საჭიროება არც არის. ონტოლოგიას აუცილებლობით საჭიროებს გნოსეოლოგია. მაგრამ ონტოლოგიურის შესახებ მხოლოდ იმის თქმაა შესაძლებელი, რაზედაც შემეცნების განკარგულებაში არსებული შინაარსი მიუთითებს. ჰარტმანი ცდილობს იკვლიოს

[11] ეს მით უფრო ყურადსაღებია, რომ დღეს მრავალი ბურჟუაზიული მკვლევარი ფენომენოლოგიაში **უნივერსალურ ონტოლოგიას, მეტაფიზიკას ხედავს,** რომლის ძირითადი პრინციპიც ინტენციალობაა (იხ. A. Dimer, E. Husserl, Meisenheim, 1956, 56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შინაარსში ის, რაც მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური არსებობისაკენ მიუთითებს და ამგვარ კვლევას ონტოლოგიურს უწოდებს. შრომაში კრიტიკულ ანალიზს ექვემდებარება ჰარტმანის რთული ფილოსოფიური კონცეფციის ყველა ძირითადი პუნქტი.

სარეცენზიო შრომის ამ მონაკვეთის (თ. I) დასასრულს გერმანელი ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის ჰ. შოლცის მოსაზრებანია გადმოცემული.

ინგლისურ-ამერიკული ნეორეალიზმი წიგნში წარმოდგენილია ჯ. მურის, ს. ალექსანდერის, ა. უაიტჰედისა და რ. პერის ნააზრევით (თ. II).

შრომის დასკვნითი ნაწილი (გვ. 495—584) XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ყველაზე თანამედროვე მიმდინარეობის — ექსისტენციალიზმის კრიტიკულ ანალიზს ეძღვნება. ექსისტენციალიზმის გავლენა თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სხვა მიმდინარეობებზე იმდენად დიდია, რომ იგი ვრცელდება მის წინამორბედ თეორიებზეც. რაც ხშირად ძნელად გასამიჯნავს ხდის მათ ერთმანეთისაგან. ამიტომ ექსისტენციალიზმის რაობის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მისთვის სპეციფიკურის ნათელყოფას. ამ მიზნით შრომაში გაანალიზებულია ექსისტენციალიზმის მიმართება ფენომენოლოგიასა და სიცოცხლის ფილოსოფიასთან, პერსონალიზმსა და ანთროპოლოგიასთან.

ექსისტენციალიზმი დასაბამს დანიელ ფილოსოფოს ს. კიერკეგორთან იღებს, რომელიც ნ. ბერდიაევისა და მ. უნამუნოსთან ერთად წიგნში წარმოდგენილია როგორც „ექსისტენციალიზმამდელი ექსისტენციალისტი". (თ. I). ავტორები ამჯობინებენ ამ ტერმინით წარმოადგინონ ეგზისტენციალიზმის ეს ფორმა, ნაცვლად ჩვენთან თითქმის დამკვიდრებული ტერმინისა — „რელიგიური ექსისტენციალიზმი", რადგან „მათი შრომები თუმცა ძლიერ ექსისტენციალურ ტენდენციებს შეიცავენ, მაგრამ ამ ტენდენციათა დომინანტობის გაცნობიერება მოხდა მხოლოდ „კლასიკური" ექსისტენციალიზმის წარმოშობის შემდეგ" (გვ. 498).

ეს უკანასკნელი შრომაში წარმოდგენილია მ. ჰაიდეგერისა და კ. იასპერსის (თ. II. გერმანული ექსისტენციალიზმი); გ. მარსელისა და ჟ. პ. სარტრის ნააზრევით (თ. III. ფრანგული ექსისტენციალიზმი).

მ. ჰაიდეგერი ფილოსოფიის ცენტრალურ ამოცანას ყოფიერების ცნების ჭეშმარიტი შინაარსის ძიებაში ხედავს. იგი საყვედურს გამოთქვამს ძველი ფილოსოფიის მიმართ იმის გამო, რომ მან ყოფიერება (Sein) დაივიწყა და კვლევა მხოლოდ ყოფიერის (Seiende) ან ყოფიერთა მთლიანობისაკენ მიმართა. ამით მან ხელი შეუწყო ტექნიციზმსა და ნიჰილიზმს, ადამიანური არსებობის თანამედროვე კრიზისს. ჰაიდეგერი ეძებს ყოველგვარი არსებულის, ყოფიერის და ყოფიერთა მთლიანობის საფუძველს. შრომაში ნაჩვენებია, რომ ასეთად ის ყოფიერებას მიიჩნევს და მას სავსებით ახალ მნიშვნელობას აწერს. მისთვის იგი არის ყოფიერთა, არსებულთა არარსებული საფუძველი და ამდენად არარად (Nichts) იწოდება. არარად არა არაფრისა და უმნიშვნელოს აზრით, არამედ, როგორც „ყოფიერთა, არსებულთა არარსებული საფუძველი" (გვ. 534). ჰაიდეგერთან არარა არის ყოფიერების, როგორც ყოფიერთა სამყაროს საპირისპიროს სახელი ამ დაპირისპირებაში.

ადამიანის ცხოვრების დაკარგული საზრისი, ჰაიდეგერის აზრით, მხოლოდ ყოფიერებასთან კავშირში შეიძლება იქნეს აღდგენილი და გაგებული. ყოფიერებასთან მიმართება ქმნის ადამიანის სპეციფიკას. იგი საფუძვლად უდევს მის თეორიულ თუ პრაქტიკულ მოქმედებას. ადამიანი ყოველთვის მისი რაციონალური გაგებითაა განსაზღვრული. მასთან „გაგებითი მიმართების წყალობით არსებული". ამიტომ, მისი აზრით, თუმცა ექსისტენცია, არსებობა, ყოველ ყოფიერს აქვს. ექსისტენცი და **ექსისტირება** მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. „მხოლოდ ადამიანი ექსისტირებს". ყოველივე დანარჩენი — კლდე, ცხენი, ღმერთი — უბრალოდ არსებობს.

ჰაიდეგერის აზრით ევროპულმა ფილოსოფიამ სუბიექტის არსი ვერ გაიგო იმიტომ, რომ იგი სუბიექტში ობიექტურობას ეძებდა და სუბიექტის სუბიექტურობა, რომელიც მთავარი უნდა იყოს ფილოსოფიისათვის ყურადღების ფარგლებს გარეთ რჩებოდა.

ჰაიდეგერი ცდილობს დაარწმუნოს ტექნიკისა და მეცნიერების შემქმნელი ადამიანი იმაში რომ ისინი არ არიან უმაღლესი ღირებულებანი, რომ ადამიანი არ უნდა დააბრმაოს კოსმოსურმა მიღწევებმა და გამოთვლის სიზუსტემ, არამედ ყველაფერი ეს მხოლოდ საშუალებად ცნოს უფრო მაღალი ინსტანციის ხელში. „ჰაიდეგერს საჭიროდ მიაჩნია — შენიშნავს ავტორი — ადამიანს მუდამ მხედველობაში ჰქონდეს უფრო მაღალი რამ, ვიდრე ინტელექტი და მისი შექმნილი ტექნიკაა, უფრო იდუმალი, ვიდრე აქამდელი, რაციონალურის ქარგაზე გამოჭრილი მისტიკური და ირაციონალური. ესაა ყოფიერება ანუ არარა. მასშია სამყაროსა და ადამიანის ბედის გასაღები. ყოფიერებაზე აზროვნება საშუალებას მისცემს ადამიანს არ დაემორჩილოს ტექნიკის დამმონებელ ძალას" (გვ. 551).

შრომაში მოცემულია ჰაიდეგერის რთული ფილოსოფიური კონცეფციის საინტერესო ანალიზი მისი ფილოსოფიური ევოლუციის გათვალისწინებით.

ყოფიერების ძიების ამოცანა, როგორც ფილოსოფიური კვლევის მთავარი მიზანი განსხვავებულ სახეს იღებს კ. იასპერსთან. ავტორი გვიჩვენებს, რომ იასპერსი იკვლევს არა „ყოფიერებას როგორც ასეთს“, არამედ მის სამ სახეს: სამყარო, ექსისტენცი და ტრანსცენტური (ღვთაება) და ცდილობს „მიგნებული იქნას ყოფიერების ისეთი სახე, რომელიც ადამიანის არსებობას შეესაბამება და ადამიანს ყველა სხვა არსებულისაგან მიჯნავს (გვ. 554). ასეთად იასპერსი მიიჩნევს ექსისტენცს, როგორც ადამიანის ისეთ განზომილებას, რომელიც არასოდეს არ შეიძლება გახდეს კვლევის ობიექტი და ამიტომ იყოს შემეცნებული. თუმცა ამის გამო იგი არარაობად არ იქცევა, რადგან თუმცა ექსისტენტი შეუმეცნებადია, მაგრამ მისი გააზრება, განათებაა შესაძლებელი.

ძნელად თუ შეხვდებით XX ს. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში პიროვნებას, რომელიც ისეთი პოპულარობით სარგებლობდეს როგორც ფრანგი ექსისტენციალისტი ჟ. პ. სარტრი. ამ პოპულარობის მიზეზი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, ის არის, რომ მან ყველაზე ნათლად და დაუფარავად დააყენა თანამედროვე კაცობრიობისათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა, პრობლემა თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის. ადამიანი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, რადგან ის თავისუფალია. „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“. ასეთია ძირითადი იდეა სარტრის ყოველი დრამისა თუ რომანის, ესეებისა თუ ფილოსოფიური ტრაქტატისა.

სარეცენზიო შრომაში სარტრის ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედება 3 პერიოდითაა წარმოდგენილი, სადაც მისი ფილოსოფიური ევოლუციაა გაანალიზებული. ნაჩვენებია, რომ ამ ევოლუციაში სარტრმა ისტორიულ მატერიალიზმს მიმართა, რათა მასში ადამიანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ფაქტორები ეძია. ავტორი განიხილავს სარტრის ექსისტენციალიზმის მიმართებას ჰაიდეგერთან და მიუთითებს მათ შორის არსებით სხვაობაზე: საინტერესო მოსაზრებას განავითარებს გნოსეოლოგიური სოლიპსიზმის დაძლევის მიზნით სარტრის მიერ წამოყენებულ პრე-რეფლექსურ Cogito-ს მიმართებაზე დეკარტეს (Cogito-სთან) და სხვა.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის მრავალი წარმომადგენელი ექსისტენციალიზმს განიხილავს როგორც თანამედროვე ეპოქის, „კრიზისის ეპოქის“ გამოხატულებას და მის გამართლებას ამ კრიზისში ეძებს. ექსისტენციალიზმის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შრომაში, ნაჩვენებია, რომ „ექსისტენციალფილოსოფიაში“ თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში ადამიანური არსების კრიზისის სწორი სურათია დახატული, მაგრამ იგი სავსებით უსაფუძვლოდ არის გავრცელებული კაპიტალისტური სამყაროს ფარგლებს გარეთ (გვ. 545).

საერთოდ XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკული ანალიზი წარმოებული წიგნში, მის შინაგან წინააღმდეგობებზე მითითებით, მკითხველისათვის უდავოს ხდის იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია ჰკარგავს რა ჭეშმარიტების ძიების პათოსს და ვერ ამჩნევს რა საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივებს, კაპიტალისტური სამყაროს კრიზისს აცნობიერებს, როგორც კრიზისს საერთოდ, კრიზისს ადამიანური ასებობისა, ფილოსოფიისა საერთოდ. „არ შეიძლება ითქვას — შენიშნავს ი. ტისენი — რომ ჩვენი სპეციფიკური სულიერი კრიზისი არის შედეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რღვევის, ანდა თითქოს იგი უკვე განმანათლებლობის ეპოქიდან იწყებოდეს. ლაპარაკია ღირებულებათა და ნორმათა ტოტალურ კრიზისზე სულიერ და განსაკუთრებით ფილოსოფიის სფეროში[12].

ასეთია შრომის შინაარსი, წარმოდგენილი ძირითად ხაზებში და ის დასკვნა, რომელთანაც უდავოდ მიჰყავს დაკვირვებული მკითხველი, მასში წარმოებულ კრიტიკულ ანალიზს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკა შრომაში არ ატარებს ეპიზოდურ ხასიათს. მასში მოცემულია ცდა დაიძებნოს მისი კრიზისისაკენ სვლის ერთიანი ხაზი და მისგან გამოსავალზე იქნეს მითითებული. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის მართებული დასკვნები, რომელიც XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ამა თუ იმ მიმდინარეობის ანალიზისას კეთდება. მიუთითებთ ზოგიერთ მათგანზე: იმ ფაქტიდან, რომ ნეოჰეგელიანელობაც უძლური აღმოჩნდა ბურჟუაზიული ფილოსოფია კრიზისისაგან ეხსნა, იმაზე მითითებადაა წარმოდგენილი, „რომ ჰეგელის ფილოსოფიის განვითარების ერთადერთი სწორი გზა მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ ნაჩვენები გზაა, ხოლო მისი კანონიერი მემკვიდრე — მატერიალისტური დიალექტიკა“ (გვ. 257); იმ ფაქტში, რომ ექსისცენტიალიზმის აღიარებული ბელადი, ჟ. პ. სარტრი ექსისცენტიალიზმის სიძნელეთა დაძლევის მიზნით ისტორიულ მატერიალიზმს მიმართავს და მარქსიზმისაგან ელის დახმარებას, ის ვითარებაა დანახული, რომ

[12] J. Thyssen, Die Philosophie in der gegenwärtigen geistigen Krise, Bonn, s. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები თანდათან იძულებულნი ხდებიან აღიარონ მარქსისტული ფილოსოფიის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. რაც უდავოდ მრავლისმეტყველია მარქსიზმისა და XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის დაპირისპირების შესაფასებლად (გვ. 14—15; 10—11).

ქართველი მკითხველი, სარეცენზიო წიგნში, რიგ შემთხვევაში პირველად იხილავს XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობათა შედარებით მოკლე, მაგრამ არსების მომცველ ანალიზს. მათ შორის ისეთი ურთულესი ფილოსოფიური კონცეფციებისა, როგორიცაა მ. ჰაიდეგერის, რომლის ხელოვნურმა ტერმინოლოგიამ, ურთულესმა სტილმა და პრობლემატიკის უჩვეულო ფორმულირებამ, მისი ინტერპრეტაცია უკვე მის სიცოცხლეშივე აქცია პრობლემად; რ. ავენარიუსის, რომლის გაგებისათვისაც ე. მახის მართებული შენიშვნით მისი საკუთარი ენის შესწავლაა საჭირო; ე. ჰუსერლის, რომლის ინტერპრეტაციაც გადაუჭრელ პრობლემად იქცა, მითუმეტეს დღეს მის ხელნაწერთა აღმოჩენის შემდეგ, რომლის გამოქვეყნება ჯერაც არ დამთავრებულა, და მრავალი სხვა. თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტსაც, რომ ამ გადმოცემაში მათ არ დაუკარგავთ სიღრმე და დამაჯერებლობა, ნათელი გახდება სარეცენზიო წიგნის შესრულების მეცნიერული და პედაგოგიური დონე.

რამდენიმე სიტყვა წიგნის სტრუქტურის შესახებ: ჩვენი აზრით XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ცალკეულ თეორიათა ასეთი განლაგება შესაძლებელს ხდის მიკვლეული და ნათელყოფილი იქნეს ბურჟუაზიული ფილოსოფიის „განვითარების“ შინაგანი აუცილებლობა, რაც მისი კრიზისის გაღრმავებაში ავლენს თავს. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია პ. ფაიჰინგერის ფიქციონალიზმის ნეოკანტიანელთა სკოლაში განხილვა, როგორც მათი კონცეფციის ლოგიკური დასრულება, ხოლო ე. ლასკისა რეალონტოლოგიაში. მაგრამ ზ. ფროიდის გადმოცემა „სიცოცხლის ფილოსოფიაში“ წიგნში არაფრით არ საბუთდება.

ასევე დაუსაბუთებლად გამოიყურება თანამედროვე პერსონალიზმის გადმოცემა მის ისეთ წარმომადგენელთა გათვალისწინების გარეშე როგორიც არიან: ხოკინგი, რ. ფლიუელინგი, ე. ბრაიტმენი, ე. კენტი და სხვ. ამერიკელი პერსონალისტები; ე. მუნიე, ჟ. ლაკრუა, გ. მადინიე და სხვ. ფრანგი პერსონალისტები. ის, რაც წიგნშია თქმული ე. ბრაიტმენისა და ე. მუნიეს შესახებ უდავოდ არადამაკმაყოფილებელია.

გაუმართლებელია XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფიის ანალიზი ამერიკელი კრიტიკული რეალისტის ჯ. სანტაიანას, ექსისტენციალიზმის ა. კამიუს გარეშე და ა. შ. თქმული იმაზე მიუთითებს, რომ წიგნის ყველა ნაწილი ერთნაირ დონეზე არ არის დაწერილი. ეს ეხება არა მხოლოდ პრობლემათა დამუშავების სიღრმეს, არამედ ამა თუ იმ ფილოსოფიური სკოლის და მის წარმომადგენელთა ანალიზის სისრულესაც.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ წიგნი მოწოდებულია დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია შეასრულოს, სასურველი იყო შეფასებითი მხარის უფრო სრულყოფილად წარმოდგენა. ის, რაც ყოველი მოაზროვნის განხილვის ბოლოს, ამ მიზნით რეზიუმეს სახით არის თქმული, რიგ შემთხვევაში სრულყოფას საჭიროებს.

ზემოთქმული სარეცენზიო წიგნის საერთო ანალიზს ისახავს მიზნად და ბუნებრივია, რომ არ ხსნის მისი სპეციალური ანალიზის საჭიროებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი ანალიზი მხოლოდ განამტკიცებს შრომის დადებით შეფასებას.

წიგნის „XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია“ — გამოსვლა, ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს სახით, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენს მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია გაერკვეს XX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. სასურველია წიგნის რუსულ ენაზე თარგმნა, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ქართული ენის არამცოდნე მკითხველისთვისაც.

ნოდარ კირვალიძე

ფასი 1 მან.

Индекс 76 196

ნ 29/188

ეროვნული ბიბლიოთეკა